ჯორჯოხი



6 2021

აჭარის მწერალთა სახლი

ISSN 0134-3459
21006
9 770134 345001

ჭოროხი

გამოცემის 63-ე წელი | ნოემბერი-დეკემბერი | №6 | 2021 წელი

სალიტერატურო-სამხატვრო და საზოგადოებრივი ჟურნალი

მთავარი რედაქტორი

სანდრო ბერიძე

სარედაქციო კოლეგია

როინ აბუსელიძე
ცისანა ანთაძე
გენრი დოლიძე
შოთა ზოიძე
იაშა თანდილავა
დავით თედორაძე
ლალი კონცელიძე
გურანდა ნიჟარაძე
ჯემალ სურმანიძე
ბელა ქებურია
ვახტანგ ღლონტი
თინა შიოშვილი
მაია ჯაფარიძე

ტექნიკური რედაქტორი და
კომპიუტერული უზრუნველყოფა

მალხაზ ფალავა

ოპერატორი

მარიკა ლაშხია

დაარსებულია 1958 წელს
გამოდის ორ თვეში ერთხელ

ISSN 0134-3459

© „ჭოროხი“, 2021

რედაქციის მისამართი:
6009, ბათუმი, მელიქიშვილის ქ. №21
ტელ.: 599 91-84-80

გამომცემელი
ა(ა)იპ აჭარის მწერალთა სახლი

ჟურნალი დაიბეჭდა
შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში.
ქუთაისი, ჭავჭავაძის ქ. 33

ავტორთა საყურადღებოდ:
რედაქციაში ელექტრონული სახით შემოსული ნაწარმოებები აწყობილი უნდა იყოს
შრიფტით Sylfaen, 12 pt. (კოდირება: უნიკოდი (UTF-8);
რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

შინაარსი

პოეზია, პროზა

შოთა ზოიძე – მეთოთხმეტე მოციქული (პოემა) 3
ნიაზ ზოსიძე – ნოველები 12
თეიმურაზ ლანჩავა – ლექსები 27
ცისანა ანთაძე – ლექსები 35
ზურაბ შაშიკაძე – მოთხრობები 42
ქეთი გაგინაშვილი – მოთხრობები 64
მაია ლაღიძე – იქ და იმის იქეთ... (მოთხრობა) 83

თარგმანები

გოთფრიდ ბენი – ლექსები (გერმანულიდან თარგმნა ხათუნა პატაშურმა) 86

კრიტიკა, პუბლიცისტიკა

ირმა ვადაჭკორია – „ძაფზე მოფარფატე სული“ 93

ისტორია

ალექსანდრე ჩხაიძე – აჭარის ავტონომიის შესახებ 100

ფოლკლორი

მაია ჯაფარიძე – „კარგ ყმად ვინა ვთქვათ ვაჟებო“,
ანუ გმირის იდეალი ქართულ ხალხურ პოეზიაში 109

წერილები

ნუნუ დიასამიძე – „პელაზგები – მითლოგიური ძიებანი და სხვა...“ 119



შოთა ზოიძე

მეთოთხმეტე მოციქული

(პოემა)

Я... Тринадцатый апостол!

Д. Маяковский

უფალმა მომანიჭა ოცდან ოცი ქულა,
მომანიჭა, რადგან ვიყავი მეცენატი.
მე ვიქნები მეთოთხმეტე მოციქული,
მაიაკოვსკი იყო მეცამეტე.

ზოგს გული აწუხებს, ზოგს – თავის ტკივილი,
ჩვენი სიცოცხლე ჰგავს ყინულის დნობას.
რამდენ ვინმეს აწუხებს საკუთარი ტვინი,
არავის არ აწუხებს თავისი უტვინობა.

ჩვენს ტვინშია თხუთმეტი მილიარდი უჯრედი,
თხუთმეტი მილიარდის ერთ პროცენტს ღვიძავს,
ხოლო დანარჩენს ძინავს ყრუ-მუნჯივით,
ამიტომ მძვინვარებს შური და ღვარძლი.

ჩემი გული პლანეტარულ სამყაროს იტევს.
ჩემი გულია ღმერთის სასახლე.
ღმერთი მიგზავნის ჯადოსნურ სიტყვებს,
როგორიც არის გვარი და სახელი,

დედა და მამა, მიწა და წყალი,
ცოლი და შვილი, ღვინო და პური,
მაგრამ უფალი ყველას როდი წყალობს,
ამიტომ მძვინვარებს მტრობა და შური.

უფალმა ნეკნისგან გამოძერწა ქალი,
ზოგში არია თიხა და ალიზა,
ჩვენ მუდამ მზისკენ გვიჭირავს თვალი,
ერთმანეთს ვხოცავთ ლამაზი ქალიზა.

პირველი ევა ვინც დაისაკუთრა,
იმან დააფუძნა კერძო საკუთრება,
ეს არ არის მარტივი საკითხი,
ამაზე სხვა დროს ვისაუბროთ.

1.
ახლახან ევროპა შეძრა წყალდიდობამ,
მაგრამ არ ვიცი საშველი სად არი?!
ჩემი სახლია ნოეს კიდობანი,
რომელშიც გავმართე თეთრი საყდარი.

აქედან მოჩანს მსოფლიო ხანძრები,
იწვის თურქეთი, საბერძნეთი, აშშ,
ხანძრის ჩასაქრობად ნემსის ყუნწში გავძრები,
თავს არ დავზოგავ და ა.შ.

რომ არა ტაძრები, სული გაგვძრება,
იწვის ხეები, ბუჩქები, წიწვი,
იწვის ტყეები – ბუნების ტაძრები,
ბუნების ტაძრები – ტყეები იწვის.

ხანძრის ჩასაქარობად მეტაფორა დავძარი,
ავამოქმედე სახანძრო სერვისი,
ავაშენოთ ახალთახალი ტაძრები,
და გავალამაზოთ მერმისი!

ბუნებაა ჩემი თავშესაფარი,
მე, როგორც მეთოთხმეტე მოციქულმა,
ყველას გავუღე ჩემი საყდრის კარი,
უფალმა მომანიჭა ოციდან ოცი ქულა.

არც მე ვიცი, რატომ მიყვარს მაისი,
მზეს გამოვარბრწყინებ ყვითელი თავშლით,
ზღვას ბათუმიდან ცაში ავისვრი,
მის ადგილას ჩემს მთა-გორებს გავშლი.

ზოგს ჰგონია ამას არავინ დამაცლის,
ეს არ არის განწირული რისკი,

ჩემს თემში ვერ იბოგინებს ერზაცი,
ჩემს თემში მხოლოდ კეისარს-კეისრისა!

2.
პერმანენტული ზეიმია არაკაცების,
სადაც ისინი, იქ არიან არაქალებიც,
ჩემზე რომ იყოს, ყველა კოდექს გავამკაცრებდი,
ჩემზე რომ იყოს, ამ ქვეყნიდან გავაქარვებდი.

ხმის ჩახლეჩამდე მინდა ვიყვირო,
ამოვიარე გოლგოთის აღმართი,
წითელ მოედანს, როცა მინდა, ავაყირავებ,
და ზედ პოეტის პირამიდა აღიმართება.

გავასაიდუმლე პოეტის გვარი,
ეს ის გვარია, ყველას რომ მოსწონდა,
მე ახლა ჩრდილოეთის მიბერავს ქარი
და ხელებს ვითბობ სამხრეთის კოცონთან.

პროსპექტს გადაარქვეს გორკის სახელი,
„ქალიშვილი და სიკვდილი“ ისეთი ლექსია,
ჯალათი ცეცხლსასროლი იარაღით ვნახე,
ლექსს ვერ მოკლავენ, ამაოდ ესვრიან.

ავტორი მოკლეს, ვერ მოკლეს ლექსები,
ლექსები – ვერა, ავტორი მოკლეს,
გორკი მსხვერპლია უწესო წესების,
ყველამ იცოდეს ეს გზაა მოკლე!

ახლა პოეტებს აღარავინ უსმენს,
მიდი და იყეფე, რამდენიც გინდა
იყო დრო, როცა არ უსმენდნენ რუსთაველს,
ფრესკაც კი წაშალეს წმიდათაწმიდა.

ამის გამო მივიღებ უმაღლეს სასჯელს,
რომელსაც ეწოდება „четвертование“,
თუ უნდათ ხელ-ფეხი მომკვეთონ სამჯერ,
გორკის პროსპექტზე მე მაინც გავიარ.

3.
უფალმა დამიწერა ოციდან ოცი ქულა,
მე ვარ მეთოთხმეტე მოციქული,

შური დამდევს, როგორც კაგებეს აგენტი,
ახლა ამის მეტს არაფერს არ გეტყვი.

მე დიდი ხანია ვძულვარ ჩინოვნიკებს,
და ღმერთმა ნუ ქნას, მე მათ ვუყვარდე,
მე იმისთანა სიყვარული მოვიმკე,
ჩინოვნიკებს თავს აღარ ვუყადრებ.

მე მიყვარს მეტაფორა ანასეული,
მე ვიცი მისი პოეზიის პაროლი,
არ მიყვარს ხალხი უცხოეთში გაქცეული,
მით უფრო – გაპარული!

ნონამ დააშამათა მსოფლიო ჩემპიონი,
ეს იყო ელენე ბიკოვას „ЧП“
ჭადრაკის თამაში ჰგავს სამამულო ომს,
კარგად მოეხსენებათ უცხო ქვეყნის შეფებს.

იყო დრო, პეტერბურგელ რჩეულებს მოვწონდი,
მოსკოველებიც არ იყვნენ გულგრილი,
ქალები პარტნიორებს ჯიბეებით წონიან,
სასახლეებით და მდიდრული ვილებით.

ამასობაში სიცოცხლე ილევა,
აწეული აქვთ ცარიელი თავები,
ცხოვრებამ რამდენჯერ იქუხა და იელვა,
იმდენჯერ უსახსრობის მახეში გავები.

ერთხელაც სიკვდილს დავუნიშნე პაემანი,
სიკვდილმაც გამაწბილა, პაემანზე არ მოვიდა,
ამ დროს, უეცრად აყვირდა არემარე,
და როცა დაწყნარდა, ჭრელი მოვითა,

თაღიანი ხიდით და ფერებით მოვიდა,
ლამაზი, როგორც თამარ მეფის წარბი,
გამოგიტყდებით და სიცოცხლე მომინდა,
სიკვდილი ჩემგან ცხრა მთას იქით გარბის.

ცისარტყელამ მითხრა, სიკვდილი არ გაბედო,
ქრისტიანი კაცი ხარ, იესომაც ეს თქვა,
მაშინ ჩემს თვალებში სამყარო გაბევრდა,
არე-მარე ჰგავს ღვთისმშობლის ფრესკას.

4.

მე უფლის რწმენას ავუცრი წარმათებს,
მე მათ მოვაქცევ საყდრის გალავანთან,
ცხოვრებამ, რაც მქონდა, ყველაფერი წამართვა,
მის მერე, როცა ძველი დრო გადავარდა.

ცხოვრებამ მე მხოლოდ რწმენა ვერ წამართვა,
მშობლების, ოჯახის, ცოლის და შვილების,
მეც ავდექი და მახვილი აღვმართე,
ჩვენ არასოდეს არ დავილევით.

მე ვიცავ ჩემი იესოს რწმენას,
იესო მიცავს, მიცავს მისი მადლი,
მეც ყველგან საყდრის ჩრდილივით ვწევარ,
დილით – მზე, საღამოს მთვარეა ბადრი.

5.

უფალმა დამიწერა ოციდან ოცი ქულა,
მე ვარ მეთოთხმეტე მოციქული,
შური დამდევს, როგორც კაგებეს აგენტი,
ახლა ამის მეტს არაფერს არ გეტყვი.

მე არ მჭირდება ამწევი ძალა,
ცაში საკუთარი ფრთები ამაფრენს,
– ფრთები, ფრთები გვინდა, – პოეტმა ბრძანა,
მიწაზე დავტოვებ არფას და აფრებს.

უფალთან მიმაქვს ჩემი ცოდვა-მადლი,
მადლი გადაწონის ცოდვის სიმძიმეს,
როგორც ფერადი კინოფილმის კადრი,
უფალთან სიმართლის ნათურა ციმციმებს.

ციმციმებს-მეთქი, უნდა ითქვას, ანთია,
უფალთან ანთია მილიონი მზე,
ცაში შევეგებები დილას და განთიადს,
ლექსებს წავიკითხავ პლანეტების ნადიმზე.

მომისმენენ დიდზე დიდი პლანეტები,
მომისმენენ წვრილ-წვრილი ასტეროიდები
და რაც მიწაზე არ ემეტებათ,
ცაში მივიღებ პატივით და დიდებით.

უფალმა ცაში დამიწერა ოცი ქულა,
მიწაზე დამაბრუნა მეთოთხმეტე მოციქულად!

6.
მაგრამ მიწაზე მოციქულის გაგონება,
არავის არ უნდა, კიდევ უფრო მეტიც,
ჰგავდა მეხის გავარდნას, შეიძრა მთა-გორები,
დაიძრა ვაგონები, კომლებით და კეტებით,

პირსავსე, როგორც ღვინიანი ქვევრი,
ატყდა ჯახი და დავიდარაბა
აზრი გამოთქვა ძალიან ბევრმა,
გადაწყდა, მოქიცული ძაღლივით დავაბათო.

არ ვიცი, ამას რაღა დავამატო.
ავდექი და ნოეს კიდობანში ჩავიკეტე.
ამას ვასაჯაროვებ, არა საკამათოდ,
მხოლოდ და მხოლოდ – სასიკეთოდ.

ხალხი ხალხია... მრევლი მრევლია...
ხალხში ურევია ბევრი ღვთისმოსავი.
ერთმა თქვა – ეს კაცია ევლია!*
მეორემ თქვა – ჯვარს ვაცვათ იესოსავით!

მესამემ თქვა – ხომ არ არის მესია!
მეოთხემ თქვა – ვიღაც შარლატანია!
შარლატანი, თვითმარქვია, ქაფირი!**
გასივდა ჭორი ლუდის ქაფივით.

ბოლოს ერთმა ღვთისნიერმა მოხუცმა,
მოციქულში ამოიცნო პოეტი,
ჩემი გული ნეტარებამ მოიცვა,
და ვუთხარი – მე იმიტომ მოვედი,

რომ ქვეყანას სამართალი ვაუწყო,
ხელმწიფედ გვყავს უცხოეთის მსტოვარი,
მსტოვარს ერთხელ უფალიც კი გაუწყრა,
მაგრამ მსტოვარს რის შეასმენს სტუმარი,
როცა ყრუა და ხალხის ხმა არ ესმის!

---

* ევლია – (არაბ.) წმინდანი.
** ქაფირი – (არაბ.) ურჯულო.

სეირის გარდა, ხალხს სხვა რამე არ უნდა,
სადაც ბრბოა, იქვე ცხოვრობს იუდა.

იუდები უდრტვინველად გაგცემენ,
თუ დაჭირდათ, ბინძურ ხელსაც გტაცებენ.
მერე იყო, ნაგვემი და ნაცემი,
აიღეს და სამართალში გადამცეს.

7.
მოსამართლემ არ იცის სამართლის მისამართი.
ბრალმდებელი სამართალს ატარებს ჩანთით.
ცოტათი თუ ბევრით, ამჯერად გამიმართლა,
მათ თვალში შეშლილი პოეტი ვჩანდი.

შეშლილი არა, მაგრამ ზოგჯერ მეც მეშლება,
პლატონი – გიჟია, ფროიდი – ბრძენი,
უსამართლობა ვეშაპის ეშვებით,
გვებრძვის, რაც საკუთარ თავზეც ვიგრძენი.

პირამიდა აშენდა მონების ცრემლებით,
გიზას პირამიდა რაბათი როდია,
უფალს რომ უყვარს თავისი მრევლი,
ისინიც უფალთან სიყვარულით მოდიან.

პლატონი თუ გიჟია, ფროიდი-ბრძენი,
მაშინ მეც უთუოდ ვიქნები გიჟი,
„ბრძენი“ ტერმინია ძალიან ძველი,
დროებამ ფაშისტური გიჟები გაჟუჟა.

8.
სასამართლომ დამინიშნა ექსპერტიზა,
მიუხედავად იმისა, არ აქვთ ალიბი,
მე ახლა ვერაფერს ვეღარ ვიზამ,
ბრალმდებელს ჰგონია მახეში გავები.

ერთმანეთს ერითმება პლატონი და პლუტონი,
მე კი არ გავრითმე ტამერლანი – მელანი,
გამიბრაზდა ჩემი მომტირალი მოტივი,
ისევ ისე მიფრინავს ტატოს მერანი.

9.
სურამის კლინიკა დავტოვე გუშინ,
მე-13 პალატაში წოლილა ტერენტი,

საშინელი ტკივილი ვიგრძენი გულში,
ტკივილმა ტკივილს გადაამეტა.

10.
ასაკმა მომიტანა სახსრების ტკივილი.
სახსრებზე უფრო უსახსრობა მტკივა.
ტკივილების გამო არ მიყვარს კივილი,
ტკივილების გამო ვარ დაშლილი ტივი.

არავის ვჭირდები. არავინ მკითხულობს.
კორონა ვირუსიც არ მოდის ჩემთან.
ახლა ვზივარ და ბიბლიას ვკითხულობ,
მატარებელი გვირაბში გაჩერდა.

ბიბლიას კითხულობს მწყემსიც და ქვითხუროც,
ანტიქრისტე კითხულობს პორნოლიტერატურას,
ბიბლიასთან ერთად „დონ კიხოტს“ ვკითხულობ,
ასეთია ჩემი სახე და ნატურა.

ჩემმა გიორგიმ „წყნარი დონი“ წაიკითხა,
„ანა კარენინაზე“ მესაუბრა დიდხანს,
ერთხელ მოვიდა და გამომწვევად მკითხა –
მამიკო, რუსთვალეზე, რაც გინდა, მკითხე.

დრო-ჟამი ადვილად ვერ მოერევა,
ბიბლიისა და რუსთველის მკითხველს.
ცაში ღრუბლები ალმაცერად ირევა,
მინდვრის ყვავილებს შევყურებ დიდხანს.

ეპილოგი

სული დამიამა ლაღიძის წყალმა,
შევიძინე უცნობი ავტორის წიგნი,
შუადღის ზღრუბლზე ამინდი გაწყრა,
წვიმამ გამიარა ლაბადის შიგნით.

მიეცით ხალხს ბევრი მზე და სინათლე,
ღამე და სიბნელე სამარეშიც კმარა,
რას იტყვის, რომ იყოს ვაჟას სანათა,
თანამედროვე თბილისის კართან?!

აქედან პირდაპირ პანთეონს ვეწვევი,
მე მისი მცველი კარს გამიღებს ძმურად,

რამდენ ვინმეს ვუყვარვარ, ღმერთის შეწევნით,
ისინიც მიყვარს, მე ვისაც ვძულვარ.

ეს სიყვარულია ქრისტესმიერი,
გამოკრთა სახე პავლე ინგოროყვასი,
იყავი, მკითხველო, ქრისტესავით ძლიერი,
მიმტევებელი და ყველას მოყვასი.

თითქმის ყოველდღე მირეკავს ზალიკო,
მე თვითონ დღეში ორჯერ ვურეკავ,
ორი ძმა და პოეტი კიდევ დიდხანს ვიყოთ,
ერთად ამოვხსნათ იქსი და იგრეკი.

ახლაც თავისუფლად დადის ქუჩაში,
ის ქალი, მე ვარ მისი იმედი,
ათასში ერთხელ ღმერთია შუაში,
უფალთან ორივენი ერთად მივედით.

ვიცი, ვუყვარვარ და სათუთად მალავს,
ტრადიცია არ აძლევს გამხელის უფლებას,
არ არსებობს სიყვარულის მომრევი ძალა,
მისი სიყვარულია ჩემი ფუფუნება.

წლები გარბიან, გარბიან, გარბიან,
სინათლის სიჩქარით გარბიან წლები,
ძალიან ცუდია, ძალიან კარგია,
ზაფხულის წვიმების წყებათა-წყება.

ერთად შევკრიბე რაც თქმულა და არ თქმულა,
უფალი ჩემთან საუბრობს ქართულად,
უფალმა მომანიჭა ოციდან ოცი ქულა,
და მომავლინა მეთოთხმეტე მოქიცულად!

23 ივლისი, 2021 წ.



ნიაზ ზოსიძე

სულისმიერა

სიკვდილმა კარებზე მოაბრახუნა... იწვის, ხრჩოლავს სოფლები... ფეხქვეშ დედამიწა ერღვევა აჭარელს... ქვაც კი ტირის იმის ცრემლების შემხედვარე... სისხლით ვერ ძღება სიკვდილი... ნაწვავნადაგ ყანა-ბაღჩაში ოსმალო დაბორიალობს, ჩეხავს და წვავს ვენახს...

სანთლებს ანთებს და ხატებს კოცნის თავშალში სახეჩამალული დედა...

– ახლა ტყეა ჩვენი დამფარავი და გადამრჩენი, – ამბობს ფრჩხილებით მიწას ჩაბღაუჭებული, სახენაჩეხი მამა.

– ამ გაუმარგლავ დედამიწაზე სამართალი არ არის, თვარა, ქინქლასავით გამრავლებული ველურების საჯიჯგნია ეს მიწა-წყალი? – ბღავის ეკლესიის წინ ხელაპყრობილი მრევლი.

მაღლა ღმერთი ახსენეს და ტყისკენ დაკლაკნილ ბილიკს შეუყვნენ...

წინ შავად შესუდრული ქალები და ბავშვები... მერმე ჩამჭკნარ უპეებში ცრემლჩამდგარი, თვალამღვრეული მამაკაცები, ბოლოს ეკლესიის მსახურნი – ხელში ოქროთი ყდამოჭედილი წიგნებით და, ლოცვით: „ღმერთო, შენ მიანიჭე ქართველს ძლევა მტერთა ზედა!“...

ჯერ ბარის აჭარა მიმოსრაგნეს ოსმალთ. მერე, თანდათან მთასაც მიწვდნენ... აჭარელთა სისხლის ტბაში ოსმალნიც ჩაიხრჩვნენ მრავლად... აჭარელთა სისხლის რუებს ოსმალნიც მიჰყვნენ მრავლად...

ნამეტანი ეჯავრებოდა და ეზიზღებოდა აჭარის მთა ოსმალს, მეფე თამარის ხიდს ვერ გადახვალ უსისხლოდ და უმსხვერპლოდო...

– მომეშველეთ, ძმებო, გადამაგდებინეთ უღვთო ტანჯვის უღელიო, – ევედრება მოძმეს აჭარელი, მაგრამ დაუძლურებულ-დაოსებულ ძმა-მოკეთეს სადა აქვს მოხმარების თავი?!.

უფრო მიუდგომელ საფარებში დახიზნა ცოლ-შვილი აჭარელმა, გულის ჭრილობა მოიშუშა და თავად ეკვეთა ოსმალს, დააფრთხო და გააქცია, მაგრამ ისევ შემოშავდა მოსისხარი, უფრო მრისხანე და დაუთვლელი...

...რვაჯერ შეაგდო სიცოცხლე სასწორზე აჭარელმა...

შინ ბრუნდებიან გახიზნულნი, ზურგზე ხიბაკწამოკიდულნი, ხელში ფუთებით...

თეთრლეჩაქიანი სულისმიერაც მოდის, წელზე შემოხვეული ვაზის ლერწით და ორი ვაჟით... გულდაჭინჭრული, ენის დაძვრაც რომ უჭირს და ფეხისაც, მაგრამ მაინც მოდის და მაინც ეგურგურება ბიჭებს:

– შვილებო, იქ, გაღმა, სანისლოს ფერდობზე ჩვენი მოგვარე შუშანა ცხოვრობს, ხიზნად არ გასულა, თათრების მოსაჩვენებლად მუსლიმნობს, თვარა, ჩუმჩუმად ხატებს ეამბორება, გულგათათრე-

ბული არ არის. წამო, შევუაროთ, თან მუხლი შევასვენოთ. ეგ რომ ფანდურზე სატირალ-საცინარს დაამღერებს, მაგის მოსმენას არაფერი სჯობს, – უთხრა შვილებს და გზიდან გადაუხვია...

ტკაცა-ტკუცით იწვოდა სახლი...

ფოფინა თვალებიდან ცხელი ცრემლები გადმოსცვივდა სულისმიერას, გული აუნაღვერდალდა, ისე მოიკუნტა, კაკლის ხეჭბოში ჩაეტეოდა...

– შუშანა რა იქნა? – იყვირა.

– ცეცხლში ჩაიფუფქნენ შუშანა და მისი ქმარი, ჩვილი გადავარჩინეთ მარტო! – მოსთქვამდნენ მეზობლები.

მოშორებით, მსხლის ძირში, აკვანში ბავშვი ჩხაოდა... სულისმიერა მიუახლოვდა, ქალის დანახვაზე ჩვილი აღუღუნდა...

...მოდის სულისმიერა, წელზე შემოხვეული ვაზის ლერწით, გვერდზე ორი ვაჟით, ზურგზე ჩვილ-ჩაკრული აკვნით...

ტკივილმა ლამის მკერდი გამოუნგრიოს... ძუძუებიდან ლამის ცრემლმა გამოჟონოს... თვალებიდან ლამის სისხლის კურცხალი გადმოუვარდეს...

– შვილებო, დღეის ამას იქით, სამი ძმა ხართ! დღეის ამას იქით, პირთან მიტანილი ლუკმა შეაჩერეთ და ამ შუბლთეთრას გაუყავით! გახსოვდეთ, თქვენთან ერთად, ესეც იქნება ჩემი გამპატიოსნებელი და დამმარხველი...

აკვანი ჩამოიხსნა, მიეპირმცინარა, ზევიდან გადაემხო, ძუძუ ტუჩებზე მიუცაცუნა... შუბლთეთრა ჩვილი აღუღუნდა, დედა ატირდა...

მზე კი იცინოდა, იცინოდა, სხივებად იმსხვრეოდა და იძახდა: ამ ქალის საცხოვრისს გადაშენება არ უწერიაო!...

რა საჭიროა ახლა ცრემლის შეღობვა!!!

შავწყალა

თვალი რომ გაახილა, პირჟანგიანი, სისხლში ამოლაშტრული წალდი და ხეზე მიბორკილი გაბრიელი დაინახა... „შვილოს“ დაძახება უნდოდა, მაგრამ ყელიდან ხმა არ ამოდიოდა... სახემუწუკა, დახრულკბილიანი, წვერებცოცხა ასკერები გამხეცებული იყორავდნენ მუცელს და იახში-იახშიო იღრიჭოდნენ... ჭამა მოამთავრეს და მამაშვილს მოხედეს:

– ახლა, რასაც გიბრძანებთ, იმას იზამთ, თვარა ორივეს ტვინს გაგასხმევინებთ, სად ვართ?

– ქაშუეთის თავზე, სოკონის ჭალაში. მთა ნაცარაზე მივდივართ, – აძაგძაგებული ყბა ძლივს დაიმორჩილა ხელფეხგაკოჭილმა გაბრიელმა.

– ჰოდა, გაგვიძეხით წინ, აგვიყვანეთ მაგ თქვენს ნაცარაზე და მერე ჩვენ ვიცით რა გზით წავიდეთ...

გაბრიელმა დაჭრილ მამას სისხლი რომ მომბალიყო, მკლავზე პერანგის სველი ნაჭერი დააფინა, მერე ჭრილობას წყლით პირი მოუწმინდა, შეუმშრალა, თუთუნი დააყარა და შეუხვია...

ცოცხალმკვდარი მამა-შვილი და მუცელამოყორილი ოსმალები აღმართს შეუყვნენ...

ცა ვარსკვლავებით დაინინწკლა... აბურბურებული მთვარე ხან წინ ჩანდა, ხან უკან... ტყე-ღარტაფებში ნაბღოტიალები შავწყალას მიადგნენ... ერთბაშად წამოვიდა ზათქი, ღვართქაფი და თქეში. ცაზე ელვა იკლაკნებოდა. ტბის ზედაპირზე ხავსი, ფოთლები, დამპალი ტოტები, ჯირკები ილანდებოდა...

– გაბრიელ, შვილო, კარგად მომისმინე, ბედისწერამ აქამდე მომიყვანა, ეს ბოლო გაჩერებაა. ახლა, ამ ჟამს, რაც მევალება, ის უნდა ვქნა! ამათთან ერთად წყალში შევალ, და... დამთავრდება ჩემი და ამათი სიცოცხლე... შავწყალას იქითა ნაპირზე ჯერ არავის გაუცურავს. წელამდე შევალთ, თუ არა, მაგიური ძალა ხელს ჩაგვავლებს და ქვევით წაგვიღებს... რა არ მინახავს, მოკვდინების ათასგვარი ხერხი გამიგონია, ეშაფოტი და აუტოდაფე, თოფი და დამბაჩა, ხმალი და ხანჯალი, ყულფი და მარყუჟი, მაგრამ წყალი? ასეთი ყოფილა რწმენის ერთგულთა ბედი, აჭარელს რწმენას გახურებული შანთითაც ვერ ამოუწვავ! გახსოვდეს გაბრიელ, სიკეთე ძნელი საქმნელია, სიკეთე უიღბლოა! ამიტომაცაა, ალბათ, სიბოროტეს ამ დუნიაზე უფრო ბევრი შვილები ჰყავს!.. აბა, შენ იცი, შვილო, შიში გულთან არ მიიკარო! მე ახლა სიკვდილისკენ უნდა წავიდე და თან ეს უნამუსო-გათახსირებულები დავიმგზავრო! იტირე, შვილო, არ შეღობო ცრემლი, ტირილი შვებაა!..

წვერებცოცხამ შემოუღრინა:

– რას ჩურჩულებთ, რას გეგმავთ და რას ვიშვიშებთ?

– რას უნდა ვგეგმავდეთ, რა გვაქვს სავიშვიშო? გაბრიელი ცხენებს წაიყვანს, შორი გზით მოივლის და ორ დღეში ნაცარაზე ამოვა, ჩვენ კი, შავწყალა უნდა გავტოპოთ, გაღმა ქოხია, იქ გავშრებით, გავთბებით, გამთენიოს უკვე ნაცარაზე ვიქნებით. – გაუღიმა ბაგრატმა.

– სხვა გზა არ არის?!

– ეს უხიფათო და უმოკლესი გზაა. მომყევით! – ბაგრატმა ასკერებს შემოუძახა და ჩქაფაჩქუფით წყალში შევიდა. გულისკანკალით მიჰყვნენ თავსზემოთ თოფაწეული ოსმალები...

წვალობენ და ხლაფორთობენ, მაგრამ ვერც წინ და ვერც უკან ფეხს ვეღარ დგამენ, უხილავი ძალა ფსკერისკენ მიაქანებს... ცას სწვდებოდა იმათი ტირილ-ბღავილი. ნიკაპამდე წყალმიწოლილი ბაგრატი მშვიდად იღიმოდა: რა გაღრიალებთ, გიხაროდეთ, მიწისმიმყრელი აღარ დაგჭირდებათ!

მთვარის შუქზე გამოჩნდა როგორ აბუყბუყუდა წყალი. მალე შეწყდა ბუყბუყი და ბუშტებიც ჩაქრა...

.....

– რა გვჭირს, შვილო, რა უბედურება დაგვატყდა, სადაა მამაშენი, ვისია მაი ცხენები? – სახე ჩამოიხოკა გაბრიელის დედამ...

– მამა შავწყალაში შეცურდა! – ამოიკვნესა გაბრიელმა და ცხენები ღობეს მიაბა...

ყვირილზე მეზობლები გამოიშალნენ...

ახლა შავწყალას ბაგრატის ტბას ეძახიან...

ჩამო დაბლა, მთვარეს!

ის წელიწადი სოფელს ორი რამის გამო ახსოვს, გაზაფხულზე აწყვეტილ-აბღავლებულ ღელეს ლამის მთელი სოფელი რომ მოუხვეტავს და წაუღია: პირუტყვი, ავეჯი, ყავრები, ჯორკოები, ავზები, კალათები, ტაშტები, გოდრები, ქათმები, თივა, სიმინდი...

და... უფრო იმიტომ, შემოდგომაზე, ეფრემის სახლში გველი რომ შემომძვრალა და ჩვილჩაკრულ აკვანს შემოხვევია...

ბრდღვიალა ბიჭი დაბადებულა, მხურვალე, თეთრყირმიზი, ირმისთვალება, პირმცინარე, გაბადრული...

აინური ცრემლნარევი ხმით უმღეროდა „იავნანას“ და გულსაკლავად ქვითინებდა...

ჰადაჰა, წლის გახდებოდა მათე, მაგრამ ყელიდან ხმა არ ამოსდიოდა, ვერ ღუღუნებდა, ტირილისას ხაოდა, სუნთქვა ეკვროდა, გადაჭარხლდებოდა...

ფიცრის ტახტზე ოხრავდა და ბორგავდა ეფრემი...

მკითხავ-მჩხიბავი ვარდოფინა აიმედებდა: ღმერთმა შექმნა, ნენი, ყოლიფერი, ცა და მიწა, წყალ-ოკეანეები, ყველანაირი სულდგმული, რაც დახოხავს, დააბიჯებს, დაფრინავს... აგერ ნახავთ, ხმას ამოიღებს და აჟღურტულდება თქვენი მათე, თუ არადა, აგერ არ ვარ? წლის ბოლოს მოჭუჭკული მექნება სამკურნალო მარწყვი, ჟოლო, კუნელი, მოცვი, მოცხარი, კრაზანა, კატაბალახა, ცირცელი, შროშანა, მრავალძარღვა, ფუტკარა, ლენცოფა, შინდი, თხილი, ძახველი, წყავი, ღვია, კოწახური, ზღმარტლი, ასკილი, მაყვალი, ბაბუაწვერა, კრაზანა, ია, ქრისტესსისხლა, სვინტრი და კესანე... ავურევ ერთმანეთში, მოვხარშავ, დავბან-დავალევინებ და ავაპარტყალებ!..

ჰოდა, კი ვთქვი თავში, იმ წელიწადს გველი შემომძვრალა ეფრემის სახლში, შემოხვევია მათეჩაკრულ აკვანს-მეთქი...

მაშინ ისეთი ხმა ამოუშვია მათეს, სახლი შენძრეულა, ცა გაპობილა ტირილზე... ოთახში აინური შევარდნილა, ჯერ გაშეშებულა... მერე თვალებგაბრწყინებული აკვანს მივარდნილა, არტახები აუხსნია, ჩვილი ხელში აუყვანია... მათე ლოყით მიხუტებულა და დედის მკერდზე გარინდულა...

დამფრთხალ-დაფეთებელი უხსენებელი დაბლა, ღობის ძირში აცეცებდა თვალებს და ენას აწკლაპუნებდა...

– არიქა, ჩქარა, სანამ გაქცეულა, თავი გავუჭყაპოთ! – ყვიროდნენ მეზობლები.

ვარდოფინა გამოსარჩლებია გველს:

– მაგის სახით, გამჩენელ ღმერთს ამ ოჯახისთვის სიკეთე გამოუმეტებია და თავის გაჭყაპვა იქნება, რა ქვა გაქვთ მკერდშიო?!

– ბესო, ბიჭო, შენს დაკაცებას, ეფრემთან გაიქეცი ახოში, უმახარობლე, მათემ ხმა ამოიღო, ტირის-თქვა, საჩუქრებით აგავსებს, სიკვდილამდე შენზე ილოცებს! – იყვირა ვიღაცამ.

– არ დამიჯერებს ეფრემა, გამატანეთ მაი მჩხავანა მათებიჭი, იღლიაში ამოვიჩრი და გავაქროლებ!

– გაიქეცი, ბესო, თვარა, იცოდე, მათე მიგასწრებს და დარჩები ხახამშრალი!

თავზე ყაბალახი მოიხვია და ტყისკენ გაფრინდა ლანდადევნებული ბესო. სიხარულით ფეხს მიწაზე არ აკარებდა. აინურის გულიდან ამოწკრიალებული „იავნანა“ მიაცილებდა...

– ეფრემ ძია, ეფრემ ძია! – გაჰკიოდა ბესო.

– რა მოხდა, შე ენადასამიწებელო, რა გაკივლებს? – გაეპასუხა ეფრემი.

ბესომ საჩვენებელი თითი საფეთქელთან დაიტრიალა:

– კი ვარ, ეფრემ ძია, ჭკუაგადატრიალებული და გონებააბნეული, მარა ამჯერად უნდა დამიჯერო! სახლში რომ მიხვალ, ხომ ნახავ?! იცოდე, წაბლა ხაპი მერგება ორი ცალი!

– რა გინდა, ბესო გადარეულო, რას იღრიჭები?

– რაცხა ფეხისგულებში მიღიცინებს და ის მაცინებს, კიდევ ის მაცინებს, რომ შენი მათებიჭი ატირდა, ხმამაღლა ატირდა! სიხარულით სოფელიც ატირდა! მეც ბევრი ვიტირე! წამო, გააგდე მაი თოხი, ყანწი უნდა გეკავოს ახლა ხელში!..

იმ ღამით, აკვანს მიციცინებულმა მეზობლებმა „ხარება და გოგია“ ცამდე გაჰკიდეს...

ეფრემი აინურს და აკვანს ევლებოდა თავს და ერთდაიმავეს იმეორებდა:

– სიყვარულია ყველა მწვერვალზე მაღალი! – მერე მთვარეს შესძახა:

– ჩამო დაბლა, სუფრაზე დაგვეწვიე, ცოდვა ხარ მარტო!...

„წუხელ მთვარე იცინოდა“

ქანცმილეულმა თოვლის გაკვალვა ვეღარ შესძლო. ახლა სიკვდილია ჩემთვის ყველაზე დიდი ბედნიერებაო, – გაუელვა გულში და თვალები დახუჭა.

გონმოსულს, ჩახუთული, აშმორებული ჰაერის სუნი ეცა. ოთახი თუთუნის ბოლშია გახვეული, ნავთქურა ჭვარტლავს... ფერმკრთალი ტუჩები ძლივს გახსნა:

– გდე ია, კაგდა სუდა პრიეხალ?

– სტო ლეტ ნაზად, სპი!

ოთახში მოკაკული, ტუჩებმოღრეცილი, ლოყებჩაცვენილი მოხუცი შემოვიდა. იქ მყოფთ მიესალმა, ნუ, კაკ, გრუზინო? – იკითხა და დაჭრილს საბანი გადახადა.

– მუხლამდე აქვს დაგლეჯილ-დამსხვრეული წვივი, ფეხი კონწიალობს. თუ არ მოვაჭრით, განგრენა დაეწყება და თვალწინ ჩაგვაკვდება! – თქვა მოხუცმა და ქალებს ქვაბით წყლის გაცხელება დაავალა, ახალგაზრდა ბიჭს ხერხის მოტანა... კარგა ხანს ლესა ხერხის პირები, შემდეგ მოპარპალე ცეცხლში შეჰყო. – ქალებო, ძველმანი ნაჭრები მომიტანეთ, კაცებმა ამას მხრები და კისერი გაუკავეთ, ახალგაზრდა ბიჭს ანიშნა, შენ მარჯვენა ფეხზე დააჯექიო. – იურა, შენ ჯანი გაქვს და ე, ამ ადგილზე გადახერხეო, მუხლს ზემოთ თითი დაადო „გრუზინს“...

ხრიჭ, ხრიჭ, ხრიჭ, ხრიჭინებს გაშანთებული ხერხი... სისხლით მიმოილაშტრა იქაურობა... ძვალზე ჩასული ხერხი უფრო ახრიწინდა... როგორც იქნა, დამთავრდა წვალება, დედაბერმა მოხერხილი ფეხი ფანჯრიდან თოვლში გადააგდო, ხვალ სახლქვეშ ჩავმარხავო.

მოხუცმა სისხლიანი ბარძაყი ჩვრებით მოუმშრალა, შინაური მალამოები წასცხო, ძველი კაბები მიმოფხრიწა და სქლად შემოახვია. – ათი დღე ირმის რძე ასვით, ეტყობა, მაგარი ვინმეა, იარას გაუძლებს, გადარჩება. ახლა მთავარია, არავინ გაგვიგოს, თვარა ნემცები დაბრუნდებიან და ბოძზე დაგვკიდებენ!...

საკერავი მანქანის რახრახზე თვალები გაახილა. მოყანყალე სკამზე დედაბერი იჯდა და კერავდა... თავთან წვენები, ნახარშები, საფენები, ხისგან გაჩორკნილი ყავარჯნები დალანდა... ჰადაჰა, სიცხისგან აორთქლდება, თონესავით ხურს. ხელი ნელ-ნელა მარცხენა მუხლისკენ ჩააცურა, სიმრგვალე რომ დახვდა, უფრო ქვევით წაიღო, იქ არაფერი იყო. სისხლი ყელში მოაწვა, ცახცახმა აიტანა... ყველაფერს მიხვდა... წყალი მოითხოვა...

– ნადია, დამალე მაი დასამიწებელი ძუძუები და და ბარძაყები! წყალი დაალევინე, ეტყობა, თვალი მოახილა...

ნადიამ თმები გაისწორა, აფოფინებული გულ-მკერდი წამოსწია, შეაკუნტრუშა, ტიტველ ტანზე მოცმულ ხალათზე ქამარი გაისწორა, ხელები გაშალა და გაბადრული სახით მიესალმა ავადმყოფს...

– იმ ქვეყნიდან მობრუნებულს გაუმარჯოს! – მკლავი თავქვეშ შეუცურა, თავი წამოაწევინა და ჭიქა ტუჩებზე მიადო. შემდეგ თავი ფრთხილად დაადებინა ბალიშზე...

სოსომ ხელი შუბლზე მოისვა, თითქოს გონება მოისრისა... ყურებში რაღაც გუგუნებს, გრიალებს და გრგვინავს...

– მინდორში გნახეთ, სიმწრისგან კბილებს ახრჭიალებდი, ქართულად ბოდავდი, ახლომახლო სულდგმული არ ჭაჭანებდა. ბორძიკ-ბორძიკ, თრევა-თრევით წამოგიყვანეთ, არტილერია ჩვენს სოფელს ბომბავდა... მერე ფეხი მოგაჭერით, მაგრამ არა უშავს, რაც მთავარია, ცოცხალი ხარ, ყავარჯნით ივლი! თუ სროლა ჩაწყნარდა და გერმანელებმა მოცოცხეს, აქაურ კომისარიატს შევატყო-

ბინებთ, რომ ჩვენთან ხარ, ცალი ფეხი აღარ გაქვს და დეზერტირად არ შეგრაცხავენ! – მოუყვა მკერავი.

საფეთქელი აუბათქუნდა სოსოს, ყრუ ტკივილს დააყურა, ტკივილი ნელ-ნელა ჩაუყუჩდა, თავში უთავბოლო ფიქრები და სურათები დაუტრიალდა:

...დაფაჩუნობს, ყანა-ბაღჩა-ეზო-ბოსტანს, ნერგებს, ჩითილებს უვლის... ფატისთან ერთად, ფეხსაცმელებით ხელში, ფეხშიშველი დატყაპუნობს გუბეებში...

აივნიდან ღიმილიანი დედა ეღუღუნება, უფრო ლოცვას ჰგავს ეს ღიმილი... შეშის ანახეთქი მოხვდა შუბლში სოსოს. დედას მოწითალო, დიდრონი თვალებიდან ღაწვებზე ცრემლები სდის...

ომში წასვლის წინ დედას წერილი გაატანა ფატისთან-თავისი გულისნადები და ცრემლიც...

ფეხქვეშ მიწა გამოეცალა... თვალწინ სოფლის სახლი აესვეტა-რიკულებჩაცვენილი აივნით, ჩახლეწილი კიბით, ჩაშავებული შუშაბანდით...

ხმა ჩაესმა: გეყო აქ ყოფნაო!

– არ მინდა! ვერ წამოვალ! – იყვირა, – მე როგორი სიკვდილი მინდა, იცი? ძილში რომ გავიპარო, მშვიდად, წყნარად, უტკივილოდ, უწვალებლად! როგორ წამოვალ, უცალფეხო? დედას არ დავემშვიდობო? ფატის რა ვუთხრა?

ნადიამ მოაბრუნა ძილბურანიდან: – ადე, სოსო, გეყო წოლა, უკვე კარგად ხარ, სარკეში შეხედე შენს თავს!

– სარკეს ვერ შევხედავ, ვიცი რასაც დავინახავ, მეშინია!

– მაშინ, წამოჯექი, შენებს წერილი მისწერე, დედაჩემი რაიონულ ცენტრში მიდის და გააგზავნის.

ნელ-ნელა გადმოიტანა ფეხი საწოლიდან და წერა დაიწყო.

– რა სწორად წერ, ცოტა დახარე ასოები! – შეეხუმრა ნადია.

– ჩვენს ანბანს სწორი წერა უხდება, თქვენსას დახრილი-თქვენსავით! – გაუცინა ნადიას.

ყავარჯნები შეუყენა ნადიამ, ხელიც შეაშველა, წინკარში გაიყვანა, ჯორკოზე დასვა და ოთახში შემობრუნდა.

ცოტა ხანში, სოსოც შებორძიკდა. მისი საწოლის წითელ საბანზე ნადიას თეთრი მკლავები ელავდა... აღელდა, ძარღვებში სისხლი აუდუღდა...

– მოდი, სოსო, ეს ტუჩები ჯერ კაცის ტუჩებით არ გადათელილა, მოდი, დედა ხვალამდე არ დაბრუნდება.

– ვერ გავაგზავნე წერილი, – დანანებით თქვა შინდაბრუნებულმა ნადიას დედამ, – სროლა რომ მიწყნარდება, ფოსტალიონი ჩამოივლის სოფელში და იმას გამოატანეთო, დამაბარეს.

მეორე ფეხიც დაუჩირქდა სოსოს... ისიც მოაჭრეს, ამჯერად, ექიმებმა... გონს აღარ მოსულა, გული გაუჩერდა...

ნადიამ სოსოს წერილს თავისიც დაურთო და საქართველოში გაგზავნა:

„ვიზიარებთ თქვენს მწუხარებას! ბევრი ვიცდილეთ, მაგრამ ვერ გადავარჩინეთ. ყველანაირი წესი ავუგეთ და ჩვენი ეზოს ბოლოს დავკრძალეთ. მისამართი იცით, პირადი ნივთები შენახული გვაქვს. ნადია ბელიაევა, 1943 წ.“

20 წლის შემდეგ, ქართული მიწით სავსე პატარა ტომსიკით, სოსოს საფლავთან მისი ძმიშვილები იდგნენ...

ნადიამ შპალერზე შერჩენილი სოსოს ნაწერებიც აჩვენა: „ცხოვრება მტვერი ყოფილა“, „ბოლო მაინც შავი მიწაა“, „პურს ნუ დააობებთ, მშიერს მიეცით!“, „ხელცარიელი მივდივარ“, „ამათ ღმერთი არ სწამთ, მაგრამ პირჯვარს მაინც იწერენ“, „საჩვენო ომი არ იყო ეს“, „წუხელ მთვარე იცინოდა, კვდებოდა სიცილით“...

წყარო მოიპარეს!

– დავიღუპეთ, ხალხო, გავწყდით და ეგ არის! – გულსაკლავად ამოიგმინა ემინემ.

– რა გვჭირს, ემინე, რატომ დავიღუპეთ?!

– თამარ დედოფლის ნატუჩარი წყარო მოუტაცნიათ, ხალხო! აღარ არის ჩვენი მარჩენალი წყარო, გაქრა! – ლამის საგულედან გული ამოუხტა.

– ვინ მოიტაცა, ემინე, სად წაიღო?!

– ცეცხლმოკიდებულ და სულაყეფებულ მურთაზს გაუტაცნია! თავის ეზოში გადაუყვანია, იქ არაკრაკებს, მაგან არ გაიხაროს! – მიაჯოჯოხეთა ემინემ წყაროს ქურდი.

ცის ჩამოქცევას უფრო ელოდა სოფელი, ვიდრე სოფლის თავში წყაროს გაქრობას... საზარლად ბღაოდა სიცხით გასავათებული პირუტყვი, მოსთქვამდა ფოთოლგაღარიბებული მუხა, მიწაზე გართხმულიყო გაფოფრილი ასკილის ბარდები, ხვნეშოდა გვალვით დაშაშრული მიწა, ღობეზე აბღოტებული ხაპები აღმა ვეღარ მიღოღავდნენ, წყურვილით იხრჩობოდა ზურგგადაღლეტილი ვირი, ტყეში აყმუვლებული მგელი უხრავის ქვეშ მისავათებულიყო, უთავბოლოდ ჟღურტულებდნენ და ენას არ აჩერებდნენ ჩიტები, გულსაფენზე ცრემლები ეწვეთებოდათ წყაროსთან მოჩურჩულე გოგონებს...

წყალი რეზინის მილში გამოამწყვდია მურთაზმა, ღრმად დაფლა მიწაში და ეზოში გადმოაწანწკარა. წყაროსთავზე მუხის ნახეთქები დააწყო, მიწა დააყარა და ზემოდან ხასხასა კორდი გადააგო...

არავისი სიტყვა არ შეისმინა, – რა შეაწუხეთ ცა და მიწა, რას შეატორტმანეთ დედამიწა? რა დავაშავე? დროს და მანძილს არ დავერიდე, სისხლი და ოფლი ჩავაწურე, ეზოში მოვიყვანე, გული გავიგრილე, სული მოვითქვი. – ოფლიან შუბლზე მაჯა გაისვა მურთაზმა.

– ხომ არ გინდა ყურის ძირში გაგცხო, შე ვირის მყვერავო? – გამეხდა და თვალები შეშლილივით დააბრიალა დურუმ, – გადახრუკულ-გადამწვარი მინდვრები არ გეცოდება? დღესვე გადახადე სახურავი წყაროსთავს, ცა და მზის თვალი დაანახე, თვარა სულ ცხვირით გადაგადთხრევინებ იქაურობას!

– მეყოლება ცოტა ხანს ეზოში და მერე დავაბრუნებ! – ყვედრებით თქვა მურთაზმა.

– როდის, კაცო, როდის? ვირი ხეზე რომ გავა, მერე?

– ორ-სამ წელიწადში!

– შენ ჭკუიდან ხომ არ გადახვედი და გასულელდი?! ხალხო, გლახა კაცია ეს, სუფრასთან სკამი არ დაედგმება, ამას სამარე თუ გაასწორებს! – ენა ლოდივით დაუმძიმდა სოფლის უხუცეს ბერიკაცს.

შაოსანი ქალი მურთაზის ეზოს გამოერიდა, კაკლის ძირში ჩაიჩოქა, ხელებაწეული, ხორხაჭიმული ცას შეაჭყირდა და ტუჩები ააცმაცუნა:

– უფალო, სიმართლის გამჩენო, მაგ ავთვალას, სოფლის მაოხარს და წყაროს ქურდს, თვალი ამოუგდე, დაგესლე და სული ამოხადე!..

შუადღისას, სიცხისგან მზეზე კვერცხი რომ იწვებოდა, სოფელი აჩოჩქოლდა და აღმართს მიაწყდა, არიქა, მურთაზი შველას ითხოვსო...

თვალთ დაუბნელდა, დაბარბაცდა და მოცელილივით თხმელის ქვეშ გაიშხლართა მურთაზი, კისერზე გველშემოხვეული ტკივილისგან ღმუოდა, თვალებგაელამებული, დაკლული ქათამივით ფართხალებდა. „წყალიო“, ძლივს ამოიკნავლა...

ყველაზე ახალგაზრდა ყვირილით გაიჭრა წინ, როდემდე ვუყუროთ ამ წუნკალის სისაწყლესო, თოხი მოიქნია და გველს თავი გაუჭეჭყა. ეს ყველაფერი თვალისწამიერად მოხდა. ჯიბიდან ჯაყვა ამოიღო, მურთაზს კისერზე, დაგესლილ იარაზე ფრთხილად დაუსვა, ჩირქი და სისხლი გამოადინა, თუთუნი დააყარა და პერანგის სახელოთი შეუხვია. როგორღაც გამოცოცხლდა, მუხლებში გაიშალა მურთაზი, ძლივს წამოდგა და ფეხმორღვეული, ნელ-ნელა წაბლაცუნდა, მარჯვენა ხელით თავგაჭეჭყილ გველს მიათრევდა. შედგა, უკან მოიხედა: – წყრომას და რისხვას ნუღა დამაყრით! ნადი მაქვს დღეს, მეზობლებო, გადათხარეთ და გადაფუნგეთ წყაროსთავი, ცა, მთვარე და დღის სინათლე დაანახეთ მზედაბნელებულს!

გამრუდებული საქმის გამოსწორებას მისდგა პირმზიანი სამეზობლო...

მორაკრაკე და მომღიმარე წყაროც აენამზევდა...

ჯერ წამოწინწკლა, შემდეგ კოკისპირული დაუშვა...

ღამით მაინც ილოცე!

გაჭაღარავებული და წელში გაღუნული აივანზე პირაღმა იწვა და ამთქნარებდა. ჩემს დანახვაზე, წელგაკავებულმა ტანი ძლივს ასწია და ტახტზე წამოჯდა.

– ვაა, ეს ვინ მოსულა, მიწიდან ამოძვერი თუ ციდან ჩამოფრინდი? რავაა საქმეები თბილისში, როგორ შეეგუე სტუდენტობას, სწავლობ რამეს? რომელი საათია ახლა?

– თორმეტია, ბიჭიკო, კარგად ვარ, კარგად ვსწავლობ.

– რას სწავლობ?

– ბოლოს ლექტორი „მანონ ლესკოზე“ გვესაუბრა.

– არ მაქვს მაი წაკითხული, ვინ არის და რაზეა?

– სიყვარულზეა, ბიჭიკო ბაბუ, ბოლოს მოკვდა მანონი და მისმა შეყვარებულმა დე გრეიმ დანით გაუთხარა საფლავი.

– ნამეტანი გატყლარჭული ლაპარიკობ, ტვინი ხომ არ გადაგიბრუნეს თბილისში? ახლა რომელი საათია?

– პირველის ოცი წუთია, რა გჭირს, ბაბუ, სულ საათს რომ კითხულობ?

– წამალი უნდა დავლიო და არ გამომეპაროს. ხან ელენთა მაწუხებს, ხან თირკმელი, ხან სკლეროზი, ხან წელი... ჩაი ახლა ეზოში, წალდით ქათამს თავი გააგდებინე და დედაბერს მიეც გასაპუტად!

– მეჩქარება, ბიჭიკო, მალე უნდა წავიდე!

– დღეს წასვლა-მოსვლა აღარაა შენი საქმე, ვერსადაც ვერ გაგიშვებ! იცი, რას გეტყვი? მაი პერანგი შარვალში ჩაიკალთავე, ქარმა არ დაგკრას და არ გაცივდე, მუცელიც გიჩანს, სირცხვილია!

სამზადიდან ციცინო გამომესარჩლა: – გადმოშვებული პერანგი მოდაშია ახლა, მუცელს აჩენს თუ კვერცხებს, შენი რა საქმეა? ცოტა მოიცადეთ, აგერ სახაჭაპურე ცომს შევაგუნდავებ და მერე ქათამსაც ავაშიშხინებ კეცზე.

ბიჭიკომ თვალები იქით-აქეთ მიმოაცეცა, მუხლზე ხელი დამადო და ხმადაბლა მეუბნება:

– ახლა ლენინია ყველაფერი – სინდისი, ნამუსი, კაცობა, რწმენა, მშობელი და მშობელზე ძვირფასი. ჩემს ახალგაზრდობაში კიდე, ღმერთი იყო ყველაფერი. ბოლშევიკებმა, რაის ღმერთიო, ლენინია ღმერთი და ღმერთზე მაღალიო. მაინც იცოდე, შვილო, ლოცვაზე და შრომაზე დიდი სიკეთე არ არსებობს, გამოსაჩენ-დასანახად თუ ვერა, ღამით მაინც ილოცე და მეორე დღის საქმე წარმატებული გექნება! გამიხსენებ, იცოდე!

– ბიჭიკო, მაგას ლექციები იქ, თბილისში აქვს მოწყენილი და აქაც უკითხავ? ერთი ის მაცოდინა, შავი ვარია ასე გამწარებით რატომ კაკანებს და მეტი არაფერი მინდა. – სამზარეულოდან გაგვაგონა ხმა ციცინომ.

– რატომ ციცინო და, მაგ ვარიამ მის ცხოვრებაში დღეს პირველი კვერცხი დადო და ნამეტანი გაუჭირდა, – ხველაგარეული სიცილით გაეპასუხა წელთა სიმრავლით დაღარული ბიჭიკო.

– ბიჭიკო ბაბუ, გახსოვს რა მადლი მოისხი, ახალთახალ ფეხსაცმელზე ნაკერი რომ გამერღვა და აბრეშუმის ძაფით დამიკერე?

– რა მადლი ეგ არის! მადლი და სიკეთე ის იყო, მიღმა ვანოს, ზამთარში სახლი რომ დაეწვა, მეზობლებმა სასწრაფოდ ორი სული ძროხა რომ დაუბეს, გასაზამთრებელი სიმინდი, ლობიო, კარტოფილი მიუტანეს და იმ ყიამეთში, ერთ თვეში ნასახლარზე სახლი დაუდგეს.

გუშინ ბიჭიკოს შვილთაშვილი შემხვდა, სასაფლაოზე გამომყევი, დღეს ბიჭიკო ბაბუა 122 წლის გახდებოდა, თითო ჭიქა წავუქციოთო...

ოთინკოს ტბა

ზურგზე კუზისმაგვარი, სახედალეული, მიმჩვარულ-ჩამომღრალი ტანი, კისერწაგრძელებული, ბნედიანი, სიმწრისგან ხელებდაკრუნჩხული...

ექიმი, ექიმბაში, მკითხავ-მჩხიბავი თუ ვინმე იყო ყარსში და ახლომახლო, ვერავინ უშველა ვარდოს...

გონიოს ახლოს ოთინკოს აბანო ყოფილა, სნეულთა, კუტთა, ქარიან-ცხროიანთა, ფილტვებდასუსტებულთა შვების მომგვრელი. ოსმალებს დაუგმანავთ და ქვა-ღორღით ამოუვსიათ, ნამეტურ ქალები დადიან აქ, კაცები თვალს შეავლებენ და ცოდვაარ...

1891 წელს, ოსმალოსგან თავდახსნილ ოთინკოს აბანოს ისევ გაუხსნია გული. გონიოს უბნის უფროსს ახმედ ხალვაშს ამოუსუფთავებია, გაუგანიერებია, მისასვლელი გზა-ბილიკები მოუწესრიგებია...

გვერდით, პატარა, ცელქი მდინარე ჩამოუდიოდა ოთინკოს ტბას, სხმარტალა კალმახებით სავსე. ციცაბო კლდეზე წყალი შხლარტუნობდა, თეთრი, შავწინწკლებიანი ჩიტები კლდის თავზე გაბარდნილ ასკილის ბუჩქს დაჟღურტულებდნენ. ირგვლივ ნაძვის და ფიჭვის სურნელი ტრიალებდა. გზის პირზე ბავშვები მაწონს, რძეს, ერბოს, ყველს ჰყიდდნენ... ტბაში და ტბის გარშემო სხვადასხვა ენაზე მოუბარი, მუხლებამდე კაბააწეული ქალები დატყაპუნობდნენ...

ოთინკოს თბილ, ორთქლიან ტბასთან ბორძიკობს და ცახცახებს ვარდო, თმებგაწეწილი, ფეხშიშველი... კლდეზე ქანდაკივით გაშეშებული ვარდოს მამიდა დგას, თვალებში სევდაჩაქცეული, დათალხული, გარემოს ზვერავს, კაცი არ გამოჩნდეს ახლომახლოო!... ბებიამ ვარდოს კაბის შიგნით ჩაუცურა ხელი და თბილი წყლით ტანი მოუსრისა. გულამომჯდარი ლოცულობდა: ჩემი წინაპრების ღმერთო, წმინდა და უმანკო მარიამ ღვთისმშობელო, დღეიდან დედაჩემივით მეყოლები, ოღონდ, აი გოგო მომირჩინე და წელში გამიმართე! როგორც შენი შვილი იორდანეში მოინათლა, ჩათვალე, ჩემი ვარდოც მოსანათლად შედის ოთინკოში... გპირდები, დედა ღვთისავ, აქ დავრჩებით, პირს არ ვიზამთ ყარსისკენ, აჭარაში დავიბუჯრებთ!

ვარდოს ანიშნა, – ნუ გეშინია, ვარდო, შვილო, დამეყრდენი, მე ვარ შენი ყავარჯენი!..

კაბიანად შეტოპა ვარდომ ოთინკოს ტბაში. მისი ცოდვით, ქალები ოხრავდნენ...

...ოთინკოს ახლოს თამარ დედოფალს სახლი ჰქონია. ბევრი მტრედი ჰყავდა მოშინაურებული და სულ ფრთხიალ-ფრთხიალი იყო აქაურობასო... ერთ ზამთარს, ფრთები ჩამოუყრია ყველაზე ლამაზ მტრედს. თამარს უთქვამს, შორს წაიყვანეთ და გაუშვით, არ მინდა მაგის სიკვდილს ვუყურო. სამი დღის მერე მოფრენილა საღ-სალამათი, სველი მტრედი. ეტყობა, აქ სადღაც სამკურნალო აბანოა, წადით მოძებნეთო! – უბრძანა მსახურთ თამარმა. ნახეს ის ადგილი, ახლო-მახლო თოვლი გამდნარიყო, კლდიდან ცხელი წყალი მოჩუხჩუხებდა, ტბას ოხშივარი ასდიოდა. იმ დღიდან ბევრი ამაგი დაუდვია ოთინკოსთვის დედოფალს...

...ტბაში შესულმა ვარდომ კაბა თავიდან ძლივს გადაიძრო. ტანზე ნეტარების ტალღამ გადაუარა, სახე და მთლად სხეული გაუხურდა. ბებია წელზე უსვამდა ხელს მოსხრუკულ-მოკაკულ შვილიშვილს და სახეზე წყალს აშხეფებდა... ნაპირისკენ წამოღვანჭალდა ვარდო... უცებ... ყველა და ყველაფერი გაირინდა, ტბა, ნაძვები, ბებია, ქალები, ვარდოც... დიდება ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს!.. ათასი თვალი დარბის ვარდოს სხეულზე... პერანგის ჩახსნილი უბიდან კერტებგამობურცული ძუძუები გამოუჩნდა... უმწეო და ღონემიხდილი გოგონას ნაცვლად, ახლა ოთინკოს პირს ლამაზი შველი იდგა. იდგა წელგამართული, მოქნილი თეძოებით, წვრილი წელით, გრძელი წვივებით... კლდის თავზე, შაოსან ქალთან კაცები შეჯგუფულიყვნენ და უტიფარი თვალებით მისჩერებოდნენ ვარდოს...

ვარდომ ტანი შეიბერტყა, ჩაიჩოქა და ხმამაღლა ატირდა...

მამიდა ყარსში წავიდა...

ბებია და შვილიშვილი ბათუმთან ახლოს, სამების მიკლაკნილ-მოკლაკნილ გზაწვრილს აუყვნენ... იქ დასახლდნენ, იქ მოიწყვეს ბუდე-ბუჯერი...

იმ წელს, ოსმალთაგან გამოძევებული აფხაზებით სავსე გემი ჭოროხის შესართავთან კლდეს შეხეთქებია. ბევრი გაჟუჟულა, ვინც გადარჩა, აჭარაში დარჩენილა, აქ გამოცხოვრებულა... ბაგრატ ატრუშბა ვარდოს ბებიას სამების მთაზე წაუყვანია...

ორი წლის თავზე თოთხმეტი წლის ვარდოს ბალღი ჩაუგორეს კალთაში...

ბაგრატი წალკოტად ქცეულ კარ-მიდამოში ღობეს ამაგრებს, ალაგ-ალაგ ბოძებს ცვლის, ყავარს ხლიჩავს, გოდრებს, გიდელებს, კალათებს ქსოვს, შეშას აპობს, მიწას თოხნის და აფხვიერებს...

თმახუჭუჭა, ჭორფლიანი, ფეხშიშველა ბიჭი ეზოში დაბანცალებს...

ყარსიდან მამიდა ჩამოვიდა, თქვენი წილი ორი ჩეთვერი ყანა, ასი თავი სკა, ორსართულიანი ლაზური სახლი, სამი სავაჭრო დუქანი გავყიდეთ და მაგიორში აგერ ოქრო ჩამოვიტანეო...

ვარდომ ნაწილი ფული მარადიდში ქართული სკოლის გახსნისთვის და წიგნების შესაძენად გაიღო, ნაწილი ოთინკოს აბანოსთვის, ღარიბთათვის, გლახაკთათვის, ტიტველთათვის, დავრდომილთათვის, საწყალთათვის, დანარჩენი სახლის მოსაწყობად და სამლოცველოს ასაშენებლად....

მას შემდეგ, სამლოცველოს ეზო-კარს ასუფთავებდა, დაჰკანკალებდა, სამლოცველოში ლოცულობდა და გალობდა ვარდო...

ლამაზი, ხის სახლი ჰქონიათ, მოჩუქურთმებული, ხის კიბით გამოცალკევებული, დაუკეტავი სტუმრის ოთახით...

...მერმე, ჯოხი დაიბიჯგა და ფერდობს დაუყვა შავ წამოსასხამში გახვეული ვარდო...

სამლოცველოს ეზოში ნახეს მიკუნტული, იქ დაიხარჯა, იქ დალია სული...

ბაგრატმა ცრემლით სავსე შავ თვალებზე თითები ჩამოუსვა და დაუხუჭა...

სამლოცველოს ეზოში დაასაფლავეს...

სკივრში დატოვებულ წერილში, ვარდო შვილებს და შვილიშვილებს ევედრებოდა: რაც აქ ფულია, მაგით უქმე დღეებში ეკლესიაში სანთლები ანთეთ, სამშობლო და ქართული ჯიში დალოცეთო!..

„ბურიაში გედეველი...“

არ ხმაურობენ, ფეხაკრეფით მიდიან, მიფიქრიანობენ:

– ნეტავ, დაგვხვდებიან? რამე შარში არ გავეხვიოთ!

ჩოლოქისპირს, გურული, მეგრელი, იმერელი ბიჭები ელოდებიან...

– ნეტავ, მოვლენ აჭარლები? რამე ფარცაგი ხომ არ შეხვდათ?!.

გადაეხვივნენ და გადაკოცნეს ერთმანეთი...

ხმაში ცრემლი გაერია აჭარელს: – ძმებო, მეგობრებო, მეზობლებო, მოყვრებო და ნათესავებო, აღარ გვეგონა, კიდევ თუ გახსოვდით, ჩვენი კვნესა-ცრემლი და საჩივარი თუ გესმოდათ! ვტირიდით, ღმერთმა ხელი აიღო ჩვენზეო... რვაჯერ ვეტაკეთ წელში ოსმალს, მაგრამ მარტოდ რას მოვერეოდით?! თქვენი იმედით ვეურჩებოდით და ვწყვეტდით აპეურებს...

– ძმებო აჭარლებო, ცოტა პირშავად ვართ თქვენთან, მაგრამ ახლა სხვა დროა. ღმერთით, მალე რუსეთ-ოსმალეთის ომი დაიწყება და ღმერთით, ისევ ერთად ვიქნებით ღვიძლი ძმები. გვეყო ერთმანეთზე თვალცივად ყურება. ჰერცოგოვინა და ბოსნია ფეხზე დგას, ბულგარელებმა, სერბებმა და ჩერნიგორიელებმაც გამოიღეს ხელი. ჩვენც უნდა დავეძგეროთ ოსმალს! თქვენ რას გვირჩევთ აჭარლებო? – იკითხა ახოვანმა გურულმა.

– გამჩენელის ნებით, დაიწყება! კინტრიშის მინდვრები, ციხისძირი, ბათუმი თუ ავიღეთ, გატყდება ოსმალო, გზა შეეკვრება, იარაღს ვეღარ შემოიტანს. იქით, კიდევ, ყარსის გზას მაჭახლელები და შავშელები დაიკავებენ. ხულოელები გვითვლიან, მაქ ივარგეთ და აქაურობას ჩვენ მივხედავთ! ამ ვიწროებში და კლდე-ღრეში ვერც ოსმალო გამოივლის და ვერც ზარბაზანიო...

გურული აღფრთოვანდა: – კარგად წავა საქმე. მაქა, ოსმალოს საქართველოში, აგერ ახლა, გიორგი ყაზბეგი ყოფილა, სულ დაუხაზავს გზა-ბილიკები, ტყე-მინდვრები, ხელის გულივით იცის ჩვენმა სარდლობამ ყველა ადგილიაო...

– თქვენი იმედი გვაქვს, ბიჭებო, – წინ წამოიწია ერთ-ერთი აჭარელი, – მოგვწყინდა და აღარ გვინდა შიშის ქვეშ ცხოვრება, ჩვენ თუ წაგვიძაბუნეს, მერე, იცოდეთ, თქვენკენაც გამოიწევს ოხერი თათარი!

ფეხზე წამომდგარან ჩოლოქგაღმელნი: დღეიდან ვივიწყებთ ჩვენი მამების დათესილ კინკლაობას, ახლა, ვისაც საქართველო გვიყვარს, ციხისძირში უნდა დავდგეთ, რაც ამდენ ხანს ყურადღება მივაკელით, ახლა უნდა გამოვისყიდოთ!

ფეხზე წამომდგარან ჩოლოქგამოღმელნი: ანდრიაზე ერთგული მოწაფე არ ყოლია იესოს. იმ მოწაფის მირონცხებულ აჭარას ნუ დავტოვებთ უპატრონოდ! მუხაესტატედან, ხუცუბნიდან და კვირიკედან უნდა დავიწყოთ მტრის თვალთა დაბნელება!

ყველაზე უმცროს ქობულეთელს ყელში ჩამდგარი ცრემლი სულისთქმას უშლიდა:

– ხულოში მაგარი ბეგი ზის, ჩემი ბაბუის, ხუსეინ ბეჟანიძის დის, ქალბატონ დუდის ვაჟი შერიფ ხიმშიაშვილი. იმას უთქვამს, მე უსაქართველოდ ცხოვრება ჩირადაც არ მიღირს და ამ საქმეს თავს შევაკლავო!

ჩოლოქგაღმელმა გულისჯიბიდან გაზეთი „დროება“ ამოიღო და წაიკითხა: „როგორი ერთის საქართველოს შვილნი, როგორი თანამოძმენი ვიქნებით, თუ ერთმანეთის ვერას გავიგებთ, თუ ერთმანეთის ჭირი და ლხინი, ბედი და უბედობა, ავი და კარგი არ გვეცოდინება? – 10 მარტი, 1877“.

სიცილ-ქვითინით ეხვეოდნენ გაღმელ-გამოღმელნი...

ივნისში, ოსმალებმა გემებით ბარგი-ბარხანის გაზიდვა დაიწყეს ბათუმიდან... ყველაფერი მიაქვთ: საწოლები, კარვები, ურმები, სიმინდი, ფიცრები, წიგნები, დოკუმენტები, სკივრები, კიდობნები...

იმჟამს, ომის წინ, აჭარლებმა ცოლშვილის ტყეში გახიზვნა დაიწყეს...

ქობულეთი...

აქა-იქ კარგამოკეტილი, გამოცარიელებული სახლები, უფრო, გადამწვარ-გადაბუგული, დანახშირებული და მხრჩოლავი სოფლები, გადათხრილ-გადაჯეგილი ყანა-ბაღჩები, დაცარიელებული, გაძარცვული, აყირავებული ბეღელ-ნალიები...

პირქვედამხობილი მოხუცი გულში ლოცულობს და ხელებს ასავსავებს:

– მგონი, დასასრულის ჟამი ახლოვდება!

– არა, ბაბუ, დასასრულის კი არა, დასაწყისის, სულ სხვანაირის! – აჟრიამულდნენ ტყიდან მობრუნებული ბავშვები...

მხრჩოლავ სახლთან, სველ, გაძინძგლულ ძაღლს ბომბორა თავი მკვდარი პატრონის მკერდზე უდევს...

ნათელფენილი თვალები უბრწყინავთ სტუმარ-მასპინძელთ...

– გაჭირვებას მალე მოევლება, ნენი! ახლა ფანდურს ჩამოჰკარით! – იცრემლება თეთრლეჩაქიანი დედაბერი.

ააწკარუნა ფანდური აჭარელმა და ხმა ააყოლა:

„გურიაში გედეველი
გამევტანე ყელემი,
რაცხა დედამ შენ გაგზარდა,
უუყვავდეს ხელები“...
თოფიანი გურული გაეპასუხა:
„დედავ, გამიშვი აჭარაშია,
ჩემი გოგო იხედება ფანჯარაშია“.

1878 წლის 25 აგვისტოს საღამოსაც მზე ზღვაში ჩაპირქვავდა...

ჯვრისღარა

ჯვრის ფორმის ქვის ღარა და კლდეში ამოკვეთილი პურის მარცვლის სანაყი, სპეციალისტთა თქმით, მინიმუმ 600 წლისაა... ორივე ჯაბნიძეებში (ქაშუეთი), ქვედასოფლის უბანშია...

მამა გაუციმბირეს, დედა დარდს გადაყვა, ძმა მოუწამლეს... ზის გაშავებულ სახლში, ღრუბლიანი თვალებით, ცრემლ და სისხლგამშრალი. სოფელი ძილშია ჩაფლული. მეზობლებმა მოაკითხეს, – რიფათ, ამეღამვე უნდა წახვიდე, ხვალ შეიძლება გვიან იყოს, არ გაგახარებენ, ან მამაშენივით გაგაქრობენ, ან ძმასავით გაგასაღებენ. აგერ, ცოტა ფული მოგიტანეთ, შავშეთის მხრით წადი, იქიდან უფრო ადვილად გადახვალ თურქეთში. მამიდასთან ჩადი, ღმერთით, მიმოლაგდება აქაურობა და დაბრუნდები.

– ემინე, ჩემი ემინე აქ დავტოვო? უმაგისოდ არ შემიძლია!

– ემინეს ჩვენ ავუხსნით, ახლა ასე სჯობს, ემინე დაგელოდება, დაბრუნდები და ერთად იქნებით!

შუაღამისას, კვარით ხელში, ტყვიასავით გავარდა უკაცურ, იელ-შქერიან, გაუვალ ტყეში. ძლივს მიდის, სიმწრის ოფლი ჩამოსდის შუბლზე. დაიღალა, ტკივილი ლოდივით დააწვა გულზე, მთელი სხეული აუტოკდა...

– ღმერთო, რატომ ხარ ასე შორს, რა იქნება ჩვენთანაც ჩამოიხედო? მითხარ, გამჩენო, რა დავაშავეთ? იქნება, გაგიგო კიდეც! კი, შენც მეცოდები, უფალო, ზოგი რას გთხოვს და ზოგი რას, ზოგს წვიმა უნდა, ზოგს დარი, ზოგს სიმდიდრე და უზრუნველი ცხოვრება. მე არაფერს არ გთხოვ, გულმხურვალედ ვლოცულობ, პიროფლიანი მიწას ვეჭიდები, უხიაგს რატომ ათელინებ ჩემს ოჯახს? აჰა, ამ ბოლო პერანგსაც გავიხდი და ჩემზე უბირს ჩავაცვამ, ნიფხვის ყურში გამოსკვნილ ფულს შევწირავ! მიმახვედრე როგორ ვიცხოვრო!

წამოდგა, ბარბაცით წავიდა... მეოთხე ღამეს გასავათებულმა გადაკვეთა საზღვარი...

– მამიდა, მე ვარ რიფათი, კარი გამიღეთ!

– ვინ რიფათი ხარ, რა გინდა ამ შუაღამისას? მომშორდი!

– მამიდა, რიფათი ვარ, შენი ძმისშვილი, ქაშუეთიდან!

– სახლში მარტო ვარ, წადი, თორემ თოფს დაგახლი, სოფელს შევყრი!

მძიმედ სუნთქავდა და ხროტინობდა რიფათი.

– თუ ქაშუეთიდან ხარ და რიფათი ხარ, აბა, მითხარ, რავარი ეზო-კარი მაქვს იქა?

– მამიდ, ჩვენი სახლის მიღმა ჯვრისღარაა, სახლს ზემოთ, კლდეში, პურის სანაყი და შენი საყვარელი მოკაკული ვაშლი...

– იკურთხოს სახელი შენი, გამჩენელო! – იკივლა შავშელმა ქალმა და კარები გააღო. კარის ზღურბლთან ცოცხალმკვდარი ძმისშვილი იწვა... სახლში შეიყვანა, წყალი დაალევინა, ოფლი მოწმინდა, ტანი დაუზილა, ფეხები ცხელ წყალში ჩაულბო, იცრემლა, იტირა, გულში ჩაიკრა:

– ეს რამოდენა გაზრდილხარ, ბიჭო! ღმერთმა რაფერ გადმომხედა და რაფერ გამახარა, შენს უნახავად რომ არ მკლავს...

დაწვრილებით მოყვა რიფათი თავის ამბავს. დავიღალე, მეტი აღარ შემიძლია, მომასვენეო და ბოლოს ძლივს თქვა, – დაზაფრულია ჩვენთან ხალხი, შეშინებული, დაბნეული და სასოწარკვეთილი, გაუტანლობამ და დაუნდობლობამ უნდა წალეკოს სოფელ-ქვეყანა, კაცს ხვრეტენ, ან აციმბირებენ...

შავშეთში გამოიზამთრა რიფათმა. – სჯობს ინეგოლს წავალ, იქ ბევრი ჩვენებურია, რამე საქმეს ვნახავო, – უთხრა მამიდას.

– მაღლა ღმერთი იყოს შენი შემწე, რიფათ.

– იქნებადა, ამასობაში საქართველოშიც დავბრუნდე. შენს უნახავად არ წავალ, მამიდ!

– ღმერთმა კარგი ყურით გისმინოს! ბუდე-ბუჯერის დავიწყება დიდი ცოდვაა, შვილო, ემინეც გელოდება იქ!

– მაგი მაცოცხლებს და მასულდგმულებს, თვარა აქამდე შავშეთის მდინარეს წყალ-წყალ შავ ზღვაში ჩავყვებოდი...

ინეგოლს გადაიხიზნა რიფათი... მალი-მალ ლოცულობდა, ღმერთო, დამიხსენ ამ ჯოჯოხეთისგან, რა მინდა ამ დაკარგულში? ჩემი ეზო-კარის ერთი მუჭა მიწა მირჩევნია ამხელა ინეგოლს!..

დარდ-სატკივარმა გაანახევრა და დააძაბუნა. ერთ საღამოსაც ნელ-ნელა ჩაიჩოქა, გულაღმა გაწვა, სიტყვა სიტყვაზე ვეღარ გადააბა, ტუჩები აუცახცახდა, ოხვრას კვნესა ამოაყოლა და... აღესრულა...

– ემინე, ხომ ხედავ, არ ჩამოდის ის შენი რიფათი, ნუ დააჭკნობ მაგ ლამაზ ტან-ფეხს, პატრონი გინდა შენ და ბაღნები გინდა, ბევრი ბაღნები! – ჩასჩიჩინებდნენ ნათესავები...

ემინე თავის საცრემლო ალაგზე, ჯვრისღარასთან, პირსახით მუხლებში ჩარგული, კაბის კალთით იწმენდს ცრემლებს...გულამომჯდარი მოსთქვამს: გემდური შენ, ღმერთო! რა შეგცოდე, ღმერთო! იქნება, შეისმინო და წყალში გადამაგდო, კალმახად მაქციო, ცაში ამაგდე, მერცხლად მაქციე, მიწაში დამფალ, ჭიაყელად მაქციე! აბა, აქ, ამ დედომიწაზე ჩემი გამკითხავი და შემწე-მშველელი არავინაა! ან წამომაქციე ცხვარივით და დანა გამომისვი ყელში!..

შეშინებული, გაწყალებული თვალებით რიფათის წერილს დააშტერდა: „ემინე, ჩემო თვალისჩინო, მე მალე ჩამოვალ, შენი ჭირიმე! ნიშნობის ბეჭედს გიგზავნი, დღეისიქით თითიდან არ წაიძრო, მალე ჩაგიკრავ გულში! მიდი, ჩვენი სახლის კარები გამოაღე, გაამზეურე, გაათბე, ყანა-ბაღჩას მიხედე!“

სოფლის კაცებისთვისაც შემოუთვლია საფლავგანათლებულ რიფათს: თუ აქ ჩავიფერფლე, ჩემი ეზოს მიწა დამაპნიეთ გულზეო!..

იქ, ტყეში

გამჭვარტლულ ქოხში, ნოხგადაფარებულ ფიცარზე იწვა, სასთუმლადაც ფიცარი ედო. ციებ-ცხელებამ და ხურვებამ დააჩიავა, მოშალა და მოარყია... მიტკლისფერი სახით ჭერს მიშტერებოდა, ნიკაპიდან ცრემლი მკერდზე ეცემოდა. თვალებით, სანათა მოითხოვა, – უფლის მადლი შეგეწიოს, შვილო! – ჩაჩურჩულა ყურში და თვალისწამში თვალები დახუჭა, ყელზე შემოხვეული ხელები გაუცივდა...

ბერძენმა ექიმმა დამიანეს ურჩია, მოკიდე ამ შენს გოგოს ხელი და მთაში წაიყვანე, ცხროს განარიდეო!..

ოცი დღე გონს არ მოსულა დამიანე, ხმა არ გაუღია... მერე გამოიხურა კარები, ცხენს კვალში ჩაუდგა და ალალ-ბედზე მთაში წავიდა, წინ ზურგზე ფანდურით, სანათა მიდიოდა-გაჩხინკული თეძოებით, წვრილი კანჭებით, გრძელი მკლავებით და ბრიალა თვალებით... ჯერ მუხლები ეკვეთებოდა, მერე და მერე ბუნებით მონუსხულ-გაბრუებული, ღონეშემატებული მიკუნტრუშობდა... მდინარეზე ჩაირბინა, ტბაში შებათქუნდა, კაბიანად ჩაწვა, ხელები გაშალა და გაბადრული სახე მზეს მიუშვირა...

დამიანემ ხელები აღაპყრო: მარადქალწულო მარიამ, არ ჩამიქრო ეს სანთელიო...

მაკურნებელ წყაროსთან, მუხის ქვეშ შეყუჟულებმა სული მოითქვეს... სანათამ ფანდური ააწკარუნა: „ერთი წიგნი მე მოგწერე აჭარული ყელემით, ერთიც პასუხი მაღირსე, შენი ოქროს ხელებით“... „სიყვარულმა სიცხე მომ-ცა, სიძულვილმა სიგრილე, სიყვარულის ზღვაში შეველ, ვიღუპები ვერ გეველ!“...

– ვიცი, არ ემღერება, მარა იცის, მისი სიტყვა გულს მალამოდ მედება და მკურნავს, – გაიფიქრა მამამ...

მიწყნარდა ყოველი... ფოთოლიც არ ირხევა...

გაღმიდან წელში ოთხად მოკაკული ბერიკაცი მოლასლასებს... მოვიდა, მარჯიო, მიესალმა, საით გაგიწევიათო?

– არ ვიცით საით მივდივართ, ცხროს გამოვექეცით, ბარში სიკვდილი ჯირითობს, იმ გოგოს (სანათა კლდეზე იდგა გალაჯული), ჩემს იმედს, ვერ გავატან სიკვდილს! ტყეში დავსახლდებით, ხემცენარეს გავახარებთ, ნადირ-ფრინველს შევეშველებით!

– მართალი ხარ შვილო და ალალ გზაზე დგახარ, ე, გაღმა ფერდობზე უპატრონო ჯარგვალია, წყაროა, თხილია, წყავია, მოცვია, ასკილია, ბალახია, იქ დადექით. მალ-მალე გამოგაკითხავთ, ეგ გოგო არ გაგიტყიურდეს! წიგნი უნდა, სწავლა უნდა, ხელსაქმე უნდა და პატრონი უნდა მაგას! ნადირის ნავალს გაჰყევით! ხვალ თხას გამოგიყვანთ და ძაღლს დაგიბამთ, გამჩენელიც გადმოგხედავთ!

წაძუნძულდა ბერიკაცი...

დამიანე ცხენს მიუბრუნდა, ფეხები შეუმოწმა, ნალი ხომ არ მოძვრაო, თვალები და ყურები მოუსრისა, აღკაზმულობა შეუსწორა, ჯარგვალს გახედა და ფერდობს გაუყვა...

სანათამ ჭენებ-ჭენებით გაირბინა ბოგირი... იმ წამს ჯარგვალს მხურვალე მზე დააცხრა... კოდმეზე დგას და მამას ხელს უქნევს კოცონივით აბრიალებული, წითელკაბიანი სანათა... ცაზე ჩიტები ფერფლივით ირევიან...

სივიწროვე იყო შიგნით, მიბრუნ-მობრუნება ჭირდა, აივნისმაგვარი სადგომი ძველი ფიცრებით შემოტიხრეს და სანათას საძინებელი მოაწყვეს...

ღრიჭოებიდან სიცივე ატანდა, ტალახით ამოლესეს...

გაუთავებლად ჩქაფუნობს წყარო... თავ-კისერზე გადაივლო დამიანემ... სანათა გაოცებული ანგელოზივით უყურებს არემარეს. გულში ფიქრობს, ეტყობა, ღვთისმშობელმა თავისი გულუხვი კალთა აქ დაბერტყაო...

დილიდან საღამომდე პიროფლიანი დამიანე მიწას ეჭიდავება, სასხლავით ეგურგურება ნარგავებს...

სახლს და ეზო-კარს აკრიალებს სანათა... შუაცეცხლის კვამლი გველივით მიიკლაკნება ცაში...

მიწას ოხშივარი ასდის... აპეპლდნენ და ამღერდნენ ტყემლები, მსხლები, ვაშლები, ბლები... შმაშუნობენ სიმინდები, ცაში მიყელყელაობს ლობიო... ზუზუნებს ფუტკარი... გამომზეურებულა თხა, ცხვარი, ძროხა, ძაღლი, კატა... გარეული ნადირიც აღარ მიდის შორს, ჩიტებიც ახლო-მახლო დაფრინავენ...

პეპელამ იფარფატა, იფარფატა და ყურის ბიბილოზე დაეკონა სანათას, ლეკვი კაბას მისწვდა, მხრებზე აბობღდა და კისერზე გადააჯდა... ჭერქვეშ მერცხალს გაეხმიანა სანათა: ოქროსგულავ, აფრიკაში, მარადიულ ზაფხულში, რაფერ გრძნობ, საქართველოში რომ გაზაფხულდა, რაფერ მაგნებ, ჩემო ჟღურტულავ?!

ყორეზე მამალი ამღერდა... სახლ-კარაკიდებული ლოკოკინა შეეხმიანა რქების ტრიალით...

თეძოები დაუმრგვალდა, მკერდი ამოებურცა ღვთისმორჩილ, სიტყვამცირე, ზნეკეთილ სანათას, უცხოს დანახვაზე ჭარხალივით წითლდებოდა, განმარტოებული, კი, ლოყებატკეცილი, აყირმიზებული, თმაგაშლილი შემოსძახებდა:

„აბრეშუმის კაბა მინდა,
რომ გაჰქონდეს შარი-შური,
ღმერთმა იგი როის მომასწროს,
შენზე ვიყო დანიშნული“-ო...

უთხრა სანათას გაღმა სოფლელმა, კაია შვილო, ლექსი და შაირი, მარა დედობაზე დიდი პოეზია და მუსიკა არ სმენილა. დედა უნდა გახდე შენ და ხვალ-ზეგ მოვაგზავნი მაჭანკალს მამაშენთანო...

უთხრა მაჭანკალმა დამიანეს: – ჩვენი ბიჭი და შენი გოგო იცნობენ ერთმანეთს, რაღას ვუცადოთ, დადონ თავი ბარემ ერთ ბალიშზეო. კაი ბიჭია ჩვენი ბიჭი, მშრომელი, ალალი, კლასიდან გამოვიყვანეთ, რაცხა, ბრტყელ რუკაზე საქართველოს ყინულებში ეძებდა-თურმე. სამაგიეროდ, ბარი, თოხი, ნაჯახი, წალდი, ფიწალი, ყანა-ბაღჩა იცის კარგად.

მეორე დღეს დამიანე შეეკითხა სანათას:

– იცნობ, შვილო, იმას?

– კი ვიცნობ, მამი, შარშან მაგან ტუჩი მომწუწნა!

– მერე, შვილო!

– რა მერე, მამი, მეც მივაწეპე, არ ამოვასუნთქე...

– ოღონდ ბედნიერი იყავ, ოღონდ იღიმებოდე, შვილო, და, ცა-დედამიწას შევძრავ! – იყვირა დამიანემ.

პატარა ქორწილი იყო...

ბევრი აკვანი იყო...

იმ ფერდობზე დიდი სოფელია ახლა...

თეიმურაზ ლანჩავა

* * *

ყოველწლის ბოლოს დეკემბრის თვეში,
მშვიდად აღვნუსხავ არსებულ წვრილმანს,
როგორ მოვედი და დავრჩი თქვენში,
გამოქცეული ქარსა და წვიმას.
ვაჯამებ თვეებს, სახსოვარ რიცხვებს,
დღისა და ღამის შფოთვას და რისხვას,
ვის ვენდობოდი, აღარ ვახსოვარ,
ვინც ცდილობს დროის მწუხრისგან მიხსნას.
ყოველ წამს ჰქონდა ღირსება თავის,
ყოველ წუთს ძალა მორჩილის თმენის,
კმარა სიცოცხლედ გახელა თვალის
და ცქერა მშვიდად თოვლიან მთების.
ყოველწლის ბოლოს დეკემბრის თვეში
ვეპატიჟები ჩემს მკითხველს რთველში,
მინდა წლის ბოლოს აღმოვაჩინო
ჩემი განცდების სიმრავლე თქვენში.
ვხვდები სურვილი რჩება იმედად
და ოცნებები როგორ წვალობენ,
ვხვდები დავბერდი, დავჩაჩანაკდი,
ვისაც ვუყვარდი, აღარ მწყალობენ.

* * *

საოცარია ბედი მაცივრის,
ცარიელია, თავისთავს ჰყინავს,
საოცარია, ღმერთი დასცინის,
სათვალსეიროდ გალაქულ რკინას.
ზის ჩემი კატა მშვიდად, მოწყენით
მაცივრის კართან, ჩუმად ნატრულობს...

(თავისი ნებით, არვის მოწვევით)
ცდილობს რაიმე რომ იხალტუროს.
თვალასახვევად დგას სამშვენისად
შეუცნობელი, მყოფი მდუმარედ,
ვით როიალი, რომელიც მოკვდა,
რადგან სიმღერებს ვერ მოვუარეთ.
და ბჟუტავს ჭაღი, იმის იმედი,
რომ განათდება, ოდესმე შესძლებს,
დაინახავენ გაოცებული
ხორცის გარეშე დარჩენილ ჩვენს ძვლებს.
საოცარია ბედი მაცივრის,
განმარტოებით დგას სამშვენისად
და რადგან ვამჩნევ ბედი დამცინის,
არ მიხარია მეც სახლში მისვლა.

* * *

ნახეთ ცხოვრება რა თვალთმაქცია,
ეცვა მდიდრულად, უცებ გახადა,
არარაობად უცებ აქცია
და სანამ თვალი დაინახავდა,
ისევ ჩააცვა, რომ ეგრძნო მდუმარს
ყოფნა-არყოფნა და ძალა ბედის,
რომ წუთიერი აღფრთოვანება
არის წამალი წამიერ ბნედის,
როდესაც ფრთებს შლით,
ზეციურიდან თქვენ შეგიძლიათ
მიწას დახედოთ,
დაიმახსოვრეთ სიმძიმე ხვედრის,
გაშლილი ფრთებით არ ითავხედოთ.

* * *

ხვდები სიბერემ აგითვალწუნა,
ძლივს დაბაჯბაჯებ თოთო ბავშვივით
და სამარემდე რჩება მანძილი,
დამოკლებული ორი არშინით.
სულ ერთი ხელის გაწვდენა დარჩა,
მერე იწყება სულის სიმშვიდე,
ვეღარაფერს გრძნობ, წყვდიადი გაჩნდა,

მინავლებულა სუნთქვის სიხშირე.
ახლა ცხოვრებით ცოცხლობ მარტივით
და ყველაფერი დუმილს გკარნახობს,
თითქოს ხის ქერქში ჩარჩი მატლივით,
დრო ცდილობს თავი არ დაანახოს.
არის სიბერე ტკივილი სულის,
გულს რომ ინახავს ძვირფას განძივით,
რომ ფრთები ცვივა ყოველგვარ სურვილს
და თავს შორდები დიდი მანძილით.
მოვა დრო, უცებ მიგჩქმალავს, წაგშლის,
გამოეცლება ოჯახს საყრდენი
ამქვეყნიური თავდავიწყებით,
იმ ქვეყანაში გადასახლდები.
სიბერე დროის განსაცდელია,
ყოველდღიურად თავი გეთმობა
და ხვდები უკვე გზას აცდენია
ამქვეყნიურთან ურთერთობა.

* * *

არ დაგაჯერონ, რომ დაგჯაბნეს და მიგატოვეს,
არ შეეგუო უჩემობას და სიმარტოვეს.
შენ ისევ ის ხარ, ისევ ბოლო, ისევ პირველი,
ხარ იმედივით უიმედოდ გასაკვირველი.
შენს ნაფეხურებს ისევ ასდის ტრფობის ალმური,
გამოვიზოგოთ სიყვარული და სიბრალული.
ნუ დათმობ იმ წლებს, შენი ერქვა, დღეს რომ იცვლება,
მოკვდება გული, უშენობით გარდაიცვლება.
არ დაიჯერო ვინმემ დაგთმო, სხვაში გაგცვალა,
ჩემო ბელურავ, მოჟღურტულე ჩიტო ნაცარა.

* * *

არ წავალ არსად, არც აქ დავრჩები,
ვერ დავადგინე სად უნდა ვიყო,
ვხვდები, რომ მაინც ვერ გადავრჩები,
დროის საწუხარს თანაბრად ვიყოფ.
მიწამ დამქანცა, ცას შევაფარე
თავი, მიხმობდა, მენატრებოდა,
ზეციურობა ვერ შევიფერე,

ვგრძნობდი რომ წლები მემატებოდა.
ცა გამიბრაზდა და გამინაზდა
 სული რომელმაც ცა იმსახურა,
ფრთებმა, რომელიც ღრუბლებში დაცა
ცის საყვედური დაიმსახურა.
ვთვლიდი ნაბიჯებს მივყავ-მოვყავდი
მტრიდან მოყვრამდე, დარჩნენ ერთგული
და იმედს მე რომ მანუგეშებდა,
შევეგუე და აღარ ვემდური.
არ წავალ არსად, სიკვდილის ფასად,
ბევრჯერ შემაკრთო დროის ალმურმა,
მაგრამ მასწავლა ღირსება ფერფლის
ზომიერებამ და სინანულმა.

* * *

მიმაქვს ჩემი კუბო მხრებით,
ვგრძნობ სიკვდილი სხვისია,
ვგრძნობ გზადაგზა ტაშით მხვდებით,
დრო აღნიშვნის ღირსია.
მივალ, მაგრამ თქვენთან ვრჩები,
ვრჩები, თუმცა მივდივარ,
ეს ლანდია ძმებო ჩემი,
გარიჟრაჟის ბინდი ვარ.
მივალ, ვწვალობ, თან მივათრევ
წუთისოფლის ნარჩენებს,
შენდობისთვის ღმერთს მივმართე
და დრო ვეღარ მაჩერებს.
მინდა ხორცით განვიძარცვო,
სული დარჩეს უბილწო,
ჩემს დღევანდელ არსებობას
მომავლისკენ ვუბიძგო.
მიმაქვს ჩემი მწარე ხვედრი
ცრემლითა და გოდებით,
რასაც ვწერდი, იქვე ვხევდი,
ნაცოდვილარს ბოდვებით,
გული მუდამ იყო სუფთა
და ხელები სპეტაკი,
მიმაქვს ცაში მიწის სუნთქვა,
მიწიერი სპექტაკლი.

მიაქვთ ჩემი კუბო მხრებით,
კუბოს ტყვიას ესვრიან,
და მიზეზი ტყვიის სროლის,
ვხვდები, ჩემი ლექსია.

* * *

შორსა ხარ, თუმცა მე მაინც გხედავ,
შენი სიშორე მოთმენას მაჩვევს,
ასე მგონია, რომ ხელებს გხვევ და
შენი ხატება გაექცა ჩარჩოს.
და ვუცდი წუთებს, იქნებ გაწვიმდეს,
(იქნება გძულდეს წვიმის წვეთები,)
დროებითობა რომ აღარ მწყინდეს,
ფიქრიდან ფიქრში დავეხეტები.
წვალობს დღეები მონატრებაში
და სევდიანობს დროით გართობა,
ვარ ერთადერთი მონა ტყვეობის
და ჩემ საფიქრალს წუხს ალბათობა.

* * *

აატალახა შენმა ლექსმა ფურცელი წმინდა,
გწყინდა, ვამბობდი ვერ ისწავლა წერა, გაერთო,
საუბედუროდ, მზე იყო და ლექსებში წვიმდა,
პოეზიასთან არაფერი გქონდა საერთო.
ხარ ოპტიმისტი სულელური და არნახული,
ქადაგებ იმას, რასაც ხშირად მტრულად უცქერი,
ხომ ჩაგვამწარე უნიჭობით ეს გაზაფხული,
გააბინძურე შენი ლექსით წმინდა ფურცელი.

* * *

ევროპული საქართველო მესიზმრება,
რუსთაველის საქართველო მადარდებს,
სიყვარული ვიქადაგეთ ლექსის ძმებმა,
ერთმანეთის სიძულვილი გადაგვდეს.
ერთიანი საქართველო გაიბზარა,
სიძულვილმა ორ ნაწილად გაგვიყო,

თვითონ ვნახეთ ჩვენი თვალით,
სიძულვილმა რა გვიყო.
რა ცოტა ვართ, რა ცოდვა ვართ,
დავინახეთ ცოდვის დღესაც
ცოდვილებად ვიქეცით,
ერთმანეთის სიძულვილში დავიმარხეთ
და მომავალს იმედი ვერ მივეცით.
ყველაფერი იყო ძლიერ დასანანი,
თვალთა ხედვის სანიმუშოდ, საჩინოდ,
ფრთხილად ხალხო, ნაპერწკალი არ გაღვივდეს,
ცეცხლი არ გავაჩინოთ.

* * *

არ გამომადგა, გულს ვყიდი
ოცნებით, ფიქრით, მოთმენით,
სულ ემაგ გულის ბრალია
ზამთარში ჩემში რომ თბებით.
სულ ემაგ გულის ბრალია,
რომ, ფხიზლობს, აღარ მაძინებს
შემოაქსოვა გალია,
აპატარავებს მანძილებს.
ხან მზის სხივს გაეკიდება,
ხან ღრუბლებს ჩამოიწვიმებს,
სიყვარულს დაემკვიდრება,
სინათლედ მზეს ანაწილებს
იმნაირს მოიმოქმედებს,
ფიქრი, ოცნება, მეცვლება,
წაიღეთ, დაეპატრონეთ,
სანამდე გარდამეცვლება.
არ გამომადგა, გულს ვყიდი,
გადაღლილს შენზე ფიქრითა
ტკივილებს შენს რომ შემყარე
ჩემს ტკივილებში გიქვითავ.

* * *

ერთხელაც დროს გავექცევი,
სანთელს აგინთებ ლოცვითა
ერთხელაც შენთვის მოვიცლი
ტუჩებს დაგიდნობ კოცნითა.

ერთხელაც წვიმად ვიქცევი
ბროლის ყელს ჩამოგისველებ,
დროს გავაცოცხლებ იმ ცრემლით,
ახლა რომ ველარ იხსენებ.
ერთხელაც წავალ უშენოდ
სიცოცხლეს გავეპარები,
მოისურვებ და ვერ მნახავ,
ახლოს არ გაგეკარები.
ერთხელაც, ოი იმ ერთხელ
დამხედავ, შეგეცოდები
სიკვდილიც გაინაბება,
შენი დანახვით ვცხონდები.

* * *

დაათრევს სული ხორცსა და ითვლის
სევდა თანდათან როგორ იმატებს,
აღარ ვაზროვნებ, დავბერდი თითქმის,
ველარ ვანსხვავებ ტყუილს და სიმართლეს.
შემომეცალა, აღარ მკარნახობს
ხვალინდელი დღის სიკეთეს რწმენა,
რომ მომავალი არ დამანახოს,
მიჩრდილავს თვალებს დრო, ბედისწერა.
უკან სევდაა და მონატრება
გაფერმკრთალებულ, ჩამქრალ წარსულის,
იგრძნობა სევდის თვალთმომატება
დღეების მკრთალის, დრო გარდასულის.
ვხედავ სიცოცხლე რა მწუხარეა,
შენთვის ოცნების, ფიქრის დამშლელი
და ვგრძნობ, რომ ამ გულს არ უხარია,
მიჭირს უშენოდ და შენ არ მშველი.

* * *

შენი ტუჩები მიმყვება სახლში
და სიყვარული შენს თავს მახსენებს
და რომ მგონია, რაც მოხდა წავშლი,
შენი თვალები აღარ მასვენებს.
გავურბი ჩემს თავს, სავსე ვარ შენით
და ვხვდები სიკვდილს სიცოცხლის ბოლოს

შენ და სიცოცხლე ორივე მშველით
რადგან სიცოცხლე ლოდინში ცხოვრობს.
შენი ტუჩები მიმყვება სახლში
და სიყვარული შენს თავს მახსენებს
და რომ მგონია, რაც მოხდა წავშლი,
შენი თვალები აღარ მასვენებს.

* * *

არის დრო, როცა მოსაწყენი ხდება მშვიდობა,
ომს იგონებენ იმისათვის, თავი გაირთონ,
გამობრწყინდება უეცარი დროებითობა,
ხდება დროებით აღზევება სამაგალითო.
სისხლს ცრემლი რეცხავს და იშუშებს ტკივილს იარა,
ტკივილი მეც მაქვს, სამწუხაროდ ბლომად გროვდება,
რამდენჯერ სევდამ ჩემს ჭიშკართან ჩამოიარა,
გაუჩინარდა, ალბათ აღარც მომაგონდება.
მაქვს შეგუების, მოთმინების მძაფრი უნარი,
ვუბრძანებ სხეულს უპატრონოს სულს და გაერთოს,
ვგრძნობ უსათუოდ, მოთმინების წუთი თუ არი
და მიწიერი ზეციერთან ვპოვებ საერთოს.
ნახეთ, რამდენი დაიცვინა ფოთოლი მუხამ,
წუხარ საწუთრომ გაგაგონა მწუხრის შრიალი,
დაიმახსოვრე, უსათუოდ, მაგარი თუ ხარ,
ხმას რომ არ იღებ, სიბრძნე სწორედ დუმილში არი.

ციცინა ანთაძე

როგორც ლოცვა

მაღალყოვლადუსამღვდელოესობას –
ბათუმისა და ლაზეთის მიტროპოლიტს, დიმიტრის

რისხვაშემდგარი ზვირთების ზუზუნს,
როცა მოსტაცებს მთების ექო ქარს...
სარწმუნოებრივ იმედით ავსებ
იდუმალებით მოცულ ეპოქას.

შენი ლოცვები, მირონმდიდარი,
დიდაჭარის გზით ისევ ცად მიდის...
ტბელის ჩირაღდნით, სხალთა-ხიხანით,
მზის დიადემას ქარგავს ამინდი.

აგერ გონიოც, გალავნის თავზე
ამოსულ იას, სითბოს მზე უფენს...
სარწმუნოებრივ განცდებით ავსებ
დიად ეპოქას, ბრძენო მეუფევ.

ცით დალოცვილო, გერგო ხელდასმა,
ტაძრების გუმბათს წერდე ხატმწერი...
...მომილოცნია ეს თებერვალი,
კრძალვის ფრთები აქვს ახლა ამ წერილს.

მინდა აენთოს ეს დღე, ეს წუთი,
ყოჩივარდების მსუბუქ ალმურით,
რათა მიიღოთ ეს სტრიქონები,
როგორც ლოცვა, ანდა ფსალმუნი.

ისევ და ისევ ზურაბს

ღვინის მსმელია, ვისაც ვაზი უყვავის სულში,
– მითხრა ზურაბმა და მიიღო ჩემგანც დასტური.
ღვინის მსმელია, ვისაც ყანწი ფეხს ვერ აუშლის,
არც აერევა ოჯალეშში ალადასტური.

იყიდებოდა საჭაშნიკედ ნაჟური ცისა,
მქონდა პატივი, დავსწრებოდი ცის აუქციონს,
მარტო სვამს გალა, ეძებს ტოლ-სწორს, ფორიაქშია, –
დაცალა ჭიქა და არ იცის, ვის წაუქციოს.

ხედავს, ვიღაცა აზლუქუნდა სამშობლოს ბედზე...
ხარბი თვალებით სვამდა ზეცას, იდგა ზურაბი,
– შენ ხარ, ძამიკო?! რა ხანია გიცდი და გეძებ,
სხეულის დილეგს გამოვტაცე შენი სურათი.

გიცან, ძამიკო, ბიბლიური სამოსით გიცან,
ნაღდად ისა ხარ, არ სჭირდება ამას ვერდიქტი...
ხომ არ დაღლილხარ, ხომ იოლად დალაშქრე ზეცა,
მეც ალოობა შეგირჩიე ალავერდისთვის.

იყიდებოდა საჭაშნიკედ ნაჟური ცისა;
მერგო პატივი, სიზმრად ვჭვრეტდი ცის აუქციონს...
გალაკტიონი ძეგლივით დგას, გაარტყა მიზანს, –
შესვა ბოლომდე, იცის, ჭიქა ვის წაუქციოს...

ეს ლექსი წერე დენდურად

ბადრი თევზაძეს

პატარა ბიჭი მახსოვხარ,
პოეტი ბიჭის ფიქრებით...
სილოგისტია სილქნეთი...
სუყველაფერი აგიხდა,
რასაც ყავაზე გირჩევდი.
არ გქონდა სტრიქონშიგნითა
უუმცირესი ხარვეზიც,
ვგრძნობდი, მაგრამ არ გითხარი –
გელოდებაო პარიზი...

რომ მეთქვა, სიხარულისგან
არ აგცდებოდა „პარეზი“...
ბაღში ძელსკამი გელოდა,
იანვრის სუსხსა და ქარში.
მოდის უდიდეს მესიტყვეს
შეხვდი დახეულ შარვალში.
სიტყვები გაავეზირე,
ჩაუთქვი სხვა მომავალი,
„დავითიანის“ გზას გაჰყევ,
დავითის შთამომავალი.
მახსოვს, შავბადრო, უმღერდი
ცხრა ძმას და სამას არაგველს;
ჩამოგეკიდა კისერზე
ვიიონი და მალარმეც.
და იმშვენებდა პოეტი
გამარჯვებულის მედალსაც...
შენ ლექსი წერე დენდურად,
დენდის პიჯაკის დედაცა!...

* * *

სუკის აგენტებს

წმინდანის სხეულს სული ეყრება –
ციურ ცვარ-ნამთან იად ამოვა.
როცა თქვენ გახვალთ დედამიწიდან,
ტალახიანი წვიმა წამოვა...

* * *

ქუთათურ პოეტებს

ჩამოერთვას ღვინის თასი,
ძოვოს ბულახ-ბალახვანი,
ვისაც ეპატარავება
საფიჩხია-ბალახვანი.

ჭოროხი თუ რიონია,
პონტოს ზღვაში ნავით ნავობს,
ჭოროხ-რიონ დალეულნი,
ყველა ერთად ვჭყუმპალაობთ.

მედალიონს ჩამოვართმევ
და ვუწოდებ ვანდალიონს,
ვინც თეთრ ხიდთან გაიაროს
და რიონი არ დალიოს...

მწვერვალს მივუახლოვდი...

მწვერვალს მივუახლოვდი,
თავი არ მაქვს დალაშქვრის...
ახლობლებსაც ვეღარ ვცნობ,
თავს უცხოდ ვგრძნობ ქალაქში.

დამავიწყდა, სად მივალ,
არც ის მახსოვს, სადა ვარ,
აქ, მესაზღვრე რატომ დგას?
საზღვარს თვითონ გადავალ.

რაც ვწერე და ვიკითხე!...
(გავისარჯე ნეტა რად?)
ჯობდა თოვლის მოსვლამდე,
წინდის ქსოვა მესწავლა.

ვცდილობ, უკან დავბრუნდე,
დაქანცული, დაღლილი.
ვიცრემლები, ვბუზღუნებ
გალახული ძაღლივით.

დამავიწყდა, სად მივალ,
არც ის მახსოვს, სადა ვარ...
ვცდი, მოკლე გზით ვიარო –
მწვერვალიდან გადავალ!..

* * *

დაჭკნა ეს ვარდი, თეთრი ვარდი –
სულის ყვავილი.
აყვავდა მარტი, ცივი მარტი –
მთვარის გზავნილი.
ზეციურ ორკესტრს
შეეპარა სევდის არია,

ბალახს რომ შვენის,
ზეციური მინანქარია.
...და მაინც ყინვა, მაინც სუსხი,
მაინც ფეთება.
უნდა გავასწრო,
სანამ გზები ჩაიკეტება.
გამოსათხოვარ სიტყვას მეტყვის
ვინმე უგულო...
იქნებ შენ მაინც გამაცილო,
ძველო „ურმულო“!..

* * *

სამარადისოდ გადაგივიწყებ,
მინდა ეს გული რომ გავაქვაო,
მეხსიერებას რადგან შემორჩა
ის, რაზეც მუდამ დუმს სააქაო.

რაღაც უცხო და ირეალური,
თან შეუცნობი, ყოველთვის მდევდა...
მე ჩითის კაბა ცამ მისახსოვრა,
შენ არასოდეს ყოფილხარ ჩემთან.

რაღაც ბუნდოვნად მახსოვს წარსული, –
სხვა მინდორ-ველი, სხვა გზა, სხვა ზეცა...
ვიყავი უფრო მხნე და ჯანსრული,
ის მაინც ვერ ვთქვი, რაც უნდა მეთქვა.

მაგრამ ცას უნდა, რომ მათქმევინოს,
რაც დაილექა სულში კირთებად,
მე წლებმა მართლა გამათამამეს,
ხედავთ, ლექსის თქმა როგორ მიხდება?

თუმც ურა ცხენებს ვერ ვიმორჩილებ,
არც ის არ ვიცი, საით მივყავარ?
სამი სიტყვის თქმაც ვერ მოვასწარი,
თან სულ მარტივის – მე შენ მიყვარხარ!

იქნებ ჯობია გადაგივიწყო,
მინდა ეს გული რომ გავაქვაო,
მეხსიერებას რადგან შემორჩა
ის, რაზეც დღესაც დუმს სააქაო.

ცამ ჩაგიფიქრა...

მოკრძალებით, ბატონ ბიძინა ივანიშვილს

ეს ლექსი იმ დღეს დავწერე, როცა ურეკში, გაუვალი ჭაობის ნაცვლად, სამოთხის ბაღი ვიხილე.

დავძენ იმასაც, რომ თქვენი აქტიური პოზიციის გარეშე ვერ წარმომიდგენია საქართველოს დღევანდელი დღე – საფუძველი მომავლისა.

უნდა ამოვთქვა, რაც დღემდე ვერ ვთქვი,
ვის როგორც უნდა, ისე გამიგოს...
მაგრამ მე ვიცი, სამოთხის ბაღში,
ნეტარებისგან ცეკვავს ფლამინგო!

მე ვიცი, ახლა ბაღი სამოთხის,
უფლის სახელით იხდის მადლობას...
შენს ნაბიჯს მხოლოდ ცა თუ ამოხსნის,
დამემოწმება ზეცის სარდლობა.

ცამ ჩაგიფიქრა დიდი ხნის წინათ...
(მანამდე ჩვენთან ბევრჯერ იავდრა)
და ღვთისმშობელის კუთვნილი მიწა
მოგიზომა და დაგაბინადრა.

სად არ იღვაწე, სად არ გივლია,
მხოლოდ ღვთის ნებით იყავ გართული,
ღმერთმა დალოცოს ოქრო-ქორვილა,
შენი მშობელი მიწა, ქართული.

რამდენი მადლი აწვიმე ცისპირ,
ფასი დავადო - ძალა არ შემწევს.
შენი საფქვავი აბრუნებს წისქვილს,
მინდსაც არ ითხოვ, მამულის შემწევ.

სვესევდიანთა დამპურებელო,
აურაცხელი სიკეთის ტანდემს,
ერთი უჩინო პოეტის ლოცვა
ციცინათელას შუქით თან დაგდევს.

რა ხდება ნეტავ?!

ვერა ვთქვი სიტყვა ისე თამამი,
რომ დახვეოდა ჭიგოს ვაზის რქით,
ვერ გადავკვეთე აცდენილი წრფე,
ვერ მოვემზადე სრა-დარბაზისთვის.

გადამდებია სევდის მიკრობი –
ვხედავ ტერენტის ობოლ ობელისკს,
ანას ლექსებზე რომ მაჟრჟოლებდა,
ამადაც ღირდა წუთისოფელი.

სამოგზაურო გრაფიკიც შედგა,
ფანჯრები ღია, კარიც ღიაა,
რა ხდება, ნეტავ, რა ჩოჩქოლია,
ეს რა ჩიტების რია-რიაა.

რა საოცარი ფრენა გცოდნია,
ისე შორს დამრჩი, ვერ გჭვრეტ, ზაფხულო,
დედავ და მამავ, რა გზას დავადგე,
მენატრებით და ვეღარ გნახულობთ.

მომნატრებიხართ, აპრილ-მაისო,
შენ რომ ანთიხარ, მზეო, მეც ვხარობ,
ფეისბუქით რომ შეიძლებოდეს,
ვიმეგობრებდი შენთან, მერცხალო.

აფსუს, სამგზავრო გრაფიკი შედგა,
ფანჯრები ღია, კარიც ღიაა,
რა ხდება ნეტავ, რა ჩოჩქოლია,
ეს რა ჩიტების რია-რიაა?!



ზურაბ შაშიკაძე

ავღანეთში...

რუსეთში სასოფლო-სამეურნეო აკადემია წარჩინებით რომ დავამთავრე, სულ ცოტა ხანს ჩაქვში ვმუშაობდი ჩემი სპეციალობით. საინტერესო სამუშაო იყო, მაგრამ მალე იქ, მოსკოვში ისევ გამიხსენეს და გამომიძახეს, შენი დახმარება გვჭირდებაო. უფრო სწორედ, ჩვენი და შენი დახმარება მოძმე ავღანეთს სჭირდებაო და რამოდენიმე სხვადასხვა სპეციალობის მუშაკთან ერთად იქ მიმავლინეს.

ავღანეთში თითქმის ათი წელი დავყავი. თავიდან ძალიან გამიჭირდა იქაურ ჰავასთან, იქაურ ხალხთან და განსაკუთრებით, ჩვენისაგან მეტად განსხვავებულ იქაურ ტრადიციებთან შეგუება. ყველაფერს ეჩვევა კაცი და მეც, რომ იტყვიან, იქაური ქუდი დავიხურე, მოსკოვში სპეციალურ კურსებზე სახელდახელოდ შესწავლილი იქაური ენაც საუცხოოდ გავითავისე და იქაურებისთვის შიანაური კაცი გავხდი. რაც იქ გადამხდა, დიდი ისტორიაა. ამ ისტორიის მრავალი თავი ადრეც მომიყოლია თქვენთვის. ახლა კი ჩემი ამავე ქვეყანაში ყოფნის სხვა პერიოდზე უნდა მოგითხროთ...

დიდი ხანი არ იყო გასული, რაც ავღანეთიდან დავრუნდი და ამ ქვეყანაში საბჭოთა კავშირმა ეგრეთ წოდებული სამშვიდობო ჯარები შეიყვანა. მოსკოვს ისევ გავახსენდი. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრებისას მიღებული სამხედრო ლეიტენანტის წოდება უკვე სახელდახელოდ მეორეჯერ ამიმაღლეს და კაპიტნის ჩინით გამაყოლეს სამშვიდობოებს საომრად ჩემთვის უკვე კარგად ნაცნობ ქვეყანაში...

ჩემი რაზმით ავღანურ სოფელში შევედი ბეტეერით. ყიშლაყი სულ ახლახანს დაებომბა საბჭოთა ავიაციას. მიწურები, ქოხმახები და ალიზის ღობეები მიწასთან იყო გასწორებული. ყველაფერს ბოლი ასდიოდა და საშინელი დამწვრის სუნი ცხვირის ნესტოებს გვიწვავდა. ბეტეერი გავაჩერეთ და დარბეული სოფლის ჩამოვლა ფეხით დავიწყეთ. სიცოცხლის ნატამალი არ იგრძნობოდა. ცოცხალი არსება ხომ არა, მაგრამ საოცარი იყო, რომ არც ადამიანთა გვამები ჩანდა სადმე.

უცებ, მოშორებით, ნანგრევებით წარმოქმნილ პატარა გორაკს უკან რაღაც ამოძრავდა. საბრძოლო მზადყოფნა ვბრძანე და ავტომატები უმალ დამცველებისაგან გავანთავისუფლეთ. შემართული იარაღით იქით წავედით, სადაც მოძრაობა შევნიშნე. იქ რომ დუშმანები ყოფილიყვნენ, აქამდე მოგვცელავდნენ ტყვიებით, მაგრამ მაინც ვფრთხილობდით.

გორაკს უკან მუხლებზე დაცემული ათიოდე წლის ბიჭი დაგვხვდა. ის ერთიანად ძაგძაგებდა. ტანსაცმელი სულ შემოძარცვოდა. ისედაც მზით გარუჯულს – ტანსაცმლის ნარჩენები და შიშველი ტანი გამურვოდა. ლოყებზე ყურებიდან გამონადენი სისხლი შეხმობოდა. სლუკუნებდა და სახე საკუთარ ხელისგულებში ჰქონდა ჩამალული. ლოცვად დამდგარ ანგელოზს ჰგავდა. იმისმა საო-

ცარმა სიბრალულმა შემიპყრო და ირგვლივ სხვას ვერაფერს ვამჩნევდი. უცებ ხელები ჩამოუშვა და მუხლებს დააყრდნო, ერთხანს შემცქეროდა ავტომატმომარჯვებულს დიდრონი, შავი, ბრიალა თვალებით და:

– დუნ ქარდუყ, ბენე! (ნუ მომკლავთ, ძია!)

მე უამრავი, ერთი მეორეზე საშინელი სურათები მენახა უკვე ამ ქვეყნის მიწაზე, მაგრამ მაინც გული ძალუმად შემიქანა ნანახმა და ნათქვამმა. შევცქეროდი მუხლზე დაცემულ ანგელოზს და საოცარი სიბრალული მიპყრობდა. თვალებზე ცრემლმორეულმა მისკენ ოდნავ დავიხარე, ჯერ ხელით შეხება და მოფერება მომინდა, მაგრამ თავი რატომღაც შევიკავე. სამაგიეროდ, ჩემს გაბზარული ხმით ნათქვამში საოცარი მშობლიურობა, სითბო და სიყვარული თავისთავად შეერია:

– ჰურბონოთ შავამ მან, თექოლ! (შენ შემოგევლე, შვილო!)

უცებ ზურგის მხრიდან საშინელი ჭახანის ხმა გავიგონე და დავინახე, როგორ იფეთქა ბავშვის მკერდიდან სისხლის ნაკადმა. უმალ შევტრიალდი. ჩემი ერთი შუააზიელი ჯარისკაცის ავტომატის ლულიდან კვამლის ფთილა გამოვიდა. უზარმაზარი განრისხება უმალ რისხვაში გადამეზარდა. თუმცა მეც ხელში შეყენებული ავტომატი მეჭირა, რატომღაც ინსტიქტურად რევოლვერი ვიშიშვლე და სანამ დაეცემოდა არაკაცი, შუბლში სამი ტყვიის დაჭედება მოვასწარი...

იმას, თუ როგორ გადამარჩინა ამის შემდეგ სამხედრო ტრიბუნალსა და სასჯელს იმ დროს იქ მომსახურე უშიშროების ქართველმა გენერალმა, სხვა დროს გიამბობთ.

რეხიგულეია დორხანა

(შოთა ბოლქვაძის ხსოვნას)

ტყუილად როდი ამბობენ, ამ ბოლო დროს ყველამ მწერლობა დაიწყოო. არადა, რა უნდა წერას, ლიტერატურაში თუნდაც ახალი ჟანრისა და მიმართულების შექმნას. უნდა ეცადო, სხვას არ მიბაძო და თუ ეს შესძელი, ფაქტიც სახეზე იქნება. არ გჯერათ ხომ? კი ბატონო, არც გამტყუნებთ, ოღონდაც, მაგალითისათვის, მე დამიგდეთ ყური.

ვიწყებ.

მწერლობაში, მრავალ ხერხს შორის, მიღებულია ერთი ასეთი ხერხიც: ავტორი მოუთხრობს მკითხველს თითქმის დაუჯერებელ, საშინელ ამბებს და ბოლოს აღმოჩნდება, რომ ყველაფერს ამას ნაწარმოების გმირი სიზმარში ხედავს, რომელიც მოთხრობის მანძილზე საკუთარი ფანტაზიით შეთხზულ ამბებში დააცურებდა მას.

მე, ჩემო მკითხველო, როგორც ზემოთ შეგპირდით, ერთხელ უკვე გაკვალულ გზებს უნდა გადავუხვიო, თავიდანვე უნდა გამოგიტყდეთ, რომ ყველაფერი ქვემოთ მოთხრობილიც სიზმარში ხდება. თქვენც ნუ დაიძაბებით, თუ ბოლომდე შეძლებთ ამ ამბის წაკითხვას; სიზმარია-მეთქი სიზმარი! ეს სიზმარი ირინა სტარიკოვას დაესიზმრა და რამოდენიმე წლის წინათ მიამბო. მეც ამ ნაამბობს გადმოგცემთ, ოღონდ ფიზიკური ტერმინებით დახუნძლული ირინას ნაამბობი, ვეცადე, რომ თქვენთვის გასაგებად მომეთხრო...

ნოემბერში ჩავაბარე მისაღები გამოცდები მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურაში კვანტური რადიოფიზიკის სპეციალობით. მაშინ ლაზერული სპექტროსკოპიის ბუმი იყო და წინ საინტერესო სამუშაოები მელოდა. გულმოდგინედ შევუდექი საჭირო ხელსაწყოების შეგროვებას და დანადგარის აგებას. ამ დანადგარზე საჭირო გაზომვები უნდა ჩამეტარებინა. ქალი და ექსპერიმენტატორი – ბევრისთვის შეუთავსებელი ცნებებია და საწინააღმდეგოს დამტკიცების სურვილი ძალას მიათკეცებდა.

დაძაბულ შრომაში გავიდა რამოდენიმე თვე. თუმცა არ მეუბნებოდა, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ხელმძღვანელი ჩემი მუშაობით კმაყოფილი იყო. მთელი ამ დროის განმავლობაში ჩემთვის სხვა არაფერი არსებობდა. სასადილო მაგიდასთანაც კი სამუშაოზე ვფიქრობდი, ვცდილობდი ზეპირად შემეფასებინა დანადგარის ამა თუ იმ პარამეტრის მიახლოებითი მნიშვნელობა. უქმე დღეებში, როდესაც ლაბორატორიებში არ გვიშვებდნენ, ჩავკირკიტებდი საჭირო ლიტერატურას, ვემზადებოდი ხელმძღვანელთან საუბრისათვის. მთელი ამ ხნის განმავლობაში ირგვლივ სხვას ვერაფერს ვამჩნევდი. ბედნიერად ვთვლიდი თავს, რომ მთელს დროს ჩემთვის საინტერესო და საყვარელ საქმიანობას ვსწირავდი.

კვირადღე იყო. როცა გამეღვიძა, დილის ათი საათი იქნებოდა. წინა ღამით გვიან დავიძინე და თავი ოდნავ მიბრუოდა. ბოლო დროს ბევრს ვფიქრობდი ლაზერის მაღალი სიმძლავრით მუშაობის დროს გამოსხივების სტაბილურობის საკითხზე და პრობლემა ვერაფრით გადამეწყვიტა. ვგრძნობდი, რომ შესვენება აუცილებელი იყო, რათა ახალი ენერგიით შევდგომოდი მუშაობას. ლოგინში მწოლიარე ამაზე ვფიქრობდი და გუნებაში დღის გეგმას ვადგენდი.

გაზაფხულის მშვენიერი დილა იდგა. ფანჯარაში შემოჭრილი მზის სხივები კონუსისებურად იშლებოდნენ და ოთახში სითბო და სინათლე იღვრებოდა. განწყობილება თანდათან გამომიკეთდა. ლოგინიდან ფეხები გადმოვყავი, ფაჩუჩები ჩავიცვი და ზეზე წამოვდექი. ფანჯრები გამოვაღე. ოთახში ქუჩიდან მუსიკის საამო ჰანგები შემოიჭრა. რატომღაც ცეკვა მომინდა. შემოვბრუნდი და სარკეში საკუთარი გამოსახულება შევათვალიერე. გამახსენდა უნივერსიტეტში გავრცელებული გამოთქმა: „მოდიოდა სამი გოგონა, ორი მზეთუნახავი და მესამე ფიზიკოსი“. სიამაყით შევცქეროდი ჩემს აშოლტილ ტანს და საშუალოზე მეტად ლამაზ სახეს, რომელზეც ახლა ოდნავი სიყვითლე შემპარვოდა. თაყვანისმცემლები ინსტიტუტშიც მრავალი მყავდა და უნივერსიტეტშიც. ბევრს უნდოდა ჩემს გვერდით ყოფნა, მაგრამ თავაზიანი უარის შემდეგ ყველამ შორით წვა ამჯობინა, ამიტომ დღეს, როდესაც სეირნობა გადავწყვიტე, ვიცოდი, მარტო ვიქნებოდი.

ჩრდილოეთში დაბადებულსა და გაზრდილს გაზაფხული განსაკუთრებით მიყვარდა. აფეთქებული ბუნება თავისთან მიხმობდა. ცდუნება დიდი იყო. სწრაფად წავისაუზმე, მსუბუქად ჩავიცვი და გარეთ გამოვედი.

პარკს დავუყევი. მარცხნივ და მარჯვნივ ცნობილ მეცნიერთა ბიუსტები იყო ჩამწკრივებული. მუსიკალური შადრევნები უამრავ ცისარტყელებს ათამაშებდნენ და საოცარი ფერებით კიდევ უფრო ამდიდრებდნენ გარემოს. დამამთავრებელი კურსის სტუდენტები, უნივერსიტეტში მიღებული ტრადიციის დაცვით, ტანსაცმლიანად ხტებოდნენ პარკის ყინულოვან წყლით სავსე აუზებში და გამხიარულებულ წესრიგის დამცველებს თუმნიანებს აძლევდნენ შესაბამისი საბუთების მისაღებად – ჯარიმის ქვითრების სახით.

ვგრძნობდი, რომ ბუნებასთან ერთად ჩემი სულიც ამღერდა.

ჩიტების გაბმული ჟივილ-ხივილი მუსიკის ერთ მთლიან ჰანგად აღიქმებოდა და ალაგ-ალაგ ყვავის წამოჩხავლებას დისონანსი ვერ შეჰქონდა ამ ორკესტრში. პატარა გოგონასავით ასკინკილათი ჩავათავე ხსოვნის პარკი და ლენინის მთებიდან მდინარე მოსკოვის სანაპიროსაკენ დავეშვი.

ხალხი დასასვენებლად გამოსულიყო. ყოველ ფეხის ნაბიჯზე ქალ-ვაჟთა თითქმის დედაშობილა წყვილები მხვდებოდნენ. ისინი, ხასხასა მოლზე წამოგორებულნი, მზის ნაადრევ აბაზანებს ღებულობდნენ.

ბუნებასთან ცალკე ყოფნა მინდოდა და დაბურული ტყისაკენ გადავუხვიე.

...უცებ კაშკაშა ცისარტყელას ზოლებმა გადასერეს მდინარე და თითქოს გეომეტრიული ოპტიკის კანონები დაირღვაო, „ლუჟნიკებთან“ დაფოკუსდნენ. ირგვლივ ყველაფერი ფერადი ნაპერ-

წკლებით დაიფარა. ოზონის სუნიც შევიგრძენი. გარემოს გავლენით ჩემს ორგანიზმშიც მუხტების პოლარიზაცია მოხდა და დაძაბულობამ პიკს მიაღწია. მოლოდინის რეჟიმში გავისუსე. ეს რეჟიმი დიდხანს არ გაგრძელებულა. დავინახე, ტყის პირიდან ველურების ბრბო გამოვარდა და გამაყრუებელი ყვირილით და იარაღის ფრიალით ჩემსკენ გამოემართა. პირველად რაღაც თეატრალური დადგმა მეგონა ბუნების წიაღში, რადგან ასეთი რამე ხშირად მართლაც ხდებოდა, მაგრამ თანდათან დავრწმუნდი, რომ საქმე უფრო სერიოზული იყო, ვიდრე მე ვფიქრობდი.

ბრბოს წინამძღოლმა, რომელსაც მოშავო-მოყვითალო პრიალა ტანი უზარმაზარი კუნთებით ჰქონდა დაფარული და თავზე ოფოფის სავარცხელივით ქუდი ეხურა, ხელი ჩემსკენ გამოიშვირა. ორმა აყროლებულმა ველურმა თვალის დახამხამებაში ხეზე მიმაბორკა მსხვილი წნელებით. ტანში სისხლი გამეყინა, სული შემეხუთა. მალე ჩემს წინ უზარმაზარი კოცონი აგიზგიზდა. ჯერ მეგონა ფერად კინოფილმს ვუყურებდი ვეებერთელა ეკრანზე და მიმდინარე ამბები მე სრულებით არ მეხებოდა, მაგრამ თანდათან სურათის რეალურობაში რომ დავრწმუნდი, ავცახცახდი.

ბრბოდან ერთი შედარებით ხნიერი ველური გამოვიდა წინ და რაღაც უცნაური ნახატებითა და ლურსმნულის მსგავსი ნაწერით მოჭედილი სუფრის ტოლა პერგამენტი გაშალა, რამოდენიმე ნაბიჯი გადმოდგა, ნაწერი თვალებთან მომიტანა და ხროტინისმაგვარი ბგერებით დაიწყო ლაპარაკი:

– დაიმახსოვრე, – მითარგმნიდა შედარებით უფრო კარგად შემოსილი ახალგაზრდა ველური. ის, მგონი, ჩვენს უნივესიტეტში სწავლობდა რომელიღაც ფაკულტეტზე და ბევრჯერ მყავდა ნანახი, ამიტომ ჩემს ენაზე საკმაოდ კარგად ლაპარაკობდა და ცოტა იმედი მომეცა, – ნათქვამს არ გავიმეორებთ. ვიცით, რომ ფიზიკოსი ხარ. ჩვენ სწორედ ერთი ფიზიკური ამოცანა გვაქვს გადასაწყვეტი. მასზეა დამოკიდებული ჩვენი ტომის ბედი. ჩვენმა ღმერთმა – ქარუღამამ შენ ამოგარჩია. რაკი თქვენგან განსხვავებით ბევრ ლაპარაკს არ ვართ ჩვეული, სათქმელს მოკლედ მოვათავებთ. ამოცანა შენ უნდა გადაწყვიტო. თუ გონებას ძალიან დაძაბავ, ქარუღამას დახმარებით შეგიძლია მიაღწიო იმას, რომ შენს წინ გაჩნდეს ნებისმიერი ადამიანი, რომელიც შეგიძლია დაიხმარო ამოცანის გადაწყვეტისას. თუკი ამოცანა რამოდენიმე წუთში ვერ ამოხსენი, ამ კოცონში ჩაგფერფლავთ, რათა ქარუღამამ არ ისურვოს ჩვენი ტომის მთლიანად გადაშენება.

შემდეგ დაწვრილებით წამიკითხეს ამოცანის ტექსტი. კოცონის სიმხურვალისა და განცდილისაგან ისე ვიყავი გაბრუებული, რომ თითოეული სიტყვა ტვინში ზარივით რეკავდა და გააზრება არც მიცდია. როდესაც კარნახი ჩათავდა, ძალების მთელი დაძაბვით მხოლოდ ის შევძელი, რომ გამერჩია ჩემს წინ უზარმაზარი ქვიშის საათი, რომელშიც მსოფლიო მიზიდულობის კანონის თანახმად, ქვიშა ზედა განყოფილებიდან ქვედა განყოფილებაში ცვიოდა და აახლოებდა ჩემი სიცოცხლის ტანჯვიან დასასრულს.

– დაძაბე გონება, გაიხსენე ვინმე დიდი ფიზიკოსი! – მეუბნება ჩემი თარჯიმანი და თან ცრემლები ღაპა-ღუპით ჩამოსდის მზით გარუჯულ ლოყებზე.

თერმოდინამიკის მეორე კანონის საწინააღმდეგოდ სითბო ჩემიდან კოცონზე გადადიოდა, ამიტომ აღგზნებულ ატომსავით ბოლცმანის კანონის თანახმად მაღალი ენერგეტიკული დონიდან დაბალ ენერგეტიკულ დონეზე გადავედი და ტანში სრულიად მოვიღვენთე, წამწამები ტყვიასავით დამიმძიმდა, ლამისაა ჩამეძინოს. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს სიზმარს ვხედავდე. ღმერთო ჩემო, ნეტავი მალე გამეღვიძებოდეს!

ჰორიზონტი ახალი ძალით აციაგდა. მძიმე ნაბიჯების ხმა მომესმა. თავი გაჭირვებით ოდნავ მოვაბრუნე. გაოცებისაგან თვალებზე ჯანღი მომეხსნა. ხსოვნის პარკში თითოეული ფიზიკოსის ბიუსტი რიგრიგობით იდგამდა სულს და ჩემს გადასარჩენად მოდიოდა. თვალები სიხარულის ცრემლებმა დამინამა.

სიხარული ნაადრევი გამოდგა.

მოვიდოდნენ რა გაშლილ პერგამენტთან, დიდხანს ჩაჰყურებდნენ მას, უიმედოდ აქნევდნენ თავს, თვალს მარიდებდნენ და მდინარე მოსკოვის მღვრიე წყალში ამთავრებდნენ მეორედ მინიჭებულ სიცოცხლეს.

– ლანდაუ! – უცებ ამოიხრიალა მთელმა ბრბომ. ჩემში იმედის ცეცხლი აგიზგიზდა, როცა ჩვენსკენ მომავალი სვეტივით აღმართული მისი ბიუსტი დავინახე. „ნუთუ არ შემიცოდებს!?“ – დამზარა ტანში. ვიცოდი, რომ დაუ, როგორც მას სიყვარულით ეძახდნენ მეგობრები, იშვიათად ეხმარებოდა ვინმეს წამოჭრილი ამოცანის გადაწყვეტაში, დასცინოდა რა მათ უსუსურობას.

ბიუსტი პერგამენტისაკენ ისე დაიხარა, რომ სახეზე დამცინავი ღიმილი არ მოშორებია. მხოლოდ რამოდენიმე წამით გაუშტერდა თვალები, ერთბაშად მიბრუნდა ბიუსტებით შეგუბებულ მდინარისაკენ და სივრცეს პირჯვარი გადაწერა. შებრუნდა. აღმართს მძიმე ნაბიჯით აუყვა. გეზი ხსოვნის პარკისაკენ აიღო მისთვის კუთვნილი ადგილის დასაჭერად. „მორჩა. წავიდა უკანასკნელი იმედი. მშვიდობით ჩემო ლამაზო სიცოცხლევ! მენანებით ჩემო განუხორციელებელო ოცნებებო! მშვიდობით ჩემო საწყალო დედილო და პატარა ძამიკო...“

კოცონზე შეშის შეკეთებას ყველამ ერთად დაანება თავი და რაღაც იდუმალმა ძალამ მექანიკურად, დათქმულივით ყველა ერთ მხარეს მიაბრუნა. აღმართზე ახალგაზრდა კაცი ამოდიოდა. ნახევრადხუჭუჭა ნაადრევად გაჭაღარავებული თმები გაბურძგვნოდა, მაღალი ტანი ბეჭებში ოდნავ მოხროდა. ის ჩქარი ნაბიჯით მოიწევდა წინ და მიწაზე დაცემული მისი ულვაშების ჩრდილი თანდათან იზრდებოდა. ჩემს წინ გაჩერდა. დაკვირვებით დამაცქერდა სახეზე. მე რატომღაც ავღანელს ვამსგავსე და პირველმა აღტაცებამ მთლიანად გამიარა.

ბოლო იმედი იწურებოდა.

საათის ზედა განყოფილებაშიც ქვიშა თავდებოდა.

ახალმოსული პერგამენტს დააშტერდა. ზედმეტი დაძაბულობისაგან შუბლი ოფლმა დაუცვარა, შემდეგ თაფლისფერ თვალებში სითბო, სინათლე და ალერსი ერთად ჩაეღვარა. ბრბოს ამაყად და მბრძანებლურად გადახედა.

– რეხიგულეია დორხანა! – დაიგრგვინა მან.

მივხვდი, რომ ეს მოცემული ამოცანის პასუხი იყო თვით ველურთა ენაზე.

საზეიმო ყიჟინამ მოსკოვის ცა შეაზანზარა.

შემდეგ შებრუნდა, ჯერ თითქოს რაღაცამ შეაყოვნაო, ოდნავ დაფიქრდა, მაგრამ ბოლოს ხელი ჩაიქნია და ჩქარი ნაბიჯით განაგრძო გზა უნივერსიტეტისაკენ.

– კეთილო ჭაბუკო, მითხარი მაინც ვინა ხარ. შენ ერთს გეკუთვნის ჩემი სიცოცხლე! – შევსძახე ზედმეტი განცდებისაგან აძაგძაგებულმა.

– მე შოთა ბოლქვაძე ვარ, ბზუბზუარი! – ამაყად მითხრა მან კავკასიური აქცენტით, უკან მოუხედავად, ისე, რომ არც შეჩერებულა.

1988 წელი

ვინ გეგონე?!

(ვუძღვნი ზ. მ-ს)

ზურაბ მიგლაძე წარმატებული ახალგაზრდა იყო. მან წარჩინებით დაამთავრა ინსტიტუტი. სამუშაოდ კათედრაზე დატოვეს. ასპირანტურაში შესასვლელად ემზადებოდა. არანაკლებ წარმატებული იყო სპორტშიც. თავისუფალს ჭიდაობდა. მისი სპორტული საზოგადოების ჩემპიონატში საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა და ამ საზოგადოების ქვეყნის ნაკრებში მიიწვიეს. ნაკრები გამოდიო-

და სხვადასხვა ტურნირებზე. თუ შეჯიბრებებს შორის დროის ინტერვალი დიდი იყო, რიგ-რიგობით აწყობდნენ საწვრთვნელ შეკრებებს უზარმაზარი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში.

ამჯერად ასეთი ორკვირიანი შეკრების ადგილად ნაკრების ხელმძღვანელობამ და მწვრთნელებმა ქალაქი ვოლგოგრადი აირჩიეს. ინტენსიურ ვარჯიშში დრომ შეუმჩნევლად გაირბინა. შეკრებაზე მყოფ სპორტსმენებს ნორმალური კვებისათვის უფასო ტალონებს აძლევდნენ. აძლევდნენ ასევე გასამრჯელოდ ცოტაოდენ ფულს ყოველდღიური ხარჯებისათვის და დამატებით თანხას სამგზავროდ, სპორტსმენები შეკრების დამთავრების შემდეგ შინ რომ დაბრუნებულიყვნენ.

ვოლგოგრადიდან ზურაბის მშობლიურ ქალაქში პირდაპირი რეისი არ იყო და ის თვითმფრინავით ჯერ თბილისში უნდა ჩაფრენილიყო. საქართველოდან ნაკრებში მხოლოდ ის იყო და ისიც გულთბილად გამოემშვიდობა თანაგუნდელებს ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან. დრო საკმაო ჰქონდა, ამიტომ ცოტა გაიარ-გამოიარა ქალაქში და მერე ბილეთის შესაძენად აეროპორტის სალაროებთან მივიდა. მივიდა და...

მივიდა. სალაროსთან გრძელ რიგში ჩადგა. პიჯაკის ჯიბიდან პასპორტი ამოიღო. პასპორტში ბილეთისათვის საჭირო თანხის ჩადებაც დააპირა და ელდა ეცა. მისი შარვლის ჯიბიდან საფულე გამქრალიყო. რიგიდან გადარეულივით გამოვარდა. უზარმაზარი სპორტული ჩანთა მხრიდან ჩამოიხსნა, იატაკზე დაახეთქა და ყველა ჯიბე რამოდენიმეჯერ გულმოდგინედ მოისინჯა, მაგრამ ... მაგრამ ახლა საჭირო იყო რაღაც გამოსავალი ეპოვა.

ძელსკამზე თავისუფალი ადგილი მონახა და ჩამოჯდა.

– რა ვქნა, როგორ მოვიქცე, – ფიქრობდა ის.

უკვე კუჭმაც შეახსენა თავი. დილის მსუბუქი საუზმის შემდეგ არაფერი ეჭამა.

მისი სამყოფელიდან ბილეთების სალარო ჩანდა და კარგად დაინახა ბილეთების გამყიდველი, ულამაზესი რუსი გოგონა. უცებ სახე გაუნათდა. სკამიდან წამოვარდა, ჩანთა აიღო და ბილეთების სალაროსთან გრძელ რიგში ისევ ჩადგა. რიგი საკმაოდ სწრაფად მიიწევდა წინ, რადგან ბევრ რეისზე ბილეთები არ იყო. ზურაბის რიგი მალე მოვიდა. ტანმაღალი ზურაბი მოლარისაკენ დაიხარა, გადაშლილი პასპორტი წინ დაუდო და ისე რომ მის უკან მდგომთ არ გაეგონათ, ხმადაბლა უთხრა:

– ნატალია ივანოვნა, სხვა გამოსავალი ვერ მოვიფიქრე და ისევ თქვენ უნდა მიშველოთ.

მოლარემ ზურაბს შეხედა. შეხედა და გაშეშდა. მერე ცისფერი თვალები რატომღაც გაუცისკროვნდა, სახეზე მცირე სიწითლემაც გადაურბინა. გოგო ისეთი აღტაცებით შესცქეროდა ზურაბს, რომ ცოტა ხანს ზურაბიც დაიბნა. დაიბნა, მაგრამ მალე მოეგო გონს და:

– ნატალია ივანოვნა, – თითქმის ჩურჩულზე გადავიდა ზურაბი, – ფული არა მაქვს. ახლა იმის ახსნას არ დავიწყებ, რატომ, რა მოხდა და როგორ, რადგან ჩემს უკან რიგში მდგომი ხალხი უკვე აჩოჩქოლდა ჩემი შეყოვნების გამო. თბილისის რეისზე ბილეთი მინდა. თქვენი სახელი, გვარი და მამის სახელი უკვე ჩავიწერე სალაროზე მიკრული წარწერიდან. მისამართი კი არ მჭირდება, ფულს ფოსტამტის საშუალებით გამოგიგზავნი საქართველოში ჩასვლისთანავე.

გოგონამ, თითქოს ბურანიდან გამოვიდაო, ორივე ხელით თვალები მოისრისა. მერე აუჩქარებლად გააფორმა ბილეთი, პასპორტში ჩადო, პასპორტი დახურა და ზურაბს გაუწოდა.

მაინც მოულოდნელობისაგან დაბნეულმა ზურაბმა გოგონას ხეირიანად მადლობაც ვერ გადაუხადა, ისე გამოვიდა რიგიდან.

– კარგ ფრენას გისურვებ, ზურაბ რამაზოვიჩ, – დაეწია მოლარის ხმა ჩქარი ნაბიჯით მიმავალს, – არ დააგვიანო, მალე ბილეთების რეგისტრაცია დაიწყება თქვენს რეისზე. ფულს კი ნუ გამომიგზავნი, არაა საჭირო.

სალაროდან უკვე საკმაოდ დაშორებულმა ზურაბმა პასპორტი გაშალა და გული შეუქანდა. პასპორტში ბილეთთან ერთად წითელი თუმნიანიც იდო. ეს ნიშნავდა, რომ სხვების შეუწუხებლად კარგი სადილი და მერე თბილისიდან მის ქალაქში ჩასვლაც გარანტირებული ჰქონდა.

ისადილა. თბილისშიც ჩაფრინდა და მშობლიურ, ზღვისპირა ქალაქშიც უპრობლემოდ დაბრუნდა.

ზურაბ მიგლაძე ქართველი იყო. ნამდვილი ქართველი იყო და მაშასადამე ცოტა დარდიმანდიც და ცოტა დაუდევარიც და რაც მთავარია, ცოტა დღემეხვალიეც. დღეს, ხვალო, დღეს, ხვალო და...

და ამასობაში თითქმის ერთი თვე გავიდა და ზაფხულიც მოვიდა.

ზღვისპირა ქალაქი რუსი ტურისტებითა და დამსვენებლებით გაივსო. ამან ზურაბს დავიწყებულივით რუსეთი გაახსენა. გაახსენა და შუბლში იტკიცა ხელი, ეს რა მომივიდა, ეს რა სირცხვილი ვჭამე, ვაი ჩემს ბიჭობასო.

ვოლგოგრადელი მოლარე გოგონას სახელ-გვარი ვერაფრით გაიხსენა და სახლში გავარდა სარუსეთო ბლოკნოტით ამის დასადგენად. მონახა, ორმოცდათმანეთიანი და ავიაკონვერტი მოამზადა. ფული რომ დამალულიყო, ასიგნაცია გაკეცილი ქაღალდის შუაში მოაქცია და კონვერტში ჩადო. მოთხოვნის შესაბამისად კონვერტზე შეავსო საით და საიდან, ვის და ვისგან. კონვერტის დაწებება რომ დააპირა, უცებ ჩაფიქრდა. უცებ კი ჩაფიქრდა, მაგრამ ფიქრი საკმაოდ ხანგრძლივი გამოუვიდა. შორეთში თვალებგაქცეულს ხანდახან ეშმაკურად ჩაეღიმებოდა, ხანდახან თავსაც გადააქნევ-გადმოაქნევდა. სახლში მარტომყოფი ისევ თავისით გამოერკვა ფიქრებიდან თუ ოცნებიდან. დასალუქად გამზადებული კონვერტიდან ქაღალდის ფურცელი უკანვე ამოიღო და „ქართული რუსულით“ მასზე დაწერა:

„ნატაშა!

ჩემთან გეპატიჟები. მისამართი კონვერტზე მიწერია. ჩამოდი. ეს ზაფხული ერთად გავატაროთ. ვიცი, რუს ქალებს ძალიან გიყვართ ქართველი კაცები. გელოდები“.

ზაფხული გავიდა.

ზურაბს ნატაშა აღარ გახსენებია.

ზურაბი ხშირად მიდიოდა ფოსტამტში, რადგან ნაცნობები წერილებს ხშირად იქ უგზავნიდნენ. შემოდგომით წერილი ნატაშასაგანაც მიიღო. ახლა რაღა დროს წერილიაო, გაიფიქრა მან, როცა კონვერტზე დახედა. ფოსტაშივე ჩამოჯდა დაბალ, მრგვალ მაგიდასთან წრიულ ძელსკამზე. კონვერტიდან წერილი ამოიღო. წერილი საკმაოდ დიდი იყო და ერთი ისიც გაიფიქრა, საერთოდ წავიკითხო თუ არაო. მაგრამ წერილის დასაწყისს რომ დახედა, გაოცდა. იქ ქართულად, ქართული ასოებით ბატიფეხურად ეწერა: „ჩემო ზურიკო!“. დანარჩენი კი რუსულად, ულამაზესი რუსული კალიგრაფიით გრძელდებოდა: „დედა არ მახსოვს. მისი პირველი შვილი ვიყავი და ის ჩემს მშობიარობას გადაჰყვა. მამაჩემი სამხედრო მფრინავ-გამომცდელი იყო. მან გამზარდა. სკოლაში მეათე კლასში ისე გადავედი, რომ მისგან უზარმაზარი სითბო და სიყვარული არ მომკლებია. ყველა სურვილს მისრულებდა და თავს მევლებოდა. როგორც იტყვიან, ცივ ნიავს არ მაკარებდა. ყოველნაირად ცდილობდა უდედობა არ მეგრძნო. ხელმეორედ დაოჯახება არც კი უფიქრია. როგორ მიყვარდა მამა, როგორ მიყვარდა, ბევრი ვერც კი წარმოიდგენს. უკვე გითხარი, ასე გაგრძელდა მეათე კლასამდე-მეთქი. მეათე კლასში კი ბედმა კიდევ ერთი უბედურება დამატეხა თავს. ერთ-ერთი საცდელი ფრენისას მამაც დამეღუპა. ახლა მიკვირს კიდეც, როგორ გადავიტანე იმხელა ტკივილი. ახლო ნათესავი არავინ მყავს. მამაჩემის მეგობრებმა მიშველეს. მათ რუსული სამხედრო ტრადიციით პოლკის შვილობილად მაღიარეს და ჩემზე მშობლებივით ზრუნავდნენ. ზრუნვაცაა და ზრუნვაც. ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ჩემს სიყვარულში. ადრე ძალიან კარგად ვსწავლობდი. მამაჩემის დაღუპვის შემდეგ კი

ბოლო სამი მეოთხედი ისე გავიდა, წიგნის ხელში აღება ვერ შევძელი. სკოლა მაინც დავამთავრე. კი არადა, ადრე კარგი სწავლის წყალობით მისაღები გამოცდებიც კარგად ჩავაბარე და უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლის დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტი გავხდი. სამსახურიც მამაჩემის მეგობრემა მიშოვეს. სად, ეს უკვე შენც იცი.

თავსდატეხილმა უბედურებამ უდიდესი დეპრესია გამოიწვია ჩემში. ვერავისთან მოვახერხე მეგობრობა, ვერც თანაკლასელებსა და თანაკურსელებთან, ვერც სამსახურში, ვერც გოგონებთან და ვერც ვაჟებთან. ჩემთვის გართობა და დროსტარება არ არსებობდა. ნელ-ნელა საკუთარ თავში ჩავიკეტე. სამსახურისა და სწავლისაგან თავისუფალ დროს მარტოდმარტო ვიჯექი ჩემს უზარმაზარ ბინაში ისე, რომ არც არავის ველოდებოდი და არც არსად მივდიოდი.

შვებას ახლა მხოლოდ მხატვრული ლიტერატურის კითხვისას ვგრძნობდი. ვკითხულობდი და ჩემს წარმოდგენებში ხან ნატაშა როსტოვა ვიყავი და ხან კატია მასლოვა, ხან ვინ და ხან ვინ. კითხვის შემდეგ სიზმრებიც ფერად-ფერადი მესიზმრებოდა. ხილვებში ხშირად ცხენზე ამხედრებული პრინციც მეწვეოდა. რაც ცხოვრებაში მაკლდა, წიგნებითა და სიზმრებით ვივსებდი.

ასე გავიდა ოთხი წელი.

თითქოს ახალი ცხოვრებისათვის ვემზადებოდი და უკვე სურვილი გამიჩნდა, რეალურ ცხოვრებაშიც გამომჩენოდა ნამდვილი პრინცი.

ბედმა დიდხანს არ მალოდინა.

ერთხელ ბილეთების სალაროში მჯდომმა ქართული აქცენტით ნათქვამი სიტყვები გავიგონე. თავი მაღლა ავწიე და, ღმერთო ჩემო, თვალებს ვერ დავუჯერე. ჩემს წინ ნამდვილი პრინცი იდგა! ის, ვისაც მანამდე მხოლოდ ხილვებში ვხედავდი და ვეტრფოდი. გავშეშდი, თვალები გამიცისკროვნდა, სახეზე მცირე სიწითლემაც კი გადამირბინა. აღტაცებული შევსცქეროდი და მგონი, ცოტათი ჩემი პრინციც კი დავაბნიე. ყურები დამეხშო და მხოლოდ ჩემი გულის გაძლიერებული ბაგი-ბუგი მესმოდა.

ეს პრინცი შენ აღმოჩნდი, ჩემო სიხარულო. ჩემო ზურაბ, თქვენებურად და ახლა უკვე ჩემებურადაც, ჩემო ზურიკო! ზუსტად, ზუსტად ადრე ხილვებში არაერთხელ ნანახს ახლა ჩემს წინ გხედავდი, ახოვანს, ფართო მხარბეჭიანს, დატალღურ წაბლისფერთმებიანს, მოსიყვარულე ზღვისფერთვალებიანს...

წახვედი.

წახვედი და ისევ ამიფორიაქდა ძლივს დამშვიდებული სული. ამიფორიაქდა, ოღონდ ახლა ეს სულ სხვა ფორიაქი იყო. დავკარგე ძილი და მოსვენება, მაგრამ ახლა ეს ნეტარებისაგან იყო. ღმერთო, რა ბედნიერი ვიყავი! ბედნიერი, რადგან მანამდე ჯერ არგანცდილი გრძნობა მეწვია. ამ გრძნობამ აღმანთო და ამაბრიალა. უცეცხლოდ ვიწვოდი და შველა არსაით იყო. შენ, შენ გხედავდი ჩემო სიყვარულო თვალებახელილი თუ თვალებმინაბული. სიცოცხლის გამჩენს ვლოცავდი. ოცნება და ნატვრა მექცა იმედად. ნატვრაში გადიოდა სიყვარულით გაცისკროვნებული დღეები. ვნატრობდი და მჯეროდა, რომ კიდევ გამოჩნდებოდი. მაგრამ ნატვრა, ნატვრად რჩებოდა.

ქალაქის ფოსტამტი ჩემს სახლთან სულ ახლოსაა და დღეში რამდენჯერმე ჩავდიოდი. იქ უკვე ყველა მცნობდა, ყველა ხვდებოდა ჩემი დიდი მოლოდინის შესახებ და დანახვისთანავე შორიდან მანიშნებდნენ შეწუხებული სახით, შენს სახელზე არაფერიაო. ახლა ვნანობდი, განშორებისას დაუფიქრებლად რომ მოგაძახე, ფული არ გამომიგზავნო-მეთქი. არა, ფულს კი არ ვნანობდი, ვნანობდი იმას, რომ თუ ფულს გამომიგზავნიდი, ეგება ორიოდე თბილი სიტყვაც მოგეწერა ჩემთვის, რაც მალამოდ დაედებოდა ჩემს დაკოდილ გულს, ჩემო ოცნების ბიჭო! ვნანობდი იმასაც, რომ მაშინ არ ვნახე შენს პასპორტში, რომელი ქალაქიდან იყავი, თორემ ფეხით ჩამოვიდოდი და მაინც მოგნახავდი. მისამართის არცოდნის გამო ვერც წერილს გიგზავნიდი.

ტანჯვა-ნეტარებაში გავიდა ერთი თვე.

ფოსტამტში მორიგი მისვლისას ზეცა გამეხსნა. ნანატრი წერილი მივიღე.

კონვერტით ხელში სახლის კიბეებზე პეპელასავით ავფრინდი. გულს ბაგი-ბუგი გაჰქონდა და მკერდიდან ამოვარდნას ლამობდა. სულმოუთქმელად კონვერტი გავხსენი, ქაღალდში ჩადებული ფული მოუფიქრებლად მოვისროლე და წერილი გადავშალე:

„ნატაშა!

ჩემთან გეპატიჟები. მისამართი კონვერტზე მიწერია. ჩამოდი. ეს ზაფხული ერთად გავატაროთ. ვიცი, რუს ქალებს ძალიან გიყვართ ქართველი კაცები. გელოდები“.

მოულოდნელობისაგან გავხევდი.

ცა ჩამომენგრა.

ოცნების ოქროს კოშკი ხუხულასავით ჩამომეშალა.

დავსცქეროდი წერილს და ვერაფრით დამეჯერებინა, რომ ეს შენი სიტყვები იყო, ჩემი ოცნების რაინდის სიტყვები.

მაგიდასთან დიდხანს გაქვავებულივით ვიჯექი. ცნობიერება რომ დამიბრუნდა, ცრემლები ღაპაღუპით წამომივიდა. მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს, ბალიშს ცრემლებით ვნამავდი.

ეს რა მიყავი ერთნაირად საძაგელო და საყვარულო! ეს რა მაკადრე! როგორ დამამცირე და გამანადგურე. რუსი ქალების შესახებ ვიღაცას ნალაყბევს როგორ აჰყევი. ნუთუ თვითონ არაფერი წაგიკითხავს, ან არ გსმენია რუსი ქალების დიდ სიყვარულსა და ერთგულებაზე.

დიდხანს გაოგნებული ვიყავი. მერე სიყვარული სიძულვილში გადამეზარდა. შურისძიების სურვილმა შემიპყრო. მაგრამ ვისზე მეძია შური, როცა მთავარი დამნაშავე მე და ჩემი მოსიყვარულე გული ვიყავით. მოსიყვარულე, მოსიყვარულე გულმა მაინც ვერ გაგწირა. ისევ ისე მიყვარხარ. არა, არა, უფრო მეტად და უფრო ძლიერ.

ეს რა მაკადრე! როგორ გამიორმაგე გრძნობა.

ბოლოს მაინც სიყვარული მოერია სიძულვილს. ეს ჩემი მარცხი იყო, რომელსაც ვერასოდეს ვაპატიებ თავს.

სამსახურში კუთვნილი შვებულება ავიღე და მთელი ზაფხული სახლიდან არ გავსულვარ. დარდსა და სასოწარკვეთაში ვიყავი. შვებულების შემდეგ სამსახურში არ მივბრუნებულვარ. თვითნებურად მივატოვე სამუშაო.

ახლახანს ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებლობა განახლდა ციმბირში. კომკავშირული საგზურით იქ წასვლა გადავწყვიტე. მინდა რაც შეიძლება შორს ვიყო შენგან, იქნებ როგორმე გულში ჩავიკლა ჩემი ცალმხვრივი სიყვარული. ჩვენი ქალაქიდან ერთი დიდი ჯგუფი ამაღამ მივემგზავრებით. არ ვიცი, როდის დავბრუნდები და დავბრუნდები საერთოდ, თუ არა.

ჩემო დიდო დარდო და იმედის გაცრუებავ. ამის შემდეგ ბევრიც რომ მეძებო, ვერაფრით მიპოვნი. ვერ მიპოვნი იმიტომ, რომ რუსეთში ქალების თითქის ნახევარს ნატალია ჰქვია, ხოლო ივანოვა და ივანოვნა მლიონობითაა“.

ზურაბმა წერილის კითხვა დაამთავრა.

დაამთავრა და იგრძნო, რომ ძალიან, ძალიან, ძალიან დაპატარავდა.

სუნთქვა შეეკრა.

სუნთქვა შეეკრა და ყურები დაეხშო.

ყურები დაეხშო და ცხოვრებაში პირველად იგრძნო ჯერ საკუთარი გულის ბაგი-ბუგი და შემდეგ საშინელი ჩხვლეტა გულში.

სამბა დათვაძე

ძველ დროს ქედაში ერთი პოლიცმეისტერი ყოფილა – სამბა დათვაძე. ძალიან, ძალიან მაგარი კაცი. ბრგე და დაკუნთული, მორსავით მსხვილი კისრით, დიდრონი შავი და ბრიალა თვალებით, ნორმაზე მეტად შავგრემანი. მასზე ბევრ საოცარ ამბავს ჰყვებიან. არავინ უწყის, რომელია მათ შორის მართალი და რომელი – არა. ვაჟკაცობით ყოფილა განთქმული. მტერიც უცვნია და მოყვარეც. თავის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაში ტოლ-სწორი არ ჰყოლია. ქეიფი და დროსტარებაც ნამეტნავი ჰყვარებია. სხვებისაგან განსხვავებით სასმელებში კონიაკს ანიჭებდა უპირატესობას და მას მოფერებით კონიაღს თუ ყონიაღს ეძახოდაო. კიდევ ერთი თავისებურება ახასიათებდა თურმე: პარტიებიდან მხოლოდ ბოლშევიკთა პარტიას სცნობდა და აღმერთებდა. არც ერთ სხვა პარტიას პარტიად არ თვლიდა, მათი სახელის გაგონებაც კი არ უნდოდა. ერთხელაც, პარტია მე მხოლოდ ერთი ვიციო და ამის გამო მთავრობის დავალებით ცენტრიდან ქვედაში სამუშაოდ ასული გეოლოგების პარტიაც კი დაუფრენია. ეს ისე, სხვათა შორის...

იმ დროს თურმე ერთი პლატოელი ჩასულა კახაბერში და იქაური ხოხოტოღლებისაგან უზარმაზარი, შავი ბუღა უყიდია. წამოუგდია ბუღა წინ და დილა უთენია ხულოსაკენ შესდგომია გზას. შუადღე რომ გადასულა, ქედამდე აუღწევია. ბუღა მოგრძო საბლით მინდორში ჩაუბამს, წამოღებული საგზლით წაუსადილია და დასასვენებლად მინდორზე წამოწოლილა. გრძელი გზით დაღლილს ჩასძინებია. როცა გაუღვიძია, რას ხედავს, თუ რას ვერ ხედავს. სადღაა ბუღა! ბუღა ვიღაცას გაუტაცნია და მხოლოდ საბელიღა დაუტოვებია.

სიმართლე გითხრათ, ბუღის პატრონს მაინცა და მაინც არც უნაღვლია, რადგან იცოდა, რომ ის უკვე სამბა დათვაძის სამფლობელოში იყო, ამიტომ არც ქურდის და არც ბუღის პოვნა პრობლემა არ იქნებოდა. აუღია დროებით უსაქმოდ დარჩენილი საბელი, რომელსაც ბუღის პოვნის შემდეგ აუცილებლად დაასაქმებდა და ამ საბლის ჰაერში ტრიალით და „წყალს ნაფოტი ჩამოჰქონდას“ მელოდიის სტვენა-სტვენით წასულა პოლიცმეისტერის სანახავად. გაუკითხ-გამოუკითხავს მისი სამსახურის ადგილსამყოფელი, მაგრამ იქ მისულისათვის დამხვდურებს უთქვამთ, „ხაზეინს“ მეტად საპატიო სტუმრები ჰყავს ჩამოსული თუ ამოსული ცენტრიდან, რესტორანშია და მათთან ერთად ქეიფობსო. მას ახლა შენთვის არ სცალია, მით უმეტეს, რომ ათ-თხუთმეტ წუთში დღევანდელი სამუშაო დროც იწურებაო.

რას ჰქვია პოლიცმეისტერისთვის სამუშაო დროო, აუღელვებლად უთქვამს პლატოელს და რესტორანში თავზე დასდგომია სტუმრებთან ერთად მოქეიფე სამბას.

– შენ ხარ აქ კანონიერების უფროსი? – უკითხავს პლატოელს მისთვის ისე, რომ ხელში საბლის თამაში არ შეუჩერებია.

– კი, უფროსო! – ზრდილობიანად უპასუხნია თვითონ უფროსს. გისმენო.

– ვიღაცამ ბუღა მომპარა და უნდა მინახო! – ვითომც არაფერიო, ისე მოუწოდებია დაუყოვნებელი მოქმედებებისაკენ პლატოელს.

პოლიცმეისტერი დათვაძე ცოტა კი შებრაზებულა მოსულის მოუტიფრო ტონით, მაგრამ მაინც თავი შეუკავებია და ზრდილობიანად უთქვამს, ვიპოვნით, ვიპოვნით, აუცილებლად ვიპოვნით, მაგრამ საჩქარო არაფერია. ხომ ხედავთ, სტუმრები მყავს. თქვენც მოშივებული იქნებით, შემოგვიერთდით, სუფრა დაგვიმშვენეთ. სუფრას მოვრჩებით და თქვენს საქმესაც მივხედავთო.

კარგად მოგეხსენებათ, რას ნიშნავს ჯიუტი ანუ ინათიანი თუ ინადიანი კაცი. როგორც მთიელთა უმრავლესობა, ჩვენი პლატოელიც სწორედ ასეთი გამომდგარა და მკაცრად მოუთხოვია სამძებრო თუ საძიებო საქმის დაუყოვნებლივ დაწყება.

პოლიცმეისტერი ძალიან შეწუხებულა, სუფრასთანაც უხერხული დუმილი ჩამოვარდნილა. ეს დაძაბულობა თვითონ სამბა დათვაძეს მოუხსნია, რადგან პლატოელისთვის უთქვამს:

– ძებნა რომ დავიწყო, შენი ბუღის პორტრეტი მჭირდება, რომელიც, ცხადია, შენ არ გაქვს და სიტყვიერად მაინც აღმიწერე, რანაირია ის შენი ბუღა.

ნათქვამით კმაყოფილ პლატოელს თვალები რესტორნის ჭერისთვის მიუბრჯგენია, ერთ-ორჯერ საბელი თავის მუხლებზე გადაურტყამ-გადმოურტყამს და ნელ-ნელა დაუწყია:

– დიიიიდი, ვეეეებერთელა, შავი, მსხვილი კისერი, დიდრონ-დიდრონი შავი და ბრიალა თვალები...

პოლიცმეისტერს ბოლომდე არ მოუსმენია და დაუქუხია:

– მაშინ, მე ვარ ჰამან (ზუსტად) მასეთი, ბარემ მომაბი მაგი საბელი კისერზე და წამიყვანეო!

ნაძღევი

ზაფხულია.

საშინელი სიცხეა. შუადღის ხვატი დგას.

ინსტიტუტის ეზოში ვიმყოფებით. ეზოს ის კუთხე, სადაც ჩვენ ვსხედვართ, ხეებიდან მარაოსავით გადმოშლილი ტოტებითაა დაჩრდილული. ტოტები ხვიარა მცენარითაა დაბურდული. ხელოვნურ სოკოზე წყალი შადრევანად ამოსჩქეფს. ყოველივე ეს განსაკუთრებულ მიკროკლიმატს ჰქმნის ამ ადგილას და ძელსკამზე მჯდომარე ისე გრძნობ თავს, თითქოს ქალაქისაგან მოშორებით, სადმე ბუნების წიაღში იმყოფებოდე. თავისუფალ დროს ყველა აქეთ მოვიჩქარით.

ჩვენს კოლექტივს ქალბატონი ნარიც შემოუერთდა.

–– გამარჯობათ! – მოგვესალმა ის და ჩვენი საუბრის მოსასმენად მოემზადა, მაგრამ კოვზი ნაცარში ჩაუვარდა.

– გაგიმარჯოთ! – ვუპასუხეთ თითქმის ერთხმად ყველამ, მაგრამ ასევე შეთქმულებივით ყველამ ერთად შევწყვიტეთ საუბარი.

უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. ერთმანეთს შევსცქერით და რატომღაც ლაპარაკი ვერ გაგვიახლებია. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ახალმოსულისათვის რაღაც საიდუმლოზე ვსაუბრობდით.

უხერხულობის მოსახსნელად ნარის დაუფიქრებლად ვეკითხები:

- რა არის, ნარი, სულ ამბობ, ჩემი მეუღლე ქვეყნის სპორტულ ცხოვრებაში წამყვანი ფიგურააო და მისი სურათი სტენდზე რატომ არ არის?

– რომელ სტენდზე? – ყურები სცქვიტა ნარიმ.

– ბულვარში, ჩოგბურთის კორტების კედელზე.

– მერე და ვინ სთქვა, რომ არ არის? – თავს იწონებს ის.

– არ არის, ჰო!

– თვალებს კარგად უნდა გახელა! – აქეთ გადმოდის შეტევაზე.

– ახლომხედველი კი ვარ, მაგრამ ბრმა კი არა. იმ სტენდზე შენი მეუღლის სურათი ნამდვილად არ არის.

– კაი, რა!

– რაა კაი!

– კაი ერთი! სხვა რამე ვერ ნახე სალაპარაკო?

– არ არის, ჰო, მართლა არ არის! – იქედნურად ვეუბნები მე და მინავლებული ცეცხლის გაღვივებას ვცდილობ.

– არ არის კი არა და... შენ რავა სულ ხუმრობ.

– რას ვხუმრობ, გოგო. მეც გამიკვირდა და იმიტომ გეუბნები.

– ეჰ! – იხტიბარს არ იტეხს ნარი და თვალს ავლებს დანარჩენებს. – მოდი, ვინაძლევოთ! – უცებ ფეთქდება ის.

– ნაძლევი რა საჭიროა. – საქმეს განგებ ვჯანჯლავ მე.

– მაშინ გაჩუმდი!

– არ გავჩუმდები. შენი მეუღლე არაფერი ფიგურაც არ ყოფილა, ტყუილად ტრაბახობდი.

– მე ვტრაბახობდი?

– აბა მე?

– დამენაძლევე! – მეუბნება მთლად გაწიწმატებული.

– რას დაგიჩემებია დამენაძლევე, დამენაძლევეო, ეს საქმის ვითარებას შეცვლის თუ რა. მე იმის თქმა მინდოდა, ტყუილად ტრაბახობდი-მეთქი.

– მე ვტრაბახობდი?

– შენ!

– ჩემი თვალებით მაქვს ნანახი ის სტენდი და თანაც, მისი სურათი ყველაზე საპატიო შუა ადგილასაა, – ამხელს საიდუმლოს ნარი.

– მეც მასე მეგონა, მაგრამ რომ ვერ ვნახე, გაწბილებული დავრჩი.

– უთხარით დამენაძლევოს, ხალხო! – საშველად სხვებს მიმართავს ნარი, სხვები კი შეთქმულებივით ხმას არ იღებენ.

ნარი სახეზე აილანძა, სიბრაზე მოერია, ადგილზე ცქმუტვა დაიწყო. ხანდახან რაღაცის თქმას დააპირებს, მაგრამ ვერ გადაუწყვეტია. ვგრძნობ, რომ მდგომარეობა თანდათან იძაბება.

– კარგი ჰა, ვინაძლევოთ! – ვთანხმდები ბოლოს.

– მოდი! – გახარებულია ის.

– მოდი! – ხელს ვუწვდი მე.

– რაზე? – ხელს მართმევს ის.

– რაზედაც გინდა.

– შენ თქვი!

– არა, შენ თქვი!

– რადგან შენ წამოიწყე, სანაძლეოც შენ თქვი, – დათმობაზე მოდის ის.

– დანაძლევება შენ შემომთავაზე, ამიტომ სანაძლეოც შენ დაასახელე, – ჯენტლმენობაზე თავს ვდებ მეც.

– არა შენ!

– არა!

– მაშიიინ... – ამბობს ის და ვერ მოუფიქრებია.

– ჰო! – ვაქეზებ მე.

– მაშიიიინ... – თვალები შეაქანა მაღლა.

– ჰო!

– მაინც შენ თქვი.

– არ ვიტყვი!

– რატომ?

– არ ვიტყვი!!
– რატომ?
– თუნდაც იმიტომ, შენ რომ დაასახელებ და წააგებ, მერე წაგებულზე უარს ვერ იტყვი.
– მე წავაგებ?
– შენ!
– და უარს ვიტყვი?
– არ ვიცი.
– რა არ იცი?
– იტყვი თუ არა უარს.
– შენ მე ვინ გგონივარ?
– არავინაც არ მგონიხარ.
– დაასახელე. – უკვე ხვეწნაზე გადმოდის ის და ცოტათი მშვიდდება.
– მე რა შუაში ვარ. – წყალს ვუწურავ მე.
– გთხოვ, რა.
— ტყუილად მთხოვ.
– გთხოვ!
– ნუ მთხოვ!
– ოხ, იცოდეეე...
– რა ვიცოდე.
– ოხ, იცოდეეეე...
– რა ვიცოდე?
– ღმერთო, რა ვქნა, ა?
– მოდით, სანაძლეოს მე დავასახელებ და მევე გავჭრი! – ბოლოს ჩაგვერია მერი, რომელიც აქამდე სხვებთან ერთად გატრუნული გვისმენდა.
– თანახმა ხართ? – გვკითხა მან.
– კი.
– დიახ. – თითქმის ერთდროულად ვუპასუხეთ ორივემ.
– ხუთი ბოთლი ჩაცივებული შამპანური ხილთან და ყავასთან ერთად, – გამოაცხადა მერიმ.
– თხუთმეტი! – დავბასე მითხრა ნარიმ.
– ათი. – დავის თქმით დავკმაყოფილდი მე.
– თხუთმეტი!
– ათი!
– თხუთმეტი!
– მაშინ არ გენაძლევები. – ამდენი ნაწვალები კინაღამ წყალში გადავყარე მე.
– კარგი, ათი იყოს, – დათმო ნარიმ.
– კარგი, თხუთმეტი იყოს, – თავი მოვიყრუე და დავთმე მეც.
– მოვიდა!
– მოვიდა!
– თანახმა ხართ? – გვკითხა მერიმ.
– კი, – ერთდროულად ვუპასუხეთ ჩვენ.
– ვინც არა?!
– ქინცარა. – დავრჩით კვლავ ერთსულოვანნი.

მერიმ სანაძლეო ჩაჭრა.

ახლა, ამ თაკარა სიცხეში, სამივე კორტებისაკენ მივდივართ.

ნარი – მიფრინავს თავის ორმაგ გამარჯვებაში დარწმუნებული.

მერი – ჩემთვის სულერთიას გრძნობით.

მე?

მე – რა მე.

მე – რა მენაღვლება. ხსენებული სტენდი, რომელიც ორი წელიწადი ხსენებულ ადგილას ეკიდა და რომლის ცენტრშიც, მართლაც დამსახურებული კაცის – ნარის ქმრის სურათი იყო, დღეს დილით ზღვიდან მომავალმა ვნახე, რომ სარემონტო სამუშაოების დაწყების გამო ჩამოეხსნათ!

წისქვილი

წისქვილის გამოგონებამდე მარცვლეულის დასაფქვავად სხვადასხვანაირ სასრესლებსა და სანაყავებს იყენებდნენ. ძველ ქართულში ფქვილი ეწოდებოდა იმ ქვას, რითაც მარცვლეულს ფქვავდნენ. როცა მოიფიქრეს და ქვის დასატრიალებლად წყალი მიუშვეს, ამ ქვას ანუ ამ ფქვილს – წყლის ფქვილი ეწოდა, შემდეგ კი მივიღეთ ტერმინი წისქვილი თანამედროვე გაგებით. თვით წისქვილის ქვას, რასაც ადრე ფქვილი ერქვა, დოლაბი დავარქვით. წისქვილები სხვადასხვანაირია, მაგრამ მე ჩვენებურ წისქვილზე მოგახსენებთ.

„ვინც რა უნდა თქვასო, წისქვილმა კი ფქვასო“, ჰოდა, მეც უნდა ვფქვა და წისქვილმაც – ფქვას.

დიდებულ პოეტს, ლადო ასაათიანს, მრავალ „ტკბილებს“ შორის არც წისქვილი გამორჩენია და ნახეთ, რა ლამაზად ამბობს:

„ტკბილია, როგორც წისქვილში
მთვარიან ღამის გათევა...“.

ახლა მითებში ჩაძირულ მითიურ შოთა ნიშნიანიძეს მოვუსმინოთ:

„ღამ-ღამობით ღელეში,
ვიღაც ებრძვის წისქვილებს,
ხან ხმამაღლა იცინის,
ხან ხმადაბლა ქვითინებს“.

უწისქვილოდ სოფელი ჯერაც ვერ წარმომიდგენია.

დედაჩემი, ჩემი ნენეი, ცუდ სიზმარს თუ ნახავდა, თუნდაც ზამთრის თოვლი და ყინვა ყოფილიყო, დილა-უთენია ადგებოდა, უზრახავად გავიდოდა სახლიდან, მიდიოდა წისქვილთან და ღელეს უყვებოდა ამ სიზმარს. წინაპრებიდან იცოდა, სიზმარში ნანახ ცუდ ზმანებას წისქვილგამოვლილი წყალი წაიღებსო.

– ჭო, მაქფერი კაი სამა ჰად ისწავლე? – შეეკითხებოდნენ ძველად მაჭახელში ქორწილში მოცეკვავე ახალგაზრდა ბიჭს, მაგრამ შეკითხვის ადრესატს, წინასწარ მომზადებულივით, სხვა დაასწრებდა პასუხს:

– ჰადა და წისქვილში!

კი, მოლაყბეს ეტყოდნენ, ნუ ერახუნები მოუკოდავ წისქვილივითო, მაგრამ კარგად მოკოდილ წისქვილს თუ გულისყურით მოუსმენდით, ამბების მოყოლა მართლა შეეძლო. ამბები კი ბევრი იცოდა, რადგან ბევრის მომსწრე და მნახველი იყო.

აი, მაგალითიც:

მზის სინათლეში შვიდი ძირითადი ფერია, რაც ცისარტყელაშიც ჩანს:

წ–ითელი,
ნ–არინჯისფერი,
ყ–ვითელი,
მ–წვანე,
ც–ისფერი,
ლ–ურჯი,
ი–ისფერი

თანმიმდევრობით მის დასამახსოვრებლად მოფიქრებული წინადადება, წისქვილის ამ საოცარ თვისებაზეა აგებული:

„წ–ისქვილი
ნ–ელა
ყ–ვება
მ–ეწისქვილის
ც–ოლის
ლ–ამაზ
ი–სტორიას“.

ამ ნათქვამში ყველა სიტყვა იწყება იმავე ასოზე, რა ასოთიც იწყება სინათლის თითოეული ფერის სახელწოდება.

წისქვილზე სათქმელს რა გამოლევს...

ზაფხულია. შუაღამეა და საზაფხულო ბარიდან თითქმის ტროტუარზე გამოტანილ მაგიდას ორნი ვუსხედვართ, მე და ერთი დანდალოელი, ასაკით ჩემზე ბევრად უფროსი კაცი. ჩვენებური სოფლის სადღეგრძელოს ვამბობ. ის შეხმიანებას აგვიანებს. ორივე ვდუმვართ, ორივე ფიქრებმა წაგვიღო.

– იცი, – მეუბნება მერე ის, – ახლაც კი, ძილის წინ ბურანი რომ შემომეხვევა, ხშირად ისეთივე თბილი, ტკბილი, აუხსნელი შეგრძნება მაქვს, როგორიც მრავალი წლის წინ, ბავშვი რომ ვიყავი და სოფელში რომ ვცხოვრობდი. ჩვენს სახლთან პატარა ღელე ჩამოდიოდა. ამ ღელეზე წისქვილი იყო გამართული. ღამით, ძილის წინ, დედა ფეხებზე საბანს რომ შემომიკეცავდა და ყველაფერი მიწყნარდებოდა, რულმოკიდებულს ჯერ წისქვილის დოლაბის მოღუღუნე ბანი მესმოდა, ძილში კი ჩამოცლილი ხვიმრის გამო სარეკელას მიერ ატეხილი ტაშ-ფანდურის ხმა მაცილებდა... ეს შეგრძნება დღესაცაა ჩემში და, ალბათ, სიცოცხლის ბოლომდე გამყვება.

რა უნდა მეთქვა?

ჩემი თანამეინახე ქართული ხალხური მრავალხმიანი სიმღერების კარგი მცოდნე იყო და პოეტური სულიც რომ აღმოაჩნდა, ფრიად მესიამოვნა. მივხვდი, მასთან ქეიფი დილამდეც შეიძლებოდა და სასმისები უფრო ენერგიულად შევავსე მორიგი სადღეგრძელოს სათქმელად...

— მეეეე!

(ვუძღვნი პატარა შ. ბ.-ს)

პატარა შოთიკო უცნაური ბიჭი იყო. ყველაფერს ითხოვდა.

– მეეეე! – გაიძახოდა ყველაფერზე.

მეეე თხას ჰქვია, შენ კი ჯერ თიკანიც არ ხარო, ეტყოდა ყოველთვის ბებოც და შვილიშვილს გულში ჩაიხუტებდა.

შოთიკო ქალაქში ცხოვრობდა და თხა რა იყო, არ იცოდა.

გადიოდა დრო, შოთიკო კი თავისას არ იშლიდა:

– მეეეეეე! – გაჰყვიროდა წამდაუწუმ, – მე არ მინდაააა? მე არ წამიყვااანთ? მე არ დამალევინეეებთ? მეეე! მეეეეე!

მეეეე თხას ჰქვიაო, თავისას არ იშლიდა ბებოც.

შოთიკო სოფელში პირველად წაიყვანეს.

ეზოში თამაშისას, ერთხელ შოთიკომ ღობის გარეთ უცნაური ცხოველი დაინახა. უცნაური ცხოველი ძაღლსავით ოთხფეხა კი იყო, მაგრამ ძაღლს სულაც არ ჰგავდა. მას თავზე, ყურებს ზემოთ ორი მორკალული და წვეტიანი ღერო ჰქონდა, ნიკაპს ქვეშ კი გრძელი და ცანცარა წვერი უთამაშებდა. ეს უცნაური ცხოველი უცებ უკანა ფეხებზე დადგა, წამოიმართა და წინა ფეხები ღობეზე გადმოაწყო. ბრიალა თვალებით ეზო მიმოათვალიერა. გაოცებულ და ცოტათი შეშინებულ შოთიკოს ხელში წითელი ვაშლი დაუნახა და დაიპეტელა:

– მეეეეე!

შოთიკომ ვაშლი მოისროლა და ეზოში მოფუსფუსე ბებოსაკენ გაენთო ყვირილით:

– თხა, ბებო, თხაა ჩვენს ეზოსთან!

– რა იცი, რომ თხაა? – ღიმილით, ხელებგაშლილი შეეგება ბებო.

– ჩემსავით მეეეეეეეს ყვირის, – მიახარა შოთიკომ.

თეთრი როიალი ანუ ერთგულება ქალისა

(„მესიზმრებიან თვალებახელილს“)

ნოდარ დუმბაძეს თავის ერთ-ერთ წერილში მოჰყავს პირველი სტროფი შოთა ნიშნიანიძის ცნობილი ლექსიდან „აფხაზური კანტატა“:

„ჩემი მორდუ აფხაზეთში იზრდებოდა თარბებთან,

ბადეს შლიდა... და მშვილდ-ისრით ტყეში ნადირს არბევდა.

ხვიჩას ზრდიდნენ აფხაზები ჩაუქად და რაინდად,

ბეჭზე ორბად შეუფრინეს „ურაიდა-რაიდა“.

და შემდეგ ამბობს: „ეს ხომ ჩემზეა დაწერილი, ეს ხომ მე ვარ?! ნესტორ ლაკობა, მისი ლამაზი მეუღლე სარია და მათი მერცხალივით ბიჭი რაუფი გამახსენდა. ჩემზე უფროსი იყო ცოტათი რაუფი. ფეხბურთის თამაშს მასწავლიდა ქუჩაში. ასფალტზე მუხლგადაყვლეფილს იოდს როგორ მასხამდა შეწუხებული სარია, ის მახსოვს. ისიც მახსოვს, როგორ მითათუნებდა ლოყაზე ხელს ნესტორი და როგორ მაწყნარებდა – გაჩუმდი, ვაჟკაცის ტირილი ვინ გაიგონაო. რაუფის დამნაშავე თვალებიც მახსოვს.

აფხაზი ბიძაჩემის, ზოსიმეს ხმამაღალი სიცილი და დეიდაჩემის, მაროს საყვედურიანი ხმა მესმის: ბიჭო, სულ სარა ბარაბზია ბზბოიტი (მე შენ მიყვარხარ), როდემდე უნდა იძახო, სხვა რამეც ისწავლე აფხაზურადო. თავად, ქმრის ხათრით ისეთი აფხაზური ისწავლა, რომ აფხაზურად საბავშვო მოთხრობა დაწერა და წიგნადაც გამოაქვეყნა.

ცოდვას ვერ ვიტყვი, ბიძაჩემიც კარგი მოქართულე გახლდათ და აფხაზს ვერ ნახავთ, მეგრული რომ არ იცოდეს“. – ასე ამთავრებს ნოდარ დუმბაძე თავის მოგონებას.

ახლა კი მინდა ნოდარის დაწყებული ამბავი გავაგრძელო და საოცარი სარიას საოცარი ამბავი გიამბოთ:

* * *

საღამო ხანია. ბათუმის უნივერსიტეტში შევდივარ. ფოიეში თეთრი როალი დაუდგამთ, სამეფო მუსიკალური ინსტრუმენტი. ვუყურებ. მის კლავიშებზე სტუდენტი ვაჟის თითების ნიავი დაჰქრის და საამო მუსიკის ჰანგებს აჟღერებს. სხვა სტუდენტები პირდაპირ მარმარილოს კიბეების საფეხურებზე ჩამომსხდარან და გარინდებული უსმენენ. სასიამოვნო შეგრძნების გამო ოდნავ შევყოვნდი. ვერ დავაფიქსირე, რა ნაწარმოები იყო, ალბათ, სულაც უცნობი. უკვე კიბის საფეხურებზე აღმა მიმავალმა კი, მთელი სიცხადითა და სიძლიერით შევიგრძენი, რომ ჩემში სულ სხვა მუსიკა ბორგავდა და ჰქუხდა. და ეს იყო ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის „ოდა სიხარულს“.

თეთრი როიალი... თეთრი როიალი... ბეთჰოვენი.

ფიქრებში წარსულის სურათები ამოტივტივდა.

ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მმართველობის დასასრული ჯერ კიდევ საკმაოდ შორს იყო, როცა დიდი ხნით თაროზე შემოდებული, გამაოგნებელი ფილმი, თენგიზ აბულაძის „მონანიება“ გამოვიდა ფართო ეკრანებზე. მართლა გამაოგნებელი, მართლა! საზოგადოება შოკში იყო. ჰოდა, იმ ფილმში არის უცნაური სცენა. კაშკაშა სინათლით გაცისკროვნებულ ბაღში თეთრ როიალზე შემომჯდარი თუ ნახევრად წამოგორებული თემიდას მსახური ხანგრძლივი, სასტიკი წამებისაგან ჯანგატეხილ, ნახევრად შეშლილ კორინთელს უკვე მერამდენედ უტარებს დაკითხვას. სრული კონტრასტი უზარმაზარ შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებელზე. ერთის მხრივ – თეთრი, დიახ, თეთრი, ქათქათა როიალი, ელეგანტურად ჩაცმული გამომძიებელი „ბაბოჩკით“, სამოთხის ნათელით გაკაშკაშებული გარემო და იქით კიდევ გაუბედურებული ადამიანი, რომლისთვისაც ყველაფერს აზრი დაუკარგავს და გარდუვალი აღსასრულის მოლოდინშია.

მეორე სცენა იმავე ფილმიდან. მტანჯველთა მიერ მოწყობილ ჯოჯოხეთის მსგავს ჯურღმულში ჩაგდებული ხელოვანი ჯვარსაა ნაცვამი, მის სახეზე საშინელი წამების კვალია აღბეჭდილი. და აქაც კონტრასტი: მთელი ძალით ჟღერს „ოდა სიხარულის“ ფინალი.

თეთრი როიალი... სასტიკი რეპრესიები.

* * *

დიდი ხნის წინ მე და ჩემი ბიძია, ზია მსხალაძე ბათუმში სახლის ფანჯრიდან გარეთ ვიცქირებით და ვსაუბრობთ. როდესაც მორიგი პაუზა ჩამოვარდა, მან მოულოდნელად საუბრის თემა შეცვალა, ქალაქში ერთი სახლისაკენ თითი გაიშვირა და მეუბნება:

– ზურაბ, იქ ერთ დროს ჯიხ-ოღლების ბედნიერი ოჯახი ცხოვრობდა. მერე ოჯახი გაუბედურდა. ოთხი ძმა დაიკარგა ოჯახიდან.

ტერმინი დაკარგვა ცნობილი რეპრესიების შემდეგ გაჩნდა ჩვენში და დაშინებული ხალხი დახვრეტისა და სამუდამო გადასახლების სანაცვლოდ ხმარობდა ამ სიტყვას.

– რამოდენიმე წლის წინ, – განაგრძო დაწყებული ამბავი ბიძიამ, – თბილისში შინსახკომის დიდი თანამდებობის პირი გარდაიცვალა. ადრე, რეპრესიების პერიოდში, ის აჭარაში მუშაობდა და გასვენებაში აჭარიდანაც ჩავიდნენ. ჩავიდნენ და მათ ჯიხ-ოღლების ოჯახიდან გამქრალი თეთრი როიალი იმ კაცის თუ არაკაცის ოჯახში ნახეს!

თეთრი როიალი! რეპრესიები!

ჯიხ-ოღლები, იგივე ჯიხაძე – ჯიხაშვილები წარმოშობით კირნათიდან არიან. მე კარგად ვიცნობდი და ვიცნობ ამ გვარის ბევრ წარმომადგენელს, რადგან კირნათის სკოლა-ინტერნატი დავამთავრე. სკოლის პირველი დირექტორიც ჯიხაძე იყო, მერაბ (მევლუდ) ჯიხაძე, სახელოვანი კაცი.

ამიტომ ამ ამბავმა მეტად დამაინტერესა და ამ ხნის მანძილზე ბევრი რამ გავარკვიე და დავაზუსტე. ამის შესახებ ვრცლად ვწერ „მესიზმრებიან თვალებახელილს“-ში. აქ კი უადგილობისა და იმის გამო, რომ არ დაგღალოთ, რეპრესირებულ ძმებზე კი არა, მათ საოცარ დაზე – სარიაზე მოგაწვდით ინფორმაციას ყოველგვარი შელამაზების გარეშე, ძალიან მოკლედ, ფაქტების დონეზე. ვისაც დააინტერესებს...

* * *

სარია ახმედის ასული ჯიხ-ოღლი დაიბადა 1904 წელს ბათუმის ოლქში. მის მამას, ახმედს ჰქოდა პურის საცხობი, პატარა მაღაზიები, ასევე სამი სახლი ბათუმში, ზღვის პირას. ჰყავდა შვიდი შვილი. 1920 წელს მის ოჯახში ინგლისელ საოკუპაციო ხელისუფლებას ემალებოდა რევოლუციონერი აფხაზი აფხაზეთიდან. სარიამ შეიყვარა ათი წლით მასზე უფროსი ხიზანი, მისი ძმის, ჰაკის მეგობარი და ცოლად გაჰყვა მას. მან ვერ მოასწრო სკოლის დამთავრება და ქმარმა შემდეგ სოხუმში უქირავა რეპეტიტორები. სარიამ ექსტერნად ჩააბარა გამოცდები და მიიღო სიმწიფის ატესტატი. მერე ის ღებულობდა თვითგანათლებას, ბევრს კითხულობდა.

1922 წელს შეეძინათ შვილი რაუფი.

სარია იყო იშვიათი სილამაზის. ჰქონდა საოცარი გემოვნება. ის აფხაზეთის ლიდერის მეუღლე იყო და აფხაზ დიდმოხელეთა ცოლები ცდილობდნენ მიებაძათ მისთვის. ის მათთვის იყო ქალობის ეტალონი, რადგან უმაღლესი რანგის სტუმრების მიღებისას იქცეოდე ისე, რომ ქმარი ამაყობდეს შენით, ხოლო სტუმრები აღტაცებაში მოდიოდნენ, ეს დაბადებიდან არვის დაყვება და ბუნებრივ მონაცემებთან ერთად მიიღწევა დიდი ნიჭით და დიდი შრომით.

სარია იყო დაბადებით ჭკვიანი. ის აოცებდა მოსკოვიდან ჩამოსულ დიდმოხელეებს სუფრის გაშლის ხელოვნებით, ჩაცმულობით, ცეკვავდა კარგად, ქართულთან ერთად სუფთად ლაპარაკობდა აფხაზურად. თურქულად და რუსულად.

სახელგანთქმული სტუმრებისათვის ყველა ნაციონალური კერძი კეთდებოდა სარიას მონაწილეობით და მისი მეთვალყურეობით. განთქმულ ლობიოსა და ღომს ყველთან ერთად სტალინისათვის მხოლოდ სარია ამზადებდა. ჯერ თვითონ გასინჯავდა და მხოლოდ შემდეგ მიართმევდა საპატიო სტუმარს. სტალინი კი მათ ოჯახს ხშირად სტუმრობდა, მოსწონდა და პატივს სცემდა სარიას და ამის ხაზგასმას არც მალავდა.

1932 წელს, როცა სტალინი ისვენებდა კავკასიაში, სტალინის მეუღლემ, თვითმკვლელობისკენ მიდრეკილმა ნადეჟდა ალილუევამ სარიას აჩუქა პისტოლეტი. სტალინმა კი სარიას აჩუქა ძვირადღირებული, სპეციალურად დამზადებული პატეფონი და ფრანგული ავტომობილი, რომელსაც თვითონ სარია მართავდა. სარიაც ხშირად სტუმრობდა მოსკოვს ქმართან ერთად.

მოსკოვში ერთ-ერთი ბოლო სტუმრობისას სტალინმა, როცა უყურებდა, როგორ ცეკვავდნენ სარია და სერგო ორჯონიკიძე ერთად ლეკურს, უთხრა ლავრენტი ბერიას: „Смотри-ка, Нестор тебя во всем обошел: на такой красавице женился!“. ფიქრობენ, რომ ეს გახდა პენსნეიანი კაცის გადამტერების მიზეზი, როცა მისი ცოლი ნინო გეგეჭკორიც არანაკლები ლამაზმანი იყო...

ქმრის სიკვდილის შემდეგ, 1937 წლის აგვისტოში სარია დააპატიმრეს. შინსახკომის ციხეებში მას აწამებდნენ, რათა მიეღოთ მისგან ჩვენება, რომ მისი მეუღლე იყო სტალინის წინააღმდეგ შეთქმულების ორგანიზატორი. ამ ამბის მომსწრეთა თქმით სარია ბოლომდე დარჩა მეუღლის ერთგული. ის მთელი ორი წლის განმავლობაში გაუგონარი ნებისყოფით იტანდა ყველანაირ წამებას, შეურაცხყოფას. ბოლოს წამებით გათანგული და დაავადებული მოათავსეს ციხის საავადმყოფოში, სადაც მოჰყავდათ გონებაზე ხელახალი წამებისათვის. სარია დუმდა მაშინაც, როცა მის თვალწინ აწამებ-

დნენ ღვიძლ ძმებს. როცა დააპატიმრეს მისი არასრულწლოვანი ვაჟი რაუფი. რაუფს აწამებდნენ დედის თვალწინ. ბავშვი ემუდარებოდა დედას ეღიარებინა რასაც მისგან ითხოვდნენ. უყურებდა რა შვილის წამებას, მოუწოდებდა მას მოთმინებას მამის წმინდა სახელის დასაცავად (რაუფი დახვრიტეს 1941 წლის ივლისში სოხუმის ციხეში).

34 წლის სარიას 1939 წლის 16 მაისს ორთაჭალის ციხის საავადმყოფოში ცემისაგან დაჟეჟილმა ფილტვებმა უღალატა. მისი სიკვდილის წინ პალატაში მივიდა გამომძიებელი და მერამდენედ მიიტანა საბრალდებო დასკვნა, რაზეც ხელი უნდა მოეწერა სარიას. სარიას ეყო ძალა, რომ წამომდგარიყო საწოლიდან, დახრილიყო ქაღალდის ფურცლისაკენ და მოერწყა ის ყელიდან წამსკდარი სისხლით. მან ძლივს წარმოთქვა – აი ჩემი საუკუნოვანი ხელწერა და განუტევა ნაწამები სული.

საოცარი, ზღაპრის მსგავსი ისტორიაა ქალისა და მისი ერთგულებისა. მე დამზაფრა ამ ისტორიამ, რაც ნამდვილია და მართლა ჰგავს ზღაპარს, ოღონდ ზღაპარივით კეთილად არ მთავრდება.

მილიონობით ადამიანია ნაწამები შინსახკომის ციხეებში, ბევრი დამნაშავე და გაცილებით მეტი უდანაშაულო. ღმერთო, შეუნდე და უშველე მათ სულებს, რადგან ყველა ვერ უძლებდა ამ წამებას. ვიცი, სულ ორი ადამიანია ასეთი, ვინც საბოლოოდ ვერ გატეხა ჯოჯოხეთურმა მანქანამ: ერთი მათგანი კაცია, რუსი გენერალი და მეორე კი ქალი, მანდილოსანი, აჭარელი ბანოვანი – სარია.

და ბოლოს. ბუნებრივია, ყველაზე კარგად იცოდა რა ეს ისტორია, მოგვიანებით სსრკ გენერალურმა პროკურორმა რომან რუდენკომ სარიას შესახებ თქვა: „Этой женщине памятник нужно воздвигнуть!“ (ამ ქალბატონს ძეგლი უნდა აღვუმართოთ).

თეთრი როიალი... თეთრი როიალი...

ჰაი, ბიდი!

ჩემს თვალებს ჩინი მოაკლდა ფრიად და სმენადობას – სიმახვილე.

ბოლო დროს ფეხებიც მისივდება. ეს გულის უკმარისობის ან თირკმლების ბრალიაო, მითხრა მეზობლის ქალმა. აბა, ექიმების არაფერი მჯერა და...

გული ახალგაზრდა ვეფხვისა მაქვს, თირკმლების ღალატი კი არ გამიკვირდება ჩემი განვლილი ცხოვრების შემხედვარეს.

მერედა საშველი არ არის-მეთქი, ვკითხე იმ ჩემს მეზობელს. უფრო მეტი უნდა იარო ფეხითო, იმანაც.

ზღვისპირა ბულვართან ვცხოვრობ.

მეორე დილითვე გავედი ბინდბუნდში.

– ბარო, გივი! – ხელის აწევით მომესალმა ვიღაც მეორე ალეაზე სირბილით მომავლი და ისე ჩამირბინა, სალმის დაბრუნება ვერ მოვასწარი.

ჩემი მხედველობის და სმენის პატრონმა ვერც ის გავარჩიე, ვინ იყო მომსალმებელი.

ამან თითქოს გამაორა, რადგან შემდეგ უკვე კითხვებს მე ვუსვამდი საკუთარ თავს და ამ კითხვებს თვითონვე ვპასუხობდი:

– ნათესავი იყო?

– შეიძლება.

– ბიძაშვილი?

– არა.

– დეიდაშვილი?

– არა!
– მამიდაშვილი?!
– არა!!
და ა. შ.
დასკვნა: ნათესავი არ ყოფილა.
– თანამშრომელი იყო?
– შეიძლება.
– რომელი, ის?
– არა.
– ის?
– არა!
– ააის?!
– არა!!
და ა. შ.
დასკვნა: თანამშრომელი არ ყოფილა.
– მეზობელი იყო?
– შეიძლება.
– რომელი, ის?
– არა.
– ის?
– არა!
– ააის?!
– არა!!
და ა. შ.
დასკვნა: მეზობელი არ ყოფილა.
– თანაკურსელი იყო?
– შეიძლება.
– რომელი, ის?
– არა.
– ის?
– არა!
– ააის?!
– არა!!
და ა. შ.
დასკვნა: თანაკურსელი არ ყოფილა.
– თანაკლასელი იყო?
– შეიძლება.
– რომელი, ის?
– არა.
– ის?
– არა!
– ააის?!

– არა!!

და ა. შ.

დასკვნა: თანაკლასელი არ ყოფილა.

და ა. შ. და ა. შ.

ამაზეა ნათქვამი, ზოგი ჭირი მარგებელიაო. მხედველობისა და სმენის დაქვეითებამ უცებ მთელი ჩემი განვლილი ცხოვრება ჩამომიტარა ცხვირწინ.

სახლში რომ მივლასლასდი, ჩემმა შვილმა, აბიათარმა დამირეკა მობილურზე: ხომ გახსოვს, ხვალ სამოცი წლის ვხდები და დედასთან ერთად გელოდები ჩემს ოჯახშიო. ბოლოს კი დაამატა:

– ბაბიიიი, ხომ არ დამიბერდი, წეღან ბულვარში რომ მოგესალმე, სალამი რატომ არ დამიბრუნეეეე???

ცოლისგან დამარხული

ვინ დაარქვა იტალიურ ეზოებს იტალიური? არ დამიწყოთ ახლა იტალიური!

ვითომ რატომ არ უნდა ერქვას მათ თბილისური, ანდა, თუნდაც, ბათუმური ან სულაც – ქართული ეზოები?

იტალიელებს ისიც ეყოფათ, მაკარონი რომაა მათი!

ადრე მეც იტალიურ ეზოში ვცხოვრობდი. მაშინ ასეთი ეზოები უამრავი იყო. ჩვენი ეზო ერთ და ორსართულიან საცხოვრებელ სახლებს შორის იყო მოქცეული და მეზობლებისათვის მარტო ის კი არ იყო საერთო, საერთო იყო ერთმანეთის ლხინი და ჭირი, სიხარული და მწუხარება, ქორწილი და ტირილი... არ ვანსხვავებდით ერთმანეთს იმის მიხედვით, თუ ვინ რა გვარის და ჯიშის იყო, ვინ სად მუშაობდა და რა თანამდებობა ეკავა, კემბრიჯში ჰქონდა განათლება მიღებული, თუ ორი კლასი ძლივს ჰქონდა დამთავრებული. იერარქია მხოლოდ ასაკობრივი იყო, უფროს-უმცროსობის ინსტიტუტს ყველა განუხრელად ვიცავდით, გენდერულობა კი ისედაც ძველთაგანვე მოგვდგამდა. კარგ ამინდში გარეთ გამოვეფინებოდით, ვსაუბრობდით, ვთამაშობდით ნარდს, დომინოს, ჭადრაკს, კენჭობილას... საერთო ტრაპეზებსაც ხშირად ვაწყობდით. ერთმანეთს დავლოცავდით, ულევ სიხარულს და ბედნიერებას ვუსურვებდით.

დიდხანს ვაპირებდით ასე ყოფნას, მაგრამ ბუნებას ვინმე და რამე ოდესმე უდიდხანებია?

ერთხელაც ჩვენს ეზოში საიდანღაც შემოეხეტა და შემოესახლა ახალი ოჯახი და ეზოელთა სიამტკბილობაც დაიფუშა. მთლად ოჯახსაც ვერ დავარქმევდი ახალმოსულთ, მხოლოდ ქმარი და ცოლი იყვნენ. ქმარი, ეროდიონი, რომელსაც შემოკლებით ირის ეძახოდნენ და ცოლი, ვარდო, თუ ვართუშა. თავადთა გვარისა იყვნენ, მაგრამ მალე სანდო წყარომ მოგვაწოდა ინფორმაცია, რომ ეს გვარი მოპარული, თუ ნაყიდი ჰქონდათ. ამბობდნენ, ერთი შვილიც ჰყავთ, თავზე ხელაღებული რეციდივისტი, საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა ციხე- და ბანაკმოვლილიო, მაგრამ ის ჩვენ არასოდეს გვინახავს.

დიდი უხიაგი კაცი აღმოჩნდა ირი. ძლიერ იცდილა და მალე მთელს ეზოზე გაბატონდა კიდეც. ახალგაზრდები თავის მოსამსახურეებად თუ „შესტიორკებად“ აქცია. მეტად შეწუხებული, მაგრამ კიდევ უფრო მეტად ზრდილობიანი მოხუცები დუმდნენ. დანარჩენები კიდევ ეზოში არ გამოდიოდნენ, ან გვიანობამდე სახლში სულაც არ მოდიოდნენ.

როგორი იერ-შესახედაობა ჰქონდა ირის?

არც თუ ისე შთამბეჭდავი. შავი, ხმელი, სუსტი და იმდენად გაწრიპული, რომ საშუალოზე დაბალი ტანისა საშუალოზე მაღალი მოგეჩვენებოდათ. სამაგიეროდ ხმა ჰქონდა, ხმა. იშვიათად ლაპარაკობდა, მაგრამ რომ დაილაპარაკებდა, ისე ქუხდა, გეგონებოდათ ცის თაღზე თვით ზევსი დახრიგინებს თავისი განთქმული ორთვალათიო. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო მისი საფირმო:

– ბიჯოოო!!!

ისე დააბუხუნებდა ამ სიტყვას, რომ რაც უნდა უშიშარი ყოფილიყავი, უნებლიედ ტანში მაინც დაგზარავდა.

საქმეების გარჩევაც დაიწყო ირიმ. ყველას რჩევა-დარიგებებს აძლევდა და ჭკუას ასწავლიდა. კი არა და სხვა ეზოებიდანაც დაიწყო ხალხმა მასთან მოსვლა, რჩევების მისაღებად და ჭკუის საკითხავად.

მთლად გაიბღინძა და გაიუფუყა ირი ბატონი.

„მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი გაახარებს ვისმეს განა?“

ირის უბედურება იქედან ეწვია, არავინ რომ ველოდით.

ირის ცოლი ჰყავდა-მეთქი – ვარდო თუ ვართუშა, ზემოთ მოგახსენეთ. ვართუშა ისე იშვიათად ჩნდებოდა ეზოში და ისიც ისე გაელვებასავით, რომ ბევრი მეზობელი საერთოდ არ იცნობდა მას. მეზობლებთან გადასვლა-გადმოსვლაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

მოსახდენი უცებ მოხდა. ერთხელ, ყველასაგან მოულოდნელად, ვართუშა ძვირფას ხალათში შემოსილი, ფაჩუჩებით ეზოში გამოგოგმანდა. არავის მოგვსალმებია. დოინჯი შემოიყარა და ჩვენს ახალ „მებატონეს“ შავწარბებმაღლაშემართული ეუბნება მბრძანებლურად:

– ეროდიოოონ! შემოდი სახლში!

ირი ეზოში მდგარ მაგიდასთან იჯდა და რაღაც საქმეს ურჩევდა მაგიდასთან მსხდომთ. სხვებზე გაბლატავებულმა უნებლიედ ერთმანეთში აურია შინაური და გარეული და თანამეცხედრესაც შეუღრინა:

– შედი, ქალო, სახლში!

– შემოდი, თორემ კედელზე მიგასხმევინებ ტვინს! – დისისინა ქალმა.

ტვინს მიგასხმევინებო?! ეს რა აკადრეს ირის, ეს რა გავიგონეთ. ეს მოწმენდილ ცაზე ზევსის მთელი ძალით გახრიგინებას ჰგავდა. უბედურების მოლოდინში ყველა დავიზაფრეთ და ირის მივაცქერდით. სხვებისა არ ვიცი, მე კი ცხადად დავინახე: ირის ალმური მოედო, ჯერ გაწითლდა, შემდეგ გაჭარხლდა, შუბლზე ოფლის წვეთები დაესხა, მერე გაფითრდა, წელში საცოდავად მოიკუნტა, დაპატარავდა, დაპატარავდა, დაპატარავდა... და მთლად გაქრა თვალსაწიერიდან.

მალე სცხოვრებლად სხვაგან გადავედი. მოგვიანებით ძველმა მეზობლებმა მითხრეს, რომ იმ დღის შემდეგ ირი ეზოში არ გამოჩენილა. ლოგინად ჩავარდა და მალე მიქელას, გაბრიელს თუ ორივეს ერთად – მიაბარა გაძაღლებული სულიო. ჩვენ, მეზობლებმა მაინც ჩვენი გავაკეთეთ. ირის ცხედარი გავაპატიოსნეთ და საკადრისად დავმარხეთო.

მე კი ახლა მაინც უნდა ვუთხრა მათ: არა, ჩემო კეთილო მეზობლებო, ეროდიონი თქვენ კი არა, თქვენზე ადრე მისმა ცოლმა დამარხა ცოცხლად და სამუდამოდ!



ქეთი გაჯინაშვილი

სიკვდილის ანგელოზები

ქალი გამიხდა ავად. მთელი ღამე თვალი ვერ მოვხუჭე. ბორგავდა სხეულიცა და სულიც. ეს ოხერი ასაკი რა ყოფილა. ნამეტნავად გიყვარს, ნამეტნავად გეჭირვება, ან იქნება და სიმარტოვისა გეშინია კაცსა.

მარტოხელები ვართ. ერთმანეთი გვყავს და კიდევ ერთი ბოჩოლა. ბიჭმა გვიყიდა საზღვარგარეთ წასვლამდე, გაერთობითო. ეჰა, შვილო, ბარემ კი ვიცი ამ ბოჩოლას დევნას, რომ შვილიშვილებთან თამაში, მათთან მდელოზე წამოწოლა და ზღაპრების მბობა მირჩევნია, მაგრამ ვერაფერიც ვერ ვუთხარი. მადლობა-მეთქი, დიდად მადლობელი, რომ მშობლებზე ასე ზრუნავ! რის მადლობა, კაცო, განა დამვიწყებია რამდენი გაქვთ ჩემ გამო გადატანილიო.

ვცხოვრობთ ახლა სოფელს მე და ჩემი ქალი და ჩვენი შრომის საზღაურს – წაბლისფერ ბოჩოლას ვაბალახებთ. ხან ვეფერებით ერთმანეთსა და ხან კიდევ წავკინკლავდებით. მეხიც შენ დაგეცესო, – გამიჯავრდება ხოლმე ხანდისხან. ეგეც სულ სიყვარულით მოგვდის. თორემ აბა ჩვენ რაღა გვაქვს სადაო და საჯახირო. ისეთ ასაკში ვართ, მივხვდით უკვე, ცხოვრება მხოლოდ ის ღიმილებია, ფერდობზე შეფენილი გვირილებივით რომ დაბნევია ადამიანს სახეზე, სხვა ყველაფერი ტყვილია. იმ გვირილებად და კიდევ სიყვარულად ღირს არსებობა.

ჰოდა, გამიხდა ავად ჩემი ქალი. ის ამოიკვნესებს და მე კიდენა გეგონება მდუღარე წყალი გადამავლეს, ისე მეთუთქება გულ-ღვიძლი. ძლივს ინათა. ინათა და წავიყვანე ქალაქს. აქ უკვე, ჩვენს სოფელს, აღარც ექიმი გვყავს და აღარც ვექილი. გზამდინ გაჭირვებით ჩავიყვანე. მერე ერთ შებერებულ ავტობუსში ავედით და კანგადამძვრალ სავარძელზე მოვკალათდით. მალი-მალ თვალს ვაპარებ ჩემი დედაკაცისკენ.

– დაგიამდა, თებრონე?

– ეჰ, გოგია, მიწა თუ დააამებს ჩემს ჯანსა. – მოადგება ცრემლი თვალზე.

რამე მინდა ვუთხრა, გულის მოსაქონი, ხასიათზე მომყვანი და ეს ოხერი სიტყვები აღარ მახსომს. ცრემლი ყელში მებჯინება და ხმაურით ვყლაპავ წუხილს. ვაჰ, კაცოო, რა ყოფილა სიბერე, სულ იქითურებზე გეფიქრება. სულ ელოდები, ელოდები... და რას გეტყვი, იცი? თურმე, როგორი გაძაღლებული ცხოვრებაც უნდა გქონდეს, მაინც არ გეთმობა, მაინც გეშინია. აი, სიბერე და ბავშვობა ამითი ჰგავს ერთურთსა, ბალღობაშიც ხომ სულ გეშინია, ხან წაქცევის, ხან სიბნელის, ხან მარტო ყოფნის, ხან დედის, ხან ბუებისა და ხანაც კიდევ მაჯლაჯუნების. სულ შიშში ხარ და მერე კიდევ ამ შიშის გადალახვის, საფრთხიდან თავის დაღწევის სიხარულში. აი ესაა ხანიც. დაწვები და ფიქრობ, ვინ იცის კიდევ თუ გამითენდებაო. მერე ისე გეშინია, წევხარ, დაგიჭყეტია თვალები

და ძილს უძალიანდები, თითქოსა და ღმერთის მოტყუილება შეგძლებოდეს. ხან ალთასა ხარ შენი ფიქრებითა და ხან კიდევ ბალთასა. რასაა რომ არ იხსენებ, ბებოს გამომცხვარ ხმიადებს, პაპას მოყოლილ ზღაპრებს ჩიტუნა ცხენებზე, დედას ყოილებით მოჩითულ კაბას და მისი ხელების სუნს, პირველ სიყვარულს... ეჰ, გამოედები ღობე-ყორესავით წარსულს, ყველა ძეძვს მოედები, ყველგან შენს კვალს სტოვებ თითქოს. მერე კიდევა, თვლემა მოდის, და ბოლო ფიქრი ძილის წინა ისეაა, რომ დასრულდაო, აი ეგაა და დასრულდაო... მამლის ყივილამდე რომ გაახელ თოლებსა და აგერ კაცო შენი ძირგამომპალი სახლი, შენსავით შებერებული კედლები, აგერა კიდევ შენი მყინვარწვერივით თმათეთრი ცოლი... გეგონებოდეს მსოფლიო ჩემპიონი დაგემარცხებინოს ისეთი სიხარულია, ისეთი ძლევამოსილად გრძნობ თავს, გული ისე გამალებით გიცემს...

ჰოდა, სიბერე სიკვდილის შიშშია ისე ჩამბალი, ისე გასჯდომია ძვალ-რბილში იქაურობის ფერი და სუნი, გინდა არ გინდა, თან დაგყვება, წამითაც არ გავიწყებს თავს. მერე კი წამოგაგონდება ხოლმე, სიკვდილზე ჯეელობისას რომ მეფიქრაო ამდენი, მაშინაც რომ მხსომნოდაო, იქნება და სულაც სხვა გზა ამერჩია, სხვა მთების საძებნელად წავსულიყავო. მაგრამ რაღა დროს მაგაების ჯავრია, რაღას უშველი. ჰოდა, ახლა რომ ვფიქრობ, როგორ ეშინია ჩემს ქალსა გული მეწურება. არა და შავპირდი, მაშინა, როცა ერთ უღელს შავებით: არაფრის შეგეშინდეს, მე დაგიცავ, მე ვიქნები-მეთქი დღეიდან შენი ფარი და მახვილი. ახლა კიდევა, ახლა ორივე სიკვდილის ანგელოზს დავმსგავსებივართ, ახლა ერთმანეთის სიბრალული თუ შეგვიძლია მხოლოდა. მაგრამ მე მაინც მაგრად უნდა დავდგე, ახლა მისი მოფერება და დაყვავება არ შაილება. ქალო, რას შაჭამე-მეთქი გული წუწუნით. ვინ ავად არ გამხდარა, ქვეყანა სატკივარით არის-მეთქი სავსე, ვერა ხედავს შენი თოლები?! – ვუჯავრდები. ის კიდევ მიიღრეჯს კისერს გვერდზე და ასე დამდურებულები ჩავდივართ ქალაქამდინ.

ღმერთმა უწყისს რამდენი ხანია ქალაქს არ ჩამოვსულვარ. გაუცხოებული კაცივით დამხვდა, ნაუცბათევად გამდიდრებული და სახედაკარგული, წარსულდავიწყებული. მაშინ, როცა მე ვიცნობ-დი, მის თავზე ცა ჩანდა, ახლა ოჩოფეხებივით აწოწილი სახლებია მხოლოდ. ვეღარც ქალაქი ვიცან და ვეღარც ადამიანები.

გზა ვეღარ გამიგნია. ვიტრიალე წინ და უკან, მერე ერთ ღვთისნიერ კაცს ვკითხე, ესეთი და ესეთი ამბავია, შვილო, იქნება მიმასწავლო-მეთქი გზა და კვალი. ეგ საავამდყოფო, ძია კაცო, დიდი ხნის წინ გაყიდესო. მომეკვეთა მუხლი. შემატყო და ნუ დარდობო, მაგის მეტი რა არის, აგერ ნიუ თუ ბიუ, რაღაც ფინ-ფანფო სახელი მითხრა, იქ ჰყავთო პროფესიონალები. ვააჰ, ვერაფერი გავიგე. იქნება და დამიწერო-მეთქი სახელი, ეგრე ადვილად ვერ ვიმახსოვრებ, შვილო, მტკვარზე ხანმრა-ვალი ვარ-მეთქი. დამიწერა და წავიდა. მადლობის მეტი რაი მეთქმის? კარგი კაცი იყო. დავხედე ფურცელს და ვერაფერსაც ვერ ვარჩევ. ჩემს დედაკაცს გავუწოდე ე ქაღალდი. ქალო, ერთი გასინ-ჯე, რა წერია-მეთქი. ღმერთმა რომ იცის შენი თავიო, აბა მე რაი გამეგება, ეს საზღვარგარეთულ ენაზე წერიაო რაღაც. ვააჰ, რა ყოფილა ეს მთა ხედამ შენა, ენაც შაუცვლიათ უკვე, მე კიდენა ჯერ ისევ მგონია, ის სულმნათი შოთა რომ წერდა, ისევ ის ანი და ჰოე გვქონდა. რაღას ვუშველი, ვჯა-ვრობ, მაგრამ მხოლოდ ჯავრი რომ დედამიწას უკუღმა ატრიალებდეს, აგერ ჩვენი მეზობელი ქსე-ნია იმდენს ქოთქოთებს, კარუსელას მოგვიწყობდა.

ახლა კიდენა ვიღაც გოგო გავაჩერე.

– შვილო, ბოდიში მომითხოვია და აი აქ როგორ უნდა მივიდე?

ცილს როგორ დასწამებ, გამომართვა, დახედა, მარჯვენა ყბიდან მარცხენაში გადაიტანა მუჭი-სოდელა კევი და ასე ღლაჭუნ-ღლაჭუნით მითხრა:

– №49 მარშუტკაში ჩაჯდები, ჩამოხვალ „მანგოსთან“, გადაკვეთ გზას და ქუჩაზე დაუყვები, მი-ხვთი?

გაგახაროს-მეთქი ღმერთმა. არა და ვერც მივხთი და ვერც მივხვდი ვერაფერს, ცალკე ის მიკვირს, როდის შემდეგ ხარობს-მეთქი მანგო თბილისში, ცალკე კიდევ იმის ჯავრი მაქვს, როგორ წავიყვანო ეს ქალი ექიმთან.

სანამ მე გზა-კვალის გაგნებას ვცდილობდი ჩემი ქალი ცუდად გახდა. ფეხები მოეკვეთა და ტროტუარზე ჩაიჩოქა.

– თებრონე, ქალო, თებრონეე, გამოიხედე! – ვაჯანჯღარებ ამ ჩემს ქალსა. წყალი მაინც მქონდეს-მეთქი, ფუიჰ ჩემი ბედის რა ვთქვა მე. ამაებში ვარ და მომესმა ხმაა:

– ვაიმეე, დედაა, საწყალიი, საცოდავი! – გავიხედე და ქუჩაზე ქალი გადმორბის. ვიფიქრე: გაახარა ღმერთმა, შველა თუ უნდა. მაგრამ იმ დალოცვილმა გვერდი აგვიარა მე და ჩემს ქალს. გასცდა ყავარჯენს დაყრდნობილ ცალფეხა ჯარისკაცს. არც ის ფეხშიშველა ბავშვი შეუმჩნევია, თონესთან რომ იდგა ხელგამოშლილი, მშიერი თვალებით. გაუარა შავოსან დედასაც და მზის გულზე წამოშხლართულ კარგა ჩასუქებულ ძაღლთან ჩაიმუხლა.

– თებრონე! – ისეთი დავიღრიალე, შეშინებულმა აჭყიტა თვალები ჩემმა ქალმა.

– ადექ! სოფელში მივდივათ, ქალო! თორემ გამისკდება გული და მერე იდარდე შენი ნაღველა და გამწარებული პირი!

ავბრუნდი მთას და ბალახ-ბულახებით ცოტა გამოვაკეთე ეს დედაკაციც. დავრჩით ისევ მე და ჩემი თებრონე, ჩვენი სიბერის საზღაურთან, ბოჩოლასთან, ერთად. ჰოდა, სულ თავს დავფათფათებ ჩემს წაბლისფერ ბოჩოლას, აბა კაცო, მაშ როგორა, ამ გაუკუღმართებულ და უადამიანოდ დარჩენილ ქვეყანაში, რომ დავიხოცებით ეგ თუ დაგვიტირებს თორემა, ჩვენ თვალები დაგვფსებია ერთურთის დასანახავად.

ხუთი ხმა და კიდევ ხუთჯერ ხუთი

ვეროშპირონი
ნოშპა
კაპტოპრილი
ვალერიანი მწვანე
გულის კაპლი
სათვალე მახოსთვის
გეტრები ნათელას
ფეხსაცმელი გიას
კრემი დახეთქილი ქუსლებისთვის (თუ ფული დამრჩა)
მარილი
შაქარი
ზეთი ოლეინა 5 ლიტრიანი
გრეჩიხა
მაკარონი გრძელები
საწუწნი კანფეტები
სპიჩკა
სალფეტკები
ტვალეტის ქაღალდი
სარეცხის საპონი

.....

ეს მერამდენედ ვათვალიერებ ცალხაზიანი რვეულის ფურცელზე ჩამოწერილ საყიდლების სიას და გუნებაში ჩემს ფულს ვითვლი. ვანაწილებ, ვაკოწიწებ, რაღაცს ვაკლებ, სხვას ვუმატებ, თან მთელი ძალით ვიკრავ გულში ჩანთას, ემანდ სულ არ ამომაცალონ და ხახამშრალი არ დამტოვონ. რა ვიცი მე, ათასი მამაძაღლი დადის. გამძარცვონ ახლა მეცა, აშენდებიან რა 220 ლარი მაქვს – მთელი ჩამი ხელფასი, რომ გაწყდნენ და ამაზე მეტი არაფერი შევიდეს მათ ოჯახებში. 220 ლარი რა, რა უნდა ქნას ადამიანმა? ცეცხლი უკიდია ყველაფერს. 9 ლარიო გრეჩიხა, 9 ტყვია მოხვდეთ მაგათ გულს, მაგრამ გული სად ატიალიათ. გაგონილა ქა ასე? რა უნდა ქნა, როგორ უნდა იცხოვრო, როგორ უნდა გედგას პირში სული?!

ჯვარი მწერია. ღმერთს არ ვაწყინო, ესეც დიდი რამეა. დიდი რამე კი არა და რომ არ მქონდეს, რა უნდა ვქნა, სად გინდა წახვიდე, კაცი. 220 ლარი ცოტაა? ზოგს ესეც არ აქვს, ზოგს კი არა, უმუშევარია ნახევარი ქვეყანა. ეს სამსახურიც რომ არ მქონდეს... კი არ უნდოდათ, ამ გასაწყვეტებს, არა, ის ხო კარგად უნდოდათ, არჩევნებზე რომ ფოშტის ცხენივით დამაჭენებდნენ. კარდაკარი და ჭირი მაგათ. კეპკაც ხომ დამახურეს. ამხელა ქალს ეგ შემშვენოდა? სირცხვილით ვიწოდი, მაგრამ შვილი რომ მშიერი გყავს, სირცხვილი და თავმოყვარეობა გვერდით უნდა გადადო. როგორც გეცხოვრება, ისე უნდა იცხოვრო. ახლა მარტო ქუდი იყო? ეხვეწები და ეღრიჯები ამ ხალხს, ეს შემოხაზეთ და ასე იქნება და ისე იქნება ქვეყანა, ამათ კიდე, დაეცათ მეხი, ძაან იციან პოლიტიკა. შვილო, წაგლეჯვაზეა ყველა, რას გამოგრჩნენ! ვინ ყველაზე ვამბობ, რა, მე ეგრე არა ვარ? მეც შვილისთვის არ ვცდილობდი? არა ბიჭო და მართლა მაგათი აშენებული ქვეყნისა მჯეროდა. რა ვქნა აბა? ჩემი სამშობლო ჩემი მშიერი შვილის ცრემლებთან მთავრდება. ახლა რა გავყიდე თუ რა, რისი უნდა მრცხვენიოდეს, რა ბედენაა ალხანა დამაჯდება კისერზე თუ ჩალხანა, სულ ერთნი არ არიან? ერთი ჯიშისანი, ან სად ჯანდაბაში ატიალიათ ჯიში. რამეს გაგიხერხებთო დამპირდნენ, თან ცხელოდა და რა ცხელოდა, გამძვრა სული, ფეხები რომბებივით დამისივდა, ლამის იყო ძარღვები დამსკდომოდა. ჩაიარა არჩევნებმა და გაიბღინძნენ, თავიანთი სქელი ტრაკები ჩადეს სავარძლებში და ვის დაჰკარგვიხარ, ვისი ტიკი-ტომარა ხარ, აღარც დაპირება ახსოვთ და აღარც შენ ახსოვხარ არავის.

ეჰ, დიდი გაჭირვებით კი მივიღე ეს ადგილი, ადგილი მეცა ახლა მინისტრად დამნიშნეს რა. დამლაგებელი ვარ, მაგრამ მადლობის მეტი რა მეთქმის, ავად თუ კარგად თავი გაგვაქვს. რას ამბობ, ქალო, ეგ რომ არ მქონდეს გავწყდებოდით მშივრები. ეს პენსია რა, მახოს პენსია გადასახადებში მიგვდის, გაზია, დენია, მკვდარია, ცოცხალია, მთლად ხომ არ ჩამოისვამ ცხვირზე მურს, სულ ხომ არ ამოიკვეთავ ფეხს ყველგან... ნათლას პენსია კიდევა, წინასწარ მაქვს გამოტანილი, სარეცხის მანქანა ვიყიდეთ. უჰ, დავისვენე რა, ვენაცვალე მაგის მომგონსა, ხელები აღარ იყო ჩემი, როგორია ცივ ზამთარში ჯერ რეცხე, მერე გაავლე, ახლა ლილაში გაატარე. ახლა ეს ჩემი ბებრები, გენაცვალე, სხვა ყაიდის ხალხია, სხვა ცხოვრებას მიჩვეულნი, მოჰკალი და ჭრელა-ჭრულებში ჩააწვინე, თეთრი, ქათქათა, გახამებული-გაკრახმალებული... არა, ეს ნათელას 2 კაპიკი მოგვაკლდა, მაგრამ მაგას ვჩივი, დავისვენე, ქალად აღარ ვვარგოდი, დავრეცხავდი და მაღონებდა მთელი ღამე ეს ძვლების ტკივილი. რაც არის არის, ავად თუ კარგად მივათრევთ ცხოვრებას.

ხელფასის დღეს მოვდივარ ქალაქში და ვიმარაგებ პროდუქტს. ჩვენთანაც კია, ყველაფერი მოაქვთ, მაგრამ ისეთი ფასებია, რა ვიცი, ქა, 10 კაპიკის მომატება გამიგია, 20-ის, მაგრამ ისეთი უნამუსო ღორები არიან 1 და 2 ლარი აღარ ჰყოფნით.

მთელი დღეა დავწანწალებ ბაზარში და აღარ ვიცი ეს ჩემი ხელფასი რამდენად გავწელო და გავფხრიწო. წამლები ვიყიდე. სათვალის გარეშეც ვერ დავბრუნდები, ეს გასაქრობი გია დასჯდომია ზედ და გაუტეხია. დუდღუნებს პაპა მთელი კვირაა. ერთი მინა მთლად დაფშხვნილა, მეორე გადა-

რჩა, მიიდებს ამ ცალ მინას თვალზე და შეჰყურებს ტელევიზორს. იქაც ისეთებს აჩვენებენ, ცალი თვალით კი არა სულაც არ უნდა უყუროს კაცმა, მაგრამ რას ვიზამთ, სულ ბაიყუშებივით ხომ ვერ ვიქნებით? გიასაც ფეხსაცმელი უნდა ვუყიდო, ენაცვალოს დედა, გოლიათი მყავს, ისე სწრაფად ეზრდება ფეხი. გაზაფხულზე არ ვუყიდე? ვეღარ ეტევა, გაცვეთას ვერ ასწრებს, უჰ, ჯანიც გავარდეს ამ ფულს, ოღონდ ეგ გაიზარდოს და ფულს კი არა, სულს დავიშურებ? ზეთიც რომ მომივიდეს, წვრილმანებს მაროსთანაც ავიღებ ნისიაზე, მომცემს, არაა ეგეთი ქალი, ან კი რატომ არ მომცემს რა, როდის შემირცხვენია თავი. ჩემთან არ დაეკარგება.

ამ ანგარიშში და წინ და უკან სიარულში დავიქანცე. არა რა, შენს სახლს არაფერი სჯობია. ბირჟაზე ჩამოვალ, თინას შევძახებ, ბავშვი მყავდა დატოვილი, არ ჩერდება გია მოხუცებთან, არც გაემტყუნება, პატარაა გართობა უნდა, იმათ კიდევ ხან წნევა და ხან რა, ხმაურისა და თამაშის ნერვები სადღაა.

ეზოში კაცი-შვილის ჭაჭანება არაა, მოხუცები არიან და დასვენება თუ მოუნდათ-მეთქი, მაგრამ გულმა მაინც რაღაცნაირად რეჩხი მიყო. კარი გავაღე თუ არა, მაშინათვე მივხვდი ყველაფერს. წადი აბა შენი კუ დაძებნე, ხომ არ გაიპარა-მეთქი. არ წავიდოდაო, ჩანთების დარდი ჰქონდა, საკბილო ეგულებოდა, ძლივს მოვიშორე თავიდან. შიშისაგან ერთიანად ვკანკალებდი, თავბრუ მესხმოდა.

ტელევიზორი ჩართული იყო, მიშა იქვე თავის სავარძელში იჯდა, ის სათვალის ცალი მინაც გავარდნოდა ხელიდან. საცოდავ ნათელას კიდევ სამზარეულოში დაელია სული, იატაკზე დაცემულიყო. კარტოფილი დაედგა მოსახარშად, ჩაჰქორობოდა ეს ოხერი. მეც ჩამიქრა რამდენჯერ და მომიკვდა თავი, რომ დროზე ვერ მივხედე, დროზე ვერ მივაქციე ყურადღება. გაშეშებული ვდაგავრ, ერთიანად ვცახცახებ, მინდა ვიყვირო, საშველად დავუძახო ვინმეს, მაგრამ ეზოში ბავშვია და არ მინდა შევაშინო.

ვფიქრობ, გავიყვან-მეთქი ისევ თინაანთა ბავშვს და თან შევტირებ ხალხს ჩემს უბედურებას, გავაგებინებ ყველას, რომ ჩემი პატრონი ამ ცისქვეშეთი აღარავინ დარჩა. გამიზარდოს ღმერთმა გია, შემოვრჩით-მეთქი ამ მიწას მხოლოდ ეს უბედური დედა-შვილი. გიას, ჩემს გიას, აღარავინ ჰყავს-მეთქი და უცბათ ყველაფერი გავიაზრე.

ხვალ არა და ზეგ არჩევნებია. შემჩნეული ხარ იმათთან ურთიერთობაშიო, ცუდად არ შემოგიტრიალდეს, ხომ არ დაგავიწყდა სამსახურს გაძლევთო, – ამას წინეებზე მითხრა. ვისთანა-მეთქი, ქალო, – წამივიდა თმა ყალყზე. ყველაფერი ვიცით, ტყუილად ნუ იმართლებ თავსაო, ლალი მაგათი დამქაშია, შენ კიდევ შემჩნეული ხარ მაგასთან ურთიერთობაშიო. სარწმუნო წყაროებმა თქვეს, რამდენჯერ დაუნახავთ შენი სახლიდან გამოსულიო. რა სარწმუნო წყარო, ქალო, გზის გადაღმა ცხოვრობს-მეთქი. ერთად დავიზარდენით. ხან ის გადმოვა ქინძის სათხოვნელად და ხან მე გადავძახებ დაფნის ფოთლისთვის-მეთქი, რისი პოლიტიკა, ქალო, მართლა აღარა გრცხვენიათ-მეთქი. მე რომც დაგიჯერო, ზემოთ მაგას როგორ აუხსნი და როგორ დააჯერებო, ისედაც იმდენი პარტიული ჰყავთ დასასაქმებელიო. როგორ არ გრცხენიათ-მეთქი, ორი მოხუცი და ბავშვია ჩემს კისერზე, დაგჭირდათ და თან გადაგყევით და ცოცხის ჭერასაც თუ დამამადლითი მაგას რა მომაფიქრებდა-მეთქი. უიმე, ქალო რას გაფიცხდიო, მე კი ვიცი, რომ შენი ნდობა შეიძლება, მაგრამ. რა მაგრამ-მეთქი. სადგურთან რომ მანო ცხოვრობს, მაგის რძალსაც სდომებიაო. მერე-მეთქი, ხომ იცი როგორც ხდებაო. ახლა არჩევნებია, ხმებია ყველაფერიო, იმათ ხუთი ამომრჩეველი ჰყავთ, შენს ოჯხში კიდევ სამი ხმააო. მერე ქალო, ორი ხმის გამო მიტოვებთ-მეთქი შვილს მშიერს. მართლა არაფერი გაგეგება ამ პოლიტიკისო, ჯერ ერთი არჩევნებს ერთი ხმა იგებსო, და თანაო, – თვალი ამარიდა, – თქვი, ქალო, მეტი რაღა უნდა მითხრა-მეთქი კიდევ. რაო და მანოსთან ახალგაზრდები არიანო და ეგეც ხომ იციო, მარტო დღეისანი ხომ არ ვართო.

მთელი ღამე თეთრად გავათენე, ინათა და ვფრინდი რაიონის ცენტრში. იმ გათხსირებულმა მდივანმა კი მალოდინა მთელი საათი, მაგრამ მაინც შევედი, ასე და ასეა ჩემი საქმე არ დამღუპოთ-მეთქი, მაგ კაპიკებით მიდგას სული. ახლა ამ პატარა დაბისთვის ხუთი ამომრჩეველი ცოტა არაა, მერე მარტო ეგეც ხომ არაა, დიდი გვარიაო, ხომ იცი როგორ ხდება ხოლმეო, იმ ხუთის უკან კიდევ ხუთჯერ ხუთი დგასო... შევხედავთ ამ არჩევნებზე რა იქნებაო, ხომ ნამდვილად ხართ ჩემი ერთგულიო, გეფიცებით-მეთქი, მივიტყაპუნე დამჭნარ მკერდზე ხელი... გაგითვალისწინებთ, რამეს გაგიხერხებთო. ეს სამი ხმა ჩვენიაო ხო? აბა როგორ-მეთქი, მაშ როგორ! – შევპირდი.

ხვალ არა და ზეგ არჩევნებია. მანოს რძალს ხუთი სული ჰყავს, ხუთი ამომრჩეველი და კიდევ უკან ხუთჯერ ხუთი, გვარია დიდი, დიდად გასამრავლებელი კი არიან, ქურდები და ოხრები, მაგრამ ეგეთებისაა ეს ცხოვრება. მე კიდევ... ერთი, ამ ცის ქვეშეთში მეტი არც არავინ მყავს. ხვალ არა და ზეგ. ზეგ არჩევნებია, მე კიდევ ერთი ვრჩები, ხუთთან სამი კიდევ ჰო, მაგრამ ერთი? არა, ჩემი საშველი აღარაა. ნათელას პენსიაც რომ წინდაწინ მაქვს აღებული? იმასაც მომთხოვენ, მინდობილობა ჩემზე ჰქონდა, მე ავიღე, ქალი კიდევ ცოცხალი არაა, აბა მკვდარს ვინ რას მისცემს? მომთხოვენ! აბა ვინ შემაწევს? ბავშვი კიდევ სასკოლე მყავს, რა უნდა ვქნა? არა, ამ სამსახურის დაკარგვა არ იქნება.

აი მაშინ ვიფიქრე, უნდა დავმალავ-მეთქი. გაჭირვებაში მყოფ კაცს, ისეთები მოგივა აზრად, დალხინებულმა რამდენიც უნდა იფიქროს, რომ ვერას გახდება. რის ვაი-ვაგლახით ავიყვანე ეს ჩემი მოხუცები და საწოლში ჩავაწვინე, ვითომ და სძინავთ. არჩევნები ხვალ არა და ზეგაა, ეს მზე კიდევ ისე აჭერს. მალი-მალ მიმაქვს და ახალ-ახალ ყინულებს ვალაგებ ამათ გაყინულ სხეულებს.

ჭირის ოფლი მასხამს, ფოთოლი გაიფაჩუნებს და სისხლი მეყინება, აი ესაა და ვინმე მოვიდა, მოვიდა და მიხვდა-მეთქი გვერდით ოთახში მკვდრები რო მყავს დამალული. ეს ბავშვი ცალკე არ მეშვება, რატომ არ იღვიძებენო, რატომ არ ჭამენო, აიჩემა ეს სათვალე მე უნდა მივცე პაპასო, მე გავუტეხე და ახლა მე უნდა გავახაროო. ცალკე ამაების ფიქრში ვარ, ცალკე ეს სახლი მაქვს მისალაგებელი, არა ბინძურად კი არაფერი მაქვს, მაგრამ ფანჯრებია დასაწმენდი, აბლაბუდები არსად დამრჩეს. ათასი მიმსვლელი და მომსვლელი იქნება, როცა იქნება ხომ უნდა გავაგებინო ხალხსა, ამ მოხუცების ამბავი. მერე კიდევ ვითომ მკვდარიო, და მკვდარს ვინ უყურებს, სულ აქეთ-იქით აცეცებენ თვალებს. უიმე, ლილიამ იცის, ქალო, სადაც გინდა შევიდეს, მაინც იპოვნის სათქმელსა...

რაც მე მაშინ შიში ვჭამე, იჰ, გახსენებაც აღარ მინდა. ეს არჩევნების დღეც მოვიდა. წნევამ ამიწია, კეფა მაქვს დაჭერილი, ტვინში მასხამს სისხლი, მასკდება საფეთქლები. დილაუთენია სულ ბარგანაობით წავედი და შემოვხაზე. მოხუცებიო? არ შეუძლიათ და იქნებ სახლში გამოგზავნოთ-მეთქი ვინმე. მოვიდნენ. შიშისაგან ერთიანად ვკანკალებ, ისეთი ვარ, ლამის არის სული გამძვრეს, ვაი და მიხვდნენ და მერე რა ჯანდაბა ვქნა. ძლივს ჩაეძინათ-მეთქი, წამლები მივეცი, ისეთი წნევები ჰქონდათ, ლამის წაიღეს-მეთქი წერილი... ვეხვეწე და ვეღრიჯე, ნუ გამაღვიძებინებ, მე არ ვიცი ვისაც ხაზავენ-მეთქი? კაიო, კანონი ირღვევა, მაგრამო... კანონი ახლა თქვენც ჩემთვის გაქვთ რა მოგონილი, კანონი ისაა, რაც თქვენ გაწყობთ-მეთქი, გულში ვთქვი, მაგრამ ათასი მადლობა კი გადავიხადე.

წავიდნენ და ამოვისუნთქე, უჰ, რახან ეს ტვირთი ჩამომეხსნა და ახლა დატირებას მაინც შევძლებ-მეთქი. ავტეხე ვაი უშველებელი, ახლა ქა, ისე მაქვს შიშისა თუ ნერვიულობისაგან გული გაქვავებული, რომ აღარც მეტირება. ვირტყამ მუხლებზე ხელისგულსა, მიშველეთ-მეთქი ხალხო, დავიღუპე-მეთქი, გულში კიდევ გახარებული ვარ, ჰაიტ მანოს რძალო, ხუთნი ხართ-მეთქი არა, გაჯობათ თუ არა ერთის ჭკუამ. მოდის და მოდის ხალხი. ყველას უყვარდა ეს საწყლები, უწყინარი ხალხი იყვნენ, მშრომელი, წინ ზიხარ, უკან გადადიო არავისთვის უთქმათ. მოდიან და ინანებენ, მე კიდევ პირს ღიმილი დამთამაშებს, თავს ვერ ვიკავებ. ხუთნი არა-მეთქი, მანოს რძალო?!

კარგა დაღამეულზე მოვიდნენ ესენიც, პარტიის ხალხი, აბა კარგ ადგილას ვერ გილოცავთ-მეთქი. რას გვილოცავ, ქალო, მეორე ტური იქნებაო. რა იქნება-მეთქი? რაო და ჩვენა და იმათ ერთნაირი ხმები ავიღეთ და მეორე ტურიც იქნებაო.

თითქოს თავში კვალტა ჩამცხეს, რაღაც დატრიალდა, სამყარო დადგა ყირაზე და ყველაფერი გაშავდა, მაგრამ სანამ ბინდი ჩამოდგებოდა, მანოს რძალი დავინახე, მანოს რძალი ერთი არ იყო, ხუთი იყო და კიდევ მის უკან ხუთჯერ ხუთი...

თაია და მხატვარი

მხატვარს, რომელსაც შეშის მჭრელივით დიდი ხელები ჰქონდა, რა ხანია მიეტოვებინა ტილო. ოთახის შუაგულში იდგა და სიცარიელეს შეჰყურებდა. ძლიერი მხრები ჰქონდა, ძველ დროში ის მებრძოლი იქნებოდა, გლადიატორი. თაიამ თითქოს წარმოიდგინა კიდევაც რომაელი, თეთრ ტილოში გამოხვეული თეძო... ცხიმისგან მზეზე აპრიალებული ყავის მარცვლების ფერი კანი... თვალები...

თვალებში ჩახედა: თბილი, ოდნავ სველი მზერა ჰქონა, სევდის ნაკვალევი იყო თუ ღიმილის, რომ ვერც გაარკვევდი. შეღამებისას ჩამომდგარი ბინდივით მუქი და უძირო. გათბა. არა, ამ თვალების პატრონი არ იბრძოლებდაო, განა ვერ, არაო, – უთხრა გულს.

ოთახში სიგარეტის კვამლი მთაში ჩამოსული ნისლივით დაცურავდა. დაბალჭერიანი იყო, რძიანი ყავისფერი კედლებით. ხატვისთვის შეუფერებელი ბინდი მიტმასვნოდა ნივთებს.

ოთახის შუაგულში სავარძელი იდგა, ოდნავ შელახული, მოძველებული. გვერდით კი პატარა, ხის მრგვალი მაგიდა, რომელსაც აქა-იქ ზედაპირი დაჰკაწვროდა. სიგარეტის ნახევრად გახსნილი კოლოფი, ნამწვავებით პირთამდე ავსებული ჭაობისფერი საფერფლე და ყავის ფინჯანი – ზამბახისფერი, შავში გარდამავალი, ჩამრგვლებული, პუტკუნა. თაიას ისევ ხელებისაკენ გაექცა მზერა. ალბათ, უნდოდა წარმოედგინა ეს ფინჯარი თითებში მოქცეული.

მხატვარს სევდისფერი პიჯაკი ეცვა, რუხი, როგორც უსიზმრო ღამე და შავი პერანგი, რომელსაც გული თუ მკერდი ვერ გუობდა. ერთი ხელი კეფაზე შემოედო, მეორე ხელის თითებში სიგარეტის თითქმის ჩამწვარი ღერი ჩაკარგულიყო. თბილი ხელები ექნება მხატვარს. ჩემს გაყინულ თითებს მუჭში მოიქცევს და მომინდება, დავხუჭო თვალები და სამყარო იყოს მხოლოდ ჩემი, – თქვა თაიას გულმა. მერე მოლბერტის კიდეზე ჩამოჯდა და თვალები დახუჭა.

– სამყარო, რომელიც გვინდა მხოლოდ ჩვენი იყოს, სამწუხაროდ, სხვებისაცაა, – უთხრა მხატვარმა.

თაიას რაღაც ეტკინა მკერდთან და მხატვარი მიხვდა, რომ მისთვის ზედმეტად პატარა გული დაეხატა, იმდენად პატარა, მხოლოდ სიყვარულის ატანას რომ შესძლებდა. ინანა. ჩრდილი მიადგა დაბურული, უსიერი ტყესავით ხშირ წამწამებს. თაიას მოუნდა დარდის გადაწევდა და თვალების გავლით გულში სხივების მიტანა, გათბობა, მაგრამ მიწას ფეხი ვერ მიაწვდინა.

– რა შორი ყოფილა ჩემი სამყაროდან შენამდე, – თქვა თვალებმა, მაგრამ სიტყვებად არ აქცია.

მხატვარი სდუმდა და დრო დამშრალი ტბასავით უმოძრაო და უსახური გამხდარიყო. თაია ელოდა მის სიტყვას, იდუმალსა და ამოუცნობს. კაცი კი შემთვრალი თვალებით ახალ ფერებს აჩენდა თეთრ ტილოზე. თაიას ნახევრად დახატულ კაბას ასწორებდა, აფერადებდა, რომელიც ჯერ იყო ძალიან მოკლე, შუბლზე ძარღვად გაჩნდა ვნება და მხატვარს სისხლი აუღელვა, ნაჩქარევად დაადგრძელა. მერე კოჭებიც დაფარა. კაბა გაზაფხულივით ნაზი და მრავლისმთქმელი გამოვიდა, მსუბუქი იყო, მაგრამ მაინც სტოვებდა საფიქრალს ჩაღილული გულისპირი, დაუდევრად, თითქოს შემთხვევით, შეუკვრელად დარჩენილი, პატარა, კესანებივით ლურჯი ღილები.

თაიას თავი ელამაზა და ტილოზე შემობზრიალდა, კაბა მარაოსავით გაიშალა და წამიერად გამოაჩინა წვივი, ჩამოქნილი, ჯიშიანი...

თავი გვერდზე გადახარა მხატვარმა და ქალი შეათვალიერა. ეამა. მკერდისკენ გაიწია მზერამ, სიგარეტის ახალ ღერს მოუკიდა, ღრმად მოქაჩა. თაიას ყაყაჩოსავით მოედო სახეზე სიწითლე. პატარა, თეთრი ხელები ლოყებზე მიიჭირა. მხატვარს გაეცინა. ადგა, მუსიკა ჩართო, ვიღაც პიანინოზე ძალიან ნაზად უკრავდა, ისე, თითქოს კლავიშებს არც ეხებოდა. მელოდიამ თაიას სევდა მოუტანა. ჩამოჯდა, ხელისგულებს დაეყრდნო და ცას ახედა. ჯერ არ დაეხატა, თეთრი იყო, თეთრი და უსიტყვო.

– ღრუბლები დახატე, – სთხოვა თაიამ.

– რატომ? – გაოცება ვერ დამალა მხატვარმა.

– მინდა, ხანდახან წვიმდეს.

– მაშინ წვიმას დავხატავ, – გაეცინა და ის იყო, პატარა წყლისფერი წვეთები უნდა დაეხატა, რომ თაიამ მუხლებზე ჩამოდო თავი და ატირდა.

– რატომ ტირი? – მოუნდა მიჰფერებოდა, დაემშვიდებინა, მაგრამ მხოლოდ სიტყვებს გააყოლა სითბო, სურვილი კი ძლიერად მომუჭულ ხელისგულზე დამარცხებული მოკრივესავით გართხმულიყო.

– რატომ ხატავ წვიმას, მე ხომ ის მიყვარს, – სლუკუნ-სლუკუნით თქვა და ხელის ზურგით მოიწმინდა ცრემლი.

გაკვირვება დოინჯშემოყრილი ჩადგა მხატვარსა და თაიას შორის.

– ყოველ დილით იმაზე ფიქრი მაბედნიერებს, რომ შეიძლება გაწვიმდეს და თუ ყოველ დღე ისედაც იქნება წვიმა, რაღა გამახარებს? – სიტყვებს გული ამოაყოლა თითქოს.

გაკვირვება სკამის სახელურზე ჩამოჯდა და გულხელი დაიკრიფა, მხატვარი კი მოლბერტისაკენ რომ წავიდა, თითქოს ოთახში ვერ დაეტია, თითქოს მის მხრებს გაცილებით დიდი სივრცე სჭირდებოდა, სხვა საზღვრები, სხვა ცა და როცა მხატვარმა ხელი გაუწოდა და თაიამ თავისი ათრთოლებული თითები შეაგება და დასთანხმდა, წამოდგომაში დახმარებოდა, იმ სხვა სამყაროდ ყოფნა ინატრა.

მუსიკა თითქოს ფონი იყო მხატვრისა და თაიას ამბის და თითქოს არც ისმოდა. თაიას თითების დათმობა რომ ენანებოდა მხატვარს, წამოუარეს სიტყვებმა, დღეიდან უფრო გრძელი იქნებაო ღამეები, როგორ გავიდეო გაღმა, დილის სხივისკენ?! – თქვა მხატვარმა და ძალიან მოუნდა ერთი ბოკალი წითელი, სისხლივით წითელი ღვინო.

– ჩემზე იფიქრე და გზა შეგიმოკლდება! – გაეღიმა ქალს, მაგრამ ახლა მისი ღიმილი მწუხრისფერი შემოდგომასავით სევდიანი იყო.

– მე რომ შენზე არაფერი ვიცი? – გულმა კიდევ ერთხელ ატკინა რაღაც, შიგნით, ძალიან ღრმად.

– ზღვა მიყვარს, წვიმა და იასამნები, – მხოლოდ ამის თქმა მოასწრო თაიამ, სანამ მხატვარი, მისი თმის ბოლო ღერს უხილავი ფუნჯით შეასწორებდა.

რუხი იყო ქვიშა და ბინდისფერი ზღვა, აღელვებული, მობობოქრე, შურისმაძიებელი. ღრუბელი ისე მოსწოლოდა ცას, თითქოს ფეხმძიმე ქალი ყოფილიყოს და ეს-ესაა იმშობიარებდა. თაია კი იდგა სანაპიროზე, წაბლისფერი თმა ჰქონდა, ქარისგან აწეწილი, თვალებში უდროოდ მოსული სტუმარივით მობლანდული. იღიმებოდა, მაგრამ თვალებში, რომელიც არ უჩანდა, რადგან მხატვარმა მისი ფერის ამოცნობა ვერ შესძლო, ცრემლი ჩასდგომოდა. იმ მელოდიას ჰგავდა კაცმა „სევდიანი პოზიტივი“ რომ შეარქვა.

კაბის კალთა ოდნავ შრიალებდა. აღმოსავლეთისაკენ რაღაცას გაჰყურებდა თაია, იქით მხატვარს არაფერი დაუხატავს, მაგრამ ვინ იცის, ქალი ჯერ ისევ ეძებდა გასაქცევ გზას, გზას, რომელიც არ არსებობდა, რომელიც კუნძულიდან თავისდაღწევის საშუალებას არასდროს მისცემდა.

მხატვარმა ტილო აიღო, ერთ ხანს აკვირდებოდა და მერე „გაზაფხულის“ გვერდით დაჰკიდა.

სავარძელში ჩაეშვა, ყავა მოსვა, გასციებოდა, არ ესიამოვნა. თაიას რაღაც ჰკითხა, არავინ გამოეპასუხა. მარტოობა ჩამოუჯდა კალთაში. მხატვარმა ხელი მოხვია წელზე და მკერდზე მიისვე-

ნა. მარტოობას აბაზანიდან გამოსული ქალივით სველი კანი ჰქონდა. ვიღაც პიანინოს კლავიშებს ძალიან ნაზად ახებდა თითის ბალიშებს. მუსიკა მხატვარს გარს ევლებოდა და ისე აჟრჟოლებდა, თითქოს ქალის ტუჩი ეთამაშებოდა მის ყურს, მერე ეს ქალი კისრისკენ მიძვრებოდა და სველ კვალს სტოვებდა. თვალები დახუჭა. ყავისმარცვლებისფერ კანს სურვილი თეთრ პერანგზე შერჩენილი წითელი ღვინის ლაქასავით აჩნდა.

დილაობით მთაში ჩამოსული ნისლივით ადგა ოთახს სიგარეტის კვამლი, ფირსაკრავი დაუსრულებლად ატრიალებდა ერთსა და იმავე ფირფიტას, რძიანიყავისფერი კედლები გავსებულიყო უჩარჩოებო, ფუნჯმოუსმელი, თეთრი ტილოებით. ცარიელი მოლბერტის გვერდით კი პალიტრაზე ზეთის საღებავები კარგა ხანია ჩამხმარიყო.

ჩემი დედა

რაღაცნაირი მურტალი დღეა, აღრენილი ვარ, ბოღმა მახრჩობს. მანჩო მყავდა ექიმთან. სიმსივნეო მაჯახეს გულში პაპას მოქნეული წალდივით. ათასი გამოკვლევა და ამბავი. ოპერაცია სჭირდება – 18 000 ლარი. 300 ლარს ძლივს ვიღებ თვეში, ბანკი მე არ დამიმტკიცებს კრედიტს და სესხებით კიდევ ამხელა თანხას? კაი რა, თუ ძმა ხარ, ვის აქვს ფული, პურს ძლივს ყიდულობენ. არა, ფული როგორ არ აქვთ, მაგრამ ჩემს ნაცნობებს არა. მე გარეუბნელი ვარ. აქ სხვა კატეგორიის ხალხი ვცხოვრობთ, ვცხოვრობთ რა, ვიბრძვით გადარჩენისთვის.

ფული რომ არ გაქვს, ტეხავს. ფული რომ არ გაქვს დედას გადასარჩენად, ეს რაღაც უფრო მეტია, ეს დასასრულს გავს. მივდივარ და საკუთარ თავზე ვბრაზობ ისეთი ტიპი რატომ არ ვარ, რომ ვიქურდო, ვიბოზო, ვიჩათლახო, ვითაღლითო – საერთოდ რა ვარ და ვინ ვარ, ვერ გამიგია.

როცა ცუდად ვარ, დავდივარ, რა ვქნა, სმა და წამალი არ მიმაჩნია დარდთან ბრძოლის სწორ გზად. ისე სმა კი მიყვარს, მაგრამ სხვანაირი, დარდისა და ბოღმისგან გაბერილი რომ არ ხარ, აი, რომ ზიხარ პატარა მდინარის შუაგულში გაჩხერილ ლოდზე, გვერდით 4-5 შენნაირი თავზეხელაღებული შეყვარებული კაცი გიზის და სვამ ჩაციებულ ჭაჭას და აყოლებ, ასევე, მდინარეში ჩაციებულ საზამთროს, ფეხები კიდევ იმ პატარა კამკამა წყალში ჩაგიდგამს და ნეტარებ, სიამოვნებას იღებ, თითქოს რომ არც თვრები, რადგან აქაურობით კარგა გულიანად ხარ შებუჟბუჟებული.

ცუდად ვარ და მივდივარ, „პაძებკაში“ ჩავედი, აქაურობას შარდისა და სიბინძურის სუნი ასდის. გული მერევა საკუთარ თავზე, ცხოვრებაზე. ბავშვობაში მიწისქვეშა გადასასვლელებში ჩასვლა გვეკრძალებოდა, აქ ადამიანებს კლავდნენ, აუპატიურებდნენ, ძარცვავდნენ, ახლა რაღასი მეშინია, მაგრამ ალბათ ის ბავშობის მუქი ფერი მაინც გაჰკრავს აქაურობას, მინდა, ჩქარა გადავკვეთო გზა, მალე ავიდე მაღლა, ნაბიჯს ვუჩქარებ. 9 იქნება, რამდენიმე ჩინური მაღაზიიდანღა გამოდის სინათლე, გვირაბი ნაომარს გავს, სიგარეტის ნამწვავები, ლუდის ქილები... გვირაბის ბოლოდან ვიღაც განწირული ყვირის: ჩემი დედაა...

მე დედაჩემი მახსენდება, გაფითრებული, ნაოჭებშემოწყობილი, ჭაღარაშერეული. გაოცებული, უმწეო თვალებით რომ მოგვშტერებოდა ხან მე, ხან – ექიმს. ვნატრობდი, ნეტა თირკმელი სჭირდებოდეს ან რამე ისეთი, რომ გადავუნერგო-მეთქი, მაგრამ მას თავში აქვს გლეობლასტორმა და მე ტვინის გადანერგვა არ შემიძლია. ვიღაც საკუთარ დედას აგინებს, მე კი ჩემს გალეულ, პატარა დედიკოზე ვფიქრობ. რაც მეტად მივიწევ წინ, მით უფრო ძლიერდება ხმა. რომ შეხედო, იტყვი კაციაო, არა და აუტუზია კედელთან გოგო. შორიდანვე ეტობა მსხვერპლს კარგა წამოზრდილი მუცელი, ცხარე ცრემლებით ტირის. ეხვეწება, დამშვიდდიო.

ბოღმა კიდევ უფრო დიდდება და ყელში მეჩხირება. ის არაკაცი კი ფეხმძიმე ცოლს ხელს ჰკრავს და ხელს ვაშველებ, რომ არ წაიქცეს. დამშვიდდი ძმაო-მეთქი, ვცდილობ გოგო ვიხსნა და წადი შენი ბოზი დედაო...

დედას მაგინებს, მომაკვდავ დედას და ტვინში ბინდი წვება მთაში ჩამოსული ნისლივით, იმ წუთას საკუთარი სხეულიდან გავდივარ და ვიღაც სხვა ჩემს ადგილს ისაკუთრებს, მერე ის სხვამ ჯერ ცხვირში ხია მუშტი, მერე ძირს დაგდებულს ზედ დაახტა და ურტყამდა სახეში, ნეკნებში, თავში...

პოლიციამ რომ ამაგლიჯა იმ ნაბიჭვრის დაბეგვილ და სისხლიან სხეულს, მაშინღა მოვედი გონს. ის ეგდო შარდიან ქვაფენილზე, მისი ფეხმძიმე ცოლი კი მთელი ხმით, გაკაპასებული გაჰკიოდა: მივდიოდით მე და ჩემი ქმარი, ამ ქურდბაცაცამ ჩანთის წართმევა დამიპირა, ჩემმა ქმარმა არ დაანება, გინება დაგვიწყო, ხელი მკრა, მერე გუგას მივარდა...

ჩამსვეს. არჩადენილი სასჯელისათვის მოვიხადე. გამოვედი კიდევ უფრო დაბოღმილი, გაბოროტებული და საღამოობით ბებრის პირივით გამოცარიელებულ კედლებს შორის რომ ვზივარ და მარტოკაცის დარდებს ვებრძვი, თვალს ვადევნებ საინფორმაციო გამოშვებებში კრიმინალურ ამბებს, მაინტერესებს, როდის და რა ფორმით მოკლავს ის ნაბიჭვარი ცოლს, რომელიც მაპატიეთ, ქალთა უფლებების დამცველებო, და საერთოდ არ შემეცოდება, მეტიც, იქნება იმ დღეს ისეთი მოჟამული ვიყო, კიდევაც ვიფიქრო, ახი იყო-მეთქი მისთვის ასეთი დასასრული.

გიჟი ნატაშა

მე გიჟ ნატაშას მეძახიან. ცოტას ვურევ ანუ მთლად დალაგებული ვერ ვარ. ზოგი ამბობს, ბევრმა სწავლამ უყოო, მაგრამ ამ დუნიაზე კაცი არ მეგულება, ჭკუას გაეგიჟებინოს, უჭკუობას კი გიყვარდეს. ჭკუისაა თუ უჭკუობის მაგაების ბევრი არაფრი გამეგება, ისე კი ლაპარაკისას მერევა ხოლმე თავ-გზა. ალთას ვარ და უცბათ ბალთას ისე აღმოვჩნდები, გზასა და კვალს ვეღარ ვიგნებ. ამ დროს იციან ხოლმე თქმა: ჰაი, ნატაშამ ისევ აუშვა აფრებიო. არა, მამა გიცხონდათ, და თქვენსავით ლაფში ჩაფლული და ნაპირზე გამორიყული გემის ნამსხვრევები ვიქნები და დაველოდები განძის მაძიებლები როდის აღმომაჩენენ, ძირის-ძირობამდე დამათვალიერებენ, ამწონიან, შემაფასებენ და იმედგაცრუებულები მიმატოვებენ. დიახ, ჩემი აფრა მუდამ ფრიალებს და ხან რომელ ტალღას შეერკინება და ხან რომელ აიზბერგს გადაურჩება ბედის ვარსკვლავის გამოისობით. სამყარო მა რა გგონიათ თქვენა? ხავსმოდებული ყოფა? არა და არა, მე და ჩემმა ღმერთმა, ცხოვრება დიახაც წინ და უკან უმისამართო ხეტიალია, ახალი საფრთხე და ახალი იმედებია, ის შიშებია, რაც თან გვდევს და ის პატარა გამარჯვებები ამ შიშის დაძლევას თუ შეჩვევას რომ ახლავს.

ჰა ჰა ჰა ჰა, შვილოსა, რას დაგიღია ეგ პირი და შამომყურებ, ვგავარ ახლა მე სტომატოლოგს? უჰ, არა, არა, მაგათი სახელის ხსენებაც არ მინდა, აგეერ, ააა, ხედავ, აეს უკანა კბილები ერთიანად ჩამეფშხვნა, ისე მაწუხებს, შევჭამ ტკბილსა და მათენებინებს ღამეებს. მერე რა რომ ვიცი რაც მელოდება, იქნება და ღირდეს ის წამიერი სიამოვნება, იმ ხანგრძლივ ტკივილად, ჰა? ჰოო, არ გიფიქრია? უნდა იფიქრო, ჩემო, უნდა იფიქრო, მა რისთვის გაბია ტანზე ეგ დიდყურაანთ ვირივით გასიებული თავი? დროზე რატომ არ მივხედე? ჰო, ახლა უკვე დაგვიანებულია, საერთოდაც დროული როდის არის რომ გაიგო, უკვე დაგვიანებული უნდა იყოს. ახლა კიდევ, ახლა ნამსხვრევებად რაც იქცა, ვერა კაცი ვერ გაამთელებს.

ხუმრობა იქით იყოს და ვიყავი, ვიყავი ერთხელ სტომატოლოგთან: ღამე იყო. ამტკივდა და რა ამტკივდა. აგერ, პირდაპირ ტვინში მირტყამს. მგონია, ესაა და გონებას დავკარგავ-მეთქი. ვეღარ ვუძლებ, ეს ოხერი ღამე კიდევ, ამას ვენაცვალე როგორ მიყვარს, არა და არ თენდება, დგას გულ-

ზეხელებგადაჭდობილი და მიყურებს. უჰჰ, რა სიმწარე იყო, დავდივარ წინ და უკან. ჩქარი ნაბიჯით, თითქოს სადღაც მეჩქარებოდეს, მერე გეგონება უკნიდან სუნთქვას იგრძნობ, თითქოს ეს-ესაა უნდა წაგატანოს ხელი და... ვინაა?? ჭირმა, ღვარცოფმა, მაჯლაჯუნამ. ჰა, რა შენ არ გამოგდევნებია? აბა შენცა ხარ რა. როგორ, რომ წევხარ და უცბათ თითქოს საბანი ასწია, ეს-ესაა ფეხებზე უნდა მოგწვდეს და სასწრაფოდ არ შემოგიკეცავს ფეხები და შუქი არ აგინთია, თითქოს სინათლისა შეეშინდებოდეს? აბა შენც კაი ვინმე ყოფიხარ. ჰოდა, რაღა ბევრი ლაპარაკი უნდა, ძლივს გავატარე ის ღამე.

კაცს იმდენის ატანა შეუძლია, უუჰ, აბა ბიჭო ჩვენ რომ საკუთარი თავისა და ჩვენი ორგანიზმისა რამე გაგვეგებოდეს, ჩვენი ძალა რომ ვიცოდეთ? მთებს გადავდგამდით. ისე კი ვეჭიდებით მთებს, დედა უტირე, ისე მოვთხრით და ისე ავადენთ ხოლმე ნაცარ-ტუტსა, ეჰ. ჰოდა, რას ვამბობდი? ჰო, თავიდან-მეთქი, დასაწყისში, როცა გტკივა, კბილი კი არა ისა, სული თუ ხორცი, ცოტა რომ გტკივა, პატარა ხელებით გწიწკნის თითქოს ხორცს ბავშვი, ნერვები გეჭიმება სიმივით და ფიქრობ, ვერ გაუძლებ, ვერ გადაიტან, მერე და მერე თითქოს ეჩვევი, თითქოს შენ აღარც კი გეხება, გეგონება ფართო ნაბიჯით გადმოხვედი საკუთარი სხეულის ზღურბლზე და შორიდან აკვირდები რა და როგორ. ეს კიდევ ნორმალურია, რას იზამ, მართლა ხომ არ მოკვდები, ხომ უნდა იპოვნო შვება. ეს კიდევ არაა საშიში, მაგრამ თუ ტკივილმა არ დაიძინა, თუ არ მოტყუვდა შენს მოჩვენებით გულგრილობაზე, რა იქნება, იცი? ისევ შეხვალ სხეულში და ამ ტკივილით სიამოვნების მიღებას იწყებ, ახლა როგორ ეძახიან? ჰო, კაიფობ. აი ეს უკვე ძალიან საშიშია, ძალიან.

იმას გიყვებოდი, კბილი მტკიოდა-მეთქი. ძლივს გათენდა. გათენდა და გამოვეწყე. ჩავიცვი ჩემი ვარდისფერი კაბა, მაისის ვარდივით ვარ იმ კაბაში. რა გაცინებს, ისეც ვარდი ვარ, მაგრამ ივნისის. იმ კაბაში კიდევ... როცა რამე მტკივა და ცუდად ვარ, ხასიათი რომ სველი ქვიშით სავსე ტომრებს ემსგავსება, მაშინ ვიცვამ იმ კაბას, ოო, ისეთი ლამაზია, საკურას ყვავილებით აფეთქებულ ბაღს გავს. სად მინახავს საკურა? სად მინახავს და ფეჩნიკიაანთ პავაროტში. იჰ, შენც კაი ვინმე ხარ რა. კაცს რომ მხოლოდ იმის ხილვა შეეძლოს, რაც ცხვირ წინ აქვს, რასაც ხელით ეხება, წარმოგიდგენია რა ღარიბი იქნება, რა ვიწრო, რა საცოდავი? მე კიდევ, ეჰ, ვინ მოსთვლის რამდენჯერ მჭერია ქოლგა და ნელი, პატარა ნაბიჯებით მისეირნია საკურას ბაღებში.

ჩავიცვამ ხოლმე ჩემს ვარდისფერ კაბას, დამინახავენ წინსაფარწაკრული მეზობლები და მოპრუწავენ ტუჩებს: იჰ, ნატაშა, შე გასაქრობო, როგორ გამოწყობილხარ, უნდა გაგათხოვოთო, გოგო. კი გამკრავს ხოლმე გულში, თქვენ რომ გათხოვდით ხომ დიდი ხეირი, ახლა მეც უეჭველი უნდა თქვენი გობიდან ვჭამო-მეთქი, მაგრამ თუ მე მართლა გიჟი ვარ, მაშინ სიგიჟე იცი რითი განსხვავდება დალაგებული ყოფისაგან? იქნებ ისეც იყოს, კაი ალიყური წამოსდო ვისმე, ან სიპი ქვით მომარჯვებულმა ორღობეებში სდიო, მაგრამ არ ეტყვი ისეთ სიტყვას, რაც იცი რომ გულს ატკენს. არ ეტყვი, რადგან იქნებ ტვინი არეულიც გაქვს, მაგრამ გული გაქვს და გიძგერს, იქნებ სხვებზე უფრო ძლიერადაც და ძალიანაც იცი, როგორია გულის ტკივილი.

იმათ ჰგონიათ მე ამ კაბას ზამთარსა და თოვლ-ჭყაპში იმისთვის ვიცვამ, ტვინში ჭანჭიკები მაქვს დაშვებული, მე კიდევ... გინდა სიმართლე გითხრა? მე კიდევ როცა ცუდად ვარ, აი ასე, მხრებში გაშლილი დავდგები ხოლმე ჩემი ტკივილის პირისპირ და ვეუბნები: არ გამოვა არაფერი, ძვირფასო, ვერ დამცემ და ვერ დამაშინებ! ჰოდა, ისეთი ლამაზი ვარ, ისეთი აფეთქებული, ისეთი გამოზაფხულებული, ეს ტკივილი ერთი ხანობა კი მიყურებს, მერე ხელს ჩაიქნევს და მიდის. ან რა უფლება არ მაქვს ისე ჩავიცვა, როგორც მინდა? ამინდს უნდა ვკითხო რა ჩავიცვა? ან იქნება ჩემი ამინდის პროგნოზი მაქვს? ჰა? შენთვის რომ ქარია, იქნება ჩემთვის მოწმენდილ ცაზე დედოფალივით დაბიჯებს მზე? ან რას ამიხირდებიან ქოლგა რათ მინდა ამ სისხამ დილითო? მე რა არ შეიძლება მაწვიმდეს? ნუ ვბრაზობ? ეჰა, შვილოსა, ეს რა შენ გაბრაზება გგონია? ეს გაბრაზება ისეთი ვიცი?!

მტრისას! ისე ჯერ კი ძალიან არც გავბრაზებულვარ, ახლა ნოდარს რომ მკვახე პამიდვრები დავუშინე, ან ლამარა მასწავლებელს საკონტროლოს რვეულები თავზე გადავახიე, ეგ რა გაბრაზება იყო. ნახევარზეც არ გავბრაზებულვარ, მეტიც შემიძლია. საიდან ვიცი და ვიცი. რათ დავუშინე პამიდვრები? იჰ, მაგაებისა მერე იყოს. იმ სტომატოლოგის ამბავს კი, გიყვარდეს, მოგახსენებ. ისე, ჩვენში დარჩეს და სტომატოლოგი რა არის? მითამ და კბილის ექიმი არ სჯობია? თუ ორი სიტყვაა და ენა გაგიცვდებათ? სტომატოლოგი! მეხიც დაგეცეთ მაგ გაპრანჭულ თავებზე. ეს კიდე რაა, შენ მარიამი უნდა ნახო, იცნობ შენ მიტოს შვილიშვილს? აი ასე, დაიცა გაჩვენო, ა, ასე გაჯგიმული დადის, გეგონება მომართული რობიტი იყოს, არც მიხრა-მოხრა, არც რა. ასე კალის ჯარისკაცივით, მაგან იქ ნახა ეტყობა, რა ჰქვია? პადიუმზე თუ რაღაც ჯანდაბაა. ნახა როგორ დადიან დასაქოქი თოჯინები და მიბაძა. ჰა, ჰა, რას ვერჩი? ლამაზები, კი გიყვარდეს, არიან, უჰ როგორი ტან-ფეხი, რა თმა, რა ტუჩები... მაგრამ არ მამწონან, არ მამწონან და მამკალი. რათა? ყველა ერთმანეთს გვანან. როგორ, შვილო, რაში გარგია, სხვებისოდენა მკერდი და წელის გარშემოწერილობა, თმის ვარცხნილობა და ტუჩები? შენი, შენი ხომ უნდა გქონდეს რამე? იმ დალოცვილმა ღმერთმა, ხომ შაგქმნა, როგორც იყავი ისეთი, ჰა? აი ახლა შენ რომ ცოტა დიდი საჯდომი გაქვს, იქნება არც ჩემსაზე უკეთესი, მაგრამ მაინც კარგია, ძალზეც კარგია და იცი რატომ? შენია და მაგიტომ, მაგრამ... არა, ძირს მოდა! ლამაზად ჩაცმა? ვინ თქვა რომ არ მომწონს, იმისთანები მაქვს, თვალი დაგრჩება, უჰ, სულ ნაირ-ნაირები, ჭიქები, საინები, თეფშები, მახათები... იცი რას გეტყვი, ჩემო გოგო, არაა მოდა ჩემთვის, მე იქნება გიჟ ნატაშას მეძახიან, მაგრამ საკუთარი აზრი, თუნდაც გიჟური, მუდამ საკმარისზე მეტი მიდევს ამ გაბუებულ თავში, რათ მინდა სხვამ მითხრას ახლა ქამრითაა კაბა მოდაში თუ უქამროთ, შარვალი განიერი ჩავიცვა, თუ კოჭს ზემოთ და ტანზე მოტმასნული, სვიტრი მინდა მეცვას თუ ეს დალოცვილი მკერდი გამოვაჩინო. უუჰ, ლამაზი მაქვს, არა? ჰო, დაილოცოს, ისე მშვენის, დაიხედავ და ესიამოვნება თვალსა. ეს მოდაა თუ რაღაც ჯანდაბა, იმათთვის მაუგონიათ ვისაც საკუთარი აზრი არ გააჩნია, მე კიდევ ისედაც მშვენივრად ვიცი, რა მინდა. მაქვს თუ არა რაც მინდა? დიახ! აბა როგორ! ყველაფერიც მაქვს მე! აბა, მაშ რისთვის ვარ ასე არხეინად: ვცეკვამ კიდეცა, ვმღერი კიდეცა და ვიცინი კიდეცა... ყველაფერი როგორ მექნება, შენ, შვილო, მგონი მართლა ჩემზე გამოშტერებული ხარ, ან რა ჭირად მინდა, მე რა ღორი ვარ თუ ადამიანი? რაში მარგია ყველაფერი? მთავარი ის კი არაა, რა გაქვს, მთავარია რა გინდა რომ გქონდეს. და გონება, რომელიც მე მთლად თქვენნაირი არ მაქვს (ფუი ეშმაკს, ღმერთმა დამიფაროს) მკარნახობს, რომ ის მინდოდეს რაც მაქვს. ვედრო ნახევრად სავსე, ნახევრად ცარიელი, არ გაგიგია? ა, ეგ ჭიქაზეა? ოჰ, დიდი რამე თუ ჭიქაზეა, შემისწორე, შემისწორე, შემომიტლიკინე ხელად ენა... შენა, შვილოო, რაღაც ცუდი ბავშვი არ ჩანხარ, რათ გინდა, რისთვის გინდა ეგეთები ჰა? ბოდიში? რათ მინდა შენი ბოდიში? ახლა მე უნდა გითხრა, კაი-გაპატიე-მეთქი. მე რა ღმერთი ვარ, მამა-ზეციერს ვგავარ აქ შენდობები და პატიებები ვარიგო, ჰა?! გამეცი პასუხი! არა, პატიება რა არის ვითომ? იცი სინამდვილეში რა არის პატიება? როცა აღარ გახსოვს, გავიწყდება. აი, ფა-ფუ და სულაც აღარ გახსოვს რა თქვა და ქნა კაცმა, თორემ მისი სიავენე რო გახსოვს და შენ კიდევ ფიქრობ, ნახე იმ გათახსირებულმა რა ჩაიდინა, მე კიდევ შევუნდეო, ეგა, ჩემმა ღმერთმა, ამპრტავნებაა და სხვა არაფერი. შენ რა მასზე უკეთესი რითი ხარ, რომ მწვანე კიტრივით გამოგიდვია თავი? უკეთესი, უ კე თე სი. იცი რას გეტყვი? ეს სულელური სიტყვა რომ არ არსებობდეს, სამყარო გაცილებით ნათელი იქნებოდა. რათა და იმათა, რომ რასაც უნდა ვაკეთებდეთ, სულ იმის ცდაში ვართ გავიმარჯვოთ, ვაჯობოთ, მეზობელს, მეგობარს, თანამშრომელს, თაობას, ეპოქას... ესა რა ცხოვრებაა თუ რინგი? რაში გარგია სხვასთან ჭიდილი, ერთადერთი ვინც შეიძლება ზურგზე დასცე, ეს საკუთარი თავია და თუ ადგები და ისე იცხოვრებ როგორც გეცხოვრება, ესა ხარ და მორჩა, არც მეტი და არც ნაკლები, რა კარგი იქნება ცხოვრება, როგორი ნაღდი და გულწრფელი, ჰა? ეჰ, მე იქნება კიდევაც ვარ გიჟი, თუმცა მშვენივრად მომეხსე-

ნება, არც როდის მოვა ეგ დრო. მე თუ ვარ გულწრფელი? აბა რაა! რაში მინდა ახლა ტყუილი. შენ თუ იფიქრებ, გიჟ ნატაშას ცხვირზე კეხი არ აქვსო, ეს ჩემი პაპისეული კეხიანი და გვერდზე გადაგრეხილი ცხვირი გასწორდება? სარკეში რომ ჩავიხედავ აღარ იქნება? გავისწორო? შენა, შვილო, მართლა ალაოდ ხომ არ ხარ? ოპერაცია?! ეგღა მალია! გიჟი ხარ, ოხერი. ა, თუმცა გიჟი მე ვარ, შენ ოხერი იყავი მაშინ. რისთვინ გავისწორო, ვერ გეყურება, პაპისეულია-მეთქი, რომ ვამბობ? პაპა კიდევ, ის სულნათელი ისეთი კაცი იყო, ისეთი სუფთა და ნაღდი, ისეთი თბილი... ჩავიხედები სარკეში და დღენიადაგ მახსოვს პაპაჩემი, რო გავისწორო და გავიკოხტავო ის ცხვირი ვისი იქნება? შენ რა გინდა, სარკეში ჩავიხედო და ვინმე პაბლო ან ტომი გამახსენდეს?! ღმერთო, რაებს მიბედავ, საკუთარ თავს დავცინო? წარმოიდგინე დილით ადექი, ჩაიხედე სარკეში... იჰ, სარკეები ძალიან მიყვარს, მიყვარს სარკეები. მე თუ მკითხავ, ა ეს ჩვენი რკინის ღობეები, სულ უნდა ავშალოთ და სარკეებით შემოვსაზღვროთ ჩვენი სახლები. ჭიშკარი ხომ, ჭიშკარი ყველაზე დიდი და ნათელი სარკე უნდა იყოს, რომ სანამ ვინმეს სახლში შევალთ, სანამ გავივლით გზად და სხვისი ღობის მიღმა არსებული ომებისა და თავგადასავლების შესახებ დავიწყებთ ფიქრს, ჩვენი თავი დავინახოთ, ჩვენი წირპლიანი თვალები და ტილიანი თავი.

გახსოვს ტილები რომ გამრავლდა ერთი ხანობა? მეც მყავდა, უჰ, სულ ფუთფუთი გაუდიოდათ. მაცლიდა და მაცლიდა დედაჩემი, გამიქექავდა თავს, კაი მოზრდილ ტილს ამოიყვანდა და ფრჩხილზე გაიტკაცუნებდა. ჰა, ჰა, ჰა, ახლაც მახსოვს ეგ ხმა. მერე თავისით გაქრნენ. რა ვიცი მე, ახლანდელ ბავშვებს კი აღარ ჰყავთ და. აი, ისე გადაგვარდით, ტილი აღარ გიჩერდებათ თავში, სისხლი აღარ გაქვთ ეტყობა, სისხლი, რომ ტილები კვებოთ და თქვენ... იჰ... წახდით, წახდით... არა, ჩემო გოგო, არ გეწყინოს, შენ არ გეწყინოს, ვიხუმრე, თქვენ კი არ წახდით, დედებმა გაგაჩინებს ასეთი წახდენილები. იმ დედებს არ ჰქონდათ საკმარისი სისხლი, რომ თქვენთვის მოეცათ. არ ჰქონდა, დაიღვარა. ბრძოლაში, არა! არა, ბრძოლებში აღარ იღვრება სისხლი, არც მიწა მოურწყავთ, რა ვიცი იქნება იმ ტილებმა ამოგვწოვეს, მაშინ 90-იანებში რომ დაგვერია მთელ თაობას და გვწოვა და გვწოვა. სად გაქრნენ ნეტა ტილები? მართლა სად გაქრნენ, პატარა, შემზარავი, შავი ტილები? იქნებ გაიბერნენ, გასივდნენ, გაიზრადნენ და გარდაიქმნენ, იქნება ის ტილები ვართ ახლა ჩვენ? უთუოდ ეგრე იქნება, თორემ აბა კაცი კაცს რატომ უნდა სწოვდეს სისხლს?

რას ვამბობდი? მიტოს შვილიშვილზე? ვინ მიტო? აა, მარიამზე მოგახსენებდი. აი ასე დადის გაჭიმული, ნიკაპი მაღლა აუწევია, თავი ოდნავ გვერდზე და ოოო, ტრაგიზმი, ისეთი ტრაგიზმით შეუჭმუხნია სახე, რომ დაინახავ ღიმი არ მოგერიოს სახეზე არა და არ იქნება. რა ტრაგიზმი, შვილო, ტრაგედიები ცხოვრებაში ხდება, შენ კიდევ მაგ აპრეხილი ცხვირით ცხოვრებას უვლი გვერდს და თუ გგონია მარაქაში თუ არ გაერევი და შორი-შორ დაიწყებ სიარულს, ჩემზე უკეთესი იქნები, ეჰაა, აპრუწუწუ... ვერ ივარგებ, შვილოსა, ვერა. რაზე ვახსენე? ჰო, აი მაგან იცის, დედა უტირე, სულ ბრტყელ-ბრტყელი: ლოკადუნი, ლოკაცია, ფეიჯი... ჰაჰაჰაჰა, რაო, შვილო, გგონია შენსას თუ ვერ გავიგებ, ჩემზე უკეთესი მეგონები? სანამ ასე ცდილობ, დაამტკიცო, რომ ჩემზე ჭკვიანი ხარ, მშვენივრად ვიცი, ჩემზე დიდი ნაგავი რომ გგონია თავი. ეგ იქით იყოს და ჩემს კბილზე გიყვებოდი.

გამოვეწყე, ეს ჩემი მძივებითა და ათასი თვლით გაწყობილი კაბა ჩავიცვი, ა ესე, ლამაზად მარცხნივ გადმოვიყარე თმა, ერთ ყურზე გადავიწიე, მეორე დავფარე. ლამაზი ყურები მაქვს, პატარა, თავზე კოხტად მიკრული. ძველი ყაიდის ქალია დედაჩემი, იცოდა ყურებს რომ ახასიათებთ განზე წასვლის ცუდი ჩვევა და დავყავდი, ალბათ, ხილაბანდწაკმული. ახლა არ გამოხტეთ და დაიწყოთ, ბავშვის უფლებები ირღვეოდა, იქნება პარტყუნა ყურები უნდოდა ჰქონოდაო და ასეთები რა. ჰა ჰა ჰა ჰა. ვაი თქვენს პატრონს, უბედურს. მაგრამ რაღა თქვენი, ვაი ჩვენს საცოდავ თავებს თქვენ ხელში... გამოვაჩინე ეს ჩემი ლამაზი ყური, დედაჩემის „სისასტიკის“ გამოისობით რომ მაქვს მიწკეპილი კოხტად, შევიღებე თვალები, გავიღვიე ლოყებიც, წავისვი პამადა. ესენი, ეს საკრასკ-მაკრასკები, მა-

რთლა კარგები მაქვს, სულ ფრანციცულები – ნორას ნასახლარში ვიპოვნე. იმ სახლის სხვენში ერთი ხანობა მსახიობი ქალი დასახლდა. მსახიობი კი არა, უფრო ნამსახიობარი. ბებერი ბოზი! – როგორც ბებიაჩემი ეძახდა. არა, ცოდო როგორ ვთქვა და მაგის ბოზობა მე არ დამინახავს, მაგრამ გუმანით კი ვგრძნობდი, ისეთი იყო, ისეთი უწყინარი, ლაღი, კმაყოფილი, ყველას თანამგრძნობი და არავის საქმეში ჩამრევი – ზედ პაჭუა ცხვირზე ეწერა, თუ შუბლზე აწერიათ ხოლმე, ჰო, როგორც იყო, ეწერა იმ გრიმით გადათეთრებულ დაღარულ სახეზე, ცხოვრებისათვის ფართოდ გაეღო კარი და არაფერზე ეთქვა უარი საკუთარი თავისთვის. ავიც ბევრი შეხვედროდა და კარგიც ენახა, ამიტომ თუ იყო, არც არაფერი უკვირდა და არც არაფერზე სწყდებოდა გული. იჯდა ხოლმე სხვენზე, შავი ბარხატნი კაბა ჩაეცვა, კოჭებდაბერილ ტერფებზე ფეხსაცმელი აღარ ეტეოდა, მაგრამ მაინც ვერ ეშვებოდა ძველ ჩვევას, ჩაეკეცა ქუსლთან, ნახევარ ტერფზე ძლივს წამოეცვა, გულზე კიდევ, მრავალწყებად ეფინა მარგალიტის მძივები. რა ვიცი, მგონი ყალბი, მაგრამ ის კი არაა მთავარი რა ღირებულება აქვს ნივთებს, რომელიც ქალს უკეთია, რა მნიშვნელობას ანიჭებს მას თავად. თავზე ბუჩქად ედგა კოსა, გიშრისთვლიანი ბეჭდებით დახუნძლულ თითებში კი პაპიროსი ჰქონდა დღენიადაგ გაჩრილი და იჯდა ასე, იჯდა და გაჰყურებდა ცას, თითქოს მიწაზე ყველა წარმოდგენა ენახა უკვე.

წავისვი იმ ნამსახიობარის თუ ნაბ..., როგორც იყო, გავკოხტავდი, გავლამაზდი და წავედით დაბაში. დავინახე თუ არა შენობა, მაშინვე მივხვდი, არაფერი გამოვიდოდა აქედან. არ მინდა-მეთქი შემოსვლა, ვუთხარი დედას. იმან კიდევ, დედამ გენაცვალოს, ნახე როგორ დაგიამდეს, ისეთი კარგი ქალია, ისე მოგეწონება, ასეო და ისეო. მე არ ვიცი, აზრი რომ არ აქვს, არაფერიც არ მომეწონება! როგორი იქნება ექიმი? შენობა ყვითელია! გალაყებული კვერცხის გულისფერი. არ იქნება კარგი ქალი-მეთქი, მაგრამ მაინც შევედით. შენ აქ მომიცადეო. დერეფანში დამსვა დედამ, თვითონ კიდევ დამარილებული ხელებით დაუკაკუნა კაბინეტის კარზე და დამნაშავესავით შეიძურწა. ჰა, დედაჩემო, გიცანი და ამ სახესაც ვიცნობ, ხომ ვიცი ეუბნები ახლა, მაგასო თავში ცოტა ვერ აქვსო რაღაცები და ამგვარებს. გაიღო ისევ კარი და გამოყო ჭაღარა თავი, მოდი, შვილო, დაყვავებით მეუბნება, დედამ დაგეწამლოსო. არა, სულ ასეთი არაა, ხანდახან ძალიან რომ ავაფრენ ხოლმე ალალებს, ესეც აუწევს ხმას, მიყვირის და რას მიყვრის. უცბად დავსხამ ხოლმე ჩემს ჩიტებს, შემეცოდება ქალი. შემიტყუა ახლაც იმ კარს მიღმა. შევხედე და გალეული ქალია, აა, ა ამ ნეკის სიმსხო. დგას ამსიდიდო ქუსლებზე და ეგრიხება ი გაკნაჭული ფეხები, ხან იქით და ხან-აქეთ. შევედი და წამოდგა ფეხზე. თვალს მარიდებს და ისე უჭირავს თავი მითამ აქ არაფერიო. გეგონება არც ჩემი სიგიჟის ამბავი იცის და არც-რა. უჰ, გავცხარდი და რა გავცხარდი, გაჩვენებ-მეთქი შენ თავის მოკატუნება როგორც უნდა. მეც ასე ნორმალურივით დავჯექი სკამზე, ჩავჭიდე ხელები სახელურებს, თვალები დავხუჭე და ველოდები. აბაა, პირი გამიღეო, მომიჩლიქა ენა, გეგონება 2 წლის ლოყებდაბერილი საყვარელი ბავშვი ვიყო. ისევ გავახილე თვალები და ცოტა წამოვიწიე სავარძლიდან. ახლა კიდევ ეს თავისი პინცეტ-ლანცეტები თუ რაც არი, დამიტრიალა თვალებთან. ნურაფრის ნუ გეშინია, ხელსაც არ გახლებ, უბრალოდ ჩავიჭყიტებიო, შენი კიჭები ჭიამ ხომ არ დახრაო. აქ კი ვეღარ მოვითმინე, ჩაიჭყიტები რა მოდილიანს მოუხატავს ჩემი პირის ღრუ თუ რა დიდი ინტერესი გაქვს ახლა, გაჩვენებ-მეთქი მე შენ. გავაღე პირი, მომიახლოვდა, მომიახლოვდა, ეშინია, გუმანით ვგრძნობ, ძალიანაც ეშინია, მე კიდევ არ დავეღრინე? აი, სეირი ეგ იყო, იმან წივილი ასტეხა?! შეყარა მთელი თავისი კვერცხისგულა შენობა. მე კიდევ წამოვდექი, ხელები ისე მოვიმარჯვე თითქოს დახრჩობას ვუპირებდი, ერთი ნაბიჯი გადავდგი მისკენ. უნდა გენახა იმ ნეკისტოლა ქალს რამხელა ხმა ამოსდიოდა ყელიდან: მომაშორეთ ეს გიჟი თავიდან, მე რა ფსიქატრი კი არ ვარო. აჰა, წეღან ხომ იკატუნებდი თავს, ზოგიც ახლა იყავი-მეთქი აგრე მაგარ გულზე.

წამოვედით, სულ მუჯლუგუნებით წამომიყვანა დედაჩემმა, მოდის და თავისთვის დუდუნებს, ხან ჩემ დაბადებას ახსენებს, ხან კიდევ თავისი გაჩენის დღეს. რაღას ვიზამდით, გოგიას „ნოლ ძევი-

ტი“ იქირავა, ტაქსაობდა მაშინ გოგია. შენაო ფულს როგორ გამოგართმევო, აი საწვავიო და ეგაო. ის საწვავი კიდევ იმდენი ჩაასხმევინა, მგონი მთელი თვე ივლიდა წინ და უკან, მაგრამ ეს საწყალი ქალი დღემდე მის ლოცვაშია, მადლი ქნაო. ჰო, სულ მისნაირი კაცების მადლით არის ეს ქვეყანა ასე უკუღმა მბრუნავი. ისე მართალი თუ გინდა, სჭირდება ამ ცხოვრებაში კაცს ცოტა ეგეთებიც, გოგიამ რომ იცოდა ტკბილი ენით. ჰოდა, მივედით ქალაქელ ექიმთან. უჰ, რიგია და რა რიგია. გეგონებოდეს სასუფევლის კარს მისდგომოდნენ, ისეთი რიდითა და სასოებით შეჰყურებენ იმ კარს. იქიდან კიდევ კვნესა და ვაება ისმის. ხეირიც კია ხანდახან სიგიჟე, მთლად წყალწაღებული არ გეგონოთ: მიდგა-მოდგა დედაჩემი, ხან ერთს უჩურჩულა, ხან-მეორეს, მიიწ-მოიწივნენ და რიგის თავში აღმოვჩნდი.

როგორც იქნა გაიღო კარი და გამოვიდა ერთი ყბადასიებული ბიჭი, ისე აქვს სახე, ბულდოგ ძაღლს შეშურდება, პირიდან კიდევ სისხლიანი ბამბები აქვს გამოჩრილი, გამწარებული სული უდგას. ერთიანად გამცრა ტანში. სულ ცახცახი დამაწყებინა. ისე ვარ მიყინული ადგილზე, განძრევას ვერ ვახერხებ, იმან კიდევ იქიდან, შემდეგიო დაიძახა ჟანგიანი ხმით. შემეშინდა და ძვრას ვერ ვშვრები. სულ ხელის კვრით შემაგდო დედაჩემმა. კაცი იყო, ჭაღარაშერეული, ცივი და უხეში. ისეთი უკმაყოფილო სახით შემომხედა, გეგონებოდა ვალი მემართა მისი და ძალიანაც არ უხაროდა ჩემი გამწარებული კბილის ამბავი, კარგად რომ ჩაეკუნჭა მერე მანეთები ჯიბეში. ხელის მომკიდებელი არ სჭირდებაო, შეუბღვირა დედას. არც ეს მომეხასიათა. შენ რომ დღეში 100 ამოხრულ კბილს უყურებ, ამ ცხოვრებაგამწარებულ ქალს ეს ერთი გიჟი შვილი ჰყავს და ამ შვილს კიდევ ეს ერთხელ ასტკიებია კბილი. ასტკიებია და ამ გალეულ ქალს ჰგონია, მთელმა სამყარომ უნდა გაუგოს და უთანაგრძნოს, მთელი კაცობრიობა უნდა მზად იყოს მის დასახმარებლად. შენ კიდევ ისაო, ვითომც აქ არაფერიო, ვითომც მერე და რაო შენს შვილს თუ სტკივაო. გაჩვენებ შენ ვითომც რა-მეთქი!- აი მაშინვე გადავწყვიტე. დავჯექი. მოაგორა თავისი სავარძელი და გააღე პირი, დიდხანს გელოდოო! – დამიყვირა. მე კიდევ თითქოს ენა გადავყლაპე, ისე მაგრად მოვმუწე პირი, სულ ტუჩები დავიკვნიტე. იმან კიდევ რაღაც მითხრა, სიტყვები არ მახსოვს, ვგონებ არც მაშინ გამიგია, მაგრამ სხეულმა მიგრძნო რომ კარგს არაფერს მეტყოდა, იმავე სხეულმა მითხრა ეს კაცი ძალიან საშიშია და შენთვის ტკენა უნდაო. მერე კარგად არ მახსოვს, მაგრამ დედამ თქვა, სულ დააპორჭყნა საწყალ კაცს სახეო, ხელზე ისე უკბინა, კარგა ხანს, ალბათ, ვერც იმუშავებსო. ა ეგრე მოუხდება იმას: რა მნიშვნელობა აქვს, მაგიდის რომელ მხარეს ზიხარ, დედამიწა ხომ მუდმივად ბრუნავს და როცა იქნება, მაგიდის მეორე მხარეს ამოჰყოფ თავს და არ უნდა დაგავიწყდეს, რას გრძნობს შენს მოიმედედ მყოფი ადამიანი.

უჰ, კარგა გვარიანად კი შემჯორა მაშინ დედაჩემმა, მომდგა და რა მომდგა, რა აღარ მითხრა. მეწყინა. ისიც მეწყინა, დედას რომ ეწყინა და ისიც დედა რომ ვერ მივხდა მე რა მეწყინა. როგორც იყო, დავჯექი იმ საავადმყოფოს ქვის, მტვრიან საფეხურზე და ავტირდი. კი არ ავტირდი, ავბღავდლი. შემომეხვივნენ გარშემო, აქეთური-იქითური, ექიმი-ვექილი, გამვლელი-გამომვლელი, თითქოს ცირკი იყოს. ვაი თქვენს პატრონს უბედურს, რა გეშველებათ თქვენს დალაგებულ ცხოვრებაში მხიარულებას ვინ შემოიტანდა ჩვენ არეულები რომ არ ვარსებობდეთ. იკითხეს, იქექეს, ნწუ-ნწუ-ნწუ-ნწუო, იქნიეს ის ჩერჩეტი თავები და მიმიოფანტნენ. დავრჩით ისევ მე და დედა. სულ ასეა: სანახაობას ვინც უნდა ესწრებოდეს და როგორი აპლოდისმენტებიც უნდა დაიმსახურონ მსახიობებმა, სცენაზე ბოლოს მხოლოდ ის ადამიანები რჩებიან, ვინც დეკორაცია ააწყეს.

გაჭირვებით მომიჯდა გვერდით დედაც, ჯერ მუხლისთავებზე დაირტყა ხელები, რატომ ღმერთო, რატომო. თითქოს ყველა უბედურება იმ საბრალო ღმერთის ბრალი ყოფილიყოს. ატირდა. ჯიბიდან ხელსახოცში გახვეული წნევის წამლები ამოიღო და ჩაწუწნა. შემეცოდა. კიდევ უფრო ავტირდი. ახლა ჩანთა გახსნა და იმდენი ქექა სანამ მის არქეოლოგიურ გათხრებს ჩემი სიგიჟის აბების აღმოჩენა არ მოჰყვა. გულს ნუ გამიხეთქვა, დალიე შენ კი მოგიკვდეს დედაო, შემევედრა.

ახლა ის წარმოვიდგინე რა მეშველება დედა რომ მომიკვდეს-მეთქი და კიდევ უფრო ავღრიალდი. მერე ფერებ-ფერებით მაინც მაყლაპა ის წამლები. უუჰ, კაი ოხერი ქალია ეს დედაჩემი, იცის ხოლმე ეგრე, ვითომც აქ არაფერიო და მაინც გაიტანს თავისას. ნელ-ნელა დამეწყო დაბუჟება, მოვეშვი და დამდნარ ნაყინს დავემსგავსე. კი ვსლუკუნებდი, მაგრამ თავი აღარ მქონდა ტირილის. ამაყენა დიდი გაჭირვებით და ჩამსვა გოგიას მანქანაში, რომელსაც ფენოვანი ხაჭაპურით ჰქონდა პირი გამოტენილი. რა ენაღვლებოდა მთელი თვის სატაქსაო საწვავი ჰქონდა მანქანაში. უჰ, თავი არ მქონდა მაშინ თორემ ერთ ალიყურს კი იმსახურებდა ეგეც.

რაღა ბევრი ლაპარაკი უნდა, სახლში წამოვედით, გასავათებულნი და იმდენი თავგადასავლის შენდეგ, კბილის ტკივილი სულ დამავიწყდა. ის დღე იყო და ის დღე, თითქოს მიყუჩდა. შეეშინდა-მეთქი ჩემი და აგერ თავისით მორჩა, რა კარგი ვქენი იმ თეთრ ხალათიანებს ჩემი კბილი არ ვაჩუქე-მეთქი, რა იცი რაში გამოიყენონ? ამბობენ ინახავენო, მერე იმ კბილით ჩვენისთანა კაცებსა და ქალებს აკეთებენ. აბა სულ გათახსირდა ქვეყანა ვიღას უნდა ენდო. რაში უნდათ შენნარი სულელიო, თქვა დედამ. აბა რა გიჟი მეც კი ვეყოფი-მეთქი ამ არემარეს, გავიკრიჭე. ისე საიდუმლოდ გეტყვი და ასე არ ვფიქრობდი, გიჟები დიდად საჭირო ხალხი ვართ, აბა თქვენ ჭკვიანების ჩამთხლეეებული საქმეები ვინმეს ხომ უნდა დააბრალოთ?!

კბილი კი, არ გასულა დიდი ხანი და დამწყრილი მთსავით ჩამოიშალა. მერე მეორე მიჰყვა, მესამეც მარცვალ-მარცვალ ვაფურთხე. რას გეტყვი, იცი? როცა გტკივა უნდა გიხაროდეს, რადგან მთავარი საფრთხე მაშინ გემუქრება თურმე, როცა აღარ გტკივა. აი ეგრეა ჩემი ამბავი. რათ მოგიყევი? რამ გამახსენა ახლა ეს კბილები? უჰ, დავიწყებ და გზაში ვიკარგები. რას გეუბნებოდი, გოგო? ჰეა, სად წახვედი, შვილოსა? ამას დამიხედეთ, გაპარულა. მე შენ გაჩვენებ სეირს, ერთიც ვნახოთ ჩამოივლი ამ ჭიშკართან. ჩამოივლი და ამოგინაყავ მაგ ცხვირ-პირსა, შენ რა ხომ არ დაგვიწყებია, რომ მე გიჟ ნატაშას მეძახიან, სიგიჟე კიდევ ხანდისხან მშვენიერი რამეა – ისეთი რაღაცების გაკეთების უფლებას გაძლევს, რაც თქვენ – დალაგებულებს – არც კი დაგესიზმრებათ.

კოწახურის მთები

ჩემი სახლის ძირში მარო ბებო ცხოვრობს. მაროს ოთხი ფეხი აქვს: ორი თავისი და ორიც ხის. ოთხი ფეხით სიარული არც ისე კარგი რამეა. ნელა, ძალიან, ძალიან ნელა დგამს თავის ფეხებს და მერე ჩერდება, ჩერდება რომ დაისვენოს. მე მიხარია, რომ ორი ფეხით შემიძლია სიარული, სირბილი, დაუსრულებელი სირბილი, ისე რომ არ დამჭირდეს დასვენება. მარო კი საფეხურებზე გაჭირვებით ამოდის და სკამზე ჯდება. ეზოში თუ ვარ და ვთამაშობ, დამიძახებს:

– რომელი ხარ მანდა?

– თომა ვარ.

– უი, ჩემი თომა? – მეკითხება და გალურჯებულ ტუჩებს ისე აღებს, თითქოს უნდა გაიცინოს. გაწელილი, ლურჯი ტუჩებიდან ღამე ჩანს – ბნელი ღამე.

– მოდი აქა, – მეძახის.

მივდივარ. მარო მე არ მიყურებს, ჩვენი ეზოს ბოლოში აყვავებულ ბროწეულებს გაჰყურებს. ხელით მეძებს და ფეხებს შორის მიქცევს. ხელები გამხდარი აქვს და კანი რბილი. მე ორ თითს ვკიდებ მის კანს და ზემოთ ვწევ, კანი მომყვება და ამით გართობა ძალიან მიყვარს. რამდენჯერმე ჩემს ხელზეც ვცადე, მაგრამ ჩემი კანი ასეთი რბილი არაა, მე მაროს კანის მშურს. მარო ხელებით მისინჯავს თმას, სახეს, ყურებს, მერე იხრება, ისე იხრება ჩემკენ, რომ ბროწეულებს არ აშორებს

თვალს და თავზე მკოცნის. ცოტა ხანს ასე ვართ. მაროს ტუჩები უკანკალებს, თითქოს სცივა. სანამ ხელიდან დავუსხლტები ამბობს:

– მუხაზე ხანმრავალი მოიყარე, მთის წყაროს სიწმინდე და ქართული მიწის მადლი არ მოგიშალოს ღმერთმა. საითაც წახვიდე, ყველგან მზეები მიგქონდეს და შენს ნაფეხურებზე მინდვრის ყვავილები ამოდიოდეს.

კიდევ რაღაც უნდა თქვას, მაგრამ გავრბივარ.

– მაიცა, ბიჭო, – ისევ მეძახის. ვჩერდები. მარო კაბის კალთაზე ხელებს აფათურებს და ჯიბეს ეძებს. ჯერ პატარა, რუხი ფერის ნაჭერი ამოაქვს ჯიბის სიღრმიდან და მუხლებზე იდებს.

– ეს რა არის?

– ესა? – მეკითხება და ახლა იმ პატარა ნაჭერს ისე უსვამს ხელს, როგორც წეღან ჩემს თმას ეფერებოდა.

– ესა, პლატოკია.

– პლატოკი რა არის?

მარო ცდილობს ამიხსნას.

– რათ გინდა? – ძალიან მიკვირს რაში გჭირდება ადამიანს ჯიბეში ცხვირსახოცი, თუ სურდო არ გაქვს.

– ჩემი კაცისაა.

– შენი კაცი ვინაა?

– ჩემი კაცი იმ მუხის ფესვები იყო, რომელზეც შენ უნდა ამოიტოტო, – ვერაფერს ვიგებ, ხან კი არის და მართლა ძალიან არეულად ლაპარაკობს მარო.

ჯიბიდან ახლა ქაღალდს იღებს. იმ ქაღალდზე ქალი ჩანს, იმ ქალს კიდევ პატარა ბავშვი უჭირავს ხელში. თავზე კი მზე ადგას, დიდი, ნათელი მზე.

– მარო ბაბო, ესეც შენი კაცისაა? – ვეკითხები.

– არა, ესა ჩემი ბილეთია.

– სად მიდიხარ, მარო ბაბო?

– ჩემს კაცთან.

– როდის მიდიხარ, მარო ბაბო?

– რა ვიცი, ბიჭო, ჩამაივლის მატარებელი და წამიყვანს.

– ჰი ჰი ჰი ჰი, – მუცელი მტკივა ისე მეცინება, – აქა? – ვეკითხები და სიცილს ვერ ვწყვეტ.

– ჰო, ბიჭო, ჰო, შვილო, აქა.

– მატარებელი აქ არ მოვა. მატარებელს ასფალტზე სიარული არ შეუძლია, რელსებზე დადის, ჩვენთან კიდევ რელსები არაა. მატარებელი თუ გინდა იცი სად უნდა წახვიდე? აი იქით, შორს, – არ ვიცი ზუსტად როგორ ავუხსნა, მატარებლის სადგური სადაა, ერთხელ კი წამიყვანა მამამ, მაგრამ კარგად მეც არ მახსოვს, – მამას სთხოვე და წაგიყვანს, – ვარიგებ ჭკუას.

– ჩამაივლის აქაც, შვილო, ჩამაივლის, ჩემი მატარებელი რომ იქნება, ყველგანაც მომაგნებს.

– მერე სად უნდა წახვიდე?

– სადა?

– ჰო.

– სხვა ქვეყანაში.

– რატომ?

მერე კიდევ იქექება ჯიბეში და კანფეტებს პოულობს. პატარა, ჭრაჭუნა ქაღალდებში გახვეულ საწუწნ კანფეტებს.

– კოწახურის არის, – ისეთი ხმით მეუბნება, მართალია არ ვიცი რა არის კოწახური, მაგრამ მჯერა, რომ ამაზე ძვირფასი ქვეყნად არაფერია.

– რა არის სხვა ქვეყანა? – არ მავიწყდება ჩემი კითხვა.

– რაა და... მთებია, დიდი, ძალიან დიდი მთები კოწახურის.

მე მუჭში ვიქცევ კოწახურის კანფეტებს და ჭამას ვიწყებ. მარო კი ისევ ჯიბეში ალაგებს თავის ნივთებს. თავისი კი არა, თავისი კაცის.

ერთ კანფეტს უკან ვუბრუნებ. ახლა მის გვერდით ვზივართ, მე კბილებით ვაკნატუნებ, მაროს კბილები არ აქვს და ამიტომ წუწუნის. ის ისევ ბროწეულებს უყურებს, მე – მაროს. ნიკაპზე ბეწვები აქვს გამოშვერილი, თეთრი ბეწვები. სკამზე ვდგები და ბეწვების მოგლეჯვას ვცდილობ, მაგრამ არაფერი გამომდის.

– მარო ბაბო, რატომ გაქვს ნიკაპზე ბეწვები?

– დავბერდი, ბიჭო და განაღა ვიცი, სად რა მაქვს.

– სიბერე რა არის, მარო ბებო?

– სიბერე ისაა, რომ წინ აღარაფერი ჩანს.

– ბროწეულები ხომ ჩანს?

– ბროწეულები კი, – მეუბნება და მიღიმის, მაგრამ მგონია, რომ სულაც არაა კარგ ხასიათზე.

მე კანფეტების ჭამას ვამთავრებ და დედასთან გავრბივარ.

– მარო ბაბო, ჩვენთან რატომ არ ჭამს? – ვკითხულობ საღამოს, ყველა რომ ვსხდებით მაგიდის ირგვლივ და ცხელ კერძს ველოდებით.

– მარო ბაბო, ძალიან, ძალიან მოხუცია და ხალხი არ უყვარს.

მარო ბებოს ხალხი არ უყვარს, მაგრამ ჩემთან ყოფნა უყვარს. გამოდის, მე ხალხი არ ვარ. ძალიანაც კარგი, ხალხი კარგი არაფერი უნდა იყოს, რადგან მარო ბებოს არ უყვარს, ისევ თომა მირჩევნია ვიყო. თომა კარგი ბიჭია, ამბობს მარო ბებო. მაროც კარგი ბებოა, ვასკვნი მე.

ხანდახან მის ოთახშიც ჩავდივარ. იქ სულ ბნელა და ცოტათი მეშინია. მარო ბებოს კედელზე უკიდია ხალიჩა, არ იცის, რომ იატაკზე უნდა დააფინოს და ზედ იაროს, რომ ფეხები არ გაუცივდეს. იმ ხალიჩიან კედელზე კი ხის ტახტია მიდგმული და ზედ წევს. მარო ბებოს ღუმელიც აქვს, მაგრამ არასდროს ანთია.

– ცეცხლის ანთება არ იცი?

– რატომ არ მეცოდინება რა?! – ცოტათი განაწყენებულიც კია ჩემს კითხვაზე.

– არაფერიც არ იცი! – ვეუბნები მეც გამოჯავრებით.

– იჰ, ისეთ კოცონებს ვანთებდი ტყეში ხოლმე რო...

– თუ იცი, რატომ არ ანთებ ღუმელს? – მაინც ეჭვი მეპარება მის სიტყვებში.

– რატომ? – ფიქრობს, – არ მცივა, შვილო.

ძალიანაც სცივა, წევს ტანსაცმლიანი და საბანიც წაუხურებია. სცივა, მაგრამ ცეცხლს ვერ ანთებს. მახსენდება, რომ ცეცხლის ანთება მეც არ ვიცი და რომ არ მითხრას, თუ მაგარი ბიჭი ხარ, აბა მიდი და შენ აანთე ღუმელიო, აქეთ-იქით ვაცეცებ თვალებს. სანახავი და სალაპარკოც, რომ ბევრი არაფერია? მაგიდაზე პურის ნატეხს ვპოულობ. პური ხმელია.

– ამ პურს ძაღლს რატომ არ აჭმევ? – მიხარია, რომ ცეცხლის ამბიდან ასე კარგად დავიძვრინე თავი.

– ძაღლსა?

– ჰო, ძაღლს, ჩვენს მურას. ჩვენ, როცა საჭმელი გვრჩება, ძაღლს ვაჭმევთ. დედა ამბობს, რომ ძუნწი ხარ თუ საჭმელს სხვას არ უყოფ. შენ ძუნწი ხარ?

– არა, ბიჭო, ძუნწი არა.

– ძაღლს რომ პურს არ აჭმევ?

– მა არ ვაჭმევ?

– არაფერსაც არ აჭმევ, აქ დევს.

– მერე ვაჭმევ.

– როდის?

– მერე, შე არგასაქრობო, მერე.

– ახლა რატომ არ აჭმევ?

– ახლა სძინავს.

არ ვიცი, მგონი მატყუებს, ძაღლებს ხომ არასდროს სძინავთ, ჩემს მურას სულ ღვიძავს. შეიძლება მარო ბაბო ძუნწია, მაგრამ მე რომ კანფეტებს მაჭმევს? თან სულ მაჭმევს, კი არ მიყოფს და თავისთვისაც იტოვებს, სულ მე მაძლევს. შეიძლება ხან ძუნწია, ხან – არა. ასე იქნება.

მარო ბაბომ რამდენიმე დღის წინ დაიძინა და აღარ გაიღვიძა. მძინარე მარო ბაბო ასწიეს და მეორე სართულზე აიყვანეს, ყველაზე ლამაზი ოთახის შუაგულში დააწვინეს და გარშემო შემოუსხდნენ. ვეუბნები, რომ მარო ბაბოს უყვარს თავისი ხალიჩიან კედელთან მიდგმულ ტახტზე ძილი, მაგრამ არ მიჯერებენ. მინდა ახლოს მივიდე და ჯიბიდან კოწახურის კანფეტები ამოვიღო, მაგრამ ახლა მის კაბას ჯიბე არ აქვს და ძალიან მწყდება გული. თვალები დახუჭული აქვს. მაგრამ მგონია, რომ სიზმარშიც ბროწეულებს ხედავს, აყვავებულ ბროწეულებს.

ჩვენთან ძალიან ბევრი სტუმარი მოდის. არც ახალი წელია და არც ჩემი დაბადების დღე, მაინც მოდიან და ბევრი შოკოლადი მოაქვთ. შოკოლადები ჩემთვის და ყვავილები მძინარე მარო ბაბოსთვის. ვერაფერი გამიგია, მე რომ ქოთნიდან ყვავილები დავკრიფე, მთელი საღამო დასჯილი ვიყავი, მითხრეს: ცოდოა ყვავილი, ხელები, რომ დაამტვირე, ეტკინა და ტიროდაო. მე ყვავილების ტირილი არ გამიგია, მაგრამ მთელი საღამო კუთხეში კი ვიდექი. ნეტა ამათაც დასჯიან? პატარებს დიდები სჯიან, ესენი კი უკვე დიდები არიან და არ ვიცი, ვინ გაუბრაზდება. დიდობა მგონი იმით არის კარგი, რომ რასაც გინდა დააშავებ და არავინ გსჯის. ასე იქნება. მათ არავინ დასჯის, მაგრამ ყვავილებისთვის მგონი სულ ერთია, დიდები დაამტვრევენ ძვლებს თუ პატარები.

დედას ვეკითხები, რათ უნდა მძინარე მარო ბებოს ამდენი ყვავილი. უყვარდაო, მეუბნება.

– არაფერიც არ უყვარდა, არასდროს უთქვამს მიყვარსო.

– შენ რა ყველაფერს ხომ არ გეტყოდა, რა უყვარდა და რა არა?

– ძალიანაც მეტყოდა და რომც არ ეთქვა, მივხვდებოდი.

– როგორ მიხვდებოდი?

– როგორ და ჯიბეში შეინახავდა.

– ჯიბეში რა უნდა ყვავილებს?

– მარო ბაბოს რაც უყვარდა, ჯიბეში ინახავდა.

– ყველაფერს ხომ ვერ ჩასტევდა ჯიბეში, ზოგი რაღაცები ისე ჰქონდა შენახული. წადი ახლა, ითამაშე, – ეზოში მიშვებს დედა. გავრბივარ, მაგრამ ყვავილების ამბავი მაინც მაფიქრებს, მგონი მარო ბაბოს კოწახურის კანფეტები უფრო უყვარდა.

დღეს ძალიან ბევრი სტუმარი გვყავს. მძინარე მარო ბებო ასწიეს თავისი ხის ტახტიანად და მდინარის პირას, მინდორში მიჰყავთ. მერე მიწას თხრიან და ჩვენ მარო ბაბოს ვთესავთ. სახლში მის გარეშე ვბრუნდებით. ეზოში ძალიან დიდი სუფრა იშლება. ისინი სვამენ და ძალიან ბევრს მეფერებიან. მე მარო ბაბო მავიწყდება, მათაც არ ახსოვთ მარო ბაბო.

ღამე კი ვწვები და მესიზმრება: დიდი, ძალიან, ძალიან დიდი მთები – კოწახურის კანფეტების მთები და აყვავებული ბროწეულები.

მაია ღალიძე

აფთიაქისკენ მივიჩქაროდი. ახალგაზრდების ჟივილ-ხივილი შემომესმა. შევყონდი. ბავშვები ტყვეობიდან გამოქცეულ თუთიყუშს დასდევდნენ დასაჭერად. თუთიყუშს ფრენა უჭირდა.

შავთვალება გოგო გამოეყო დანარჩენებს, თითის წვერზე შემართულმა დამფრთხალი ფრივნელი ხელში აიყვანა, მიიხედ-მოიხედა, მერე ხელი ჰაერში შემართა და თუთიყუშს თავისუფლება მიანიჭა.

რატომ მოიქეცით ასე? ვკითხე გოგონას.

ფრთები იმიტომ მიანიჭა უფალმა, უნდა იფრინოს. ასე რომ არ მოვქცეულიყავი, ვიღაც დაიჭერდა და კვლავ გალიის ტყვედ იქცეოდა.

ბედნიერებისა და სიკეთის ცრემლმა თვალები ამიმღვრია. დავპატიჟე. მოვალო, დამპირდა.

რამოდენიმე დღის შემდეგ კარი მორცხვად შემოაღო, ოთახი მიათვალ-მოათვალიერა.

დავინტერესდი გოგონას ბიოგრაფიით. ჩემთვის კი ვწერ რაღაცას, მაგრამ არავის ვუჩვენებო. გაამხილა.

დავარწმუნე, წერა და საკუთარი ემოციების გათვალსაჩინოება სირცხვილი არაა, პირიქით.

და...

მომეწონა სიახლის ძიებითა და სითამამით.

სათქმელის დაუსრულებლობით.

ჩანაფიქრის ბოლომდე არ გამხელით.

16 წლისაა. უყვარს წიგნები. აქვს ძალიან დიდი სურვილი და ცოტა გამოცდილება. მიუხედავად ამისა, მაინც ახერხებს მიგიზიდოს და დაგაინტერესოს.

თეიმურაზ ლანჩავა

იქ და იმის იქით...

რატომღაც ოთახის ცრემლიანობა იგრძნო. შემაწუხებლად მოქმედებდა დაუნახავი ცრემლი. ისევ დახუჭა თვალები, გადაწყვიტა მდუმარედ დიდხანს ყოფილიყო მარტო. აინტერესებდა ვისთვის იყო ფასეული მისი ყოფნა, უამრავი მოგონება უტივტივებდა გონებაში, ფიქრის წანწალში ჩაეძინა.

– არის აქ ვინმე? – ჩაესმა.

თვალთახედვაში ცისარტყელასავით გაკიაფდა ფერადოვნება. საიდანღაც ლანდი გამოიზლაზნა, გოგონას ფეხებთან შეჩერდა, აჩურჩულდა.

შავსამოსზე მოკიაფე ცისარტყელას ფერები უცხო გარეგნობას საინტერესოს და მიმზიდველს ხდიდა.

– ვინა ხარ? – მკაცრი ტონი იგრძნობოდა.

– თქვენ თვითონ ვინა ხართ? – უტეხი მზერა მიაპყრო.

– ჩამეძინა და აქ მოვხვდი.

– სად ჩაგეძინა? – თვალნათლივ შეამჩნია მისი აწყლიანებული მზერა, დაბნეულობა.

– რა გქვია, როგორ მოგმართო?

– ერთი უბრალო სული ვარ, ამ სივრცეში რახანია მარტო ვარსებობ, პირველი ხარ, ვინც მესტუმრა და ჩემთან საუბარი მოიგუნება.

– რატომ ვართ აქ?

– გაურკვევლობა გვამთლიანებს. გაურკვევლობა ყველაზე საშინელი სასჯელია, რაც შეიძლება სულს გამოუტანოს განაჩენმა.

ფერებით სავსე მოლბერტი გამოჩნდა, ღრუბლებში ტივტივებდა.

ჰკითხა ქალმა:

– სულს ხატვის ნიჭი შესწევს?

– იმ სხეულის, რომლის სულშიც ჯერ არ ჩამიხედავს, დახატვა გამიჭირდება.

– მაშინ ჩემი სხეული დახატე.

სულმა თანხმობა მისცა.

ქალი შიშვლდებოდა, მისი ქათქათა სხეული თვალისმომჭრელად ბრწყინავდა. თმები ჩამოიშალა, თითქოს ღრუბლებში შეიყუჟა.

ვერ დაფარა ღრუბლებმა ქალის სილამაზე.

შიშველი მკერდი ტოკავდა და ტორტმანებდა.

თქვა სულმა:

აქამდე ჩემს გარეშე იყავი სამყაროში, ახლა ერთმანეთს ვავსებთ.

ჩაიღიმილა ქალმა, გაიტრუნა, დუმილმა მოიცვა იქაურობა.

– შევისვენოთ, – თქვა სულმა, ფუნჯებს ადგილი მოუძებნა, მერე გაიტრუნენ.

ქალი ამჩნევდა მაცდურ თვალებში ჩასახლებული იდუმალება ეძალებოდა, მოსწონდა.

– რამდენი დრო მაქვს შენთან ყოფნის? – იკითხა მორიდებით.

– იმდენი, რამდენი სიზმარიც დაგესიზმრება ჩემთან ერთად.

– სიზმარი არაჩვეულებრივი ფენომენია, თუ ზუსტად შენს სურვილს ეფუძნება, რაც გულით გინდა, გონება გიცოცხლებს.

– რა გსურს გულით?

– სიყვარული, რომელსაც ვერასდროს გამოვხატავ და ვგრძნობ. მეშინია არასწორად შევარჩიო ადამიანი, რომელსაც მივენდობი.

– მიიღებ შენს სანუკვარ სიყვარულს, ან რეალობაში ან წუთიერ გატაცებაში, დაელოდე.

– იქნებ უკვე მეწვია ეს მშვენიერი გატაცება და ვერ შევაფასე, ვერ შევიგრძენი?

– მშვენიერება ღმერთის მოგონილია, ის შენ უკვე გაქვს. თუ მოთმინებას გამოიჩენ, ყველაფერი კარგად იქნება.

– შენ რა იცი?

– ვხედავ და ვგრძნობ.

– მიხარია რომ ლამაზ სხეულს, ლამაზი სული ამშვენებს, ხომ გაგიგონია ასეთი გამოთქმა.

– გაგონილი ბევრი რამ მაქვს, ნანახი ნაკლებად.

– აბა, სცადე, ჩაიხედე სარკეში.

ქალი ღრუბლიდან დაეშვა, სარკე აიფარა, თქვა:

– ცაში ყველაფერი ლამაზია.

– სილამაზეს დანახვა უნდა, როგორ მიხარია რომ მშვენიერება გახდა ჩემი სრულფასოვანი აღმოჩენა.

– კომპლიმენტისთვის გმადლობთ, ჩემო უცნობო მეგობარო.

– ისევ უცნობი ვარ?

– სახელი რომ არ ვიცი?

– დამარქვი რაც გსურდეს, დამიძახებ და მოგიხედავ.

– მართლა მომიხედავ?

– შენი სილამაზის პატრონს ვინ არ მოუხედავს, ვინ არ მოუსმენს.

– შეფასებაში ცოტა მეტი ხომ არ მოგდის?

– არც არაფერი.

– ჩემს დაპატრონებაზე არ იფქრო, ამაოდ გაირჯები.

– შენ სურათს ვარსკვლავთა გამოფენაზე მივიტან, ვიტყვი რომ მე დაგხატე, მე აღმოგაჩინე. კმარა თავის მოსაწონებლად?

– რა თქმა უნდა.

უცებ ჩამობნელდა და ისევ განათდა ყველაფერი.

არ იყო ეს სიზმარი, არც ცხადი. ძილმღვიძობის ნაპრალში ჩარჩენილი დაუხარჯავი გრძნობისა და ენერგიის გამოვლენა იყო, რომლის ამოცნობასაც ბევრი დრო სჭირდება.

როცა გონებიდან გაუგებრობის შემცვლელი ფორიაქი გამოიდევნა, ნაცნობი ლანდი ისევ გამოჩნდა.

გაურკვეველი სურნელი ახლდა მის მოახლოებას.

– არ მომეკარო! – შემზარავად იყვირა ქალმა.

– ის ვარ, ის...

– ვინ ის?

– ვინც გინდოდა ვყოფილიყავი.

– აკი მივდივარო?

– რაკი ჩემში ჩარჩი, აღარასდროს დაგეხსნები.

– რანაირად?

– ასეთია სიყვარული. – იგი თავგანწირვაა... მშვიდად თქვა და შეტრიალდა.

ქალი უმზერდა როგორ მიდიოდა სული უკან მიუხედავად, აუჩქარებლად. ეგონა შემობრუნდებოდა, რაღაცას ეტყოდა.

არ მოხდა ასე.

წავიდა...

ᲒᲝᲗᲤᲠᲘᲓ ᲑᲔᲜᲘ

1886 დაიბადა გერმანიის სოფელ მანსფელდში, ლუთერანი მღვდლის ოჯახში.

1903 მარბურგში იწყებს თეოლოგიისა და ფილოსოფიის სწავლას.

1905 მედიცინას სწავლობს ბერლინში.

1911 პლენცლაურის ინფანტერიაში მუშაობს მედდად.

1912 ჯანმრთელობის მიზეზით ტოვებს ჯარს და ბერლინის საავადმყოფოში პათოლოგად მუშაობს. ლექსების კრებულით „მორგი“ დიდ მოწონებას იმსახურებს ავანგარდისტულ წრეებში. ეს ლექსები სადაოს ხდის ტრადიციულ წარმოდგენებს ლირიკაზე. მისი პროვოკაცია უწინარესად ადამიანური ყოფნის ბანალობასა და მის სხეულებრივ შემთხვევას ეხება. გარდა ამისა, ხელოვნების მისეული მეთოდები ახლებურია და გავლენას ახდენს ექსპრესიონისტულ ლირიკაზე.

1913 ლექსების კრებული „მზეები“ პოეტ ელზე ლასკერ – შიულერისადმი მიძღვნით გამოიცა, რომელთანაც მას ამ დროს სასიყვარულო კავშირი ჰქონდა.

1914-1917 ბენი მთავარი ექიმია დაპყრობილ ბრიუსელში, სადაც ე.წ. „რონნე“ ნოველები დაიწერა.

1917 ბენს ბერლინში იღებენ, როგორც დერმატოლოგსა და ვენეროლოგს. აქვეყნებს პროზაულ კრებულს „ტვინები“, აგრეთვე, ლექსების კრებულს „ხორცი“, სადაც მკვეთრად რეაგირებს ომისადმი.

1922 რჩეული კრებულის პუბლიკაციით ამთავრებს თავის ექსპრესიონისტულ ფაზას.

1927-28 „რჩეული ლექსებისა“ და „რჩეული პროზის“ გამოქვეყნების შემდეგ ბენი ესეისტიკას მიმართავს, აქ ის ისტორიის ფილოსოფიის კრიტიკასა და ნიჰილიზმზე ახდენს ფოკუსირებას.

1931 პრემიერა „პაულ ჰინდემითის ტონალური ორატორიუმები“ კრიტიკამ უარჰყო, როგორც – ნიჰილისტური.

1932 ბენს პრუსიის აკადემიის წევრად ირჩევენ. ეგონ ერვინ კირშთან კამათმა ხელოვნებასა და პოლიტიკაზე უდიდესი აღიარება მოუტანა.

1933 მარტი: ცნობილი ხელოვანები ჰიტლერის რაიხსკანცლერად დანიშვნის გამო აკადემიას ტოვებენ, მაგრამ ბენი რჩება. რადიოგადაცემებში „ახალი ქალაქი და ინტელექტუალები“, „პასუხი ლიტერატურულ ემიგრანტებს“ იცავს ნაციონალ-სოციალიზმს, მისგან გერმანელი ნაციის ხელახლა შობას იმედოვნებს. ლირიკაში ზეიმობს ფრიდრიხ ნიცშესა და ითხოვს ვაჟკაცურ-ჰეროიკულ სიმაღლეებს.

1935 ბენი სამედიცინო დახმარების ოფიცერია ჰანოვერში.

1936 დაბადებიდან 50-ე წლისთავზე ქვეყნდება „რჩეული ლექსები“, რომელსაც ჟურნალში „შავი კორპუსები“, როგორც „უჩვეულო საღორეებს“ აკრიტიკებენ. „შინაგანი ემიგრაციის“ შემდეგ ბენი „ძალაუფლების სიმდიდრეს“ „სულის ძლიერების“ ავტონომიაზე დამოუკიდებლად აღიარებს.

1938 გარიცხეს რაიხსმწერალთა აკადემიიდან და წერა აუკრძალეს. დაქორწინდა ჰერტა ვიდემაიერზე.

1943-1945 ლანდსბერგში არალეგალურად გამოსცა „22 ლექსი (1936-1943)“. მუშაობს რომანზე „ფენოტიპი“ და „ქალაქურ ლექსებზე“, რომლებშიც ის კავშირს სინამდვილესა და ხელოვნებას შორის, ასევე, ხელოვანებს თავის საკუთარ ცხოვრებასთან აკავშირებს.

1945 მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ბენის ცოლი თავს იკლავს, რადგან ქმრისგან არანაირი ინფორმაცია არა აქვს. მცირე ხნის შემდეგ ბენი ბერლინში ისევ ექიმად ბრუნდება.

1948 შვეიცარიაში ქვეყნდება ლირიკის კრებული „ქალაქური ლექსები“, რომელნიც მის გვიან დიდებას განაპირობებენ.

1949 ახალი პუბლიკაციებით (ლირიკა, ესეები, პროზა) ბენი ლიტერატურულ აღიარებას მოიპოვებს და გვიანი ნაწარმოებებით გავლენას ახდენს ომისშემდგომდროინდელ გერმანულ ლირიკაზე. ბენს ემიგრაციიდან მობრუნებული მწერლები აკრიტიკებენ ნაციონალსოციალისტებთან ყოფნის გამო. ახალგაზრდა მწერალთა თაობა კი დიდ პატივს მიაგებს ახალი სტილის დამკვიდრებისთვის.

1950 ავტობიოგრაფიაში „ორმაგი ცხოვრება“ ბენი თავის კავშირს ნაციონალსოციალიზმთან ამართლებს.

1951 ბენს გეორგ ბუხნერის პრემიას ანიჭებენ.

1956 არაერთი დაჯილდოება 70 წლის იუბილის გამო. ამავე წლის 7 ივლისს ბენი ბერლინში კიბოთი გარდაიცვალა.

კოკაინი

მე-ს მსხვრევა, ის ტკბილი, ღრმა მონატრებანი,
რასაც შენ მიძღვნი...
და ყელიც უკვე გამოშრა ხრინწით,
ეს უცხო ჟღერა საფუძველია ჩემგან შექმნილი,
გამოუთქმელი მე-სი.
მახვილით — აღარ, ეს ხომ დედის საშოდან მკვეთს,
იმისთვის, რომ „აქ“ და „იქ“ რაღაც გააკეთოს
და გრდემლსაც ურტყამს ტრამალში ჩაძირულს,
სადაც გორაკნი ოდნავ შიშვლად განისვენებენ!
ერთი განურჩეველი სიგლუვე, ერთი პატარა რამ,
სწორედ და ახლა მტკივნეული ამოოხვრისთვის
აღიმართება ეს უძველესი, მუშტად შეკრული,
არა — თავისი თრთოლვით
ტვინმომზირალი, მსხვრევადი წარმავალობა.
აფეთქებულო მევ, ო, გამოწოვილო წყლულო —
გამქრალო სიცხევ, ტკბილად აჯაგრულო ბრბოვ:
გადინდი, ო, იდინე შენ:
დაბადე სისხლმუცელა უფორმობა.

მარტოსული არასდროს...

არასდროს ისე მარტოსული,
როგორც – აგვისტოში:
აღვსების საათები მიწაზე
წითელ და ოქროსფერ ხანძრებში...
სად არის შენი ბაღების ხალისი?
ტბები ნათელი და ცა რბილი,
მდელონი წმინდა და მბრწყინავი ჩუმად,
მაინც სად არის გამარჯვება და
მოწმობა გამარჯვების
შენგან გადათელილ სამეფოში?
სადაც ყველაფერს ამტკიცებს სიხარული,
აბრუნებს მზერასა და ბეჭდებს ცვლის
ღვინის სუნში, ნივთებით თრობაში –
ემსახურები შენს მწუხარებას, სულს.

პატარა ასტრა

ერთი გამაძღარი მელუდე დაეცა მაგიდაზე,
ვიღაცამ მუქნათელი ასტრა კბილებში გაუყარა.
როცა მკერდიდან კანის ქვეშ
გრძელი დანით ენასა და სასას ვჭრიდი,
მას უნდა შევხებოდი, რადგან ის ცურავდა
იქვე მყოფ ტვინში.
მე ის ჩავუდე მკერდის ჯოჯოხეთში
ხის ძაფთა შორის,
როცა ვკერავდი.
მაძღრად დალიე თავი შენს ლარნაკში!
მშვიდად მოისვენე,
პატარა ასტრა!

დამშვიდობება

მავსებ, ვით სისხლი ახალ ჭრილობათა
და ჩაედინები მის ბნელ შეგრძნებებში,
ვრცელდები, ვით ღამე ყოველი საათით,
ლაღად ფერადდები ჩრდილთა დერეფნებით,

ჰყვავი, ვით კოკობნი ძნელად ყველა ბაღში,
შენ, მარტოობავ, სიბერის ძონძებიდან,
შენ, ჭირთა თმენავ დამსხვრეულ ოცნებათა,
რა ძლიერ ეწამე და რა ბევრი იცოდი.
ადრე განმარტოვდი რეალობის სიგიჟეებში,
უარმყოფელო სწრაფად მოცემული მსოფლიოსი,
დაღლილო მეწვრილმანეთა სიცრუისგან,
არავინ ღრმა მე-თი შენთან კავშირში,
თვითონის სიღრმეები, არარას შემხები,
და აღარც სიტყვა და ნიშანი გამცემი,
შენ უნდა დადუმდე, დაეშვა დაღმა,
ღამის და დარდისკენ, ვარდები გვიან.

მინდორი უწმინდურთა

გადავიღალე კუნძულის ძებნით,
მკვდარი სიმწვანეების, მუნჯი ნახირის,
მე მსურს ნაპირი, ერთი ყურე,
ნავსაყუდარი ლამაზი ხომალდების გავხდე.

ჩემი ნაპირი მსურს ცოცხლებისგან
თბილი ფეხებით გავლილად ვიგრძნო,
წყარო ბუზღუნებს გადამცემ წყურვილში და
ყელი, როგორ მსურს, გავიგრილო...

და ყველაფერს სურს, უცხო სისხლში
აღდგეს და სხვისი ცხოვრების
ხვატში ჩაიძიროს...
არავის, არაფერს სურს თავისთავადი დარჩეს.

აქ ნუგეში არ არის

ვერავინ გახდება ჩემი გზის ნაპირი,
მოიცა, შენი ყვავილობაც დამთავრდეს,
ჩემი გზა მისჩქეფს და მიდის მარტო.
ორი ხელი ძალიან პატარა თასია,
გული – სულ მომცრო ბორცვი,
ზედ რომ მოისვენო...
შენ, მე ვცხოვრობ ყოველთვის ნაპირთან
და ზღვის ყვავილების ჩქერქვეშ,

ჩემი გულის წინ ეგვიპტე დევს,
აზია თანდათან ბნელდება.
ჩემი ერთი მკლავი ყოველთვის ცეცხლში დევს.
ჩემი სისხლი ნაცარია.
ყოველთვის ვსლუკუნებ
თირენის კუნძულების მკერდთან და ძვლებთან:
ბნელდება ხეობა მოთეთრო ალვებით
ილისსოს მდელოთა ნავსადგურით
ედემი და ადამი და მიწა
ნიჰილიზმისა და მუსიკიდან.

ო, ღამევ!

მე კოკაინი უკვე მივიღე,
სისხლმა დაიწყო დანაწილება,
თმები გათეთრდება, წლები გაფრინდება,
მე ჩავიძირები უსაზღვრობაში,
კიდევ ერთხელ წასვლამდე ავყვავდები.
ო, ღამევ! მე ხომ არც ისე ბევრი მინდა,
ერთი პატარა მონაკვეთი თვითშემოკრების,
ღამის წყვდიადი, ერთი აფეთქება
სივრცის შემოღწევის, მე-ს გრძნობის,
სხეულის კლავიში, წითელი უჯრედების რკალი,
ერთი აქეთ და იქით, და სუნი;
დაშლილი სიტყვათა ჭექა-ქუხილით:
ძალიან ღრმად ტვინში, სიზმარში ვიწროდ,
ქვები მიწისკენ მიფრინავენ.
პატარა აჩრდილი თევზს ყლაპავს.

მარტომყოფი

მარტომყოფი არის საიდუმლოშიც,
ყოველთვის დგას სურათების მორევში,
თავის გამრავლებით, თავის ჩანასახში,
თვით ჩრდილები ატარებენ თავის ხვატს.
ყოველ ნაოჭში არის ის
აზრით აღსრულებული და დაზოგილი,
ძლიერია ყოველი
ადამიანურის განადგურებაში,

ის აახლოებს და ის აჯვარებს.
უმოძრაოდ მოჩანს
ვით მიწა
ერთი სხვა იყო, როცა მას იწყებდა.
აღარ მოკვდე და აღარ გახდე:
ფორმამშვიდი მოჩანს მისი დასასრული.

* * *

ყოველ საათში, ყოველ სიტყვაში,
მოწვეთავს სისხლი ქმნილებათა ჭრილობებიდან,
მარად ცვალებადობს დედამიწა და ბადაგს აწვეთებს
ყოფნის გულზე და შინ ბრუნდება.
ფრთები ყველას მისცა, ღმერთმა რაც შექმნა:
სკვითებს – უზანგები, ფლოქვები – ჰუნებს...
მხოლოდ არ იკითხოთ, მხოლოდ არ გაიგოთ,
ატარეთ ზეცა, გზა გააგრძელეთ.
მხოლოდ საათი ძლებს თქვენი ნათქვამის სინათლე,
შემდეგ ჭრილობაა და სულ არაფერი...
მინდვრები ფერმკრთალდებიან, ამბობს მწყემსი,
ეს არის ნიშანი დათვრე ძლიერად...
მზერა – სილურჯეში, სახე – შორეული
ეს არის ერთგულება და სხვა არაფერი.
უერთგულე მდიდრებს, რომელნიც ყველაფერნი არიან,
ნიშანს, რა სწრაფად გადის დრო,
ერთი გაცვლა, ერთი ფერხული, ერთი ლეგენდის სხივი
და ჩქამი მდუმარებიდან,
და მეტი სხვა რა...

დედა

გატარებ, ვით წყლულს –
საკუთარ შუბლზე,
ის არ ხორცდება.
თუმცა ყოველთვის არ მტკივა
და მიედინება...
გული ამიტომ მკვდარია
მხოლოდ ხანდახან,
უცებ ბრმა ვარ და
სისხლს ვგრძნობ პირში...

მხოლოდ ო რ ი რამ*

რა ბევრი სახით გაიარე,
შემოაბიჯე მე-თი, ჩვენ-ით და შენ-ით.
მაინც ყველაფერი დარჩა ნაწამები
მარადიული შეკითხვით: რისთვის?
ეს ყოველივე ბავშვური კითხვაა,
ამას გაიგებ ძალიან გვიან!
არსებობს მხოლოდ ორი რამ: გაძლება!
აზრი, ვნება, თუ თქმა
შენი შორს გამიზნული: შენ უნდა!
ვარდები, თოვლი თუ ზღვა...
რაც ადრე ჰყვაოდა, გახუნდა...
არსებობს მხოლოდ ორი რამ:
სიცარიელე და შესანიშნავი „მე“.

გერმანულიდან თარგმნა **ხათუნა პატაშურმა**

---

* ლექსი „მხოლოდ ორი რამ“ პირველად 1953 წელს „ახალ გაზეთში“ გამოქვეყნდა. ის გოთფრიდ ბენის მოგვიანო ლექსებს ეკუთვნის. ეს რომც არ იცოდე, მიხვდები, რომ ლექსი ჭარმაგ, გამოცდილ, შეიძლება თამამად ითქვას, გამოცდილებით დაბრძენებულ ადამიანს ეკუთვნის. აქვე ვიტყვი იმასაც: ლექსის დასრულებულ ვირტუოზს, რომელსაც ხელოვნება იმდენად გაუხდა მეორე ბუნებად, რომ მეტრიკა და რითმა მისი ლექსების სრულიად ბუნებრივად, როგორც თავისთავად ცხადნი, ზემოქმედებენ. ამასთან, ის იმ დროს წერდა, როცა რითმა, ისტორიული გამოცდილებით სნეული, საფუძვლიანად დისკრედიტირებული იყო და, რაც მას სათქმელი ჰქონდა, სავარაუდოდ, მის პოეტ კოლეგებსაც ამოძრავებდა, უპირატესად, რითმაზე უარის თქმით. ის, ვინც აქ საუბრობს, უკან ერთ ცხოვრებაში იხედება, ეს აშკარად ერთი ბევრი „ფორმით“, როგორც ინდივიდუალიზმი, კოლექტივიზმი და პარტნიორობა წინამძღვრის მცდელობაა: გამართლება იპოვოს და პასუხი მოითხოვოს ამ ლტოლვის აზრზე. ეს გადაუდებელი კითხვა ცხოვრებას ახლაც ისეთ დაუსრულებენ ტანჯვად მიიჩნევს, რომ უკან მოხედვისასაც სრულიად უსარგებლოდ, ანდა, სულ ცოტა, უზომოდ დიდად მიიჩნევს, რადგან ის ასკვნის კითხვიდან, რომელიც, სახელდობრ, დაუსაბუთებელი, ანდა „მარადიულია“ და ამითაც მოჩანს უპასუხო, მაგრამ ახლა, თუმცა „გვიანაც“, „ბავშვურ კითხვად“ შეიცნობა: როგორც კითხვად, რაც ადამიანს გარკვეულ ასაკამდე არ ასვენებს და ტანჯავს, შემდეგ კი, ეს ნახვით განეიტრალდება, რომ პასუხი ამაზე ის არის, რომ ერთი ნამდვილი და დამაკმაყოფილებული პასუხი არ არსებობს. ამ აზრით, ბენმა 1949 წლის 17 თებერვალს, თავისი წერილების სანდო ადრესატს, ფ.ვ. ოელზეს, მისწერა, რომ ეს შეესაბამება გამოცდილებასა და შორსმჭვრეტელობას თანამედროვე ინტელექტის, რომ ის „ბოლო საქმეებს კი არ გამოიკითხავს, ბოლოს წინათიც მზად არ იქნება“. რაც მას რჩება, უკანასკნელი აზრის უპატიოსნობაა, ეს „სიცარიელე“, როგორც ამას ლექსის ბოლოს არქმევს, როგორც შეუცვლელი ბედისწერის უსინანულო „კაცური გაძლება“, როგორც ეს ბენამდე თანამედროვე შემეცნებითი სიტუაციების ძალიან მორცხვმა დიაგნოსტიკოსმა, მაქს ვებერმა ცნობილ მოხსენებაში – „მეცნიერება, როგორც პროფესია“ მოითხოვა. ბენმა ეს მაქსიმა სიტყვასიტყვით თავისი პოეტური ცხოვრების ცენტრად გაიხადა: „გაძლება“ ამთავრებს ძალიან სპონტანურად ამ მეშვიდე სტრიქონს, რომელიც ამ 13-სტრიქონიან ლექსში სიმეტრიის ღერძსა და გრავიტაციის ცენტრს ჰქმნის. ამგვარი შემეცნებითა და ცხოვრების პრაქტიკით განხიბლვის შედეგად – მეტრიკა და რითმა მოჩანს. ისინიც აქ შესაბამისი სიზუსტით მოქმედებენ. უპირველესად, როგორც საშუალება შერბილებისა და საჭიროების. განსაკუთრებით რითმას, როგორც ფენომენს, ბენი ამ წლების მანძილზე აკვირდება და აანალიზებს, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რაც მასთან რითმა ამ დრომდეა: გამოხატვის მცდელობა, რაღაცის ლამაზად თქმის, რომ, რაც ითქმება, მშვენიერებად გამოჩნდეს, მაგრამ მშვენიერება, სტენდალის თქმით, „une promesse de Bonheur“:ნეტარების ცხელება და აღსრულებაა. შეიძლება ლექსს ამ განმხიბლველ შემეცნებასთან ერთად მეორე – სხვაგვარად მჟღერი და კონკურენტული განსჯაც ჰქონდეს. ეს იგრძნობა გარითმვაში, რომელიც კრძალვისა და სიმკაცრის სიტყვებს არ იმსახურებს და ეს, ალბათ, გონებაცაა ხელოვანის. ლექსი გოთფრიდ ბენმა გამოცემაში ეპილოგის წინა პოზიციაზე დააყენა. ეს ლექსი მისი პოეტური ანდერძია.

ირმა ვადაჭკორია

„ძაფზე მოფარფატე სული“

საქართველო არის მისტიკის, ლეგენდების, მითების საოცარი ქვეყანა, რამაც, რა თქმა უნდა, ტრადიციებში ჰპოვა ასახვა და ოდითგან დღემდე გადახლართულია ერთმანეთში წარმართული და ქრისტიანული.

– რა იდუმალება იმალება მისტიკით მოცული ტრადიციების მიღმა? – ბევრს გასჩენია ეს კითხვა და სულაც არ არის გასაკვირი, რომ ხელოვნებაში არაერთგზის გვხვდება ტრადიციების განცდისმიერი ასახვა.

„კარგი წიგნი შენზე უფრო მეტს გიყვება, ვიდრე იმ სამყაროზე, რომელსაც კონკრეტულად ასახავს, ის არა მხოლოდ მკითხველისთვის იქმნება, არამედ, უპირველეს ყოვლისა, მკითხველზე არის დაწერილი; როცა ეს შეგრძნება იბადება, მაშინ იბადება ნამდვილი ზიარება წიგნთან“.

გია მურღულია

თუ შენ ოდესმე მაინც გაგჩენია სურვილი, გეპოვნა სულის გადარჩენის ინდივიდუალური სივრცე, თუ ახლა ამ რეცენზიას კითხულობ, დამიჯერე, ეს წიგნი აუცილებლად უნდა წაიკითხო, რადგან ის შენთვის დაიწერა; ეს წიგნი შენზეა, ადამიანურ სითბოსა და განცდებზე, სიყვარულის მიგნებასა და მასთან ურთიერთობაზე, ფაქიზ გრძნობებსა და ემოციებზე, რის დეფიციტსაც განიცდი დღეს შენ ირგვლივ გამეფებულ სასტიკ, დაუნდობელ რეალობაში.

სათაურსა და შესავალზე

თუ შენ პაუზებით კითხვა გიყვარს, პირველი დაპაუზება, რა თქმა უნდა, სათაურია. პაუზებით მკითხველები, ჩემი დაკვირვებით, ამბიციურები არიან (ერთგვარი შეჯიბრი აქვთ გამართული ავტორთან, ქვეცნობიერი ამბიციებიც აწუხებთ გენიოსთან მიახლოების), თუ ეს ხერხდება, სასიამოვნო განცდაა, მაგრამ მე ის ავტორები უფრო მხიბლავს, ლოგიკას რომ გინადგურებენ, მოულოდნელობის ეფექტით თავდაყირა აყენებენ ყოველგვარ პროგნოზს.

გონებაში, როცა ნაწარმოების სათაური – „ძაფზე მოფარფატე სული“ – წავიკითხე – უუპს!... – ჩავისუნთქე და ამოსუნთქვამდე ძალიან ბევრმა აზრმა გამიელვა გონებაში, მრავლისმთქმელმა სა-

თაურმა ფანტაზიას ფართო გასაქანი მისცა... იმ წამს მოვირგე პაუზებით მკითხველის ამბიციური ამპლუა და რამდენიმე მოსალოდნელი ვერსია განვიხილე.

...ყველა დაიმსხვრა!...

„თუ თქვენ ყურადღების მიპყრობა გსურთ, ეცადეთ თხრობა ეფექტურად დაიწყოთ, დაწყება გენიოსებს უჭირთ, დასრულება – ბრიყვებს; კარგი დასაწყისი ნაწარმოების ტოლფასია. ამ ფუნქციას უმეტესწილად სათაური ითავსებს, სწორად შერჩეული სათაური ზოგჯერ ნაწარმოებს უტოლდება,“ – ფრაზა ლიტერატურათმცოდნეობის პროფესორის ბეჟან ბარდაველიძის ლექციიდანაა. სტუდენტობისას ლექციაზე მოსმენილი ეს ფრაზა ამომიტივტივდა გონებაში.

არ ვიცი, ეფექტურ დასაწყისზე იფიქრა თუ არა ავტორმა, მაგრამ, ცხადია, გამოუვიდა!

შემდეგ იყო შესავალი ნაწილი და აქ სიმბოლო დატრიალდა გონებაში, მთელი ფიქრი ზიარებისა და ღვინის კავშირმა მოიცვა და ნაწარმოების კითხვისასაც არ მშორდებოდა განცდა, რომ სწორედ ზიარებაგავლილი თეთრი-მქრქალვარდისფერით შემოსილი მთხრობელი დაეხეტებოდა მისტიკური სამყაროს ლაბირინთებში და ლაბირინთებიდან სწორედ ამ მადლის საშუალებით აღწევდა თავს და ინარჩუნებდა სითეთრესა და სინათლეს სულში.

ტრადიციების განცდისმიერი ასახვა

მინდა გითხრა, რომ ეს არ არის მარტივი ნაწარმოები, რომელსაც ნებისმიერი მკითხველი თავისუფლად გაიგებს და გაიაზრებს. რომანი პირდაპირ ითხოვს ინტელექტუალურ მკითხველს, რომელსაც შეუძლია თითოეული ფრაზის ღრმად გააზრება და ამასთან აქვს რესურსი, რომელიც დაეხმარება ლოგიკური ბმების გაკეთებაში, ასევე, აღსანიშნავია ნაწარმოების უჩვეულო სტრუქტურა, ავტორი ერთმანეთის პარალელურად ორ ამბავს გვიამბობს, ერთს აწმყოში, მეორეს კი – წარსულში, რაც სიუჟეტური ხაზის ორიგინალურ განვითარებას უწყობს ხელს, ერთ შემთხვევაში ავტორი თქვენს ემოციებს, შთაბეჭდილებებს, გრძნობებს, განცდებს ძალიან ოსტატურად ეთამაშება, თანაც ზუსტად იცის, რატომ, რა თქმა უნდა, ისევ სათქვენოდ, თქვენი მომავლისთვის; მეორე ნაწილში კი ამბავს ყვება, წიგნს გაკითხებთ, თუმცა ორივე ამბავი ერთ დიდ მისტიკურ რკალშია მოქცეული და თუ როგორია ეს რკალი, თავად უნდა ამოხსნათ და შეაფასოთ.

საინტერესოა ისიც, რომ ავტორი საოცარი ოსტატობით ახერხებს, დასაწყისიდან ბოლომდე შეინარჩუნოს დინამიკა და მკითხველის ინტერესი ოდნავადაც არ შეანელოს, რაც, რა თქმა უნდა, მწერლის ოსტატობაზე მიანიშნებს და არა მხოლოდ ეს, ბევრი მნიშვნელოვანი დეტალია ნაწარმოებში, რომელიც ხაზს უსვამს ავტორის თვითმყოფადობას, ინდივიდუალიზმსა და ნიჭიერებას.

„წიგნი არის ადამიანის სულზე, უკვდავ სულზე; ამ სულის ძიებაზე; იმაზე, თუ რა ძლიერ უჭირს სულს, არა მარტო მარტოსულს, საერთოდ სულს ჩვენს ყოფიერებაში, ჩვენს რეალობაში გზის გაგნება, სიყვარულის მიგნება, სიყვარულთან ურთიერთობა“.

ქარდა ქარდუხი

რას ამბობენ ქარდა ქარდუხზე?

რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, მან ყოველთვის იცის, რას ელოდება მისგან მკითხველი და შეუძლია, მოლოდინსაც გადააჭარბოს.

ამბობენ, რომ ის არის მაღალი აზროვნებისა და ზნეობის ადამიანი. მისი ნაწარმოები საყვარელი საკითხავია.

არის ძალიან კარგი მთარგმნელი.

საკუთარ თავზე საუბარი არ უჭირს, ალბათ იმიტომ, რომ ძალიან ბევრი საინტერესო რამ აქვს სათქმელი, რომელიც ყოველთვის აჭარბებს მოსალოდნელს, მაგრამ დრო სჭირდება, ერთდროულად, ერთბაშად არ ამბობს სათქმელს, თითქოს ეფერება გონებაში და შემდეგ ამ ნაფერებს, ნალოლიავებს, სიყვარულით დალაგებულს გიზიარებს.

მის ყველა ნაწარმოებში არის აფხაზეთი გარკვეული დოზით, თარგმანებშიც კი გაიელვებს.

რას ამბობს ქარდა ქარდუხი თავის თავზე?

„მამა, მირიან ქარდავა, ისტორიკოსი იყო. აფხაზეთში ძალიან აფასებდნენ. გულითადი ურთიერთობების ადამიანი განსაკუთრებით უყვარდათ, ამიტომაც დიდხანს ედგა სოფელს სათავეში; დედა, მარიამ ბენიძე, მასწავლებელი გახლდათ, თუმცა ადრევე (მე ნაბოლარა, მეექვსე შვილი, ვარ), მგონი, უფროსი ძმის დაბადებისთანავე დაანება თავი მასწავლებლობას და შვილების აღზრდას მიანიჭა უპირატესობა, ჩემი „პროფესიული“ განათლების სათავეებთან სწორედ ის იდგა“.

უფაქიზესი გრძნობებით იხსენებს და საუბრობს ოჯახის წევრებზე, განსაკუთრებით აღმზრდელ ბებიაზე, ახსენდება ერთი სონეტი, რომელიც, მისი თქმით, ბებიაზეა სწორედ:

„სათნო ბებიამ გამიმხილა ანბანის ჯადო,
აგაგებთან და ტყაშმაფებთან გამიდო ხიდე,
ბებიაც მოკვდა, როგორც ყველა – არაფრის გამო,
დამრჩა ბავშვობა და უზომო ნაღველი კიდევ.

ვერ გამოვედი ბავშვობიდან უკვე ჭარმაგი,
(შვიდი ათასი წელიწადი სადღაც გამებნა)
ოჩოპინტრე და ასფურცელა, დევთა ჭალაკი...
გადამიფარეს ყოფითმა და ყალბმა გამებმა.

ნაზი ბებია ბუხრისპირად მიხსნიდა ანბანს,
და მეც ვჯღაბნიდი, მხოლოდ ჯანი გამიჯიუტდა,
ტაბაკონაზე როკაპები თავიანთ ნაგრამთ
ჩუმად წვართავდნენ, ამზადებდნენ ახალ იუდათ.

სათნო ბებია ბუხრისპირად მიხსნიდა ანბანს
და მიყვებოდა სიკეთეზე ზღაპრების ამბავს“.

ოჯახის წევრებმა უდიდესი კვალი დატოვეს ჩემს ცხოვრებაში.

ბებია, რომელმაც ანბანი მასწავლა, ჯერაც სკოლამდელ ბავშვს, მეგრული ეპოსის ბრწყინვალე ნიმუშებს მიყვებოდა ზეპირად, რამდენიმეჯერ რომ ჩავწერე კიდეც რვეულებში, რომლებიც აფხაზეთში დარჩა (თითქოს სიმბოლურად ქართულ მიწასთან ერთად ოკუპაციის ნაწილად იქცა), ასევე – მეგობრებმა (სიყრმისაც და მერე შეძენილებმაც), განსაკუთრებით ლიტერატურული წრეებიდან; თავის დროზე კი ეროვნული განმათავისუფლებელი მოძრაობის წამომწყებებმა და იდეოლოგებმა...

ასეთმა გარემომ შემაყვარა წიგნი.

ლიტერატურული გემოვნების ჩამოყალიბებაზეც უდიდესი გავლენა მაინც წიგნმა იქონია, თითქმის ყველა მწერალმა, რომელიც კი წამიკითხავს, ქართველმა და უცხოელმა შემოქმედებმა, ფილოსოფოსებმა და ფსიქოლოგებმა. თუმცა, ბუნებრივია, მთავარი მაინც „ვეფხისტყაოსანია“... ჯერაც სკოლამდე რომ მიყვებოდა მამაჩემი ძილის წინ.

საკუთარ გატაცებებზე საინტერესოდ საუბრობს: *„თუ მწერლობას პროფესიად ჩავთვლით, მაშინ მთარგმნელობა, ფოლიანტებში ხეტიალი და კვლევა არის ჩემი გატაცება, ასევე – ჩხირკედელაობა; მწიგვნელობას მივყავი ბოლო წლებში ხელი და რამდენიმე ათეული ხელნაკეთი „ვეფხისტყაოსანი“ გავაჩუქე მეგობრებში; ნადირობა, უფრო კი ბუნებასთან დაკარგული კავშირის აღდგენის მცდელობა...“*

წერს იმიტომ, რომ სხვანაირად არ შეუძლია; *„ბანალურია, თუმცა ბევრი ამბობს და ვეთანხმები, სხვანაირად არ შემიძლია. გულწრფელად კი, თუ გნებავთ, ვწერ, რადგან გამუდმებით ვეძებ თითქოს სადღაც გაუჩინარებულ სამყაროს და რომ არ ვწერო დამეკარგება; რომ არ ვწერო, ჩავთვლი, რომ არ არსებობს ის, რომელსაც უნივერსუმს, მარადიულობას თუ ღმერთს, რა ვიცი, როდის რას ვეძახით“.*

ფსევდონიმად აიღო ძველქართული ტომის სახელი საკუთარ გვართან იდენტიფიცირებით.

ვინ არის ქარდა ქარდუხი?

ფრიდონ ქარდავა, რომელსაც საზოგადოების უმეტესი ნაწილი ულამაზესი ფსევდონიმით, ქარდა ქარდუხით, იცნობს.

1974 წელს დაიბადა ქალაქ სოხუმში; წარმატებით დაასრულა სოხუმის რაიონის სოფელ შრომის დიდებული სკოლა, სადაც ასწავლიდნენ გამორჩეული პედაგოგები; შემდეგ სწავლა განაგრძო სოხუმის უნივერსიტეტში, რომლის დასრულებაც ქვეყანაში განვითარებული პოლიტიკური მოვლენების გამო თბილისში მოუხდა. აფხაზეთის ომმა ის და მისი ოჯახი დევნილებად აქცია. იძულებული გახდნენ მშობლიური კერა დაეტოვებინათ. ერთი წელი ბათუმის უნივერსიტეტში სწავლობდა, შემდეგ კი სწავლა თბილისში აღდგენილი სოხუმის უნივერსიტეტში განაგრძო. პარალელურად ისმენდა ლექციებს თსუ-ში, განსაკუთრებით ფილოლოგიური მიმართულებით, რამაც უდიდესი გავლენა მოახდინა მისი ლიტერატურული გემოვნების ჩამოყალიბებაზე, მთავარი და გადამწყვეტი მისთვის წიგნებია, *„თუკი რამ განათლება მაქვს, მაინც წიგნებიდან იყო და არის,“* – აღნიშნავს მწერალი.

1996 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი ისტორიის განხრით.

ოთხი წელი იმუშავა მასწავლებლად, ამჟამად არქივში მუშაობს. თავის პროფესიად მწერლობას მიიჩნევს.

ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი.

1994 წლიდან ქართული საზოგადოება ეცნობა მას, როგორც დამწყებ მწერალს, მისი პირველი ნოველა – „აღელდი პონტო“ – გაზეთ „აჭარაში“ ქვეყნდება. ამავე წელს კრებულში – „მზე მოვა ვიდრე“ – იბეჭდება მოთხრობა „ვარსკვლავთმორბედი“.

2001 წლიდან მისი მოთხრობები იბეჭდება ჟურნალებში: „ცისკარი“, „მნათობი“, „ლიტერატურული პალიტრა“, „ჭოროხი“.

2000-2004 წლებში თარგმნა ცნობილი ამერიკელი პოეტის, ედგარ ლი მასტერსის, ნაწარმოები „სფუნრივერის ანთოლოგია“. პოემა ნაწილ-ნაწილ იბეჭდებოდა გაზეთში „ჩვენი მწერლობა“, ასევე – ჟურნალებში: „ომეგა“, „ალტერნატივა“.

2005 წელს „სფუნრივერის ანთოლოგია“ წიგნად გამოიცა.

მოთხრობა „მანსარდა თავლაში“ და ემილი დიკინსონის ერთი ლექსის თარგმანი დაიბეჭდა კრებულში „უკარპარკი 2008“.

მოთხრობა „ნოსირი“ შევიდა ეროვნული ბიბლიოთეკის პროექტში – „ჩემი მოთხრობა“.

2014 წელს გამომცემლობა „საუნჯემ“ როსტომ ჩხეიძის რედაქტორობით გამოსცა მისი პირველი რომანი – „ძაფზე მოფარფატე სული“.

2015 წელს გამოვიდა მოთხრობების კრებული –„ბატიბუტის ჩურჩხელა“.

2017 წელს მოთხრობა „თუნთია“ დაიბეჭდა „ლიტერატურულ გაზეთში“.

2018 წელს მოთხრობა „თუნთია“ დაიბეჭდა ბულგარეთში კრებულში – „მორე“.

პრემიები, ჯილდოები, კონკურსები

1994-1995 წლებში გამოქვეყნებული ნაწარმოებებისთვის მიენიჭა ლევან გელაძის სახელობის პრემია.

2001 წელს მიენიჭა ჟურნალ „ომეგას“ პრემია „სფუნრივერის ანთოლოგიის“ თარგმანისთვის.

მონაწილეობდა გამომცემლობა „ინტელექტის“ პროექტში „ერთი შედევრის ყველა ქართული თარგმანი“ (უოლტ უიტმენი, რადიარდ კიპლინგი).

2020 წელს მონაწილეობა მიიღო გამომცემლობა „პალიტრა L”-ის მიერ გამოცხადებულ კონკურსში „გახდი ბესტსელერის ავტორი“; საკონკურსოდ გაგზავნილი რომანის პირველი ათი გვერდი წარდგინების სახით დაიბეჭდა „ლიტერატურულ გაზეთში“, 2020 წლის თებერვლის 259-ე ნომერში. რომანი „ჰერმესის დახლიდარები“ ჟიურისა და მკითხველის რჩეული გახდა“ და მას გამომცემლობა „პალიტრა L“ ნოემბერში გამოსცემს.

„ძაფზე მოფარფატე სული“ – რომანი სამი სემიოტიკური ენით

მწერლის ოსტატობა რომანის პირველივე ფრაზებიდან იკვეთება – სურათი იმდენად მეტყველი, ნათელი და დინამიკურია, თავიდანვე სამ სემიოტიკურ ენაზე იწყებ კითხვას; იღვიძებს ვიზუალური, აუდიალური, კინესთეტიკური შეგრძნებები. მიუხედავად იმისა, რომ დასაწყისში ავტორი არაფერს ამბობს ტრაგედიაზე, მაინც რაღაცნაირი დაძაბული ფონია, ტრაგიზმის განცდას აძლიერებს შავ-ნაცრისფერი სცენა, რომელსაც ხედავ ვიზუალისტურ ენაზე კითხვისას, ფერის გამოჩენა ტექსტში სწორედ ძაფებს უკავშირდება „პარკს ვშლი და ჩავყურებ, ხუთიოდე ძაფის კოჭია“, რომლის დანიშნულება, თავდაპირველად, ბუნდოვანია, ამ მრუმე ფონზე რაღაცნაირად თეთრად შემოანათებს წარმოსახვაში შავ პარკში ჩალაგებული ძაფები, შემდეგი ფერთა გაელვება მთხრობელს უკავშირდება „გაკუმატებული ვიხდი შავ პერანგს, მაისურსაც და შიშველ ტანზე ვიცვამ თეთრ სერთუკს, ვარდისფერი ხაზები რომ დაუყვება ალაგ-ალაგ, მქრქალი“, და ამ წუთებიდან ის არის ნაწარმოების ფერიცა და სინათლეც. მრუმე ფონზე ძაფი და მთხრობელი სინათლის სიმბოლურ სახეებს ქმნიან – ერთს სული მოჰყვება, მეორეს მოჰყავს უკუნ სიბნელეში თეთრად მოელვარე. ჩაგესმის ხმები, მა-

გრამ რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, გაქვს შეგრძნება, რომ ყველა ცდილობს, ისე ისაუბროს, რაღაც მისტიკური სიმწყობრე, სიჩუმე, სიდიადე არ დაარღვიოს; უმეტესწილად, ჩურჩული გესმის პერსონაჟების, და შეგრძნება მუდამ სიცივის, რასაც ავტორი არაერთხელ შეგახსენებს, რომ ირგვლივ ცივა. და ეს საოცარი შეგრძნებები არ გშორდება წიგნის დასრულებამდე და შემდეგაც, როცა წაკითხულზე იწყებ ფიქრს, მრუმე ფერებში შეციებული ჩურჩულით იღვიძებს წაკითხული.

თემები, რომელზეც გვაფიქრებს რომანი:

1. ტრადიციები, რომლებიც ზოგჯერ ცხოვრების ნორმად იქცევა და სჯულზე მნიშვნელოვანი ხდება

2. სტერეოტიპული აზროვნება, რომელიც არ აძლევს სულით მაღალ ადამიანებს მშვიდად ცხოვრების საშუალებას

3. სიკვდილის არსი, მასთან მიახლოება

4. აფხაზეთის ომი

5. ადამიანთა უზნეობა

6. ცხოვრება დევნილობაში

7. სიყვარული

8. ადამიანის ფსიქიკა

9. ტრადიციებისადმი თაობათა დამოკიდებულება

10. ოჯახური ურთიერთობები

ამ თემებზე გვაფიქრებს მწერალი.

რომანის უჩვეულო ენა

„ყველა სიტყვას ვუკვირდები... ყველა სიტყვაზე ნაფიქრი მაქვს“ – ამბობს ქარდა ქარდუხი ერთ-ერთ ინტერვიუში და ეს თვალნათლივ ჩანს რომანში, როგორი დიდი სიყვარულით, სიფაქიზით, რუდუნებით ეპყრობა და ეფერება თითოეულ სიტყვას.

წარმოუდგენელია წიგნის კითხვისას ყურადღების მიღმა დარჩეს მწერლის საოცარი ქართული, ნაწარმოების ულამაზესი ენობრივი ქსოვილი, თავისებური ლექსიკა, არქაიზმებით, დიალექტიზმებით, ქართველური ენისთვის (მეგრული) დამახასიათებელი სიტყვებით გაჯერებული, კომპოზიტები, წინადადებათა უცნაურად ლამაზი წყობა, ფრაზები, ფორმები, რომელთაც ნაკლებად ვიყენებთ თანამედროვე მეტყველებაში.

„აუარება გულისთქმა გონებას მირევს, თავი ამატკივა მოუხელთებელმა **ფიქრთა რიალმა.“**

„**მითჟამიდან მოაქწამამდე** იოტისოდენაც არ შეცვლილა რამე ადამიანის **სულისკნელში.“**

„მამალი უნდა ჰყავდეს **წინაგამკაფველი“**.

„ჩვევის ფესვებიც **ზეძირკველში** ჩაყრილია.“

„გაგაოცებთ ადამიანთა **გონთუმწეობა**“.

„იქნებ მართლაცდა არ იყო აზრსმოკლებული **გონსმიღმიური სულის** სააქაოდან გამხნევება.“

„მწარედ ჩაფიქრებული ვუცქერ მოლივლივე სითხეს. აგუნას დალოცვილი წვენი თუ ბუნდოვანი **მიუწვდომლობის სულისკნელათრთოლებული** და ვფიქრობ განუწყვეტლივ“.

„ათასობით **გესლმწთოლვარე** სულთა შორის ლაციცში.“

„**განკიდეგანება** არ ძალუძს.“

„გონმიუწვდომელმა ლოცვამ იმოქმედოს ზედაპირგანათებულ სარეცელზე.“

„**მითჟამინდელი** შუმერის სურათი მახსენდება.“

დასაგემოვნებელი ფრაზები რომანიდან:

„მწარედ ჩაფიქრებული ვუცქერ მოლივლივე სითხეს. აგუნას დალოცვილი წვენი თუ ბუნდოვანი მიუწვდომლობის სულისკნელათრთოლებული და ვფიქრობ განუწყვეტლივ“.

„აღარ მიკვირს თუ როგორ იმორჩილებენ ბრბოს. მე ხომ სულით ხორცამდე მომიცვა ამ მისტიური წესის, იმათი რ ე ლ ი გ ი უ რ ი მ რ წ ა მ ს ი ს ხორცშესხმამ; მე ხომ მთელი სერიოზულობით ვარ ჩართული ნაღდად წარმართობისდროინდელ როკვაში, მაშ, რა მნიშვნელობა აქვს მწამს თუ არა მწამს, მჯერა თუ არა მჯერა?“

„ყველას აქვს ჩალექილი რაღაც სულისკნელში, განა არ შეიძლება სწორედ მაშინ ამოხეთქოს როცა არავინ არ ელის“.

„კაცმა პრეისტორიულ წარსულში კი არა, შენს მეობაში უნდა იპოვო საყრდენი სვეტი.“

„ისე, თუკი არაფერი აღარაა მარადიული, იქნებ არც სიკვდილი იყოს გამონაკლისი.“

„დავიჯერო, უმწეობამ ამოახეთქინა ადამიანის გონს ასეთი იდუმალი ჩვევა, რელიგიურ წესად რომ დამკვიდრდა და ველურ ბუნებას შერწყმულ მისტიურობის სულისშემძვრელ ნაშიერად შემოგვრჩა ჟამთა საწყისიდან“.

„იქნებ ადამიანს მართლა არ ჰყოფნის ვაჟკაცობა, იქნებ ადამიანი უსუსური და უმწეოა დედამიწაზე, თუკი რაღაცა არ ირწმუნა, რაღაც საოცარი და მიღმიური? სხვანაირად ის მარტოა, ეული, უნებისყოფო.“

„საოცრად ადამიანურ გმირებზე ფიქრი რატომღაც უცნაურად მღრღნის და მაწვალებს მათს სულის მეტამორფოზებში ბოლომდე ვერგარკვეულს.“

„მწარედ ჩაფიქრებული ვუცქერ მოლივლივე სითხეს. აგუნას დალოცვილი წვენი თუ ბუნდოვანი მიუწვდომლობის სულისკნელათრთოლებული და ვფიქრობ განუწყვეტლივ“.

დასასრულს მინდა ვთქვა, რომ ეს არის უფაქიზესი გრძნობებით დაწერილი უთბილესი ნაწარმოები, რომლის ნაწილი პირველივე სტრიქონებიდან ხდება მკითხველი.

წიგნის დასრულებისთანავე აუცილებლად გაგიჩნდებათ ავტორის გაცნობისა და მისი სხვა ნაწარმოების წაკითხვის სურვილი. ბევრი კითხვაც დაგებადებათ, არა იმიტომ, რომ წიგნში რაიმე უპასუხოდ დარჩა ავტორს, უბრალოდ იმის იქით გაცნობის სურვილი ჩნდება.

წიგნის კითხვას რომ დაასრულებთ და კარგად გაიაზრებთ წაკითხულს, მიხვდებით, რომ არაჩვეულებრივი წიგნი წაიკითხეთ, რომელმაც ბევრი ფიქრი დაგიტოვათ, ბევრი რამ სულ სხვაგვარად დაგანახათ და სამომავლოდაც შეგიმზადათ საგზლად ფიქრები.

არსებობს ასეთი გამოთქმა **„წიგნებსაც თავიანთი ბედი აქვთ“** ამ რომანს უცნაური ბედი დაჰყვა – ის დიდხანს იბეჭდებოდა, ავტორი იხსენებს: „ეს იყო 2000 წელს – „ძაფზე მოფარფატე სული“, მას ვთვლი ჩემს ნამდვილ პირველ რომანად, ბოლომდე ვერ ვბეჭდავდი, მხოლოდ დასაწყისი გამოაქვეყნა „მნათობში“ თამაზ ჭილაძემ, მაგრამ როგორც ქალიშვილს ათხოვებენ ოჯახიდან გზაზე დაყენებულად ჩავთვალე, ვიცოდი, ოდესმე მაინც დაიბეჭდებოდა და ასეც მოხდა, მთელი თორმეტი წლის შემდეგ, დიდებულმა მწერალმა როსტომ ჩხეიძემ უპატრონა მას“.

ვფიქრობ, ეს უცნაური ბედის რომანი ახალ სიცოცხლეს იმსახურებს, კიდევ ერთხელ გამოცემას საზოგადოების ფართო წრისათვის.

ალექსანდრე ჩხაიძე

აჭარის ავტონომიის შესახებ

ავტონომია ნიშნავს რომელიმე ქვეყნის, მხარის, ოლქის უფლებას ჰქონდეს თვითმმართველობა. სახელმწიფოში ასეთი მმართველობის უფლება ეძლევათ იმ რაიონებს რომელთა მოსახლეობა განსხვავებულია ეროვნული მდგომარეობით, რელიგიით, ყოფა-ცხოვრებით. ავტონომიური მმართველობის სახელწოდებები (მაგალითად: რესპუბლიკა, ოლქი, ოკრუგი და სხვა), ასევე ფორმები და უფლებები სხვადასხვაგვარია.

1921 წლის 16 ივლისს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საზღვრებში შეიქმნა აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. მისი შექმნა იმ დროისათვის ლოგიკურ, მოსალოდნელ მოვლენას წარმოადგენდა. გარკვეული აზრთა სხვადასხვაობა გამოწვეული მისი უფლებებთან დაკავშირებით, ადვილად გადაწყდა. საბჭოთა ხელისუფლების დროს ათეული წლების მანძილზე, ჩვენი რეგიონის ავტონომია უხმაუროდ ასრულებდა თავის ფუნქციას.

1985 წლიდან, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მიხეილ გორბაჩოვის მიერ გამოცხადებული გარდაქმნის პოლიტიკის კვალად საქართველოში აზვირთდა ეროვნული მოძრაობა. იმ დროიდან სხვადასხვა საკითხს შორის მოსახლეობის ერთ გაუთვითცნობიერებელ ნაწილში მცდარად დაისვა ჩვენს ქვეყანაში ავტონომიების არსებობის საკითხიც. სხვებს შორის ავრცელებდნენ აზრს თითქოსდა ისინი კომუნისტების მიერ იყო მოგონილი და შექმნილი. რეალურად კი ჩვენს რეგიონში აზრი მსგავსი მმართველობის შესახებ ჯერ კიდევ 1917 წელს გაჩნდა, თანაც არა სოციალ-დემოკრატიულ წრეში, არამედ მაჰმადიან ქართველ პატრიოტებს შორის. ხოლო დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის (1918-1921 წწ.) ბოლო პერიოდში, 1921 წლის თებერვლის კონსტიტუციაში კი (აფხაზეთის, სამაჰმადიანოს საქართველოს, ზაქათალას) ავტონომიები დაფიქსირდნენ, ანუ ფაქტიურად, იურიდიულად შეიქმნენ კიდეც.

თვითმმართველობის საკითხს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების პერიოდშიც (1921-1990 წწ.) სწავლობდნენ და ნაშრომებს აქვეყნებდნენ. ცხადია ამ ნაშრომებს თავისი ისტორიოგრაფიული მნიშვნელობა გააჩნიათ.

მე-20 საუკუნის ბოლოსა და 21-ე საუკუნის დასაწყისში აჭარის ავტონომიის საკითხის მიმართ ქართველი ისტორიკოსების ყურადღება გაიზარდა. დაიწერა ახალი ნაშრომები, გამოითქვა სხვადასხვა აზრი. ეს თემა იმიტომაც გახდა აქტუალური, რომ გარკვეულად დაძაბული იყო ურთიერთობა ცენტრისა და რეგიონის ხელმძღვანელობებს შორის. შეფასებებს ხშირად ეტყობოდა პოლიტიკური კონიუნქტურის გა-

ვლენა, თუმცა მეცნიერთა ნაწილი ნამდვილად ცდილობდა ობიექტურად შეესწავლა საკითხი და შეეფასებინა მდგომარეობა. ფაქტია, რომ თუკი ვინმეს სურს საფუძვლიანად ისაუბროს აჭარის ავტონომიის შესახებ, საკითხი უნდა შეისწავლოს კომპლექსურად, მისი წარმოშობიდან დაწყებული რეალიზაციის ჩათვლით.

საინტერესოა, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს, თურქთა ბატონობის დროსაც ჰქონდა გარკვეული თვითმმართველობა. თუმცა იგი გამომდინარეობდა არა ვინმეს კეთილი ნებიდან, არამედ ოსმალეთის იმპერიის ფეოდალური წყობის ჩამორჩენილობიდან. იმ დროს ეს იმპერია არ იყო ძლიერად ცენტრალიზებული და დიდ თუ პატარა ფეოდალებს ადგილებზე გარკვეული თვითმმართველობა გააჩნდათ. ეს კი, სხვათა შორის, სეპარატისტული ტენდენციების მიზეზი ხდებოდა. მსგავსი მდგომარეობა იყო ჩვენი მხარის შემთხვევაშიც.

საერთოდ, მსოფლიოში ავტონომიური მმართველობის საკმაო ისტორიული გამოცდილება არსებობს. დღესაც სხვადასხვა ქვეყანაში მსგავსი მმართველობები ფუნქციონირებენ. მათი უფლებები განსხვავებულია. ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანს. თუ გვსურს ობიექტურად და ჩვენი ქვეყნისათვის სასარგებლოდ ვიმსჯელოდ და ვიმოქმედოდ, ცხადია ერთი მხრივ უნდა გავითვალისწინოთ სხვათა გამოცდილება. მაგრამ, ამასთან უპირველესად ვისარგებლოდ ჩვენი წარსულის გამოცდილებით და კონკრეტულ-ისტორიული ვითარებით.

აჭარის ავტონომია არ წარმოშობილა რომელიმე პიროვნების ან ორგანიზაციის ახირებით, რაიმე ბოროტული ჩანაფიქრით, როგორც ამას ფიქრობს და ამტკიცებს ზოგი უცოდინარი ან პოლიტიკურ კონიუნქტურას აყოლილი პირი. ეს იყო ისტორიული კანონზომიერებით გამოწვეული აუცილებლობა. მისი ფორმირება ეფუძნებოდა როგორც საშინაო, ასევე საგარეო ფაქტორებს. საშინაო ფაქტორებში იგულისხმება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ისტორიულად ჩამოყალიბებული ყოფა-ცხოვრებითი, ეკონომიკური, კულტურული განვითარების თავისებურებანი. საგარეო ფაქტორებში კი თურქეთთან მეზობლობა და ის სპეციფიკური მდგომარეობა, რაც შეიქმნა 1921 წლისათვის.

მე-16 საუკუნის განმავლობაში ოსმალეთის იმპერია თანდათან იპყრობდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს. იგივე ბედი ეწია ამ საუკუნის მეორე ნახევარში აჭარისწყლის აუზს, მოგვიანებით კი მის აღმოსავლეთით, ზღვისპირა რაიონს. ეროვნულ გარემოს მოწყვეტილ და ოსმალეთის იმპერიის ორბიტაში მოქცეულ რეგიონში თანდათან, მთელი თაობების განმავლობაში ისლამი და შესაბამისი ყოფაცხოვრებითი წესები ინერგებოდა. ეს პროცესი გაძლიერდა მე-19 საუკუნის შუა ხანებში და მან თავისი შედეგები გამოიღო. მართალია აჭარაში შეინარჩენეს ქართული ენა და ქართველებისადმი ერთიანობის შეგნება, მაგრამ ისლამმა და შესაბამისმა ყოფაცხოვრებითმა მომენტებმა, გარკვეული გაუცხოება გამოიწვია ძმებს შორის. ეს აშკარა იყო აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების პერიოდში (1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ) მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისში. ამას ხედავდა საქართველოს მოწინავე საზოგადოებრიობა. საჭირო იყო ამ გაუცხოების აღმოფხვრა, მანამ კი ისტორიულ ქართულ, გამაჰმადიანებულ რეგიონში თვითმმართველობის დანერგვა, რაც ამ გაუცხოების ლიკვიდაციას შეუწყობდა ხელს. გარდა ამისა, სამხრეთ-დასავლეთ საქართველო თურქების დროს ჩამორჩა ეკონომიკის თვალსაზრისით. რუსეთთან გაერთიანების შემდეგაც მხოლოდ ქალაქი ბათუმი თუ დაწინაურდა. აუცილებლობას წარმოადგენდა ამ ჩამორჩენის ნიველირება.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ოსმალთა ბატონობისას ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში შეფერხდა კულტურის და საერო განათლების განვითარება. სახარბიელო მდგომარეობა აქ არც მე-19 და მე-20 საუკუნეთა მიჯნაზე ყოფილა, განათლებისა და კულტურის სფეროში სასულიერო გარემო, ისლამი დომინი-

რებდა. თვითმმართველობის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენდა, ერთი მხრივ პატივი ეცა ადგილობრივთა შეხედულებებისათვის და განევითარებინა საერო განათლება, კულტურა, გაეტარებინა საერთო-სახელმწიფო პოლიტიკა.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ, რაც ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველო, მათ შორის აჭარა რუსეთთან ერთად დედასამშობლოს დაუბრუნდა, ჩვენს რეგიონში იყო თავისებურებანი (ყოფა-ცხოვრებითი, ეკონომიკური, კულტურული და სხვ). მეფის რუსეთს ეს საკითხი არ აინტერესებდა და არ გაუტარებია პოლიტიკა, რომელიც აღადგენდა ქართველთა შორის ეროვნული მთლიანობის შეგნებას. მოწინავე ქართველმა საზოგადოებრიობამ გადადგა შესაბამისი ეროვნული ნაბიჯები და მიიღო კიდეც გარკვეული შედეგები, თუმცა ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. საჭირო გახდა სერიოზული, მოფიქრებული პოლიტიკის გატარება. ეს ფუნქცია გონივრულ თვითმმართველობას უნდა შეესრულებინა. ამ პოლიტიკის გატარება აუცილებლობას წარმოადგენდა, რადგან თურქეთს არ უთქვამს უარი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოზე, ეძებდა და პოულობდა აქ აგენტურას. შესაბამის სიტუაციაში კი ფიქრობდა აქ თავის ბატონობის აღდგენას. ცხადია ეს თვითმმართველობის დანერგვის აუცილებლობის საშინაო ფაქტორებია. საგარეო ფაქტორი კი ისევ თურქეთთანაა დაკავშირებული, რომელმაც 1921 წელს მოითხოვა აქ ავტონომიის შექმნა. ამ საკითხს კიდევ შევეხებით.

მეფის რუსეთში საუბარიც კი უაზრობა იყო სამუსლიმანო საქართველოს თვითმმართველობაზე. მაშინ საერთოდ საქართველოს ავტონომიაც ბრძოლის საგნად და მიუღწეველ მიზნად რჩებოდა. 1917 წლის თებერვალში რუსეთში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ დემოკრატიული თავისუფლებები გაჩნდა. რადგან ამ წელს ჩვენს რეგიონში იყვნენ ოსმალური ორიენტაციის პირები, ამიტომ ქართველმა მაჰმადიანმა პატრიოტებმა მათ საპირისპიროდ 1917 წლის მაისში გადაწყვიტეს ორგანიზაციის შექმნა, მაგრამ ამას არჩევნებმა შეუშალა ხელი. ნახევარი წლის შემდეგ, „ოქტომბერში ბათუმში მოწვეულ იქნა აჭარის მოსახლეობის წარმომადგენელთა შეკრება, რომელმაც შექმნა საქველმოქმედო საზოგადოება. საზოგადოების თავჯდომარედ აირჩიეს მემედ აბაშიძე, ამ შეკრების ჩატარებაში ასევე უნდა ითქვას ჰაიდარ აბაშიძის, ჯემალ ქიქავას, ზექერია შერვაშიძის და სხვათა დამსახურებაზე. ამ შეკრების მოწვევას ყველანაირად ხელს უშლიდა ოსმალოფილური საზოგადოება... მიუხედავად ამისა, შეკრება წარმატებით ჩატარდა. ჩამოყალიბდა ისეთი საქველმოქმედო ორგანიზაცია, რომელიც მტკიცედ იდგა ქართულ პოზიციაზე“ (1.105-106). მაშინ ჯერ კიდევ სამუსლიმანოს საქართველოს ავტონომიის საკითხი არ დამდგარა, თუმცა ეტყობა მწიფდებოდა და მალე, განვითარებულმა მოვლენებმა იგი დააჩქარა. 1917 წლის 25 ოქტომბერს (ახალი სტილით 7 ნოემბერს) რუსეთში ხელისუფლების სათავეში ბოლშევიკები მოვიდნენ. კავკასიამ და საქართველომ, სადაც ანტიბოლშევიკური ძალები ბატონობდნენ, რუსეთიდან დისტანცირება დაიწყეს. 1917 წლის 19 ნოემბერს თბილისში ეროვნულ ყრილობაზე ჩამოყალიბდა ეროვნული საბჭო, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის შემზადების მესვეური გახდა. იგი დაპირისპირებული იყო ბოლშევიკურ რუსეთთან. სწორედ ამ საბჭოს სხდომაზე დაისვა სამუსლიმანო საქარ თველოს ავტონომიის საკითხი.

1917 წლის 13 დეკემბერს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე განიხილეს საკითხი: „სამაჰმადიანო საქართველოს საქმეთა შესახებ“. იქ სიტყვით გამოვიდა მემედ აბაშიძე. მის გამოსვლაში ჩანს, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სჭირდებოდა ავტონომია, თუმცა როგორი, ეს ბოლომდე გარკვეული არ იყო. საბჭოს წევრები მას ეთანხმებოდნენ, მაგრამ ზოგიერთი მაინც ეჭვს გამოთქვამდა. ასეთების საპირისპიროდ მემედ აბაშიძემ განაცხადა: „სარწმუნოებრივი შეგნება ძლი-

ერია – ეროვნული მკრთალი. ქართველი მაჰმადიანები უნდა დარწმუნდნენ, რომ შერჩებათ თავიანთი სახე“ (2.9). სხდომაზე მიღებულ დადგენილებაში აღინიშნა რომ გამოსცემდნენ მოწოდებას „სამაჰმადიანო საქართველოს ვრცელი თვითმმართველობის შესახებ“ (იქვე, 10). ხოლო ეროვნული საბჭოს სამაჰმადიანო სექციაში გადაწყდა, რომ „უნდა გაერთიანებულიყო მთელი სამაჰმადიანო საქართველო ფართო ავტონომიით საქართველოს ფარგლებში“ (იქვე).

როგორც ვხედავთ, საქართველოში 1917 წლის მიწურულს სერიოზულად ჩამოყალიბდა აზრი, რომ ისტორიული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ რეგიონში შექმნილიყო ავტონომიური მმართველობა. დეტალები უნდა დაზუსტებულიყო. რადგან აზრი თვითმმართველობის შესახებ დომინირებდა ჩვენი რეგიონის მოსახლეობისა და პოლიტიკურად აქტიურ ნაწილში, ის ცნობილი გახდა უცხოეთშიც. ეტყობა სწორედ ამიტომ იყო, რომ მას ავტონომიას უცხოელებიც ჰპირდებოდნენ, მაგალითად, თურქები. „სამუსლიმანო საქართველოს მოსახლეობას 1918 წელს ოსმალეთის სულთანი, ფარისევლურად ავტონომიას შეპირდა, რომელშიც შევიდოდა ბათუმის ოლქი, არტაანისა და ოლთისის ოკრუგები, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები“ (3.80). მსგავს აზრს მხარს უჭერდა ჩვენს რეგიონში მცხოვრები ზოგი პროთურქულად განწყობილი პირი. თუმცა ისინი იმდენად უმცირესობას წარმოადგენდნენ, რომ ჰაიდარ აბაშიძე წერდა: „...ჩვენი ხალხი ოსმალეთის მიერ წამოსროლილ ანკესზე აღარ წამოეგება. ჩვენს ხალხს ოსმალეთის ავტონომია არ სჯერა და არც ესაჭიროება“ (4.103). ჰაიდარ აბაშიძის სიტყვები, რომ ოსმალეთის მთავრობის დაპირებული ავტონომიისა არ დაიჯერებოდა, გამართლდა. თურქებმა 1918 წლის დასაწყისში ისარგებლეს რუსების ჯარის მიერ კავკასიის ფრონტის დატოვებით და გაზაფხულისათვის კვლავ დაიპყრეს სამხრეთ-დასავლეთ საქართველო, მათ შორის აჭარაც, ბათუმითურთ. მალე აჭარაში მცხოვრებ მცირერიცხოვან პროთურქულ ძალებს იმედი გაუცრუვდათ. სულთანი არ აპირებდა რეგიონისათვის ავტონომიის მინიჭებას. 1918 წლის ივლისის ბოლოს აჭარას ეწვია ოსმალეთის სამხედრო მინისტრი ენვერ ფაშა. მან „მოსახლეობას მრავალი დაპირება მისცა, მათ შორის დაპირება აჭარისათვის ავტონომიის მინიჭების შესახებ. ასე რომ, სულთნის ფირმანში აჭარის თურქეთთან „სამუდამოდ“ მიერთების შესახებ, რომელიც გამოცხადებულ იქნა მოსახლეობის შეკრებაზე 1918 წლის 15 აგვისტოს გუბერნატორ ჯემილ ბეის მიერ, პროთურქული ჯგუფი ელოდა სულთანიდან მითითებებს აჭარისათვის ავტონომიის მინიჭების შესახებ. მაგრამ სულთნის ფირმანში ერთი სიტყვაც არ თქმულა აჭარის ავტონომიის შესახებ. კიდევ მეტი, ბათუმის საქალაქო საბჭოში 1918 წლის შემოდგომაზე ადგილობრივი მოსახლეობიდან იყო მხოლოდ ორი კაცი“ (5.78).

პორტასაგან (ოსმალეთის მთავრობისგან) არც იყო მოსალოდნელი ჩვენი რეგიონისთვის თვითმმართველობის მინიჭება. ოსმალეთის იმპერია და შემდეგ თურქეთის რესპუბლიკა სერიოზულად არასოდეს ზრუნავდნენ ეროვნულ უმცირესობებზე: ქურთებზე, სომხებზე, ბერძნებზე და სხვებზე. ისინი არც ქართველებისათვის, თუნდაც მაჰმადიანებისათვის არ აპირებდნენ გამონაკლისის გაკეთებას. თურქეთის ხელისუფლება ევროპის მოწინავე წრეების გავლენით, ეროვნულ საკითხში, თითქოსდა რაღაც დათმობებზე მიდიოდა და მიდის, მაგრამ საერთო ჯამში ტარდებოდა მკაცრი პროთურქული პოლიტიკა.

1918 წლის გაზაფხულიდან 1920 წლის ზაფხულამდე პერიოდი ბათუმისათვის რთული, გაურკვევლობის ეპიზოდი იყო. აქ ჯერ თურქები ბატონობდნენ, შემდეგ (1918 წლის ბოლოდან) ინგლისელები მოვიდნენ და მოახდინეს რეგიონის დროებითი ოკუპაცია. არავინ იცოდა ვის დარჩებოდა ბათუმი. ამიტომ ჩვენს რეგიონს გარდა თურქებისა თავის სასარგებლოდ ავტონომიას სთავაზობდნენ: სომხები, აზერბაიჯანლები, რუსი თეთრგვარდიელები (3.80). ყველას ჰყავდა აქ თავიანთი მცირე მხარდამჭერები.

როგორც აღვნიშნეთ, ოსმალეთმა 1918 წლის გაზაფხულზე დაიპყრო სამხრეთ-დასავლეთ საქართველო. იმავე დროს, 15 მაისს შეიქმნა „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი“. მის თავმჯდომარედ დაუსწრებლად აირჩიეს მემედ აბაშიძე. იგი თურქების ციხეში იჯდა. აღნიშნულმა კომიტეტმა თავის პროგრამაში დააფიქსირა: „სამუსლიმანო საქართველო შეუერთდეს დედასაქართველოს ფართო ავტონომიურ ნიადაგზე და ამით საქართველოს პოლიტიკური მთლიანობა აღდგეს“. მალე, 26 მაისს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. ახლად შექმნილმა კომიტეტმა კი ინტენსიური მუშაობა დაიწყო ოსმალთა მიერ მიტაცებული მიწების გამოხსნის მიზნით.

1918 წელს, როცა ჩვენი რეგიონი დროებით ოკუპირებული ჰქონდათ ინგლისელებს და სამომავლოდ მისი დაუფლება სურდათ თურქებს, რუსებს, სომხებს, აზერბაიჯანელებს, „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი“ ატარებდა დაუღალავ მუშაობას რათა „სამუსლიმანო საქართველო“ დარჩენილიყო თავის ბუნებრივ დედასამშობლოსთან. 1919 წლის 31 აგვისტოს კომიტეტმა ქალაქ ბათუმში მოიწვია ჩვენი რეგიონის წარმომადგენელთა ყრილობა. იქ მიღებული იქნა რეზოლუცია სადაც ვკითხულობთ: „ამიერითგან და სამარადისოდ ბათომი და ბათომის ოლქი შეუერთდეს თავის ბუნებრივ დედასამშობლოს საქართველოს რესპუბლიკას სამუსლიმანო საქართველოს ფართო ავტონომიის ნიადაგზე“ (6.7). ყრილობამ აირჩია წარმომადგენლობითი ორგანო – მეჯლისი, ხოლო მეჯლისის თავმჯდომარედ კი აირჩიეს მემედ აბაშიძე. ამგვარად, „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის“ საქმე განაგრძო მეჯლისმა. აღნიშნული ფორუმის წარმატებით ჩატარება ნიშნავდა ჩვენს რეგიონში ქართული ძალის გამარჯვებას.

განსახილველი საკითხის საინტერესო მომენტია თუ როგორ უყურებდნენ ქართველი სოციალ-დემოკრატები (მენშევიკები), რომლებიც ხელისუფლებაში უმრავლესობას წარმოადგენდნენ, ჩვენს რეგიონში თვითმმართველობის შემოღებას და როგორ რეაგირებდნენ აჭარის მეჯლისის მოთხოვნაზე, რათა რაც შეიძლება მალე შემოეღოთ ფართო ავტონომია. ქართველი სოციალ-დემოკრატების (მენშევიკების) პოზიცია ეროვნულ საკითხში დროთა განმავლობაში იცვლებოდა. თავდაპირველად, სოციალ-დემოკრატები (ბოლშევიკები და მენშევიკები) ზოგადად მხარს უჭერდნენ საოლქო ავტონომიის იდეას. რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის (1905-1907 წწ.) დამარცხების შემდეგ ბოლშევიკები ძველ პოზიციაზე დარჩნენ, ხოლო მენშევიკებში ერთი მხრივ ეროვნულობა გაძლიერდა, თუმცა მათი ნაწილი იზიარებდა ო. ბაუერისა და კ. რენერის „კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის იდეას“. ეს არის ექსტერიტორიული ავტონომიის იდეა. 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალებამ პეტროგრადში და 1918 წლის ზამთარსა და გაზაფხულზე თურქების შემოტევამ, თურქების მიერ საქართველოს დაპყრობის შიშმა ქართველი მენშევიკები საქართველოს რუსეთიდან გამოყოფის და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის გადაწყვეტილებამდე მიიყვანა. ამგვარად, 1918 წლის 26 მაისს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. ამასთან, საქართველო, როგორც მთელი კავკასია, ეროვნული შემადგენლობით იყო და არის რთული ქვეყანა. შესაბამისად, მისი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობაც სირთულეებთან იყო დაკავშირებული. ერთ-ერთ პრობლემას ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ საქართველო წარმოადგენდა.

1918 წლის 25 დეკემბერს, მას შემდეგ რაც თურქებმა აჭარა დატოვეს, საქართველოს მთავრობამ დადო პირობა, რომ „სამუსლიმანო საქართველოს (ბათუმის, ართვინის, არტაანის და ოლთისის რაიონებს – ა.ჩ.) ენიჭება ავტონომია. თვით, მუსულმანი ქართველების წარმომადგენლები გამოსცემენ კანონებს და მოაწყობენ ადგილობრივ საქმეებს“ (7.в 1გვერდი).

1919 წლის 31 აგვისტოს ქალაქ ბათუმში გამართულ ბათუმის ოლქის მაჰმადიან ქართველ-

თა წარმომადგენლების ყრილობაზე მიღებულ დადგენილებას, რომ ბათუმის ოლქი (რომელიც იმ დროს ინგლისელთა მიერ იყო ოკუპირებული) უნდა შეუერთდეს საქართველოს ფართო ავტონომიის საფუძველზე, სულ მალე, 11 სექტემბერს გამოეხმაურა ნოე ჟორდანია. მან ზემო აჭარის დელეგაციიას გაუგზავნა წერილი, სადაც საჭიროდ მიიჩნევდა „სამუსლიმანო საქართველოსთვის“ თვითმმართველობის (ავტონომიის) მინიჭებას. ცხადია, „სამუსლიმანო საქართველოს“ ცნებაში იგულისხმება არა მარტო აჭარა, არამედ მაჰმადიანებით დასახლებული სხვა ისტორიული საქართველოს ტერიტორიებიც. მაგრამ წერილში დაზუსტებული არ ყოფილა მისაცემი ავტონომიის უფლებები და წარმოდგენილია ზოგადი სქემა. კერძოდ, იქ წერია: „საზოგადო და საერთაშორისო საქმეებს უძღვება რესპუბიკის ცენტრალური დაწესებულებები, ხოლო შინაურ საქმეებს უძღვება ადგილობრივი ხალხის მიერ არჩეული დაწესებულება. უკანასკნელნი განაგებენ სარწმუნოების ყველა საკითხებს შარიათის მიხედვით, ადგილობრივ ადმინისტრაციას, სასამართლოს, მიწის საქმეს და ა. შ.“ (2.15).

1920 წლის ივლისში ბათუმის ოლქი დატოვეს ინგლისელებმა და ჩვენი რეგიონი დაუბრუნდა საქართველოს. სხვა საკითხებს შორის დაუყონებლივ დადგა ავტონომიის საკითხიც. მართალია იგი აქ ზოგიერთებში კამათს იწვევდა (1.156), მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობის პოლიტიკურად აქტიური ნაწილი, და მოსახლეობის უმეტესობაც მისი მინიჭების მომხრეები იყვნენ. ერთი კვირა არ იყო გასული რაც საქართველოს ჯარები შევიდნენ აჭარაში, რომ 13 ივლისს მეჯლისის თავმჯდომარემ მემედ აბაშიძემ საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებას შეახსენა ფართო ავტონომიის შესახებ (5.135). იმავე თვის ბოლოს საქართველოს მთავრობამ დაადგინა: „მოისმინა რა განცხადება მეჯლისის წარმომადგენელისა ბათუმის ოლქის მართვა-გამგეობის მოწყობის შესახებ. მთავრობა ადგენს: არსებულ პირობებში შესაძლებელია ოლქში მოეწყოს მხოლოდ საგანგებო მართვა-გამგეობა, შეფარდებული სამხედრო წესებთან, ხოლო მშვიდობიანი ცხოვრების დამყარების შემდეგ სამოქალაქო მმართველობის მოსაწესრიგებლად დამფუძნებელ კრებაში ახლო მომავალში წარმოდგენილ იქნება კანონპროექტი დემოკრატიული საარჩევნო უფლების ნიადაგზე, აგებული ავტონომიური მმართველობის ცხოვრებაში გატარებისათვის“ (8.24). მართლაც, ბათუმის ოლქში მოეწყო საგანგებო მმართველობა, შეფარდებული სამხედრო წესებთან. ოლქის გენერალ-გუბერნატორად დანიშნულ იქნა ბენია ჩხიკვიშვილი.

1920 წლის აგვისტოს დასაწყისში მეჯლისის დელეგაცია მემედ აბაშიძის ხელმძღვანელობით ჩავიდა თბილისში, სადაც ჩაიტანა სამუსლიმანო საქართველოს ავტონომიის პროექტი. იქ უარი მიიღეს (5.135). აშკარა იყო, რომ საქართველოს მთავრობას, სურდა დეტალების დაზუსტება. დამოუკიდებელ საქართველოს ხელისუფლებას, თავისი არსებობის მანძილზე, ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში სეპარატიზმის პრობლემები ჰქონდა და ახლა სურდა საქმე გართულებების გარეშე მოეგვარებინა. 1920 წლის 5 ნოემბერს საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ დაადგინა, რომ, „ჯერ-ჯერობით აჭარაში, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში დაეტოვებინა საგანგებო მმართველობა“ (5.136). დრო გადიოდა. საქმის გაჭიანურება კი მეჯლისელების განაწყენებას იწვევდა.

მოცემულ საქმეში ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ მნიშვნელოვან დეტალს, რაც შეიძლება იყოს ჩვენი რეგიონისათვის ავტონომიის მინიჭების გაჭიანურების ერთ-ერთი მიზეზი. კერძოდ, მართალია, საქართველოს ხელისუფლება თანახმა იყო თვითმმართველობის გამოცხადებაზე, მაგრამ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან ითხოვდნენ არა უბრალოდ „ავტონომიას“ არამედ „ფართო ავტონომიას“. ამას კი ეტყობა ცენტრში აუცილებლობაზე მეტის მოთხოვნად თვლიდნენ. „ფართო ავტონომიის“ მოთხოვნისას უდაოდ იგულისხმება „პროგრამა და ინსტრუქცია სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტისა“. ამ საბუთის მე-6 და

მე-7 პარაგრაფებში ვკითხულობთ: „6. სამუსლიმანო საქართველოს ავტონომიური მთავრობა უნდა იქნეს სრულად დამოუკიდებელი თავის შინაურ საქმეებში. ეს საქმეებია: ა) სარწმუნოებრივი საქმე, ბ) სასამართლო, გ) ადმინისტრაცია, დ) სწავლა-განათლება, ე) მეურნეობა, ვ) ვაჭრობა, მრეწველობა და სხვა ეკონომიკური საქმეები და სხვა შინაურ საქმეებში სრული დამოუკიდებლობა. 7. სამუსლიმანო საქართველოს ავტონომიური მთავრობა მთელ საქართველოს მთავრობასთან ერთად განსაზღვრულ პირობებში უნდა აწარმოებდეს შემდეგ საქმეებს: სამხედროს, ფინანსურს, საგარეოს, ფოსტა-ტელეგრაფს, რკინიგზებს, საბაჟოებს“ (2.13). ნამდვილად საკამათო პარაგრაფებია, რადგან აქ გარდა უბრალო თვითმმართველობის უფლებებისა, რეგიონი ითხოვდა ისეთ საქმეებში მონაწილეობას (მაგ. საგარეო, სამხედრო და სხვა), რომლებსაც ცენტრი უნდა წყვეტდეს. ამას ხვდებოდნენ, მაგრამ მენშევიკურ ხელისუფლებას არ დაუწყია დისკუსია „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტთან“ და ამ კომიტეტის მიერ 1919 წლის 31 აგვისტოს ჩატარებული ყრილობის მიერ არჩეულ მეჯლისთან. რადგან ეს კომიტეტი და მეჯლისი იმ უაღრესად რთულ დროში იყო საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების დასაყრდენი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. მით უმეტეს, რომ 1920 წლის ივლისამდე თბილისი აჭარას ვერც აკონტროლებდა. ამიტომ ცდილობდნენ მონახულიყო საერთო ენა, კონსესუსი. სამაჰმადიანო საქართველოში შექმნილიყო ისეთი თვითმმართველობა, რომელიც მისაღები იქნებოდა საქართველოს ძლიერი მომავლისთვის.

სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისი კი ჩქარობდა, ამიტომ 1921 წლის 5 იანვარს განიხილა და მიიღო „ავტონომიის შემოღების ფორმების შესაბამისად 5 თავისაგან შემდგარი კონსტიტუცია“ (8.24), ანუ სამუსლიმანო საქართველოს ავტონომიის კონსტიტუცია (ძირითადი დებულება). ცხადია ეს იყო ნაჩქარევი და იგი უნდა დაქვემდებარებოდა საქართველოს კონსტიტუციას, მისგან გამომდინარე კანონებს, რომლებიც ჯერ არ იყო მიღებული.

1921 წლის 21 თებერვალს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებამ მიიღო კონსტიტუცია, რომელშიც დაფიქსირებულია ავტონომიების შექმნა ჩვენს ქვეყანაში. იქ ვკითხულობთ: „საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილებს – აფხაზეთს (სოხუმის ოლქს), სამუსლიმანო საქართველოს (ბათუმის მხარე) და ზაქათალას (ზაქათალას ოლქი) ენიჭებათ ადგილობრივ ავტონომიური მმართველობა“ (მუხლი 107). მომდევნო 108-ე მუხლში კი აღნიშნულია, რომ ავტონომიურ მმართველობათა დებულებანი შემუშავებული იქნება ცალკე კანონით (9.23). აღნიშნულ კონსტიტუციას განხორციელება არ ეწერა, რადგან იმ დროისათვის საქართველოში ქვეყნის გასაბჭოების მიზნით შემოჭრილი იყო წითელი არმია. რამოდენიმე დღეში, 25 თებერვალს თბილისში, ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ ბოლშევიკები. საქართველოში ახალი, საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა.

იმ დროს, ისარგებლა რა შექმნილი მდგომარეობით, როცა საქართველოს ომი ჰქონდა რუსეთთან, თურქეთმა მენშევიკური ხელისუფლების დასტურით მიითვისა არტაანის, ართვინის და ოლთისის ოკრუგები. მარტის დასაწყისში იქ თურქეთის ჯარი შევიდა. იმავე თვეში (17-19 მარტის ბრძოლებით) თურქები შეეცადნენ აჭარის მიტაცებას, თუმცა წარუმატებლად.

1921 წლის 16 მარტს მოსკოვში თურქეთსა და რუსეთს შორის დაიდო „მეგობრობისა და ძმობის ხელშეკრულება“, ამ დოკუმენტით სხვა საკითხებს შორის დადგინდა თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვარი, მათ შორის, საზღვარი საქართველოსთან რომელიც დღესაც მოქმედებს. ხელშეკრულებაში ეწერა, რომ თურქეთი ბათუმის რაიონს (თანამედროვე აჭარას), საქართველოს უთმობს იმ პირობით რომ იქ მოსახლეობას მიეცემა ფართო ავტონომია. ამასთან, რადგან ოფიციალურად რუსეთი სხვა სახელმწიფო იყო, საქართველო კი სხვა (საქართველოს იმ დროს ოფიციალურად მართავდა ბოლშევიკური რევოლუციური კომიტეტი), იმა-

ვე ხელშეკრულებით რუსეთს ევალებოდა გავლენა მოეხდინა საქართველოს ხელისუფლებაზე, ავტონომიის შექმნასთან დაკავშირებით (10.,2.18.,11.601).

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დამოკიდებულება ჩვენს რეგიონში ავტონომიის შექმნის მიმართ არ შეცვლილა. ადრე მენშევიკები და ახლა ბოლშევიკებიც, გამომდინარე ადგილობრივი თავისებურებებიდან (საშინაო ფაქტორები), ფიქრობდნენ მის შექმნას. ახლა კიდევ ჩაერთო თურქეთიც (საგარეო ფაქტორი).

ცხადია ყველას ერთნაირი პოზიცია არ გაჩნდა, მაგრამ მენშევიკებიც, ბოლშევიკებიც, სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისიც, ყველა ძალა, რომელიც ავტონომიის შექმნას უჭერდა მხარს, უპირველეს ყოვლისა, ეყრდნობოდა სამუსლიმანო საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის აზრს. ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც აღნიშნული მოთხოვნით გამოსვლები გრძელდებოდა. მაგალითად, 1921 წლის აპრილში ხულოში გამართულ ხალხმრავალ შეკრებებზე მოსახლეობა ითხოვდა ავტომნომიას. 1 ივლისს ორთაბათუმის სასოფლო ოკრუგის კრებაზე, 16 სოფლის წარმომადგენლების მონაწილეობით განიხილეს აღნიშნული საკითხი. შეკრებები ანალოგიური მოთხოვნით სხვა სოფლებშიც იმართებოდა (12.52-53).

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების (1921 წლის 25 თებერვლის) და ბათუმიდან თურქების ჯარის განდევნის (1921 წლის მარტის შუა რიცხვების) შემდეგ, საქართველოს ახალი ხელისუფლება არ ენდობოდა სამუსლიმანო საქართველოს მოქმედ მეჯლისს. ამიტომ იგი დაშალეს. 1921 წლის მაისში აირჩიეს ახალი მეჯლისი. თუმცა აქაც მოხვდნენ პროთურქული ორიენტაციის პარტიის (სედაი მილეთის) წარმომადგენლები.

ახალმა მეჯლისმა შეიმუშავა ავტონომიის მოწყობის პროექტი. მასში კვლავ წარმოდგენილია თვითმმართველობის ძალზედ გაზრდილი უფლებები, იგი კონფედერაციას უახლოვდებოდა (2.19-20). 1921 წლის ზაფხულში თბილისში იმყოფებოდა იოსებ სტალინი. მისი მონაწილეობით შედგა შესაბამისი დოკუმენტი და 16 ივლისს საქართველოს რევოლუციურმა კომიტეტმა გამოსცა დეკრეტი აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის შესახებ.

ახლად წარმოქმნილი ავტონომიის ძირითად შინაარს შეადგენდა: აჭარა იყო საქართველოს განუყოფელი ნაწილი, ყველა მნიშვნელოვანი ბერკეტი ცენტრს ეკავა, შექმნილი სტრუქტურები კი უნდა მომსახურებოდა ადგილზე საკითხების ეფექტურ გადაწყვეტას ქვეყანაში გატარებული პოლიტიკისა და ადგილობრივ თავისებურებათა გათვალისწინებით (12.54, 2.22-24).

კომუნისტები მიზანდასახულად შეუდგნენ დეკრეტის ცხოვრებაში გატარებას. წამოჭრილი უმნიშვნელო პრობლემები მალევე გადაჭრილი იქნა.

1921 წლის ოქტომბერში ქალაქ ყარსში გაიმართა მოლაპარაკება. მასში მონაწილეობდნენ თურქეთის, საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის და რუსეთის წარმომადგენლები. გაფორმდა ხელშეკრულება. საკითხი, რომელიც ჩვენ გვაინტერესებს, დაფიქსირდა მე-6 მუხლში (სადაც მეორდებოდა მოსკოვის 1921 წლის მარტის ხელშეკრულების პირობები), კერძოდ თურქეთი საქართველოს „უთმობდა“ ბათუმის ოკრუგის ნაწილს ქალაქ ბათუმით. სანაცვლოდ ამ ტერიტორიის მოსახლეობას უნდა ჰქონოდა ფართო ავტონომია. ამ დროს ჩვენს ტერიტორიაზე ავტონომია უკვე არსებობდა. ამავე ხელშეკრულებით თურქეთს უნდა ჰქონოდა უფლება დაბრკოლებისა და საბაჟო მოსაკრებლის გარეშე ესარგებლა ბათუმის ნავსადგურით თავისი საქონლის ტრანზიტისათვის. ეს კი არ განხორციელებულა.

ამრიგად, 1921 წლის ივლისში აჭარის ავტონომიის შექმნას გააჩნდა, როგორც საშინაო, ისე საგარეო ფაქტორები.

და ბოლოს, ძირითადად, საშინაო ფაქტორების შესახებ. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის ათეული წლების მანძილზე აქ გატარდა კარდინალური პოლიტიკა, რამაც მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია.

უპირველეს ყოვლისა უნდა ითქვას ქართული სკოლების ქსელის ინტენსიური განვითარების შესახებ. მომავალი თაობა იზრდებოდა ერთიანი ისტორიული წარსულის და ეროვნული გარემოს შეგნებით. სახელმწიფო სტრუქტურები გარდა საერთო-სახელმწიფო ინტერნაციონალური პოლიტიკისა, ინტენსიურად ატარებდა საერთო-ქართულ კულტურულ პოლიტიკას. შედარებით სირთულეს წარმოადგენდა ათეისტური პოლიტიკის წარმოება. თუმცა კომუნისტური პარტია თავისი მძლავრი აპარატით მაინც ახერხებდა გარკვეული შედეგების მიღწევას. უმეტეს შემთხვევაში მის ყველაზე მნიშვნელოვან შედეგს წარმოადგენდა ის, რომ ისლამი პოლიტიკისაგან, მეზობელი სახელმწიფოსაგან ფაქტიურად მოწყვეტილი აღმოჩნდა. გარდა ამისა, საბჭოთა ხელისუფლების ათწლეული მმართველობის დროს განხორციელდა მნიშვნელოვანი სოციალურ-ეკონომიკური ძვრები, რის შედეგად აჭარის რეგიონი მთლიანად ჩაერთო საქართველოს ეკონომიკური განვითარების ერთიან ფერხულში. ყოველივე ეს ნიშნავდა, რომ აჭარაში ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების დროს (1921-1990 წწ.) ავტონომიის არსებობის საშინაო ფაქტორებს საფუძველი გამოეცალა.

თავისი არსებობის მანძილზე აჭარაში თვითმმართველობის არსებობას საქართველოს ერთიანობისთვის საფრთხე არასოდეს შეუქმნია.

დღეისათვის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი, რომელიც არავისთვისაა პრობლემა, აღარ არის აქტუალური. სამაგიეროდ, დაგროვებულია დიდი გამოცდილება, რომელიც სამომავლოდ წამოჭრილი საკითხების გადაწყვეტის ოპტიმისტურ იმედებს იძლევა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ო. გოგოლიშვილი, „სოციალური და ეროვნული მოძრაობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში 1900-1921 წლებში“, გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2005.

2. ა. დაუშვილი, „აჭარის უახლესი ისტორიის საკითხები“, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2009.

3. ო. თურმანიძე, „აჭარის პოლიტიკური და ეკონომიკური ისტორია (1921-1940)“, ს. ს. „გამომცემლობა აჭარა“, ბათუმი, 2012.

4. ჰ. აბაშიძე, „წერილები“, სახელმწიფო გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, ბათუმი, 1963.

5. М. Чавлеишвили, „Октябьрская революция и борба за установление советской власти в аджарии“, издательство „сабчота аджара“, батуми, 1987.

6. გაზეთი „აჭარა p.s.“, 2019 წ. 23 ივლისი, №11-12, ა. ჩხაიძე, „1919 წ. 31 აგვისტოს ისტორიული ყრილობა ბათუმში“.

7. გაზეთი „24 საათი“, 2004 წ. 24 მარტი, №70, ს. კილაძე, „ყარსის ხელშეკრულება მითები და სინამდვილე“.

8. ი. მანველიძე, „საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარება აჭარაში 1921-1930 წლებში“, გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2006.

9. „საქართველოს კონსტიტუცია“, მიღებული საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ 1921 წლის 21 თებერვალს, თბილისი, 1990.

10. Московский договор (1921) – википедия.

11. Докумнты внешней политики ссср, т.3, м., 1960.

12. „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევი“, აჭარა IV, გამომცემლობა „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2012.

13. უ. ოქროპირიძე, „აჭარის ავტონომიის შექმნის ისტორიიდან“, ს.ს. „გამომცემლობა აჭარა, ბათუმი, 2001.

ᲛᲐᲘᲐ
ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ

„ᲙᲐᲠᲒ ᲧᲛᲐᲓ ᲕᲘᲜᲐ ᲕᲗᲥᲕᲐᲗ ᲕᲐᲥᲔᲑᲝ“, ᲐᲜᲣ ᲒᲛᲘᲠᲘᲡ ᲘᲓᲔᲐᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲮᲐᲚᲮᲣᲠ ᲞᲝᲔᲖᲘᲐᲨᲘ

ქართველი ხალხის პოეტურ ქმნილებებს ამშვენებს „კაი ყმობის“ ხალხური იდეალების გამომხატველი საგმირო პოეზია, რომელიც მძლავრი შენაკადია შინაარსით მდიდარი, ფორმით მრავალფეროვანი, საუკუნეთა მანძილზე ხალხის მიერ ფაქიზად გამოხატული ზეპირსიტყვიერებისა.

წარმოშობით სხვადასხვა ხნის საგმირო ლექსები ერთიანი, უწყვეტი სიმღერაა მამულის სიყვარულზე, მამაცობაზე, მეგობრობასა და კაცთმოყვარეობაზე, წარსულ ბედუკუღმართობაში ქართველი კაცის ჭირში გაუტეხლობასა და ზნეობრივ სიფაქიზეზე; ეს ის საუნჯეა ქართული ზეპირსიტყვიერი პოეტური შემოქმედებისა, რომლის უზენაესი ფუნქციაც „კაი ყმის“, მამულის ჭეშმარიტი დამცველის აღზრდა იყო.

საქართველოში ძველთაგანვე შეიქმნა გმირის კულტი, რაც დიდებულად აისახა ხალხურ პოეზიაში. ქართული საგმირო ლექსები იქმნებოდა საუკუნეთა მანძილზე, სხვადასხვა გარემოში, სხვადასხვა სოციალურ ფენაში; ჩვენამდე ეს ლექსები, თითქმის მთლიანად, მოღწეულია ჭეშმარიტი ხალხური ნაწარმოებების სახით.

საგმირო ლექს-სიმღერები ყოველთვის თან ახლდა შრომას, ლხინსა და ჭირს. ხშირად, ეს სტრიქონები ლეგენდურ ელფერს ატარებს – აგებულია კონკრეტულ ამბავზე ან რომელიმე კონკრეტულ პიროვნებაზე, მაგრამ გამოხატავს საუკუნეთა მანძილზე ხალხის მიერ შემუშავებულ გმირობის იდეალს.

მთის დიდმა ქომაგმა, „კაი ყმათა“ მოტრფიალე ვაჟა-ფშაველამ, საინტერესო მოსაზრებები გამოთქვა ხასიათსა და ჟანრობრივ თავისებურებებზე ნაშრომში „გმირის იდეალი ფშაური პოეზიის გამოხატულებით“: – „ძველის ძველი ცხოვრება, როგორც ვიცით, მუშტზე, ძალაზე იყო დაფუძნებული, ერთი თემი მეორეს არბევდა, სდევნიდა, იმონებდა მხოლოდ იმიტომ, რომ ერეოდა. ვაჟკაცობას, ძალადობასა და მკლავს დიდი სახელი, აბრუ და პატივისცემა ჰქონდა მაშინ. თუმცა ძვირად უღირდა ვაჟკაცი, გმირი ხდებოდა საგნად ლექსისა, ზეპირგადმოცემისა. გმირის ამბით სულდგმულობდა ხალხი, იგი იყო იმისი ნუგეში. ხალხი მუდამ თვალყურს ადევნებდა გმირს, აკვირდებოდა, სწავლობდა იმის განსხვავებულს ზნეობრივსა თუ ფიზიკურს თვისებებს, რათა უფრო მოსაწონი გაეხადა იგი ყოველმხრივ.“

საგმირო ლექსებს ყოველთვის დიდი საზოგადოებრივი დანიშნულება ჰქონდა. ამ ჟანრისათვის დამახასიათებელია მაღალი პოეტური ფორმა; მდიდარია მხატვრული სახეებით – შედარებებით,

ეპითეტებითა და სიმბოლოებით. მხატვრული ფორმა საგმირო ლექსებისა ორგანულ კავშირშია მათ სოციალურ შინაარსთან.

ყველა ჯგუფის საგმირო ლექსები სასიმღეროა. ხევსურები საგმირო ლექსებს აღნიშნავენ ტერმინით **„სიმღერე“.** აკაკი შანიძე აღნიშნავს: „ლექსი, ხევსურთ ძველებური გაგებით, „სიმღერის“ საპირისპირო ჟანრია: „სიმღერე“ საგმირო საქმეების წყობილ სიტყვად ასხმულ ქმნილებას ჰქვიან და თავისი მუსიკალური ჰანგი აქვს ფანდურზე, ლექსი კი ყოველთვის სხვა შინაარსის შაირს ეწოდება, კერძოდ ისეთებსაც, რომლებშიც შექცევისა და ერთი მეორის სალაღობოდ გამოითქმის ხოლმე“.[1] ზოგ საგმირო სიმღერას საკუთარი მელოდიაც აქვს. ხევსურული ტერმინიც მათი შესრულების ხასიათსა და ისტორიულ ფუნქციაზე მიუთითებს. ეს ლექსები სიმღერით სრულდებოდა სახალხო თუ საოჯახო დღესასწაულებსა და შეკრებებზე.

ქართულ ხალხურ საგმირო ლირიკულ-ეპიკურ ლექსებს დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის წარსულის დასახასიათებლად და წინაპართა გმირულ საქმეთა აღსადგენად.

შემთხვევითი არც ის არის, რომ ზეპირსიტყვიერების ნიმუშები ზოგ კრებულში საგმირო და საისტორიო ლექსები ერთ განუყოფლობაშია წარმოდგენილი.

ამის დასტურია მრავალრიცხოვანი ლირიკულ-ეპიკური საგმირო ლექსები, რომელთა პირველი წყარო არის ის გამუდმებული ბრძოლები, რასაც ქართველი ხალხი საუკუნეთა მანძილზე ეწოდა უცხოელ მომხდურთა წინააღმდეგ თუ შიგნით, ფეოდალური დაქსაქსულობისას:

„ვაჟკაცსა უნდა უყვარდეს მამული, თავის ერია,
არ შედრკეს, თუნდა ბუზივით ეხვიოს თავზე მტერია,
არ გადიწყვიტოს იმედი, არ შეიცვალოს ფერია,
თორემ დაჰგმობს და დასწყევლის მოძმე, ერი და ბერია“.[2]

ქართულ ხალხურ საგმირო პოეზიაში ცალკე ჯგუფს ქმნიან ლექსები, რომელთა სხვადასხვა სიუჟეტებს აერთიანებს არა ერთი რომელიმე ამბავი, არამედ – გმირის ამაღლებული იდეალი.

„თუში ვარ მთაში გაზრდილი,
მტერსაც არ დაუვარდები,
უქუდოდ ქვეყნად არ ვივლი,
კლდეზედაც გადავვარდები!..“[3]

„ბეთლემის კარზე ჰკიდია
ვოჟა ჯურხაის ფარიო,
მაუვლის ომის წადილი,
ხანდისხან შასძრავს ქარიო.“[4]

ქართლში ჩაწერილი „არაგვისპირული ლაშქრული“, ფშაური „ჩამორბის ა იმ მთაზედა“ და ხევსურული „არხოტიოვნებს“ გამოხატავენ ხალხის სიძულვილს ბრძოლის ველიდან გამოქცეული ლაჩრებისადმი. ხალხს უყვარს უანგარო ვაჟკაცი, ისეთი, ვინც დაუზარელად, ფხიზლად დგას მშობლიური კერის სადარაჯოზე.

„გამაგრდით, არხოტიონნო,
გატეხით რა იქნებისა?
ვისაც მოგვიკვლენ, დავღმარხათ,
სხვა კიდევ გაჩინდებისა“.[5]

[1] სიხარულიძე ქს. – „ქართული ხალხური სიტყვიერება“, ქრესტომათია, ტ. 2, „ცოდნა“, თბილისი, 1961 წ. გვ. 6.
[2] ალიბეგაშვილი გ. – „ქართული ხალხური პოეზიის ნიმუშები“, „განათლება“. თბილისი, 1992 წ. გვ. 57.
[3] ალიბეგაშვილი გ. – „ქართული ხალხური პოეზიის ნიმუშები“, „განათლება“. თბილისი, 1992 წ. გვ. 45.
[4] სიხარულიძე ქს. – „ქართული ხალხური სიტყვიერება“, ქრესტომათია, ტ. 2, „ცოდნა“, თბილისი, 1961 წ. გვ. 12.
[5] ალიბეგაშვილი გ. – „ქართული ხალხური პოეზიის ნიმუშები“, „განათლება“. თბილისი, 1992 წ. გვ. 47.

ამ ლექსთან დაკავშირებით ვახტანგ კოტეტიშვილს ასეთი გადმოცემა ჩაუწერია: „არხოტი არის ხევსურეთის ერთი კუთხის სახელი და საზღვრავს ღილღვეთს (ინღუშეთს). არხოტი 70-80 კომლს მოიცავს. ეს კუთხე მოწყვეტილია პირაქეთ ხევსურეთს, რადგან დიდი მთები ჰყოფს და მათთან კავშირი მხოლოდ ზაფხულშია შესაძლებელი. შემდეგ თოვლისაგან მიუვალი ხდება.

არხოტიონები ცნობილნი არიან გულადობით, სიმტკიცითა და საერთოდ, ვაჟკაცობით. დღესაც პირაქეთელი ხევსურები დიდ პატივს სცემენ არხოტიონ ხევსურებს, როგორც არაჩვეულებრივ მეომრებს.

გადმოცემა მოგვითხრობს, რომ ერთხელ არხოტევნებს დიდძალი მტერი დასხმია თავს. დიდი ბრძოლა გაჩაღებულა. მტერსაც დიდი ზარალი მოსვლია, მაგრამ არხოტევნებიც დიდად შეცოტავებულან, სულ 20-25 მეომარიღა დარჩენილა. მტერი კი ჯერ რიცხვმრავალი ყოფილა. არხოტევნებიც დანებაბს აპირებდნენ, მაგრამ იმათ ბელადს ამ ლექსით მიუმართავს მეომრებისათვის. არხოტივნებზე ლექსს დიდი გავლენა მოუხდენიათ, მოუკრებიათ უკანასკნელი ღონე და მტერი უკუუქცევიათ.“[6]

სამშობლოსათვის თავგანწირვა, მხნეობა და რაინდობა გმირობის სავალდებულო ნორმად არის აღიარებული ქართულ ხალხურ საგმირო პოეზიაში; ამაზე მიუთითებენ საგმირო აფორიზმებიც. ამგვარი სავალდებულო ნორმა ვაჟკაცობისა საკაცობრიო მნიშვნელობას ანიჭებს ისეთი მოხდენილი სიმბოლიკითა და შედარებებით შეკრულ აფორიზმებს, როგორიცაა:

„ვაჟკაცსა – გული რკინისა,
აბჯარი – თუნდა ხისაო,
თვალნი – ქორებულ მხედავნი,
მუხლები – შევარდნისაო“.[7]

სამშობლოსათვის თავგანწირვაზე არის შექმნილი ქართული სიმღერები:

„რათ უნდა ბევრი დედასა,
სჯობს ერთი სახელდებული,
წავა და ომში მოკვდება,
თავი აქვს გადადებული“.[8]

ანდა:

„კიდევაც დაიზრდებიან
ალგეთს ლეკვები მგლისანი,
ისე არ ამოსწყდებიან,
ჯავრი შეჭამონ მტრისანი“.[9]

საგმირო ლექსებში ასახულია სპარსთა და თურქთა შემოსევები, ლეკიანობა, ქისტებთან და უცხო ტომებთან შუღლი; რაც საუკუნეთა მანძილზე აფორიაქებდა ქართველ მოსახლეობას. ასეთ ვითარებას თან ახლდა ადამიანთა ტყვეობა, ტაცება.

ხშირად ლექსებში დასახელებული გმირები ისტორიული, რეალური პიროვნებები არიან, რომლებიც შემდგომ ხალხის წარმოდგენაში ლეგენდური ელფერით იმოსებიან; ასეთებია: ფშაველი კუკუმაური, თუში ლუის ლუხუმი, ხევსური ხოგაის მინდია და მრავალი სხვა.

---

[6] ალიბეგაშვილი გ. – „ქართული ხალხური პოეზიის ნიმუშები“, „განათლება“. თბილისი, 1992 წ. გვ. 47.
[7] „ქართული ხალხური პოეზია“ – ტ. 3, „მეცნიერება“, თბილისი, 1974 წ. გვ. 79.
[8] „ქართული ხალხური პოეზია“ – ტ. 3, „მეცნიერება“, თბილისი, 1974 წ. გვ. 84.
[9] სიხარულიძე ქს. – „ქართული ხალხური სიტყვიერება“, ქრესტომათია, ტ. 2, „ცოდნა“, თბილისი, 1961 წ. გვ. 8.

ჩაგვიძეღ, ბერო მინდიავ

ჩაგვიძეღ, ბერო მინდიავ,
მუხლი მაიბი მგლისაო,
თან ჩაგვიყოლე სწორები,
ვისაც თავი აქვს ცდისაო.
შიში არ არის მტრისაგან,
ლოცვაა სამებისაო,
ნუ ეხუმრებით მინდიას,
მთების არწივის შვილსაო.

კაცია – გულად მამაცი,
ქვასაც კი ხელით სთლისაო.
გულად მამაცსა ვაჟკაცსა
ვერვინ დასწამებს ცილსაო,
მტერს დაუხვდება მამაცად,
გულს მისცემს ამხანაგსაო.
ჩაგვიძეღ! ჩავყვეთ ყველანი
ასეთ გულითად მგზავრსაო.[10]

ასეთ გმირებზე ლექსების მთელი ციკლებია შექმნილი. ესენი ის ვაჟკაცები იყვნენ, რომლებმაც იცოდნენ, რომ „ერთხელ მოცემულ სიციცხლეს ორჯერ ვინ ნახავს თვალითა“ და ამიტომ მიაჩნდათ: კაი ყმა უანგარო უნდა იყოს და „ებრალებოდეს გლახაკი, მოყვარე იყვეს ღვთისაო“.

ხალხის ფიქრით, გმირს, ვაჟკაცს, კაი ყმას, თავს არწივი, ზოგჯერ მტრედი დასტრიალებს, რაც იმის მაუწყებელია, რომ მას მფარველობს ჯვარი, ხატი.

ხალხურ პოეზიაში მრავლადაა ლექსები, რომლებიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში განსხვავებული ვარიანტითაა ცნიბილი. ერთ-ერთი მათგანია „ტირიან თუშის ქალები“...

„ტირიან თუშის ქალები,
არ მოგვივიდნენ ქმარები,
ნეტავი შეგვატყობინა,
დასჭრა თუ ვინმემ თავები?

– „ქალნო, თრთიალეთს თქვენს ქმრებსა
ლეკები დახვედრიანო,
თითოს მოუკლავს შვიდ-შვიდი,
ბიჭობაც ამას ჰქვიაო“.[11]

ცნობილია ამ ლექსის ქართლური, ფშაური, ხევსურული, გუდამაყრული, მოხეური და თუშური ვარიანტები.

ვახტანგ კოტეტიშვილის თქმით, ხოგაის მინდი გაღმერთების გზაზე შემდგარი გმირია, მითოსური ნისლით დამძიმებული და განდიდებულიც. ეროვნული ფოლკლორის მშვენებაა ხოგაის მინდიას სიკვდილზე შექმნილი სტრიქონები, რომლის თანახმადაც გმირის სიკვდილს ბუნებაც თანაუგრძნობს:

„ხოგაის მინდი კვდებოდა,
მზე წითლდებოდა, ცხრებოდა.
ცა ჭეხდა, მიწა გრგვინავდა,
სული გვიანა ჰხდებოდა,
ჩამოდიოდა მასკვლავი,
მთვარეც უკუღმა დგებოდა,
ქორ-შავარდენი, არწივი
სუ მხრებით იხოშებოდა,
მაღლის ჭიუხის ნადირი

სატირლად ემზადებოდა,
ცხენი იმისი ტიალი
ლურჯა ტოტზედა დგებოდა,
ცოლი იმისი ბეჩავი
სულ შავად იმოსებოდა,
დედა იმისი საბრალო
ტირილს აღარა ჰხდებოდა,
მამა იმისი საბრალო
თმა-წვერით იხოშებოდა“.[12]

[10] „ქართული ხალხური პოეზია“ – ტ. 4, „მეცნიერება“, თბილისი, 1975 წ. გვ. 32.
[11] ალიბეგაშვილი გ. – „ქართული ხალხური პოეზიის ნიმუშები“, „განათლება“. თბილისი, 1992 წ. გვ. 67.
[12] ალიბეგაშვილი გ. – „ქართული ხალხური პოეზიის ნიმუშები“, „განათლება“. თბილისი, 1992 წ. გვ. 72.

ხოგაის მინდის ვაჟკაცობა და გმირობა თვით მტრის მიერ ყოფილა აღიარებული. ამაზე მიუთითებს შემდეგი გადმოცემა: როდესაც მინდია მოუკლავთ, ქისტებს მისი გული დაუნაწილებიათ და ორსული ქალებისათვის უჭმევიათ, მინდიას მსგავსი გმირები დაიბადებიანო.

„ხოგაის მინდიას“ სიუჟეტი აქტიურადაა გამოყენებული ქართველი მწერლებისა და პოეტების მიერ. ვაჟა-ფშაველამ მთელი ციკლი შექმნა პოემებისა, რომლებიც მიუძღვნა მთაში სახელგანთქმულ გმირებს, ხოლო მისეული პერსონაჟების ხალხური გმირებისაგან გარჩევა ხშირად უჭირს მკითხველს.

საქართველოში უცხო ტომთა თარეშზეა შექმნილი მრავალ ვარიანტად ცნობილი ბალადა „შემომეყარა ყივჩაღი“; მისი, მისი ხევსურული ვარიანტი ასე ჟღერს:

„შემომეყარა ყიფჩაღი ბოლოსა მუხრანისასა.
პური მთხოვა და ვაჭმიე, ვურჩევდი თავთუხისასა;
ღვინო მთხოვა და ვასმიე, ვურჩევდი ბადაგისასა;
ხორცი მთხოვა და ვაჭმიე, ვურჩევდი ხოხობისასა;
ცოლი მთხოვა და არ მივე, მიმყავდა მამა-ძმისასა.
წამოდგა, ხელი წაავლო ნაჭაპნსა ქალის თმისასა.
ქალმა შასტირნა, შაჰკივლა: „იმედს ვარ ცუდი ქმრისასა!“
დამრცხვენდა, ხელი დავიდე ვადას ფრანგულის ხმლისასა,
ჯერ ყიფჩაგმ ჩამომიქნია, რისხვასა ჰგვანდა ცისასა;
მერე მე გადავუქნიე, წვერი უწვდინე ქვიშასა.
ყიფჩაგის თავი გაგორდა, ვაი დედას ყიფჩაგისასა!
ქალ, ავდექ, წამოვიყვანე, შინ მივიყვანე ძმისასა“.[13]

ცნობილია ბალადის კახური, ფშაური, ქართლური, მთიულური, გუდამაყრული, მოხეური, თუშური, ჯავახური და რაჭული ვარიანტები.

ქართულ ხალხურ საგმირო პოეზიაში საკმაოდ დიდი რაოდენობით არის ლექსები შინაურ შუღლზე. ამ ციკლის პოეტურ ნიმუშებში გამართლებულია ერთი თემის მიერ მეორის დარბევა. ამგვარი ლექსების შემქმნელნი ისევე ამკობენ მათ გმირობას, როგორც გარეშე მტრების წინააღმდეგ მებრძოლთა საომარ შემართებას.

შინაური შუღლის ამსახველი ლექსებიდან საინტერესო ციკლია შექმნილი ხევსური თორღვას შესახებ. ლექსების, გადმოცემებისა და თქმულებების მიხედვით იგი ბაგრატიონთა შთამომავალია. თორღვას სახე საკმაოდ რთულია. ზოგი თქმულებით, თორღვა ნახევრად მითოსური არსებაა. იგი „ღვთისაგან ნაწილიანია“. მას ნაძმობმა ვეშაპმა (სხვა ცნობით ვიღაც ფშაველმა ან ქაჯის ქალმა) მცურავი ჯაჭვის პერანგიც კი აჩუქა; გინდ ხმალი, გინდ ისარი, სადაც არ უნდა მოხვედროდა, ვერას აკლებდა თორღვას, რადგან ჯაჭვი იქ მოგროვდებოდა და იხსნიდა მას სიკვდილისაგან.

ზოგიერთ ლექსში თორღვა დადებითი გმირია მოთარეშე ქისტების დახოცვის გამო. ბევრი პოეტური ნიმუშისა და გადმოცემის თანახმად კი გამედიდურებულ-გაბუდაყებული თორღვა უარყოფით კონტექსტში მოისხენიება და მის მკვლელს ქებას უძღვნიან:

„ობლობით ამაიზარდა თორღვაი ძაგან გვარიო,
ამაეს, ამაიყოლა ნავთი და ნაკვერჩხალიო.
იელოვანზე გავიდა ვინ რა შააბა თვალიო,
ანდაქით ამადიოდეს მენადირენი რვანიო.

[13] „ქართული ხალხური პოეზია“ – ტ. 4, „მეცნიერება“, თბილისი, 1975 წ. გვ. 377.

თორღვამ მასთხოვა ბეგარი თითო შიშაქი ცხვარიო,
თითო ნაცრიან ტომარა გზაზე დაყარა მშრალიო.
ამაიწვადა ჩოთამა ისარი მჭვარტლიანიო,
სუკსა ხკრა, გულსა უწვდინა, წავიდა ნატყვიარიო.
სამჯერ მამიხედ თორღვაო, დაგიკალ თეთრი ხარიო,
გეუბენ, ვერ მაგადინე ბაგრატიონთა ხარიო.
რა უქენ ჯაჭვი თორღვაო ძმობილის ნაჩუქარიო?
წავიდას აბანოჩიგა, აგაქანდა როგორც წყალიო“.[14]

ხატობებსა და სხვა დღესასწაულებზე, ან შეთქმული ცხვრის თუ სხვა პირუტყვის შეწირვისას, მახვეწარის, თუნდაც მტრის ხელყოფა უღირს და არავაჟკაცურ საქციელად ითვლებოდა. ამ დროს მოსულ მახვეწარს ხატი იცავს და თავდასხმა ცოდვად აღიქმებოდა. ამგვარია ლექსი „ლაშარს მოვიდა თოლისძე“... თოლისძე თუში იყო, რომელიც, ლაშარში სამხვეწრო კურატის მოყვანამდე თუშ მეკობრეებთან ერთად ცდილობდა ფშავლების საქონელი გაერეკა. ფშავლებსა და თუშებს შორის გამართულ ბრძოლაში ფშავლებმა გაწყვიტეს მომხვდური თუშები და ერთადერთი გიორგი თოლისძე მოამბედ გაუშვეს თუშეთში. ხატობისას კი თოლისძე კვლავ ეწვია ფშავს და თუშების მიერს დახოცილი ფშავლების სულის სამხვეწროდ და სინანულის ნიშნად თეთრი ხარი მიიყვანა; გაოცებულ დამხვდურებს იგი ეუბნება:

„...მაიცათ ფშავლის შვილებო,
მალოცეთ ხატის კარია.
სამხვეწროთ მამიყვანავის
თეთრი ქორაი ხარია.
ეგ მაშინ გავარიგოდეთ,
როცა გაშრება მთანია.
უბისთვის განათდებიან
ლურჯაისანი ნალნია,
ვის უფრო ქუხდეს თოფები,
ვის უფრო შჭრიდეს ხმალია.“[15]

ნადირობის თემაზე შექმნილი საგმირო პოეზიიდან გამოირჩევა ბალადა „ლექსი ვეფხისა და მოყმისა“; მასში განსაკუთრებული სიღრმითა და პოეტური ხელოვნებითაა გადმოცემული არა მარტო მონადირის ვაჟკაცური შემართება, შეუპოვრობა და უდრეკობა, არამედ ვეფხვთან შერკინებაში დაღუპული მოყმის დედის თანაგრძნობის უნარი ვეფხვის დედისადმი, რაც უდიდესი ჰუმანიზმით არის განმსჭვალული:

„...ხან ვეფხვი, ხან თავის შვილი
ელანდებოდა მძინარსა,
ხან ვეფხვი ვითომ იმის შვილს
ტანზეით აჰყრის რკინასა,
ხან ვითამ იმისი შვილი
ვეფხვს გადაავლევს ყირასა.
აი, ამ სიზმრებს ხედავდის,
გამაეღვიძის მტირალსა.
ხან იფიქრებდა, უდედოდ
გაზრდა ვინა თქვა შვილისა,
იქნება ვეფხვის დედაი
ჩემზედ მწარედა სტირისა.
წავიდე, მეც იქ მივიდე,
სამძიმარ უთხრა ჭირისა,
ისიც მიამბობს ამბებსა,
მეც უთხრა ჩემის შვილისა,
იმასაც ბრალი ექნების
უწყალოდ ხმლით დაჭრილისა“.[16]

[14] „ქართული ხალხური პოეზია“ – ტ. 4, „მეცნიერება“, თბილისი, 1975 წ. გვ. 406.
[15] „ქართული ხალხური პოეზია“ – ტ. 3, „მეცნიერება“, თბილისი, 1974 წ. გვ. 465.
[16] ალიბეგაშვილი გ. – „ქართული ხალხური პოეზიის ნიმუშები“, „განათლება“. თბილისი, 1992 წ. გვ. 82.

ამ ბალადის ერთ-ერთი ვარიანტი, რომელიც ხევსურეთში, სოფელ ბარისახოშია მოპოვებული, ასახავს ასეთ თქმულებას: „ერთ ადგილას კლდეში ვეფხვი გამოჩენილა და გამვლელ-გამომვლელი ხალხი ყველა დაუხოცავს. ერთ კაცს მგელა ყურაულისძეს, იმ გზაზე ჩავლა მოჰხდომია. ჩავლისას ვეფხვი მძინარი ყოფილა და მგელას არ უკადრნია მძინარი მხეცის მოკვლა. ამოსვლისას კი ტვირთი ჩამოუღია მხრიდან, დაუდვია და შეუძახია: „შე ძაღლო, რას უგდიხარ ამაშიო? მგელა მოვიდა, ადეგო!“ ვეფხვი წამომხტარა, ტოტი დაუკრავს მგელასათვის თავში და „ტანზეით სრუ ძვალი მოუცლავ“, მგელას სამაგიეროდ დაურტყამს ხმალი და ტოტი მოუჭრია. ვეფხვი იქვე მომკვდარა, მგელა შინ მისულა და იქ მომკვდარა.

ლექსი „ჯარჯი“ საქართველოს მთაშია გავრცელებული. როგორც ჩანს, ის რეალური პიროვნება იყო. „ლექსი ვეფხისა და მოყმისა“ და „ჯარჯი“ სიუჟეტურად მსგავსი ლექსებია. ორივეში გამორჩეული გმირი მონადირე და ნანადირევი ერთმანეთის მსხვერპლნი ხდებიან.

„...ჯარჯივ, ნუ მისდევ ჯიხვებსა,
მოგინელებენ ტიალნი!
არ დაიჯერა ჯარჯიმა,
სხვაც ბევრ მამცდარა ჭკვიანი!
ჩამაუქადლა ვაჟკაცმა
ხირიმი სპილოსძვლიანი.
წინ ჯიხვთა, უკან ჯარჯიმა
კლდეზე გადიღეს გრიალი.
არხალოს ჭალას ჩაცვივდნენ,
ორხაოს პერანგიანი,
ჩაბანოს ჭალას გავარდა
მოყმე ფეხწრიაპიანი.
ამაიტანეს მამკვდარი,
ტირის ქალი და ზალია,
შამააწვინეს კარზედა
კლდის დაფლეთილი ტანია,
გადაგლეჯილი თავ-პირი,
ყორნის დათხრილნი თვალნია,
სახსოვრად ჯარჯის საფლავზე
დააკრნეს ჯიხვის რქანია,
ერთ გვერდზე თოფი სიათა.
მეორე გვერდზე ხმალია,
ზედ დააწერეს წერილი:
„ჯარჯი ჯიხვთაგან მკვდარია!“[17]

საგმირო-სამონადირეო პოეზიაში ყურადღებას იქცევს ფშავსა და ხევსურეთში გავრცელებული მითოსური ლექსი „მექობაური“. ვარიანტებად ცნობილი ლექსი დიდი თქმულების ფრაგმენტის შთაბეჭდილებას ტოვებს. ივანე მექობაური მონადირეთა მეთაური ყოფილა, მის გონიერ რჩევას ხიფათისაგან უხსნია ტყეში გზას აცდენილი მონადირენი. მონადირეთა ქომაგად, ლექსისა და ლეგენდების მიხედვით, ვეშაპია მოყვანილი. თვით მონადირენიც, მექობაურის რჩევით, ესარჩლებიან ქომაგს მეორე ვეშაპთან ბრძოლაში. მადლიერ ვეშაპს პირიდან მცურავი ჯაჭვი ამოუგდია და დაძმობილების ნიშნად მექობაურისთვის უჩუქნია. ეს მითოლოგიური მოტივი, როგორც ჩანს, მეტად გავრცელებული ყოფილა საქართველოში.

ქართული ხალხური პოეზიიდან სამონადირეო თემაზე ძალზე პოპულარულია ორი პოეტური ნიმუში „ავთანდილ გადინადირა“ და „ჯარჯი“. „ავთანდილ გადინადირა“ მთელ საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც არის გავრცელებული. ის ხალხურ „ვეფხისტყაოსანთან“ ამჟღავნებს მსგავსებას და ჩანს, ამ გარემოებამ განაპირობა მისი ასეთი პოპულარობა. არქაული ბალადა „ავთანდილ გადინადირა“, საგმირო-სამონადირეო მოტივთან ერთად, გამორჩეულია მისი ჰუმანიზმით; „ავი კაცისაგან“ მოკლული მონარიდის ანდერძი ამის ნათელი დასტურია:

[17] ალიბეგაშვილი გ. – „ქართული ხალხური პოეზიის ნიმუშები“, „განათლება“. თბილისი, 1992 წ. გვ. 86.

„...დაჯდა და წიგნი დასწერა,
მტრედს გამოაბა მხარათა.
ეს დედაჩემსა მიმირთვი:
ვეღარ მოგივალ ჩქარათა!
გიყვარდა თეთრი მანდილი,
ჩემზე შეღებე შავათა.
ის ჩემი ქამარ-ხანჯალი
მღვდელს მიეც საწირავათა.
ის ქალი ასეთ კაცს მიე,
მე მჯობდეს თვალათ, ტანათა,
ის ჩემი ციხე-ქალაქი
თან გაატანე მზითვათა.[18]

საგმირო-სახოტბო ლექსების შინაარსს გმირთა გარეგანი პორტრეტების აღწერა, სავაჟკაცო თვისებათა შემკობა და სულიერი სილამაზის დახასიათება ამდიდრებს. ზოგი საგმირო-სახოტბო ლექსი გმირთა თვისებებს ცალკეულ კუთხეებს უკავშირებს, ახასიათებს ამ კუთხეთა მკვიდრების ხასიათს. ასეთია ხევსურული ლექსი:

„ხევსურო, ხმალი გალაღებს,
ფშაველო – ენა გძელიო,
გუდამაყრელო – მაჟარი,
ტყვია გამასდის ცხელიო“.[19]

საგმირო-სახოტბო ლექსების შინაარსის განვითარებაში დიდი როლი აქვს სიმბოლიკას, შედარებას და სხვადასხვა პოეტურ ხერხებს. ამ ჯგუფში შეიძლება შემოვიდეს საგმირო ლექსები სატრფიალო მოტივებით. ეს ლექსები გამოხატავენ ქართველი ქალის იდეალს სატრფოსა თუ საქმროსი.

„ხევსურსაც ისეთს გადავყვებ,
დღეშუ ღლესავდეს ხმალსაო,
შინ სტუმარ შეუდიოდეს,
აბჯარნ ულეწდეს კარსაო,
ლაშქარს წინ ჩაუძღვებოდეს,
გასწრეხდეს შუბის ტარსაო“.[20]

„არ მინდა ა ისეთაი,
კარგ იყოს თვალად, ტანადა,
რას უშველს სილამაზეი,
ხალხნი რო ხკვლევდან ქალადა.
ვაშკაც უნდ იყვას ისეთი,
ფიცხად ხმარობდეს დანასა,
სიცილით უნდა იშუღლას,
ხმაიც არ გაიტანასა ...“[21]

საგმირო პოეზიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ვაჟკაცის სიკვდილზე შექმნილ ლექსებს, ესენია: საგმირო-სამგლოვიარო ლექსები, ხმით ნატირალები და მოსაგონრები. ისინი ყურადღებას იქცევენ არა მხოლოდ მრავალრიცხოვნობით, არამედ შინაარსისა და ხასიათის მრავალფეროვნებითაც. დაღუპულ გმირზე მოთქმა ერთ-ერთი აუცილებელი ნაწილია საგმირო პოეზიისა. ასევე მრავლადაა წარმოდგენილი დატირების ხასიათის ელეგიის ჟანრის ლექსები. ამ ლექსებიდან ზოგი ბოლო დრომდე საფერხულო სიმღერები იყო. ერთი ჯგუფი გმირის სიკვდილზე შექმნილი ლექსებისა მწუხარების პოეტურად განზოგადების ნიმუშებია და ფილოსოფიურ ხასიათს ატარებს. ამგვარი ლექსია „ვაჟკაცის სიკვდილი“:

[18] ალიბეგაშვილი გ. – „ქართული ხალხური პოეზიის ნიმუშები“, „განათლება“. თბილისი, 1992 წ. გვ. 85.
[19] „ქართული ხალხური პოეზია“ – ტ. 3, „მეცნიერება“, თბილისი, 1974 წ. გვ. 35.
[20] „ქართული ხალხური პოეზია“ – ტ. 3, „მეცნიერება“, თბილისი, 1974 წ. გვ. 36.
[21] „ქართული ხალხური პოეზია“ – ტ. 3, „მეცნიერება“, თბილისი, 1974 წ. გვ. 36.

„ვაჟკაცსა თავის სიკვდილი
თავი მძინარე ჰგონია,
სისხლისა ღვარი ნადენი
სალხინო ოფლი ჰგონია,
გაკრობა საკაცეზედა
ცხენზე შეჯდომა ჰგონია.
წინ რო ღვდელი გაუძღვება,
თავის შათირი ჰგონია,
ჩადება ბნელ სამარეში
ლოგინში წოლა ჰგონია,
თავით ქვას რო დაუდებენ,
ცოლის ბალიში ჰგონია,
ზედ დაყრა შავი მიწისა
საბნის დახურვა ჰგონია,
ბაყაყ-ჯინჭველის დასევა
წვრილი ცოლ-შვილი ჰგონია,
ყელზედა გველის მოხვევა
ცოლის მკლავები ჰგონია,
ნაწვეთი მარმარილოსი
დედის ცრემლები ჰგონია“.[22]

ნაწილი საგმირო-სამგლოვიარო პოეზიისა სახოტბო ხასიათისაა. ამ ლექსების უმეტესობა შინაარსობრივად ჩვენი ქვეყნის წარსულ ბედუკუღმართობასთანაა დაკავშირებული.

საგმირო პოეზიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი უბანია გმირის დატირების ამსახველი ლექს-სიმღერები. ღრმა მწუხარება-სევდის გამომხატველი სამგლოვიარო ლექსები საწესჩვეულებო პოეზიას განეკუთვნება. აქ ვხვდებით ელეგიას, დატირებას, წყევლას, ეპიტაფიას, საგალობელ ჰიმნს და მრავალ სხვას. ისინი საერთო ეროვნულ ტრადიციაშია გადაზრდილი და ხშირად ხალხში თავჩენილი გმირების გლოვის ფუნქციაც ეკისრებათ.

თავისი სოციალური შინაარსითა და ფორმით მეტად საინტერესოა ქართული სამგლოვიარო პოეზია. ძველ წერილობით ძეგლებში დაცული ცნობებიდან ჩანს, რომ ყველა ეპოქასა და ყველა სოციალურ წრეში მოთქმის შინაარსს შეადგენდა გარდაცვლილის ცხოვრების დასახიათება და ამ თვალსაზრისით ქვეყნის ინტერესების დამცველი გმირის ცხოვრებაც „გლოვის მგოსანთა“ შთაგონების წყარო იყო.

საგმირო-სამგლოვიარო ლექსებში მოხსენიებულნი არიან ხოლმე ომში მოკლული, კლდეზე გადავარდნილი, ზავით ან მეწყერით დაღუპული, წყალში დამხრჩვალი, ავადმყოფობით თუ სხვა რაიმე მიზეზით გარდაცვლილი პირები. ამ ტექსტებიდან კარგად ჩანს, თუ როდის და რა შემთხვევის დროსაა შეთხზული ესა თუ ის სამგლოვიარო ლექსი. ამ ციკლის პოეტურ ნიმუშებში აღინუსხება ხმით ნატირალი, მკვდრის ლექსი, ჭირისწყენა, მოსაგონარი ლექსი და ა.შ. აქვე კიდევ ერთი რამ უნდა გავითვალისწინოთ: ქართულ მწერლობაში ძალზედ გავრცელებული და პოლულარული „საწუთრო-სოფლის სამდურავი“ პირდაპირ ხალხური ფილოსოფიური ლირიკითაა ნასაზრდოები. ამაში დავრწმუნდებით წუთისოფელზე შექმნილი ლექსების გაცნობის შემდეგაც.

მოთქმით ტირილის შესახებ აკაკი წერეთელი წერს: „მოთქმით ტირილს შესხმითი ხასიათი ჰქონდა: თვითო-თვითოთ მოვიდოდნენ მიცვალებულის ნათესავ-მცნობები და რაც კარგი იცოდნენ მისგან სიცოცხლეში ჩადენილი, ქებით ეყტოდნენ, ვისაც რა ახსოვდა, ვინც რა იცოდა და ენახა, სახალხოდ აღიარებდა მკვდრის წინ მიცვალებულის სადიდებლად. ნუ დავივიაწყებთ, რომ მკვდრის კუბოზედ ტყუილის თქმა ცოდვად მიაჩნდათ და მოთვლიდნენ მხოლოდ სიმართლეს: მოიხსენიებდნენ მიცვალებულის ვაჟკაცობას, სტუმართმოყვარეობას და ყოველგვარს ქველმოქმედებას. თუმცა ამგვარი შესხმა მკვდარს პირადად ვეღარას არგებდა, მაგრამ ჭირისუფლების, ნათესავების გულს ასიამოვნებდა და მასთან მაყურებელი ხალხიც იგულისხმებოდა, რომ ოდესმე მათი სიცოცხლეში ნამოქმედარიც იქნებიან ისევე სახალხოთ მოხსენიებულიო. ყველა გრძნობდა, რომ რასაც

[22] სიხარულიძე ქს. – „ქართული ხალხური სიტყვიერება“, ქრესტომათია, ტ. 2, „ცოდნა“, თბილისი, 1961 წ. გვ. 20.

სიცოცხლეში კარგს საქმეს ჩაიდენდნენ, კუბოზე მოუხსენებდნენ და სახალხოთ გამოააშკარავებდნენ, ე. ი. წაიკითხავდნენ დავთარს მის კარგ-კაცობისას“.

ამრიგად, გმირობის, „კაი ყმობის“ იდეალების გამომხატველი ქართული ხალხური პოეზია საუკუნეთა მანძილზე უმღერის სამშობლოსათვის თავდადებულ გმირებს, მათ გაუტეხლობასა და ვაჟკაცობას, ოპტიმიზმს, სიდინჯეს, სიდარბაისლეს, რაინდობას, თავმდაბლობას, გამორჩეულ მონადირეობას; „კაი ყმის“ სიკვდილი ხალხისათვის უდიდესი საწუხარია, ხოლო მისი სათანადო დატირება და წარმოჩენა ერთგვარი ზნეობრივი გაკვეთილია მომავალი თაობისათვის. „მამულიშვილნი თავისთავად როდი ჩნდებიან, ბუნებით როდი იბადებიან. იმათ დანერგვა უნდა შესაბამის ნიადაგზედ, ეჭირვებათ გამოზრდა, განმტკიცება“, – წერდა ერის უპირველესი მასწავლებელი იაკობ გოგებაშვილი. ქართული ხალხური საგმირო ლექს-სიმღერები კი სწორედ ამგვარი ნოყიერი ნიადაგია, უდუდესი ზნეობრივი სკოლაა მამულიშვილების აღსაზრდელად. ჭეშმარიტი მამულიშვილის აღზრდა-ფორმირება კი ქვეყნის ძლერებისა და მისი არსებობის აუცილებელი პირობაა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ალიბეგაშვილი გ. „ქართული ხალხური პოეზიის ნიმუშები“, „განათლება“. თბილისი, 1992;
2. სიხარულიძე ქს., „ქართული ხალხური სიტყვიერება“, ქრესტომათია, ტ. 1, „ცოდნა“, თბილისი, 1958;
3. სიხარულიძე ქს., „ქართული ხალხური სიტყვიერება“, ქრესტომათია, ტ. 2, „ცოდნა“, თბილისი, 1961;
4. „ქართული ხალხური პოეზია“, ტ. 3, „მეცნიერება“, თბილისი, 1974;
5. „ქართული ხალხური პოეზია“, ტ. 4, „მეცნიერება“, თბილისი, 1975;
6. „ქართული ხალხური პოეზია“, ტ. 5, „მეცნიერება“, თბილისი, 1976;
7. შიოშვილი თ., „ქართული ფოლკლორის ზნეობრივი სამყარო“, „გამომცემლობა აჭარა“, ბათუმი, 2004.

ნუნუ
დიასამიძე

„პელაზგები – მითოლოგიური ძიებანი და სხვა...“

პელაზგური (ლაზიკა) ეპოქის, მითოსის შემოქმედთა სახელებს არ მოუღწევია, მაგრამ მოაღწიეს ღვთაებებმა, მითოსის პერსონაჟებმა. პელაზგურნი არიან: ზევსი, არსებობს ქტონური ზევსი, რომლის კულტის მუხასთან აქ არის დაკავშირებული. ჰერა, ანუ ჰაერა, რომელიც უძველესი პელაზაგურ-იბერიული ქალღმერთი; აგრეთვე დემეტრა, რომელიც შეერწყა დედაქალღმერთს, ძველ ბერძნულ ქალღმერთს. ასე არის პანთეონი, დამყნილია პროტოიბერიულ ან პელაზგურ პანთეონზე; ვკითხულობთ ძველ ბერძნულ მითოლოგიაში.

– ასევე მინდა ბიბლიას შევეხო, რომელიც ანტიკური წიგნია, და ამოვიკითხო იქ ჩაწერილი ინფორმაცია. დაბადება 9:28 „წარღვნის შემდეგ ნოემ სამას ორმოცდაათი წელი იცოცხლა“. დაბადება 10:1 „ეს არის ნოეს ვაჟების სემის, ქამის და იაფეთის ამბავი“. „წარღვნის შემდეგ მათ ვაჟები შეეძინათ, იაფეთს ვაჟები იყვნენ: გომერი, მაგოგი, მადაი, იავანი, თუბალი, მეშეჭი და თირასი“. ეს ხალხები ხმელთაშუა ზღვის რასას წარმოადგენდნენ; მცირე აზიის ტერიტორიაზე სახლობდნენ, შემდგომ როცა გამრავლდნენ – განივრცო და თანამედროვე ევროპა მოიაზრება.

ძველი ბერძენი ისტორიკოსების მონაცემებზე დაყრდნობით, პელაზგები არის ერთ-ერთი განშტოება პროტოიბერებისა, ისევე როგორც ეტრუსკები და სხვა ხალხები; ისევე როგორც ტროული, მინოსური სამყაროები. ეს ყოველივე აირეკლა ჰომეროსის ეპოსში და ამის შესახებ ძალზე სერიოზული გამოკვლევებია თანამედროვე მეცნიერებაში... წერდა ზვიად გამსახურდია, – ტროა უფრო ძველი კულტურული სამყაროა ვიდრე ელინური. როცა ინდოევროპული მოდგმამ ძირითადად აღზევდა ძვ.წ.აღრ. II ათასწლეულიდან და ტროას ომი „ილიადა“ არის პერიოდი, როცა ინდოევროპული მოდგმა (ნოეს ვაჟის ჭანაანის შთამომავლები) უკვე მძლავრობს მცირე აზიაში და საბერძნეთშიც და პელაზგურ მოდგმას უკვე დეკადანსი ემუქრება, თუმცა ტროას ომის უდიდესი გმირი – აქილევსი წარმოშობით პელაზგია; ე.ი. ქართველური მოდგმის წარმომადგენელი. აქ არის აშკარა კონფლიქტი ელინურ ბერძნულ სამყაროსა და პროტოქართულ სამყაროს შორის. ძველბერძნული მითოსი კი სინამდვილეში არის არა ძველბერძნული, არამედ პელაზგური მითოსი, ყოველივე ამასთანაა დაკავშირებული პრომეთეს მითი. რომელიც დაკავშირებულია კავკასიასთან, – ხოლო ზევსი განასახიერებს იმ მოდგმას, რომელიც უფრო გვიან არის მოსული საბერძნეთში და ძალადობით ამკვიდრებს თავის კულტს და პრომეთეს მიაჯაჭვებს კავკასიონის კედელზე, ის კულტურა რომელიც ინდოევროპელებს დახვდათ – პელაზგური კულტურაა და მაღლა დგას მათზე; ამიტომაც აწამებს ზევსის არწივი კედელზე მიჯაჭვულ პრომეთეს. შემდგომ ათავისუფლებს ჰერაკლე.

– ხოლო, შემდგომ იესო ქრისტეს სწავლებებმა, ახალი სინათლე მისცა იმდროინდელ მსოფლიოს, რადგან მოწაფეებმა დედამიწის კიდით კიდემდე იქადაგეს, როგორც ბიბლია გვამცნობს, ხოლო ქრისტიანობის განვრცობასა და განვითარებაში მცირე აზიის ხალხები ძირითად როლს თამაშობდნენ. – ხოლო ლაზარეს აღდგინება იოანე ზოსიმესთან ნიშნავს აღდგინებას ქართველი ერისა, მოდგმისა, იმ განფენილობით, როგორც იყო პრეისტორიულ ხანაში, ანუ ლაზარეს დაძინებამდე, ანუ მესამე ათასწლეულებამდე; როგორც ზემოთ ავღნიშნე, ეს მოდგმა შემცირდა ინდოევროპელების მიერ და შემორჩა პირინეებზე და კავკასიაში.

თანამედროვე ლაზური პოეზიიდან ძალიან შთამბეჭდავ ლექსებს ვპოულობთ; ჩვენი დროის პოეტის იაშა ბაქრაძის პოეზიაში ასეთ ლექსს ვკითხულობთ, რომელიც ლაზურიდან ქართულადაა ნათარგმნი:

„ნეტავ ჩვენ მუხის ჯიშისანი ვართ
ასე დატანჯულნი მაინც არ ვიშლებით,
როგორც მუხის ფესვები არ კვდება,
ღმერთმა დაგვლოცა, ვიყავით...
და ვართ“.

ვახუშტი ბაგრატიონი ლაზებს ასე ახასიათებს: „– ლაზები გამოირჩევიან, ბრძოლისუნარიანობით, ისინი შესანიშნავი მეორმები იყვნენ. ლაზეთის მეფე გუბაზი (VI ს.) ცნობილ ეგრისის ომში (VI-ის შუა პერიოდი) ბრძოლის წინ ასე მიმართავდა ჯარს, „ნუ გადაშენდება ლაზების სახელიო“. ლაზები შიშის ზარს სცემდნენ მტრდებს. უტეხი მეომრული თვისებებით ლაზი ქალებიც გამოირჩეოდნენ. ჩაიცმევდნენ კაცის მხედრულ სამოსს და ბრძოლაში იღებდნენ მონაწილეობას. ერთ-ერთი ასეთი ბრძოლის დროს, ბიზანტიელები სამი დღის განმავლობაში ვერ შედიოდნენ ლაზთა ხეობაში. აღმოჩნდა, რომ სამი კაცი ამაგრებდა ხეობას; როცა სამივე შეიპყრეს და მუზარადი ახადეს, კაცების ნაცვლად ქალები შერჩათ ხელში. აგათა სქოლასტიკოსი წერს: „ძლიერ და მამაც ტომს წარმოადგენენ ლაზები“. ლაზები ვაჭრობასაც კეთილშობილ საქმედ მიიჩნევდნენ. მათ ცხოველი ვაჭრობა ჰქონდათ პონტოს რომაელებთან.

ცნობილი თუქრი მოგზაური ევლია ჩელები გადმოგვცემს (XVII-ს) ლაზური მენექსილა ხომალდების შესახებ – „მენექსილა ხომალდები შედგება სამი მსხვილი ალვის ხისგან, რომელებიც მდინარე ჭოროხის ნაპირზე ხარობს. ერთი ფიცარი ქვემოდან მორივით, თითოც გვერდებზეა, ძალზე დიდი ფიცრებით, ხომალდების გვერდებზე ორი კაცის სიმსხო ლერწმისა და ჭილის წნულია შემოკრული, ამიტომაც არის რომ ზღვის ქარიშხალი ხომალდში ვერ ატანს და შავი ზღვის ქარიშხალშიც კი დაცურავენ“. ამ მხარეში ასეთ ნავებს მენექსილას უწოდებდნენ.

ლაზებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ საქართველოს ისტორიაში; ამ მიწიდან წამოვიდნენ ბაგრატიონები, აქ ჩაეყარა საფუძველი გრიგოლ ხანძთელის ეპოქაში საქართველოს გაერთიანებას. ამ მიწაზე დადგა ფეხი წმინდა ნინომ – ხოლო ქართულ ენაზე იოანე ზოსიმესეულ ძეგლში ნათქვამია: „დამარხულ არს ენაჲ ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მისისა საწამებლად“. რის საწამებლად? ცხადია ჭეშმარიტების საწამებლად.

ქართულმა ენამ, ქართულმა მოდგმამ უნდა იწამოს ჭეშმარიტი, ისევე როგორც ქრისტემ, მან უნდა ადიდოს ქრისტე, ისევე როგორც იოანე-ლაზარემ. ას სწამს იოანე ზოსიმეს (ზვ. გამსახურდია „წერილები და ესეები გვ. 11“).

– მეორედ მოსვლის დროს ღმერთა უნდა ამხილოს ყველა ენასა ამით ენითაო“, – როგორც ამბობს იოანე ზოსიმე. ეს ნიშნავს, რომ ეს მოდგმა იქნება მთავარი მატარებელი სულიერებისა, ქრისტიანობისა, როგორც იესომ თქვა... ბიბლიიდან ვციტირებ: „ჩემმა მეგობარმა ლაზარემ დაიძინა, მივდივარ მის გასაღვიძებლად“.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ზვიად გამსახურდია – „წერილების და ესეები“.
2. მითოლოგია – აკაკი გელოვანის.
3. პავლე ინგოროყვა, ტომი I.
4. ბიბლია.

ჭოროხი 6

2021

მალხაზ ფაღავას
პირადი ციფრული
ბიბლიოთეკა
2021
malkhaz.pagava@mail.ru